სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL
DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

გეოპოლიტუკური ტრანსფორმაციები 21-ე საუკუნეში:

ძალაუფლება, უსაფრთხოება და თანამშრომლობა

GEOPOLITICAL TRANSFORMATIONS IN THE 21ST CENTURY:

POWER, SECURITY, AND COOPERATION

ნაწილი 2
PART 2

სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომათა კრებული
Collection of Papers of the Scientific Conference

გორი, 2026

სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

გეოპოლიტუკური ტრანსფორმაციები 21-ე საუკუნეში: ძალაუფლება, უსაფრთხოება და თანამშრომლობა

Geopolitical Transformations in the 21st Century: Power, Security, and Cooperation

ნაწილი 2
PART 2

სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომათა კრებული

Collection of Papers of the Scientific Conference

ბორი, 2026

სარედაქციო კოლეგია

სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი

პოლკოვნიკი ზურაბ ზერეკიძე	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მეთაურის მოადგილე

სარედაქციო კოლეგიის წევრები

პოლკოვნიკი ირაკლი უჩაძე	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის ხელმძღვანელი
ვიცე-პოლკოვნიკი ივანე ოქრომჭდლიშვილი	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის მიმართულების უფროსი
ნინო ოხანაშვილი	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
მარიამ ფიფია	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის თავდაცვის ანალიზის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
ვიცე-პოლკოვნიკი ლევან გოზალიშვილი	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების უფროსი
ლევან ნიკოლეიშვილი	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი

© საავტორო უფლებები დაცულია
გამომცემლობა:
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია 2026
ISBN 978-9941-8-8743-7

ზურაბ აგლაძე	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი
შადიმან ბიწაძე	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების ასოცირებული პროფესორი
ქეთევან მესხიძე	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების ასოცირებული პროფესორი
ქეთევან ჩახავა	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების ასისტენტ პროფესორი
გიორგი კბილცეცხლაშვილი	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის სახელმწიფო რესურსების მართვის მიმართულების პროფესორი
ვიცე-პოლკოვნიკი რუსლან დარჩიძე	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი
რომეო გალდავა	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების პროფესორი
გიორგი კაკაშვილი	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
ლევან ჭოლიკიძე	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

ვიცე-პოლკოვნიკი იოსებ ტურაშვილი	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების უფროსი
ქეთევან ჭიაბრიშვილი	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების პროფესორი
რუსუდან დალაქიშვილი-ჭიჭინაძე	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
თინათინ ჟორჟოლიანი	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
შალვა კვეზერელი	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
გივი დუჩიძე	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი
ვიცე-პოლკოვნიკი ომარ თურმანიძე	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების უფროსი
ლევან გეგეშიძე	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების პროფესორი
პოლკოვნიკი გიორგი ლაღიაშვილი	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი

ნიკოლოზ ესიტაშვილი	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
თინათინ კროპაძე	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
ქეთევან კვესელავა	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
ზურაბ სამხარაძე	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი
მაია გამსახურდია	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი

რედაქტორი
თეა ბიძინაშვილი

კომპიუტერული დიზაინერი
მარიშა ძულიაშვილი

Editorial Board

Head of the Editorial Board

Colonel Zurab Zerekidze	Deputy Commander of the LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Members of the Editorial Board

Colonel Irakli Uchadze	Head of Magistrature of LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Lieutenant Colonel Ivan Okromtchedlishvili	Head of MA Program in Defence Analysis at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Nino Okhanashvili	Associate Professor of MA Program in Defense Analysis at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Mariam Pipia	Associate Professor of MA Program in Defense Analysis at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Lieutenant Colonel Levan Gozalishvili	Head of MA Program in Security Studies at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Levan Nikoleishvili	Professor of MA Program in Security Studies at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Zurab Agladze	Professor of MA Program in Security Studies at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Shadiman Bitsadze	Associate Professor of MA Program in Security Studies at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

© ALL RIGHTS RESERVED

PUBLISHING:
LEPL - DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA 2026
ISBN-978-9941-8-8743-7

Ketevan Meskhidze	Associate Professor of MA Program in Security Studies at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Ketevan Chakhava	Assistant Professor of MA Program in Security Studies at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Giorgi Kbiltsetskhlashvili	Professor of MA Program in State Resource Management at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Lieutenant Colonel Ruslan Darchidze	Acting Head of Bachelor's of LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Romeo Galdava	Professor of the Bachelor's Program in Informatics at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Giorgi Kakashvili	Associate Professor of the Bachelor's Program in Informatics at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Levan Cholikidze	Associate Professor of the Bachelor's Program in Informatics at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Lieutenant Colonel Ioseb Turashvili	Head of the Bachelor's Program in Defence Management at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Ketevan Chiabrishvili	Professor of the Bachelor's Program in Defence Management at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Rusudan Dalakishvili-Chichinadze	Associate Professor of the Bachelor's Program in Defence Management at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Tinatin Jorjoliani	Associate Professor of the Bachelor's Program in Defence Management at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Shalva Kvezereli	Associate Professor of the Bachelor's Program in Defence Management at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Givi Duchidze	Associate Professor of the Bachelor's Program in Defence Management at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Lieutenant Colonel Omar Turmanidze	Head of the Bachelor's Program in Defence and Security at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Levan Gegeshidze	Professor of the Bachelor's Program in Defence and Security at LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Colonel Giorgi Laghiashvili	Head of the Scientific Research Center of LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Nikoloz Esitashvili	Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Tinatin Kropadze	Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Ketevan Kveselava	Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Zurab Samkharadze	Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Maia Gamsakhurdia	Chief Scientist of Scientific-Research Center of LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Editor
Tea Bidzinashvili

Computer Designer
Marisha Dzuliashvili

სარჩევი

სამხრეთ კავკასიის სტრატეგიული ტრანსფორმაცია:
„სამხრეთ კავკასიური ტრიო“ - გეოპოლიტიკური
ობიექტიდან საერთაშორისო აქტორამდე
ვიცე-პოლკოვნიკი ლევან კოდუა _ 13

სამხრეთ კავკასიის დემოგრაფიული ტრანსფორმაცია და მისი
გავლენა ეროვნული ძალის ფორმირებაზე
კახა ფუტკარაძე, პეტრე გელაშვილი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ 24

აშშ-ის ბირთვული სტრატეგიის ზეგავლენა
გლობალურ უსაფრთხოებაზე
მაიორი კახა ფავლენიშვილი _ 43

სამხედრო ინჟინერია და საერთო ტაქტიკა თანამედროვე ომში:
დრონებისა და მაღალი სიზუსტის დარტყმების ადაპტაცია
ზურა სამხარაძე _ 57

ძალაუფლების პროექცია „ნაცრისფერ ზონაში“: ტექნოლოგიური
ტრანსფორმაცია და კონფლიქტის ახალი პარადიგმები
სოფიკო მეტრეველი _ 67

პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოების სტრატეგიები დიდი
ძალების გეოპოლიტიკური კონკურენციის პირობებში:
აზერბაიჯანისა და სომხეთის შედარებითი ანალიზი
შოთა ოთხოზორია _ 79

ჰიბრიდული ომის ფენომენის განსხვავებული აღქმადობა
საერთაშორისო პოლიტიკაში
ამირან ბიჭაშვილი _ 97

ჰიბრიდული ომი: თეორიული საფუძვლები, კონცეპტუალური
დებატები და მომავლის მიმართულებები თანამედროვე
უსაფრთხოების კვლევებში
არჩილ სივსივა _ 109

ახალი მსოფლიო წესრიგი: ძალაუფლება და
უსაფრთხოება 21-ე საუკუნეში
ლევან ნიკოლეიშვილი _ 119

ბიოლოგიური უსაფრთხოების ფაქტორი
საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში

მაია კაპანაძე, ალიკა გუჩუა _ **127**

ერაყის ომი 2003 წელს და მისი გავლენა ახლო აღმოსავლეთის
პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე
ნინო გაბინაშვილი, ვიცე-პოლკოვნიკი ომარ თურმანიძე _ _ _ _ _ **142**

საქართველოს „რეალ-პოლიტიკა“ მიმდინარე
გეოპოლიტიკური პროცესების ფონზე
კონსტანტინე ჟღენტი _ **154**

ციფრული უსაფრთხოების გავლენა
ძალაუფლებისთვის ბრძოლაში
თორნიკე ზედელაშვილი _ **167**

ამერიკის შეერთებული შტატების დიდი სტრატეგია
დონალდ ტრამპის მეორე პრეზიდენტობის პერიოდში
ლევან გეგეშიძე _ **176**

ხელოვნური ინტელექტი თანამედროვე სამხედრო
სტრატეგიებისა და დოქტრინების ტრანსფორმაციაში:
გეოპოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტები
ლევან ჭოლიკიძე, ქეთევან კვესელავა _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ **189**

ენერგეტიკული დამოუკიდებლობა და მდგრადი განვითარება -
საქართველოს ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის შეფასება
რუსუდან დალაქიშვილი _ **209**

ალგორითმული ომის ეპოქა: ხელოვნური ინტელექტის გავლენა
კიბეროპერაციებსა და საერთაშორისო შეკავების პოლიტიკაზე
სოფიკო ცხელიშვილი, თათია მარდალეიშვილი _ _ _ _ _ _ _ _ _ _ **217**

საქართველოს გეოპოლიტიკის პერიოდიზაცია
გიორგი ბერიძე _ **230**

Content

Strategic Transformation of the South Caucasus: The "South Caucasian Trio"- From a Geopolitical Object to an International Actor
Lieutenant Colonel Levan Kodua _ **16**

Demographic Transformation in the South Caucasus and its Impact on the Formation of National Power
Kakha Putkaradze, Petre Gelashvili _ **26**

The Impact of US Nuclear Strategy on Global Security
Major Kakha Pavlenishvili _ **45**

Military Engineering and General Tactics in Modern Warfare: Adaptation to Drones and Precision Strikes
Zura Samkharadze _ **58**

Projection of Power in the “Gray Zone”: Technological Transformation and New Paradigms of Conflict
Sofiko Metreveli _ **68**

Security Strategies of Small States in the Context of Great Power Geopolitical Competition: A Comparative Analysis of Azerbaijan and Armenia
Shota Otkhozoria _ **80**

The Divergent Perceptibility of the Hybrid Warfare Phenomenon in International Politics
Amiran Bichashvili _ **98**

Hybrid Warfare: Theoretical Foundations, Conceptual Debates, and Future Trajectories in Contemporary Security Studies
Archil Sivsiva _ **110**

New World Order: Power and Security in the 21st Century
Levan Nikoleishvili _ **120**

The Role of Biological Security in the International Security System
Maia Kapanadze, Alika Guchua _ **129**

The Iraq War in 2003 and its Impact on Political and Social Life in the Middle East
Nino Gabinashvili, Lieutenant Colonel Omar Turmanidze _ _ _ _ _ _ _ _ **143**

Georgia’s Realpolitik Amid Current Geopolitical Processes
Konstantine Zhghenti _ **155**

The Impact of Digital Security on the Struggle for Power
Thornike Zedelashvili _ **168**

The Grand Strategy of the United States
During Donald Trump's Second Presidency
Levan Gegeshidze _ **177**

Artificial Intelligence in the Transformation of Contemporary Military
Strategies and Doctrines: Geopolitical and Legal Aspects
Levan Cholikidze, Qetevan Kveselava _ **191**

Energy Independence and Sustainable Development - Assessment
of Georgia's Hydropower Potential
Rusudan Dalakishvili _ **210**

The Era of Algorithmic Warfare: The Impact of Artificial
Intelligence on Cyber Operations and Strategic Deterrence Policy
Sopiko Tskhelishvili, Tatia Mardaleichvili _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ **219**

Periodization of Georgian Geopolitics
Giorgi Beridze _ **231**

სამხრეთ კავკასიის სტრატეგიული ტრანსფორმაცია: „სამხრეთ კავკასიური ტრიო“ - გეოპოლიტიკური ობიექტიდან საერთაშორისო აქტორამდე

ვიცე-პოლკოვნიკი ლევან კოდუა
საერთაშორისო მანევრის კაპიტნის საკარიერო კურსის უფროსი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
საერთაშორისო ურთიერთობების
სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი,

აბსტრაქტი

XXI საუკუნის პირველი მეოთხედი შეიძლება შეფასდეს როგორც საერთაშორისო სისტემის ღრმა ტრანსფორმაციის პერიოდი, რაც გამოიხატება ერთპოლუსიანი მოდელიდან მრავალპოლუსიან მსოფლიო წესრიგზე ეტაპობრივი გადასვლით. გლობალური ძალაუფლების გადანაწილება, ეკონომიკური ცენტრების აღმოსავლეთისკენ გადაადგილება და ახალი სატრანსპორტო-ენერგეტი-კული კორიდორების ფორმირება ფუნდამენტურად ცვლის საერთაშორისო ურთიერთობების სტრუქტურას და ახლებურად განსაზღვრავს გეოპოლიტიკური კონკურენციისა და თანამშრომლობის ფორმებს. აღნიშნულ დინამიკურ გარემოში, რეგიონები, რომლებიც ადრე პერიფერიულ სივრცეებად მიიჩნეოდა, თანდათანობით იძენს ახალ სტრატეგიულ მნიშვნელობას. ასეთ რეგიონებს შორის განსაკუთრებულად გამოირჩევა სამხრეთ კავკასია, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ კვანძს ევროპას, ცენტრალურ აზიასა და ახლო აღმოსავლეთს შორის.

ნაშრომი იკვლევს მიმდინარე გეოპოლიტიკურ ტრანსფორმაციებს და აანალიზებს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების: საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სტრატეგიულ როლს ფორმირებად საერთაშორისო წესრიგში. კვლევა ეფუძნება საერთაშორისო ურთიერთობების ორ ძირითად თეორიულ ჩარჩოს: რეალიზმსა და ლიბერალიზმს. რეალიზმის პერსპექტივიდან სამხრეთ კავკასია წარმოადგენს სტრატეგიული კონკურენციის სივრცეს რეგიონულ და გლობალურ აქტორებს შორის, სადაც უსაფრთხოების საკითხები, ტერიტორიული მთლიანობა და ძალთა ბალანსის დინამიკა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ამის საპირისპიროდ ლიბერალიზმის მიდგომა ხაზს უსვამს ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების, ინსტიტუციური თანამშრომლობისა და საერთო ინფრასტრუქტურული პროექტების მზარდ მნიშვნელობას, როგორც კონფლიქტების შემცირებისა და გრძელვადიანი სტაბილურობის უზრუნველყოფის მექანიზმებს.

კვლევის ერთ-ერთ ცენტრალურ სიახლეს წარმოადგენს კონცეპტუალური ჩარჩოს „სამხრეთ კავკასიური ტრიოს მოდელის“ შემოთავაზება. აღნიშნული მოდელი ეფუძნება ბალტიისპირეთის ქვეყნების წარმატებული რეგიონული ინტეგრაციის გამოცდილებას და იკვლევს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის შორის გაძლიერებული სამმხრივი თანამშრომლობის შესაძლებლობებს. შემოთავაზებული მიდგომა სამ სახელმწიფოს განიხილავს არა როგორც ერთმანეთისგან იზოლირებულ გეოპოლიტიკურ ერთეულებს, არამედ როგორც ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულ აქტორებს, რომელთა კოორდინირებულმა პოლიტიკამ შესაძლოა შექმნას რეგიონული სინერგიული ეფექტი. კვლევა ამტკიცებს, რომ ბალტიისპირეთის მოდელის მსგავსად, საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების, უსაფრთხოების მიდგომებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმების სტრატეგიული შეთანხმება მნიშვნელოვნად გააძლიერებს რეგიონის მდგრადობასა და საერთაშორისო ავტორიტეტს.

მეთოდოლოგიურად, კვლევა ეფუძნება თვისებრივ ანალიზს, შედარებით რეგიონულ კვლევებსა და თანამედროვე აკადემიური ლიტერატურის მიმოხილვას გეოპოლიტიკისა და რეგიონული თანამშრომლობის სფეროში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მასშტაბური ინფრასტრუქტურული და კავშირის პროექტების ანალიზს, მათ შორის „შუა კორიდორისა“ და TRIPP-ის ინიციატივის ფარგლებში განხორციელებულ სატრანსპორტო და სავაჭრო განვითარების პროგრამებს. აღნიშნული ინიციატივები განიხილება როგორც ეკონომიკური ინტეგრაციის მტავარი ფაქტორები, რომლებიც ქმნის ურთიერთდამოკიდებულების ქსელს რეგიონულ აქტორებს შორის.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ თანამედროვე სატრანსპორტო ქსელების, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურისა და ციფრული კავშირის განვითარება ხელს უწყობს სამხრეთ კავკასიაში ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების მრავალგანზომილებიანი სისტემის ჩამოყალიბებას. გრძელვადიან პერსპექტივაში, მსგავსი ურთიერთდამოკიდებულება შეიძლება იქცეს არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის კატალიზატორად, არამედ სტაბილიზაციის მექანიზმად, რომელიც ამცირებს სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების ალბათობას და აძლიერებს კოლექტიური უსაფრთხოების დინამიკას. ამასთანავე, სატრანზიტო პოტენციალისა და ენერგეტიკული რესურსების კოორდინირებული გამოყენება ზრდის რეგიონული სახელმწიფოების გეოპოლიტიკურ შესაძლებლობებს და აძლიერებს მათ მოლაპარაკების პოზიციებს ფართო საერთაშორისო სისტემაში.

ნაშრომი ასკვნის, რომ საგარეო პოლიტიკის მიზნების, ინფრასტრუქტურული განვითარების და რეგიონული ეკონომიკური ინიციატივების სტრატეგიული კოორდინაციის გზით საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს გააჩნიათ შესაძლებლობა გარდაიქმნან პასიური გეოპოლიტიკური ობიექტებიდან აქტიურ და გავლენიან საერთაშორისო აქტორებად. აღნიშნულ ტრანსფორმაციას შეუძლია სამხრეთ კავკასიის ისტორიულად კონკურენტული სივრცის გადაქცევა სტრატეგიულად ინტეგრირებულ რეგიონად, რომელიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს გლობალურ კავშირგაბმულობაში, რეგიონულ უსაფრთხოებასა და მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში.

საკვანძო სიტყვები: გეოპოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, რეალიზმი, ლიბერალიზმი, ძალთა ბალანსი, რეგიონული თანამშრომლობა, ბალტიისპირეთის მოდელი, ენერგეტიკული უსაფრთხოება, შუა კორიდორი, TRIPP, სამხრეთ კავკასია.

Strategic Transformation of the South Caucasus: The "South Caucasian Trio"- From a Geopolitical Object to an International Actor

Lieutenant Colonel Levan Kodua
Chief of the International Maneuver Captains Career Course,
PhD Candidate in International Relations of Georgian Technical University

Abstract

The first quarter of the twenty-first century can be characterized as a period of profound transformation within the international system, manifested by a gradual transition from a unipolar model toward a multipolar world order. The redistribution of global power, the eastward shift of economic gravity centers, and the emergence of new transport and energy corridors are fundamentally altering the structure of international relations, redefining the paradigms of geopolitical competition and cooperation. In this dynamic environment, regions formerly perceived as peripheral are progressively acquiring newfound strategic significance. Among such regions, the South Caucasus stands out as a preeminent geopolitical junction bridging Europe, Central Asia, and the Middle East.

This paper explores ongoing geopolitical transformations and analyzes the strategic roles of the South Caucasian states—Georgia, Azerbaijan, and Armenia—within the emerging international order. The research is anchored in two primary theoretical frameworks of international relations: Realism and Liberalism. From a Realist perspective, the South Caucasus is viewed as an arena of strategic competition among regional and global actors, where security imperatives, territorial integrity, and balance-of-power dynamics assume paramount importance. Conversely, the Liberal approach emphasizes the increasing weight of economic interdependence, institutional cooperation, and shared infrastructural projects as pivotal mechanisms for conflict mitigation and long-term stability.

A central innovation of this study is the proposal of a conceptual framework titled the "South Caucasian Trio Model." Drawing upon the successful regional integration experience of the Baltic States, this model explores the prospects for enhanced trilateral cooperation between Georgia, Azerbaijan, and Armenia. The proposed approach conceptualizes these three states not as isolated geopolitical units, but as functionally interconnected actors whose coordinated policies may generate a regional synergistic effect. The study argues that, following the Baltic precedent, the strategic alignment of foreign policy priorities, security methodologies, and economic integration mechanisms will significantly bolster the region's resilience and international standing.

Methodologically, the research relies on qualitative analysis, comparative regional studies, and a comprehensive review of contemporary academic literature in the fields of geopolitics and regional cooperation. Particular emphasis is placed on the analysis of large-scale infrastructure and connectivity projects, including transport and trade development programs within the frameworks of the "Middle Corridor" and the TRIPP initiative. These initiatives are examined as primary drivers of economic integration, fostering a network of interdependence among regional actors.

The findings indicate that the development of modern transport networks, energy infrastructure, and digital connectivity facilitates the establishment of a multidimensional system of economic interdependence in the South Caucasus. In the long term, such interdependence may serve not only as a catalyst for economic growth but also as a stabilization mechanism that reduces the probability of interstate conflict and strengthens collective security dynamics. Furthermore, the coordinated utilization of transit potential and energy resources enhances the geopolitical capabilities of regional states and solidifies their negotiating positions within the broader international system.

The paper concludes that through the strategic coordination of foreign policy objectives, infrastructural development, and regional economic initiatives, Georgia, Azerbaijan, and Armenia possess the capacity to transform from passive geopolitical objects into proactive and influential international actors. This transformation has the potential to reposition the South Caucasus from a historically contested space into a

strategically integrated region, contributing significantly to global connectivity, regional security, and sustainable economic development.

Keywords: Geopolitics, International Relations, Realism, Liberalism, Balance of Power, Regional Cooperation, Baltic Model, Energy Security, Middle Corridor, TRIPP, South Caucasus.

შესავალი

თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე ცვლილებები საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. XX საუკუნის ბოლოს ცივი ომის დასრულებამ და საბჭოთა კავშირის დაშლამ შექ-მნა საერთაშორისო სისტემის ახალი სტრუქტურა, რომელიც ხშირად განიხილებოდა როგორც ერთპოლუსიანი მსოფლიო წესრიგი. ამ პერიოდში ამერიკის შეერთებული შტატები განიხილებოდა რო-გორც გლობალური ჰეგემონი, რომლის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო გავ-ლენა განსაზღვრავდა საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად პარამეტრებს.[1] ის ყველ-გან იყო წარმოდგენილი სამხედრო ძალის სახით და შესწევდა ეფექტურად გამოეყენებინა მის ხელთ არსებული სამხედრო, ეკონომიკური თუ კულტურული ბერკეტები საკუთარი მიზნების მისაღწევად.

XXI საუკუნის პირველი ორი ათწლეულის განმავლობაში საერთაშორისო პოლიტიკის დინამიკა მნიშვნელოვნად შეიცვალა. თუკი მეოცე საუკუნის მიწურულს, საბჭოთა კავ-შირის დაშლის შემდგომ, ფრენსის ფუკუიამა „ისტორიის დასასრულზე“ საუბრობდა,[2] დღევანდელი მოცემულობა რადიკალურად განსხვავებულია. მსოფლიო უნიპოლარული სისტემა ჩაანაცვლა კომპლექსურმა მრავალპოლუსიანმა რეალობამ. ეს ტრანსფორმაცია არ შემოიფარგლა მხოლოდ სამხედრო ხასიათის ძვრით, არამედ მან გამოიწვია ეკონომიკური და ტექნოლოგიური ძალაუფლების ფუნდამენტურ გადანაწილება, ხოლო მსოფლიო გეო-პოლიტიკურმა სიმძიმის ცენტრმა ატლანტის ოკეანედან ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონის-კენ გადაინაცვლა. ამ ცვლილებას მეარშეიმერი ხსნის როგორც გლობალური ეკონომიკური ძალაუფლების გადანაწილებად, სადაც ახალი ტექნოლოგიური ცენტრების წარმოშობა და რეგიონული ძალების გაძლიერება მიუთითებს საერთაშორისო სისტემის ტრანსფორმა-ციაზე მრავალპოლუსიანი სტრუქტურისკენ გლობალური ეკონომიკური პროცესების პარა-ლელურად იზრდება ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სფეროში მიმდინარე ცვლილებების მნიშვნელობა. თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკა სულ უფრო მეტადაა დამოკიდე-ბული გლობალურ ლოგისტიკურ ქსელებზე, რომლებიც აკავშირებს სხვადასხვა რეგიონს სავაჭრო და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მეშვეობით. ამ კონტექსტში განსაკუთრე-ბულ მნიშვნელობას იძენს სამხრეთ კავკასიის რეგიონი, ისტორიულად ეს სივრცე წარმო-ადგენდა დიდი იმპერიების ინტერესთა გადაკვეთის ზონას, თუმცა თანამედროვე გეოეკო-ნომიკური პროცესების პირობებში რეგიონი თანდათანობით იძენს ახალ ფუნქციას გახდეს

[1] სერგი ავალიანი, მეოცე საუკუნის ნატურფილოსოფია (თბილისი: მერიდიანი, 2018), 112.
[2] ფრენსის ფუკუიამა, ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი (New York: Free Press, 1992), 1-18

ევრაზიული სატრანსპორტო და ენერგეტიკული სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილი, ევრაზიის კონტინენტის მთავარი გეოპოლიტიკური ღერძი და არა ერთერთი რიგითი პერიფერია. ეს ყოველივე კი ქმნის წინაპირობას რომ აზერბაიჯანმა და სომხეთმა შეძლონ ისტორიული წყენის დაძლევა და საქართველოსთან ერთად სტრატეგიული პარტნიორობის ჩამოყალიბება, ენერგიის ტრანზიტისა და საგარეო პოლიტიკისადმი ერთიანი მიდგომის დანერგვით. მსგავსი ტრანსფორმაცია კი ამ სახელმწიფოებს აძლევ შესაძლებლობას გახდნენ ერთგვარი ბალტიისპირეთის ქვეყნების წარმატების რეპლიკაცია და უზრუნველყონ კოლექტიური უსაფრთოება და კეთილდღეობა. სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანა განსხვავებული პოლიტიკური განვითარების მიუხედავად, საერთო გეოგრაფიულ სივრცეში ფუნქციონირებს. მათი გეოგრაფიული მდებარეობა ევროპასა და აზიას შორის ქმნის მნიშვნელოვან სტრატეგიულ შესაძლებლობებს, თუმცა ამავე დროს წარმოშობს უსაფრთხოების და გეოპოლიტიკური კონკურენციის გამოწვევებს. ამ ნაშრომის მიზანია გაანალიზოს XXI საუკუნის გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციები და შეაფასოს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების სტრატეგიული როლი ფორმირებად საერთაშორისო სისტემაში.

ნაშრომში განხილული იქნება ისეთი საკითხები როგორიცაა:

- საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული პარადიგმების განხილვა;
- სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის შეფასება;
- ინფრასტრუქტურული პროექტების გავლენის ანალიზი რეგიონული განვითარების პროცესზე.

ძირითადი ნაწილი

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული ჩარჩო

რეალიზმი და ძალაუფლების პოლიტიკა

რეალისტური თეორია საერთაშორისო ურთიერთობებს განიხილავს როგორც ანარქიულ სისტემას, სადაც სახელმწიფოები ცდილობენ გადარჩენასა და საკუთარი უსაფრთხოების მაქსიმიზაციას. რეალისტური პრიზმიდან 21-ე საუკუნე განიმარტება „დიდი სახელმწიფოების კონკურენციის“ ეპოქის დაბრუნებით.[3] ჰანს მორგენთაუს მიხედვით, საერთაშორისო პოლიტიკა ძირითადად განისაზღვრება ძალაუფლებისთვის ბრძოლით. ნეორეალისტური თეორიის წარმომადგენელი კენეთ უოლცი კი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საერთაშორისო სისტემის სტრუქტურას და ძალთა ბალანსს. ჯონ მერშაიმერი

[3] ჰანს მორგენთაუ, პოლიტიკა ერებს შორის: ბრძოლა ძალაუფლებისა და მშვიდობისთვის (New York: Alfred A. Knopf, 1948), 12-15

აღნიშნავს, რომ დიდი სახელმწიფოები მუდმივად ცდილობენ გააძლიერონ საკუთარი გავლენა რეგიონულ და გლობალურ დონეზე.[4] სამხრეთ კავკასიისთვის რეგიონთან მიმართების რეალიზმი ხაზს უსვამს იმ საფრთხეებს, რაც თან ახლავს დიდ რეგიონალურ თუ მსოფლიო აქტორებს (რუსეთი, თურქეთი, ირანი) შორის „ბუფერულ ზონად“ ყოფნას. სამივე სამხრეთ კავკასიურ ქვეყანას მრავალად აქვს მწარე გაკვეთილები მიღებული წარსულში მეზობელი დიდი სახელმწიოფებიდან მიღებული. თუმცა, ნეორეალიზმი მიუთითებს, რომ მცირე სახელმწიფოებს შეუძლიათ უსაფრთხოე-ბის განმტკიცება „შინაგანი (ეკონომიკური/სამხედრო გაძლიერება) და გარეგანი ბალანსირებით“ (სტრატეგიული კოალიციების შექმნა). ერთიანი კავკასიური ფრონტი მნიშვნელოვნად გაზრდის გარე აგრესიის ფასს და რეგიონს ერთიან სტრატეგიულ ერთეულად გარდაქმნის.

ლიბერალიზმი და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება

ლიბერალური თეორია უფრო კონსტრუქციულ გზას გვთავაზობს ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების მეშვეობით. ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი ყურად-ღებას ამახვილებს საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობებსა და მის უპირატესობებზე. რობერტ კეოჰეინისა და ჯოზეფ ნაის მიხედვით, თანამედროვე საერთაშორისო სისტემა ხასიათდება კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულებით.[5] ისინი ამტკიცებენ, რომ როდესაც სახელმწიფოები ეკონომიკურად ინტეგრირებულნი ხდებიან, კონფლიქტის ფასი აუტანლად მაღალი ხდება. აღნიშნული „კომერციული ლიბერალიზმი“ ხაზს უსვამს, რომ საერთო ეკონომიკური ინტერესები და ინფრასტრუქტურული კავშირები აყალიბებს მექანიზმს - „მშვიდობა საერთო სარგებლის სანაცვლოდ“. სწორედ ეს ხედვა წარმოადგენდა კლინტონის ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკურ ქვაკუთხედს აღმოსავლეთ ევროპასთან მიმართებით, რაც ამ რეგიონის ქვეყნების ნატოში მასშტაბურ ინტეგრაციაში გამოიხატა. პოლიტიკა ეფუძნებოდა კონცეფციას, რომ „დემოკრატიები ერთმანეთთან არ ომობენ“, რადგან მათთვის სტაბილურობა და თავისუფალი ვაჭრობა გაცილებით დიდი კეთილდღეობის მომტანია, ვიდრე ომ-ით მიღებული ჰიპოთეტური სარგებელი. ჩვენი რეგიონის კონტექსტში, ლიბე-რალიზმი წარმოადგენს „შუა დერეფნის“ პროექტს. როდესაც აზერბაიჯანული მილსადენი, რომელსაც ევროპაში გაზი გადააქვს, გადის სომხეთსა და საქართველოზე, თითოეული სახელმწიფო ხდება ერთიანი ჯაჭვის სასიცოცხლო რგო-ლი. სომხეთის

[4] ჯონ ჯ. მირშაიმერი, დიდი სახელმწიფოების პოლიტიკის ტრაგედია (New York: W. W. Norton & Company, 2001), 32-35.

[5] რობერტ კოჰეინი და ჯოზეფ ნაი, *ძალაუფლება და ურთიერთდამოკიდებულება*, მე-4 გამოცემა (Boston: Longman, 2011), 20-25.

სტაბილურობა ხდება აზერბაიჯანის ეროვნული ინტერესი, ხოლო საქართველოს უსაფრთხოება აუცილებელი ორივე მათგანისთვის. ურთიერთდამოკიდებულების ეს ქსელი რეალიზმის „ნულოვანი ჯამის თამაშს“ (zero-sum game) ანაცვლებს დადებითი შედეგით, სადაც თანამშრომლობა ერთადერთი რაციონალური არჩევანია. მსგავსი ერთიანობა მიმზიდველი იქნება საერთაშორისო ინვესტორებისთვისაც რადგან ინვესტირებისათვის სტაბილური გარემო აუცილებელია. შესაბამისად ერთიანი კავკასია ბევრად უფრო მიმზიდველი ბაზარია, ვიდრე სამი ფრაგმენტირებული, ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფი სახელმწიფო.

სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის შეფასება

XXI საუკუნის გლობალური ეკონომიკური პროცესების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტენდენცია არის ეკონომიკური აქტივობის აღმოსავლეთისკენ გადაადგილება. ჩინეთის ეკონომიკური ზრდა და ინფრასტრუქტურული ინიციატივა „ერთი სარტყელი, ერთი გზა“ (Belt and Road Initiative (BRI) მიზნად ისახავს ევრაზიის მასშტაბით სატრანსპორტო და ეკონომიკური კავშირების განვითარებას. აზიაში დაბალხარჯიანი წარმოების აბსოლუტურმა უპირატესობამ კი დასავლური კორპორაციები აიძულა საწარმოო ბაზების მიგრაციისკენ, რის შედეგადაც მივი-ღეთ რეალობა, სადაც გლობალური ვაჭრობის 2/3 მალაკის სრუტეზე (სამხ. აღმოსავლეთი აზია) გადის. ამ პროცესმა მნიშვნელოვნად გაზარდა ალტერნატიული სატრანსპორტო მარშრუტების მნიშვნელობა. უკრაინის ომმა და რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულმა სანქციებმა „ჩრდილოეთის დერეფანი“ (რუსეთზე გამავალი მარშრუტი) პოლიტიკურად და ეკონომიკურად სარისკოდ აქცია, რამაც წარმოშვა ვაკუუმი, რომლის შესავსებადაც „შუა დერეფანი“ (ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი) საუკეთესო პოზიციაშია.[6] შექმნილი რეალობა არის შესაძლებლობების ფანჯარა რეგიონისთვის. 21-ე საუკუნეში დომინანტობისთვის ბრძოლა აღარ ეხება მხოლოდ ტერიტორიას; იგი ეხება საქონლის, ენერგიისა და მონაცემების ნაკადების კონტროლს.

სამხრეთ კავკასია, როგორც ევროპის, ცენტრალური აზიისა და ახლო აღმოსავლეთის დამაკავშირებელი სტრატეგიული კვანძი, კრიტიკულ გეოპოლიტიკურ როლს ასრულებს, რაც განპირობებულია მისი უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობით, ენერგეტიკული რესურსებითა და სატრანზიტო ინფრასტრუქტურით. ყარაბაღის კონფლიქტის გადაჭრამ, მიუხედავად მისი მტკივნეული ხასიათისა, მოხსნა რეგიონული ინტეგრაციის მთავარი სტრუქტურული ბარიერი, რამაც დღის წესრიგში დააყენა ისეთი ინიციატივები, როგორიცაა სომხეთის „მშვიდობის გზაჯვარედინი“ და პოტენციური „ზანგეზურის დერეფანი“. ამ

[6] მსოფლიო ბანკის ჯგუფი, *შუა დერეფანი: პოლიტიკური რეკომენდაციები სატრანსპორტო კავშირების გასაძლიერებლად* (ვაშინგტონი, 2023), 8-12.

კონტექსტში, აზერბაიჯანის, როგორც ენერგომიმწოდებლის, სომხეთის როგორც გამტარისა და საქართველოს, როგორც რეგიონული სატრანზიტო ჰაბის ფუნქციური დატვირთვა, ქმნის წინაპირობას „კავკასიური სამეულის“ ფორმირებისათვის, რაც ბალტიისპირეთის ქვეყნების წარმატებული ინტეგრაციის მოდელის რეპლიკაციას გულისხმობს. ბალტიისპირეთის პრეცედენტზე დაყრდნობით, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს გააჩნიათ პოტენციალი მოახდინონ სამი ეგზისტენციალური ინტერესის კონსოლიდაცია: ენერგეტიკული სუვერენიტეტის განმტკიცება, სატრანზიტო რენტის მაქსიმიზაცია და ინსტიტუციური ინტეგრაცია ევროპულ ბაზრებთან. ყოველივე ეს საფუძველს უყრის საერთო ინტერესებზე დაფუძნებულ გრძელვადიან რეგიონულ სტაბილურობას.

კავკასიური ტრიოს მოდელი

სტრატეგიული ინფრასტრუქტურული პროექტების რეალიზაცია, როგორიცაა TRIPP ინიციატივა (ტრამპის მარშრუტი საერთაშორისო მშვიდობისა და კეთილდღეობისთვის), წარმოადგენს ვაშინგტონის პრაგმატულ ხედვას „მშვიდობის კეთილდღეობის მეშვეობით“ უზრუნველყოფის შესახებ, რაც კავკასიის რეგიონში რუსული და ჩინური გავლენის დაბალანსების ეფექტურ ინსტრუმენტად მოიაზრება. ამ კონტექსტში, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა არა მხოლოდ კომერციული წამოწყება, არამედ გეოპოლიტიკური აუცილებლობაა, რომელიც მოდერნიზებულ ფოთის პორტთან ერთად განამტკიცებს საქართველოს სტატუსს. იმ ფონზე, როდესაც თურქეთი აფართოებს შავი ზღვის პორტებს (სამსუნი, ფილიოსი, რიზე), საქართველოს გეოგრაფია სთავაზობს ყველაზე პირდაპირ და დროში ეფექტურ გზას ცენტრალური აზიის ტვირთებისთვის. მო-დერნიზებული ფოთი და ფუნქციური ღრმაწყლოვანი ანაკლიის პორტი განამტკიცებს საქართველოს სტატუსს, როგორც „კარიბჭეს დასავლეთისკენ“. აღნიშნულ პროცესებს თან ერთვის ირანული ენერგეტიკული ფაქტორის აქტუალიზაცია, რაც ევროპის მიერ რუსული გაზის ალტერნატივის ძიების ფონზე, სამხრეთ კავკასიას გლობალურ ენერგეტიკულ ჰაბად გარდაქმნის პოტენციალს სძენს. 2000-იანი წლების დასაწყისში ირანული ბუნებრივი აირის სომხეთისა და საქართველოს გავლით შავი ზღვის აუზამდე ტრანსპორტირების ინი-ციატივები ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დაწესებული სანქციებისა (ILSA) და რუსული ენერგეტიკული პროტექციონიზმის (კერძოდ, „გაზპრომის“ მონოპოლიური ინტერესების) გამო შეფერხდა. თანამედროვე გეოპოლიტიკური მოცემულობა რადიკა-ლურად არის შეცვლი-

ლი: ევროპული ქვეყნების მზარდი მოთხოვნა რუსული ენერგორესურსების ალტერნატიულ წყაროებზე ქმნის ახალ სტრატეგიულ პერსპექტივას.[7] ირანის საერთაშორისო იზოლაციის შესაძლო დიპლომატიური დაძლევის პირობებში განსაკუთრებით 2026 წლის თებერვალში დაწყებული კონფლიქტის შემდგომ პერიოდში, სამხრეთ კავკასია ყალიბდება ევროკავშირისთვის ირანული ენერგომატარებლების მიწოდების ერთადერთ საიმედო დერეფნად. აღნიშნული ტრანსფორმაცია საშუალებას მისცემს რეგიონს, სტატიკური სატრანზიტო ზონიდან გარდაიქმნას გლობალური მნიშვნელობის მქონე მულტიფუნქციურ ენერგეტიკულ ჰაბად.

დასკვნა

XXI საუკუნის გლობალური გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციები, რომლებიც ფუნდამენტურად ცვლიან საერთაშორისო სისტემის სტრუქტურას, სამხ-რეთ კავკასიის რეგიონისთვის უნიკალურ ისტორიულ „შესაძლებლობების ფანჯარას“ წარმოშობს. რეალისტური პარადიგმის ფარგლებში გარე საფრთხეების პრაგმატული მართვა და ლიბერალური ეკონომიკური სტრატეგიების იმპლემენტაცია შიდარეგიონული თანამშრომლობის გასაღრმავებლად, სახელმწიფოებს აძლევს საშუალებას, საბოლოოდ დაძლიონ ფრაგმენტაციის ისტორიული ტენდენცია. რეგიონის სტრატეგიული მიზანი იკვეთება მის ტრანსფორმაციაში ევრაზიული სივრცის უმნიშვნელოვანეს სატრანსპორტო და ენერგეტიკულ ჰაბად, რაც გლობალურ ენერგეტიკულ ბაზარზე ერთიანი სუბიექტის სტატუსით პოზიციონირებას გულისხმობს. ევროპის ენერგომომარაგების დივერსი-ფიკაციისა და „შუა დერეფნის“ ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობით, საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი შეძლებენ მყარი ადგილის დამკვიდრებას ახალ მრავალპოლუსიან მსოფლიო წესრიგში. ბალტიისპირეთის ქვეყნების ინტეგრაციის პრეცედენტის მსგავსად, კავკასიის ერებმა უნდა გააცნობიერონ, რომ მათი სტრატეგიული ძალა და მდგრადობა სწორედ რეგიონულ ერთიანობაშია. შესაბამისად, მრავალმხრივი ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარება და პოლიტი-კური კოორდინაცია წარმოადგენს ერთადერთ რაციონალურ გზას ჭეშმარიტი სუვერენიტეტის, ხანგრძლივი მშვიდობისა და მდგრადი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

ბიბლიოგრაფია

ავალიანი, სერგი. მეოცე საუკუნის ნატურფილოსოფია. თბილისი: მერიდიანი, 2018. https://redirme.com/zahs4u (წვდომა 13.03.2026)

[7] ზ. ბჟეზინსკი, დიდი ჭადრაკის დაფა (New York: Basic Books, 1997), 121.

ბჟეზინსკი, ზბიგნევ. დიდი ჭადრაკის დაფა. New York: Basic Books, 1997.https://shr.ge/lbdkY6 (წვდომა 13.03.2026)

მირშაიმერი, ჯონ ჯ. დიდი სახელმწიფოების პოლიტიკის ტრაგედია. New York: W. W. Norton & Company, 2001.https://redirme.com/43cvh4 (წვდომა 13.03.2026)

მორგენთაუ, ჰანს ჯ. პოლიტიკა ერებს შორის: ბრძოლა ძალაუფლებისა და მშვიდობისთვის. New York: Alfred A. Knopf, 1948.https://redirme.com/cebtp3 (წვდომა 13.03.2026)

მსოფლიო ბანკის ჯგუფი. შუა დერეფანი: პოლიტიკური რეკომენდაციები სატრანსპორტო კავშირების გასაძლიერებლად. ვაშინგტონი, 2023. https://shr.ge/Q3YdHs (წვდომა 13.03.2026)

ფუკუიამა, ფრენსის. ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი. New York: Free Press, 1992.https://redirme.com/prc56b (წვდომა 13.03.2026)

კოჰეინი, რობერტ ო. და ჯოზეფ ს. ნაი. ძალაუფლება და ურთიერთდამოკიდებულება. მე-4 გამოცემა. Boston: Longman, 2011. https://redirme.com/naau9y (წვდომა 13.03.2026)

სამხრეთ კავკასიის დემოგრაფიული ტრანსფორმაცია და მისი გავლენა ეროვნული ძალის ფორმირებაზე

კახა ფუტკარაძე
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის
თავდაცვისა და უსაფრთხოების
მიმართულების ასოცირებული პროფესორი,
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
https://orcid.org/0000-0001-9222-0673

პეტრე გელაშვილი
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის
თავდაცვისა და უსაფრთხოების
მიმართულების ასისტენტ პროფესორი,
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი
https://orcid.org/0009-0005-1558-0321

აბსტრაქტი

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში დემოგრაფიული პროცესები სულ უფრო ხშირად განიხილება როგორც სახელმწიფოს ძალის სტრუქტურული კომპონენტი[1]. მოსახლეობის რაოდენობა, ასაკობრივი სტრუქტურა, შობადობა, სიკვდილიანობა და მიგრაცია პირდაპირ გავლენას ახდენს სახელმწიფოს ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, შრომით რესურსებსა და სამხედრო პოტენციალზე. სამხრეთ კავკასიის რეგიონში დემოგრაფიული ტენდენციები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში, განსაკუთრებით უკრაინის ომისა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კრიზისების ფონზე.

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დე-მოგრაფიული განვითარების ძირითადი ტენდენციები. კვლევა ეფუძნება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, აზერბაიჯანის სახელმწიფო სტატისტიკური კომიტეტის, სომხეთის სტატისტიკის სამსახურის, გაეროს მოსახლეობის სამსახურისა და მსოფლიო ბანკის მონაცემებს.

ნაშრომის ასევე განიხილავს მიგრაციის სეკურიტიზაციის / უსაფრთხოების კონცეფციას და დემოგრაფიულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ შესაბამის თეორიებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს დემოგრაფიულ გამოწვევებს, მათ შორის ემიგრაციას, მოსახლეობის დაბერებისა და შრომითი რესურსების შემცირების საკითხებს.

კვლევის ფარგლებში მიღწეული შედეგები აჩვენებს, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს განსხვავებული დემოგრაფიული მოცემულობა აქვთ. აზერბაიჯანი ინარჩუნებს მოსახლეობის ზრდას და შედარებით ახალგაზრდა - ასაკობრივ სტრუქტურას, მაშინ როდესაც სომხეთი და საქართველო დემოგრაფიული შემცირების და ემიგრაციის გამოწვევის წინაშე დგანან.

ნაშრომში წლების მიხედვით გაანალიზებულია სამი ქვეყნის დემოგრაფიული სურათი და მოცემულია 2050 წლისათვის მოსალოდნელი საპროგნოზო მაჩვენებლები. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის მსგავსი დემოგრაფიული ტრანსფორმაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც რეგიონულ დინამიკასა და პოლიტიკურ პროცესებზე, ასევე მნიშვნელოვან ასახვას ჰპოვებს ეკონომიკურ და უსაფრთხოების საკითხებზეც. იგი პირდაპირ დაკავშირებულია სამუშაო - შრომით ძალაზე,

[1] A. F. K. Organski and Jacek Kugler, *The War Ledger* (Chicago: University of Chicago Press, 1980).

ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, სამხედრო ძალაზე, მათ შორის სამობილიზაციო რესურსზე და საერთო ჯამში ეფექტური ეროვნული ძალის ფორმირების შესაძლებლობებზეც.

კვლევაში სამი ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების დინამიკა განხილულია ამავე სახელწმიფოების ეკონომიკურ და სამხედრო შესაძლებლობების ფონზე. ნაჩვენებია საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ასაკობრივი დემოგრაფიული მაჩვენებლებები, მათ შორის სამხედრო და სამუშაო ასაკს მიღწეულ პირთა, აქტიურ სამხედრო მოსამსახურეთა, მიგრაციის, ემიგრაციის, შობადობის, სიკვდიალიანობის, ეკონომიკური მაჩვენებლების, ძირითადი ეკონომიკური დარგების, მთლიანი შიდა პროდუქტის, ეთნიკური ჰომოგენურობის, უცხოელი მიგრანტებისა და მიგრაციის ბალანსის პარამეტრების მიხედვით. აღნიშნული მაჩვენებლების შესაბამისად სამი ქვეყნის დემოგრაფიული სურათის კრიტიკული ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს გამოვკვეთოთ დემოგრაფიული სურათის გავლენა სამხრეთ კავკასიის სახელწმიფოების ეროვნული ძალის ფორმირებაზე, დადგინდეს კრიტიკული მიმართულებები და შემუშავებული იქნას სათანადო რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: დემოგრაფიული უსაფრთხოება, მიგრაცია, ეროვნული ძალა; ეკონომიკური პოტენციალი; სამხედრო რესურსები.

Demographic Transformation in the South Caucasus and its Impact on the Formation of National Power

Kakha Putkaradze
Associate Professor of Bachelor's Program in Defense and Security of
LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Doctor of Social Science
https://orcid.org/0000-0001-9222-0673

Petre Gelashvili
Assistant Professor of Bachelor's Program in Defense and Security of
LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
PhD in International Relations
https://orcid.org/0009-0005-1558-0321

Abstract

In contemporary international relations, demographic processes are increasingly considered a structural component of state power. Population size, age structure, birth rate, mortality, and migration directly influence a state's economic capabilities, labor resources, and military potential. In the South Caucasus region, demographic trends acquire particular significance in the context of regional security, especially against the backdrop of the war in Ukraine and the ongoing crises in the Middle East.

This paper analyzes the main trends of demographic development in Georgia, Armenia, and Azerbaijan. The research is based on data from the National Statistics Office of Georgia, the State Statistical Committee of Azerbaijan, the Statistical Committee of Armenia, the United Nations Population Division, and the World Bank.

The paper also examines the concept of the securitization of migration and the relevant theories related to demographic security. Particular attention is devoted to Georgia's demographic challenges, including emigration, population aging, and the reduction of labor resources.

The results obtained within the research show that the countries of the South Caucasus have different demographic conditions. Azerbaijan maintains population growth and a relatively young age structure, whereas Armenia and Georgia face the challenges of demographic decline and emigration.

The paper analyzes the demographic picture of the three countries by years and presents projected indicators up to 2050. Demographic transformations among the South Caucasus countries significantly affect regional dynamics and political processes, as well as having important implications for economic and security issues. It is directly related to the labor force, economic indicators, military strength, including mobilization resources, and overall the ability to form effective national power.

Within the study, the dynamics of demographic development in the three countries are examined in the context of their respective economic and military capabilities. The age-related demographic indicators of Georgia, Armenia, and Azerbaijan are presented, including individuals of working and military age, active military personnel, migration and emigration, birth and death rates, economic indicators, main economic sectors, gross domestic product, ethnic homogeneity, foreign migrants, and migration balance parameters. Based on these indicators, a critical analysis of the demographic situation of the three countries allows us to identify the impact of demographic trends on the formation of national power in the South Caucasus states, determine critical directions, and develop appropriate recommendations.

Keywords: demographic security; migration; national power; economic potential; military resources.

შესავალი

დემოგრაფიული პროცესები ისტორიულად მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა სახელმწიფოების განვითარებაზე. მოსახლეობის რაოდენობა და მისი სტრუქტურა განსაზღვრავს ეკონომიკური წარმოების მასშტაბს, შრომითი რესურსების მოცულობასა და სამხედრო მობილიზაციის პოტენციალს. შესაბამისად, დემოგრაფიული დინამიკა საერ-თაშორისო უსაფრთხოების კვლევებში განიხილება როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც სახელმწიფოთა ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, სამხედრო ძალასა და სოციალურ სტაბილურობაზე გრძელვადიან ზემოქმედებას ახდენს. [2] [3]

სამხრეთ კავკასიის რეგიონი გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან სივრცეს წარ-მოადგენს, სადაც დემოგრაფიული პროცესები სერიოზულ გავლენას ახდენს ეკონომიკურ და უსაფრთხოების გარემოზე.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რეგიონში მასშტაბური დემოგრაფიული ცვლილებები დაიწყო. იგი დაკავშირებულია ეკონომიკურ კრიზისთან, სამხედრო კონ-ფლიქტებთან და მასობრივ მიგრაციასთან.

თანამედროვე ეტაპისათვის სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფო განსხვავებულ დემოგრაფიულ გამოწვევების წინაშე დგას. აზერბაიჯანში მოსახლეობა სტაბილურად იზრდება და უკვე 10 მილიონს აღემატება, მაშინ როდესაც საქართველოსა და სომხეთში მოსახლეობის რაოდენობა შემცირების ტენდენციას განიცდის.

მეცნიერულ-თეორიული ანალიზი

დემოგრაფიული პროცესების შესწავლა ინტერდისციპლინურ თეორიულ ჩარჩოს სიღრმისეულ ანალიზს მოითხოვს, რომელიც გააერთიანებს ანთროპოლოგიის, უსაფრთ-ხოების კვლევებისა და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებს. წინამდებარე კვლევაში ჩვენს მიერ გამოყენებულია სამი ძირითადი თეორიული მიდგომა: დემოგრაფიული გარდაქმნის თეორია, დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია და მიგრაციის სეკურიტიზაციის თეორია.[4]

ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონტექსტში დემოგრაფიული გარ-დაქმნის თეორია განმარტავს მოსახლეობის ზრდისა და შემცირების დინამიკას. კლა-სიკური დემოგრაფიული მოდელის მიხედვით საზოგადოება განვითარების რამდენიმე ეტაპს გადის: პირველ ეტაპზე მაღალია როგორც შობადობა, ისე სიკვდილიანობა; მეორე ეტაპზე

[2] Paul Kennedy, *The Rise and Fall of the Great Powers* (New York: Random House, 1987).
[3] John J. Mearsheimer, *The Tragedy of Great Power Politics* (New York: W. W. Norton, 2001).
[4] Jack A. Goldstone, "Population and Security," *Journal of International Affairs* 56, no. 1 (2002): 3–21.

სიკვდილიანობა მცირდება, ხოლო შობადობა კვლავ მაღალი რჩება; მესამე და მეოთხე ეტაპებზე კი შობადობა თანდათან მცირდება, რაც მოსახლეობის დაბერებას და ბუნებრივი მატების შემცირებას იწვევს.[5] სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ამ პროცესის სხვადასხვა ეტაპზე იმყოფებიან. აზერბაიჯანი შედარებით ახალგაზრდულ დემოგრაფიულ სტრუქტურას ინარჩუნებს და კვლავ პოზიტიურ ბუნებრივ მატებას აფიქსირებს, მაშინ როდესაც საქართველო და სომხეთი უკვე დემოგრაფიული გარდაქმნის გვიან ეტაპზე არიან, სადაც დაბალი შობადობა და მოსახლეობის დაბერება სისტემურ გამოწვევად გადაიქცა.

დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია ამ პროცესს უფრო ფართო პოლიტი-კური პერსპექტივიდან განიხილავს. აღნიშნული მიდგომის მიხედვით მოსახლეობის რაოდენ-ობა, ასაკობრივი სტრუქტურა და ეთნოდემოგრაფიული ბალანსი ეროვნული უსაფრთხო-ების ერთ-ერთ კრიტიკულ ფაქტორად შეიძლება გადაიქცეს. ბარი ბუზანისა და უსაფრთხოების კვლევების სხვა წარმომადგენლების მიხედვით, უსაფრთხოების სივრცე არ შემოიფარგლება მხოლოდ სამხედრო განზომილებით.[6] აღნიშნულ კონტექსტში დემოგრა-ფიული ტენდენციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სახელმწიფოს სტაბი-ლურობაზე, ეკონომიკურ მდგრადობასა და სოციალურ ერთიანობაზე. სამხრეთ კავკასიაში ყოველივე ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა, რადგან დემოგრაფიული პროცესები პირდაპირ უკავ-შირდება ეკონომიკურ და სამხედრო შესაძლებლობებს.

მესამე მნიშვნელოვანი თეორიული ჩარჩოა მიგრაციის სეკურიტიზაციის თეორია, რო-მელიც კოპენჰაგენის სკოლის ფარგლებში განვითარდა. აღნიშნული თეორიული კონცეფ-ციის თანახმად მიგრაციული პროცესების უსაფრთხოების საკითხად შეიძლება მაშინ გადა-იქცეს, როდესაც პოლიტიკური ელიტები სახელმწიფოსთვის ან საზოგადოებისათვის მას როგორც ეგზისტენციალურ საფრთხის მატარებელს ისე წარმოაჩენენ.[7] სამხრეთ კავკასიის კონტექსტში მიგრაციის სეკურიტიზაცია განსაკუთრებით აქტუალური უკრაინის ომისა და რეგიონული კრიზისების ფონზე გახდა. საქართველოში რუსეთის მოქალაქეების მასობ-რივი იმიგრაცია და ირანის გარშემო არსებული გეოპოლიტიკური დაძაბულობა აჩვენებს, რომ მიგრაცია მხოლოდ ეკონომიკური ან სოციალური პროცესი აღარ არის. იგი სულ უფრო მეტად განიხილება როგორც უსაფრთხოების პოლიტიკის ნაწილი.

[5] John R. Weeks, *Population: An Introduction to Concepts and Issues*, 12th ed. (Boston: Cengage Learning, 2016).
[6] Barry Buzan, Ole Wæver, and Jaap de Wilde, *Security: A New Framework for Analysis* (Boulder: Lynne Rienner, 1998).
[7] Jef Huysmans, "The European Union and the Securitization of Migration," *Journal of Common Market Studies* 38, no. 5 (2000): 751–777.

წინამდებარე თეორიული კონცეფციების ერთობლივი გამოყენება საშუალებას იძლევა სამხრეთ კავკასიაში არსებული დემოგრაფიული პროცესები შეფასდეს არა მხოლოდ სტატისტიკური მაჩვენებლების აღწერით, არამედ მათი სტრუქტურული და გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გააზრებითაც. დემოგრაფიული გარდაქმნის თეორია შესაძლებლობას გვაძლევს მოსახლეობის ცვლილების ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები დავინახოთ, თუმცა პოლიტიკური გარემოს გავლენას იგი ნაკლებად ხშირად ითვალისწინებს. სწორედ ამიტომ დემოგრაფიული უსაფრთხოების და მიგრაციის სეკურიტიზაციის კონცეფციები დამატებით ავსებს ამ თეორიულ მსჯელობას, სადაც დემოგრაფიული ტენდენციები განხილულია როგორც ძალთა ბალანსისა და სახელმწიფო სტაბილურობის ფაქტორად.

ძირითადი ნაწილი

დემოგრაფიული ტრანსფორმაცია და უსაფრთხოების დილემა სამხრეთ კავკასიაში

სამხრეთ კავკასიის რეგიონში დემოგრაფიული პროცესები ბოლო სამი ათწლეუ-ლის განმავლობაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან თუმცა ხშირად ნაკლებად გაანალიზებულ საკითხს წარმოადგენს. ტრადიციულად რეგიონული პოლიტიკის კვლევებში ყურადღება კონცენტრირებულია ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე, სამხედრო კონფლიქტებსა და დიდ სახელმწიფოებს შორის გეოპოლიტიკურ კონკურენციაზე, მაშინ როდესაც დემოგრაფიული პროცესები იმ ფუნდამენტურ საფუძველს წარმოადგენს, რომელზეც საბოლოოდ ყალიბდება სახელმწიფო ძალა და მისი სტრატეგიული მდგრადობა.

საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე კვლევებში სულ უფრო აქტიურად გამოიყენება „დემოგრაფიული ძალის“ კონცეფცია, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს ეკონომიკურ და სამხედრო შესაძლებლობებზე მოსახლეობის რაოდენობის, ასაკობრივი სტრუქტურის, შრომითი რესურსებისა და მიგრაციული დინამიკის ერთობლივ გავლენას. აღნიშნული თვალსაზრისით სამხრეთ კავკასია მნიშვნელოვანი რეგიონია. რეგიონში მოსახლეობის განაწილება მკვეთრად ასიმეტრიულია, ხოლო დემოგრაფიული ტენდენციები განსხვავებული მიმართულებით ვითარდება.

ბოლო მონაცემების თანახმად სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოს მოსახლეობის რაოდენობა შემდეგია: აზერბაიჯანი - დაახლოებით 10.2 მილიონი, საქართველო - დაახლოებით 3.7 მილიონი, ხოლო სომხეთი - დაახლოებით 3.0 მილიონი ადამიანი. აღნიშნული ფაქტი ნიშნავს, რომ რეგიონში მოსახლეობის თითქმის 60% აზერბაიჯანში ცხოვრობს, რაც ამ უკანასკნელს სხვა ორ სახელმწიფოსთან შედარებით მნიშვნელოვან სტრატეგიულ უპირატესობას აძლევს.

ცხრილი N1. სამხრეთ კავკასიის დემოგრაფიული მაჩვენებლები (2024–2025)[8]

ქვეყანა	მოსახლეობა	შობადობა	სიკვდილიანობა	ბუნებრივი მატება
აზერბაიჯანი	10.2	10.8-11%	6-7%	+4-5%
საქართველო	3,704,500	10.7%	11.9%	-1.2%
სომხეთი	3.0	11.7%	8-9%	+2-3%

საქართველოში დემოგრაფიული ტენდენციები ბოლო წლებში აშკარად მიუთითებს ბუნებრივი კლებაზე. ოფიციალური მონაცემების მიხედვით 2024 წელს ქვეყანაში 39,483 დაბადება და 43,971 გარდაცვალება დაფიქსირდა, შესაბამისად სიკვდილიანობამ დაბადებას 4,488 ადამიანით გადააჭარბა. აღნიშნული ტენდენცია 2025 წლის პირველ ნახევარშიც გაგრძელდა. 2025 წლის იანვარ - ივნისის პერიოდში საქართველოში და-რეგისტრირდა 17,719 დაბადება და 22,718 გარდაცვალება, რაც ბუნებრივ კლებას 4,999 ადამიანით ზრდის.[9] აღნიშნული მონაცემები მიუთითებს, რომ ქვეყნის დემოგრაფიული დინამიკა უკვე რამდენიმე წელია უარყოფითი ბუნებრივი მატების რეჟიმში იმყოფება.

დემოგრაფიული კლების მსგავსი ტენდენცია პირდაპირ უკავშირდება მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებას. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2025 წლისთვის მოსახლეობის 16–17% უკვე 65 წელს გადაცილებულია, ხოლო 15 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილი დაახლოებით 19%-ს შეადგენს. აღნიშნული პროცესი აჩვენებს, რომ ქვეყანა სწრაფად გადადის დემოგრაფიული დაბერების ფაზაში. ასაკოვანი მოსახლეობის წილი იზრდება, ხოლო ახალგაზრდული მოსახლეობის რაოდენობა მცირდება. გრძელვადიან პერსპექტივაში დემოგრაფიული ტრანსფორმაციის მსგავსი პროცესები რამდენიმე მნიშვნელოვან გამოწვევას აჩენს, კერძოდ: მცირდება შრომითი რესურსების მოცულობა, იზრდება სოციალური ხარჯები (პენსიები, ჯანდაცვა), ხოლო სამხედრო ასაკის მოსახლეობის რაოდენობა თანდათანობით კლებას იწყებს. უსაფრთხოების კვლევებში აღნიშნული ფენომენი ხშირად განიხილება როგორც „დემოგრაფიული უსაფრთხოების დილემად“, როდესაც მოსახლეობის სტრუქტურული ცვლილებები პირდაპირ ზემოქმედებს სახელმწიფოს ეკონომიკურ და სამხედრო შესაძლებლობებზე.

აღნიშნულ ფონზე აზერბაიჯანი ინარჩუნებს შედარებით პოზიტიურ დემოგრაფიულ მაჩვენებელს. 2024 წლის მონაცემებით ქვეყანაში დაახლოებით 88,135 დაბადება და 54,582

[8] National Statistics Office of Georgia (Geostat); State Statistical Committee of the Republic of Azerbaijan; Statistical Committee of the Republic of Armenia; United Nations Department of Economic and Social Affairs (UN DESA), *World Population Prospects 2024*

[9] იქვე, National Statistics Office of Georgia (Geostat)

გარდაცვალება დაფიქსირდა, შედეგად ბუნებრივი მატება 33,553 ადამიანს შეად-გენს. მიუ-ხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანში შობადობის მაჩვენებელი ბოლო წლებში თანდათან მცირდება, სიკვდილიანობის მაჩვენებელს იგი მაინც მნიშვნელოვნად აღემატება. შედეგად, ქვეყანას კვლავ გააჩნია შედარებით ახალგაზრდა დემოგრაფიული სტრუქტურა. აზერბაი-ჯანის მოსახლეობის დაახლოებით 67% სამუშაო ასაკში (15–64 წელი) იმყოფება, ხოლო 65 წელს გადაცილებული მოსახლეობის წილი მხოლოდ 7–8%-ს შეად-გენს. მსგავსი ასა-კობრივი განაწილება ე.წ. „დემოგრაფიულ უპირატებობას“ ქმნის, რაც გულისხმობს ეკო-ნომიკური ზრდის დამატებით პოტენციალს მაშინ, როდესაც სამუშაო ასაკის მოსახლეობის წილი მაღალია.

სომხეთის დემოგრაფიული მდგომარეობა ამ ორ მოდელს შორის შუალედურ პოზიციას იკავებს. ქვეყნის მოსახლეობა დაახლოებით 3 მილიონ ადამიანს შეადგენს, თუმცა დემოგ-რაფიული სტაბილურობა დიდწილად ემიგრაციისა და დიასპორის ფაქ-ტორებზეა დამო-კიდებული. ოფიციალური მონაცემების თანახმად, სომხეთში 2025 წელს დაახლოებით 32,042 დაბადება და 25,564 გარდაცვალება დაფიქსირდა, შესაბამისად ბუნებრივ მატება დაახლოებით 6,478 ადამიანს შეადგენს. მიუხედავად ამისა, სომხეთის დემოგრაფიულ სტრუქტურაზე ძლიერ გავლენას ახდენს ემიგრაცია, განსაკუთრებით ახალგაზრდა და სამუშაო ასაკის მოსახლეობის ქვეყნიდან გასვლის ტენდენცია. იგი ამცირებს შრომითი ბაზრის მოცულობას და ეკონომიკური განვითარებისათვის გრძე-ლვადიან რისკებს ზრ-დის.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის დემოგრაფიული სხვაობა მნიშვნელოვან ასიმეტრი-ულ დემოგრაფიულ სურათს ქმნის. თუ შევადარებთ მოსახლეობის რაოდენობასა და ბუნებრივ მატებას აშკარაა, რომ აზერბაიჯანი დემოგრაფიული თვალსაზრისით აშკარად ხელსაყრელ პოზიციაშია. საქართველოს შემთხვევაში კი დემოგრაფიული კლების ტენ-დენცია უკვე რამდენიმე წელია სისტემურ გამოწვევად იქცა, რომელიც ვერ კომპენსირ-დება მხოლოდ მიგრაციის დადებითი ბალანსით. სომხეთის შემთხვევაში დემოგრაფიული სტაბილურობა დიდწილად დამოკიდებულია მიგრაციულ პროცესებზე და დიასპორასთან არსებულ კავშირებზე.

აღნიშნულ კონტექსტში დემოგრაფიული პროცესები აღარ შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკურ ჭრილში. სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკური გარე-მოს გათვალისწინებით, დემოგრაფიული დინამიკა პირდაპირ გავლენას ახდენს სახელმწი-ფოების გრძელვადიან სტრატეგიულ შესაძლებლობებზე. მოსახლეობის რაოდენობა, ასა-

კობრივი სტრუქტურა და მიგრაციული ტენდენციები განსაზღვრავს არა მხოლოდ ეკონომიკურ განვითარებას, ასევე სამხედრო ძალის და მისი სამობილიზაციო რესურსის მობილიზაციის შესაძლებლობასაც. სწორედ ამიტომ აღნიშნული ტენდენციები მიუთითებს, რომ დემოგრაფიული დინამიკა უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკურ, არამედ უსაფრთხოების პოლიტიკის კონტექსტშიც.

დემოგრაფიული პროგნოზი, შრომითი რესურსები და

მიგრაციული პროცესები სამხრეთ კავკასიაში

უახლოეს ათწლეულებში სამხრეთ კავკასიაში არსებული დემოგრაფიული პროცესები რეგიონული ძალთა ბალანსის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან განმსაზღვრელ ფაქტორად ყალიბდება. თანამედროვე დემოგრაფიული კვლევები მიუთითებს, რომ მოსახლეობის რაოდენობა, ასაკობრივი სტრუქტურა და მიგრაციის დინამიკა პირდაპირ გავლენას ახდენს სახელმწიფოების ეკონომიკურ პროდუქტიულობაზე, სამხედრო მობილიზაციის შესაძლებლობებსა და გრძელვადიან სტრატეგიულ მდგრადობაზე. სწორედ ამ კონტექსტში სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფოს დემოგრაფიული მდგომარეობა ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. იგი რეგიონში განსხვავებულ სტრუქტურულ ასიმეტრიას ქმნის.

გაეროს მოსახლეობის პროგნოზების მიხედვით, მომდევნო ორი ათწლეულის განმავლობაში სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობა განსხვავებული მიმართულებით განვითარდება. აზერბაიჯანი შეინარჩუნებს შედარებით სტაბილურ ზრდას, მაშინ როდესაც საქართველო და სომხეთი მოსახლეობის თანდათან შემცირების ტენდენციას აჩვენებენ. ეს განსხვავება განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით: შობადობის განსხვავებული მაჩვენებლებითა, მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურითა და მიგრაციული პროცესებით.

ცხრილი N 2. დემოგრაფიული პროგნოზი 2050 წლისათვის.[10]

ქვეყნა	2025	2035	2050
აზერბაიჯანი	10.2	10.7	11.2
საქართველო	3.7	3.5	3.3
სომხეთი	3.0	2.9	2.7

[10] United Nations, Department of Economic and Social Affairs, Population Division. *World Population Prospects 2024*. New York: United Nations, 2024.

წინამდებარე პროგნოზი მიუთითებს, რომ რეგიონში დემოგრაფიული ბალანსის თვალსაზრისით აზერბაიჯანი მომავალშიც შეინარჩუნებს მნიშვნელოვან უპირატესობას. მოსახლეობის ზრდა დიდწილად დაკავშირებულია ქვეყნის შედარებით ახალგაზრდა ასა-კობრივ მოსახლეობასთან. აზერბაიჯანში 65 წელს გადაცილებული მოსახლეობის წილი დაახლოებით 8%-ს შეადგენს, მაშინ როდესაც საქართველოში ეს მაჩვენებელი უკვე 16–17%-ს აღწევს.

საქართველოს შემთხვევაში დემოგრაფიული პროცესების კიდევ უფრო რთულადაა. ქვეყანაში რამდენიმე წელია ბუნებრივი კლება ფიქსირდება. ეს ტენდენცია დაკავშირებულია როგორც დაბალ შობადობასთან, ისე მოსახლეობის დაბერებასთან. ასაკოვანი მოსახლეობის ზრდა ზრდის სოციალური დაცვის ხარჯებს და ამავდროულად ამცირებს შრომითი რესურსების მოცულობას. ეკონომიკური თვალსაზრისით ეს ნიშნავს, რომ ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული პროდუქტიულობის ზრდაზე და არა მოსახლეობის რაოდენობაზე.

სომხეთის დემოგრაფიული მდგომარეობა ამ ორ მოდელს შორის შუალედურ პოზიციას იკავებს. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ბუნებრივი მატება კვლავ პოზი-ტიურია, მოსახლეობის შემცირების ძირითადი მიზეზი კვლავაც ემიგრაციაა. სომხეთის ეკონომიკური მოდელი მეტწილად დიასპორასთან არსებულ კავშირებზეა დამოკიდებული, რაც გარკვეულწილად ამცირებს დემოგრაფიული კლების ეკონომიკურ ეფექტს, თუმცა შრომითი რესურსების შემცირება გრძელვადიან პერსპექტივაში მაინც მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

დემოგრაფიული სხვაობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეკონომიკური, შრომითი და სამხედრო ასაკის მოსახლეობის შედარებისას. სამუშაო ასაკის მოსახლეობა (15–64 წ.) ეკონომიკური განვითარების ძირითად რესურსს წარმოადგენს, ხოლო სამხედრო ასაკის მოსახლეობა სახელმწიფოს თავდაცვით შესაძლებლობებს განსაზღვრავს.

ცხრილი N 3. ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის შედარება სამხრეთ კავკასიაში.[11]

ქვეყანა	სამუშაო ასაკის მოსახლეობა	სამხედრო ასაკის მოსახლეობა (18–35)	აქტიური სამხედრო ძალა	ემიგრაციის დონე	GDP (ნომინალური)	GDP per capita	ძირითადი ეკონომიკური დარგები

[11] World Bank, *World Development Indicators 2024*; International Monetary Fund, *Regional Economic Outlook 2024*; International Institute for Strategic Studies (IISS), *The Military Balance 2024*; United Nations Department of Economic and Social Affairs (UN DESA), *World Population Prospects 2024*.

აზერბაიჯანი	6.4 მლნ	2.5 მლნ	65000	საშუალო	$78 მლრდ	$7,600	ნავთობი და გაზი
საქართველო	2.4 მლნ	0.9 მლნ	37000	მაღალი	$34 მლრდ	$10,800	მომსახურება / ლოგისტიკა /საფინანსო-საბანკო
სომხეთი	1.9 მლნ	0.8 მლნ	44,000	ძალიან მაღალი	$27 მლრდ	$9,300	მომსახურება / IT

აღნიშნული მონაცემები აჩვენებს, რომ რეგიონში აზერბაიჯანს ყველაზე დიდი შრომითი და სამხედრო რესურსი გააჩნია. ეკონომიკური თვალსაზრისით იგი ინდუ-სტრიული განვითარებისთვის უდავოდ დიდი პოტენციალის მატარებელია, ხოლო უსაფრთხოების ჭრილში კი მნიშვნელოვან სამობილიზიო რესურს წარმოადგენს. სამხედრო კუთხით დემოგრაფიული პროცესების პარალელურად მნიშვნელოვანია ტექნოლოგიურ განვითარებაც, რაც პირდაპირ მოქმედებს სამხედრო ძალის ეფექტიანობასა და ეკონომიკურ სტაბილურობის უზრუნველყოფაზე.

ეკონომიკური თვალსაზრისით სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს. აზერბაიჯანის ეკონომიკა რეგიონში ყველაზე დიდია და მისი ნომინალური GDP დაახლოებით 78 მილიარდ დოლარს აღწევს, რაც დიდწილად ნავთობისა და გაზის სექტორზეა დაფუძნებული. საქართველოს ეკონომიკა შედარებით მცირეა (დაახლოებით 34 მილიარდი დოლარი), თუმცა მისი სტრუქტურა უფრო დივერსიფიცირებულია და ძირითადად ეფუძნება მომსახურების სექტორს, ტურიზმსა და სატრანზიტო ინფრასტრუქტურას, საფინანსო/საბანკო სექტორს ეყრდნობა. სომხეთის ეკონომიკა (დაახლოებით 27 მილიარდი დოლარი) ბოლო წლებში სწრაფად იზრდება IT სექტორისა და ფინანსური გზავნილების გავლენით.

საქართველოში დემოგრაფიული გამოწვევების ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს ემი-გრაცია წარმოადგენს. იგი განსაკუთრებით მაღალია სამუშაო ასაკის მოსახლეობაში. ოფიციალური მონაცემები მიუთითებს, რომ ემიგრანტების მნიშვნელოვანი ნაწილი 20–39 წლის ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება, რაც ეკონომიკურად ყველაზე აქტიურ და პროდუქტიულ მოსახლეობას წარმოადგენს. სამუშაო ასაკის მოსახლეობის ემიგრაცია ამცირებს ადამიანური კაპიტალის მოცულობას, ზღუდავს ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს და გრძელვადიან პერსპექტივაში ზრდის დემოგრაფიული დაბერების ტენდენციას. ამასთანავე, სამუშაო ასაკის მოსახლეობის შემცირება გავლენას ახდენს სამხედრო მდგრადობაზეც, რადგან მცირდება სამხედრო ასაკის მიღწეულ მოქალაქეთა რაოდენობა და შესაბამისად სამხედრო რეზერვის ფორმირების შესაძლებლობა.

მსგავსი ტენდენცია შეინიშნება სომხეთშიც, სადაც ემიგრაცია ასევე მნიშვნელოვან დემოგრაფიულ ფაქტორს წარმოადგენს. ქვეყნის დატოვება ძირითადად ახალგაზრდა და სამუშაო ასაკის მოსახლეობაში ხდება. იგი ამცირებს შრომითი ბაზრის მოცულობას და ზრდის დემოგრაფიული დაბერების რისკს. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის შემთხვევაში ემიგრაციის გარკვეული ეკონომიკური ეფექტი დიასპორის ფინანსური გზავნილებითა და ინვესტიციებით კომპენსირდება. მიუხედავად ამისა ადამიანური კაპიტალის გადინება მაინც გრძელვადიან სტრუქტურულ გამოწვევად რჩება.

ცხრილი N4. მიგრაციასთან და ეთნიკურ ჰომოგენურობასთან დაკავშირებული ტენდენციები სამხრეთ კავკასიაში.[12]

ქვეყანა	მიგრაციის ბალანსი	ძირითადი ემიგრაციის ასაკი	ეთნიკური ჰომოგენურობა
აზერბაიჯანი	დადებითი	25–40	მაღალი
საქართველო	უარყოფითი	20-39	საშალო

მიგრაციული დინამიკა და რეგიონული უსაფრთხოების ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში

სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიგრაციული პროცესები ბოლო წლებში ერთ-ერთ ყველაზე სისტემური გამოწვევა გახდა. იგი გავლენას ახდენს როგორც დემოგრაფიულ ბალანსზე, ისე ეკონომიკურ, სოციალურ და უსაფრთხოების გარემოზე. თუ 1990-იანი წლების დასაწყისში მიგრაცია ძირითადად ეკონომიკური კრიზისისა და პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციის შედეგი იყო, ბოლო ათწლეულში იგი უფრო კომპლექსური პროცესად იქცა და გეოპოლიტიკურ ფაქტორებთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული. რუსეთ-უკრაინის ომმა, რუსეთის მოქალაქეების მასობრივმა გადაადგილებამ და ახლო აღმოსავ-ლეთში მიმდინარე საომარმა პროცესებმა სამხრეთ კავკასია მიგრაციული მოძრაობების მნიშვნელოვან რეგიონულ ჰაბად გადააქცია.

საქართველოს შემთხვევაში მიგრაციული დინამიკა განსაკუთრებით თვალსაჩინოა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2023 წელს ქვეყანაში შემოვიდა 205,857 იმიგრანტი, ხოლო ქვეყნიდან გავიდა 245,064 ადამიანი, რის

[12] United Nations, Department of Economic and Social Affairs, Population Division. *World Population Prospects 2024*. New York: United Nations, 2024.

შედეგადაც წმინდა მიგრაცია - 39,207 იყო. ამ მონაცემებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოქალაქეთა წმინდა მიგრაცია, რომელმაც - 92,450 შეადგინა. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყნის მოსახლეობის შემცირების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი კვლავ ემიგრაციაა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში იმიგრაციის დონე მაღალია, ქართველ მოქალაქეთა გადინება კვლავ მნიშვნელოვან დემოგრაფიულ გამოწვევად რჩება.

2024 წელს მიგრაციულ დინამიკაში გარკვეული ცვლილება დაფიქსირდა. იმი-გრანტების რაოდენობა 135,811, ხოლო ემიგრანტების რაოდენობა 121,425 იყო, რის შედეგადაც წმინდა მიგრაცია +14,386 გახდა. თუმცა მოქალაქეთა წმინდა მიგრაცია კვლავ უარყოფითი დარჩა (- 5,120), რაც მიუთითებს იმაზე, რომ დადებითი მიგრაციული ბალანსი ძირითადად უცხოელი მოქალაქეების შემოსვლით არის განპირობებული. 2026 წლის პირველი კვარტალის პირველადი მონაცემებიც აჩვენებს მსგავსი ტენდენციის გაგრძელებას: ქვეყანაში შემოვიდა დაახლოებით 45,500 ადამიანი, ხოლო გავიდა 28,000, რის შედეგადაც წმინდა მიგრაცია +17,500 იყო, თუმცა მოქალაქეთა წმინდა მიგრაცია კვლავ უარყოფითი დარჩა (–5,000).

საქართველოში მიგრაციული პროცესების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მახასია-თებელია უცხო ქვეყნების მოსახლეობის ზრდა. 2025 წლის მოსახლეობის აღწერის წინასწარი მონაცემების მიხედვით ქვეყნის მოსახლეობა დაახლოებით 3.91 მილიონ ადამიანს შეადგენს, საიდანაც 6.6% უცხო ქვეყნის მოქალაქეა. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში მუდმივად მცხოვრები უცხოელების რაოდენობა დაახლოებით 250–260 ათას ადამიანს აღწევს. შედარებისთვის, ათწლეულის დასაწყისში მათი წილი დაახლოებით 2–3% იყო, რაც მიუთითებს, რომ უცხოელი მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით სამჯერ გაიზარდა. ასეთი ცვლილება გავლენას ახდენს როგორც შრომით ბაზარზე, ასევე სოციალურ და უსაფრთხოების პოლიტიკაზე.

უცხოელი მიგრანტების წარმოშობის ქვეყნების ანალიზი აჩვენებს, რომ საქართვე-ლოში იმიგრაციის სტრუქტურა მეტწილად დაკავშირებულია რეგიონულ გეოპოლიტიკურ პროცესებთან. 2022 წლის შემდეგ განსაკუთრებით გაიზარდა რუსეთის მოქალაქეების რაოდენობა, რაც დაკავშირებულია რუსულ-უკრაინულ ომთან და ძირითადად სამხედრო მობილიზაციისგან თავის არიდების მიზნით განხორციელებულ მიგრაციულ პროცესებთან. რუსეთის გარდა მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ უკრაინა, თურქეთი, ირანი და აზერბაიჯანი. ამ ჯგუფებში დომინირებს სამუშაო ასაკის მოსახლეობა, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს საქართველოს შრომით ბაზარზე.

სომხეთის შემთხვევაში მიგრაციული პროცესები განსხვავებული ხასიათისაა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში გარკვეული რაოდენობის დაბრუნების მიგრაციაც დაფიქსირდა, სომხეთში ემიგრაცია კვლავ მნიშვნელოვან დემოგრაფიულ ფაქტორს წარ-მოადგენს. ეკონომიკური მიგრაცია ძირითადად რუსეთისა და ევროპის მიმართულებით მიმდინარეობს და განსაკუთრებით მაღალია ახალგაზრდულ ასაკობრივ ჯგუფებში. ამ პროცესის შედეგად ქვეყნის ეკონომიკა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია დიასპორის ფინანსურ გზავნილებზე, რომლებიც გარკვეულ წლებში ქვეყნის მშპ-ს 10 - 12%-ს აღწევს.

აზერბაიჯანში მიგრაციის დინამიკა შედარებით სტაბილურია. ქვეყანაში ემიგრაციის დონე შედარებით დაბალია, ხოლო გარკვეულ წლებში ფიქსირდება დადებითი მიგრაციული ბალანსიც. ეს ნაწილობრივ დაკავშირებულია ენერგეტიკულ სექტორთან, რომელიც უცხოურ სამუშაო ძალას იზიდავს. მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანის მიგ-რაციული პოლიტიკა უფრო კონტროლირებულია და სახელმწიფოს მხრიდან მკაცრი რეგულაციებით ხასიათდება.

მიგრაციული პროცესების მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში. ირან - დასავლეთის დაძაბულობის ზრდამ სამხრეთ კავკასიის სამხრეთი საზღვრები კიდევ უფრო მეტად მოწყვლადი გახადა. თუ ადრე ეს სივრცე ძირითადად ტურისტული და სატრანზიტო დერეფნის ფუნქციას ასრულებდა, ახლა იგი სულ უფრო მეტად გადაიქცა უსაფრთხოების კონტროლისა და მიგრაციული ფილტრა-ციის ზონად.

მიგრაციული პროცესების შედარებითი ანალიზი მიუთითებს, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნები განსხვავებული ტიპის დემოგრაფიული და უსაფრთხოების გამოწვევების წინაშე დგანან, რაც განპირობებულია მათი ეკონომიკური სტრუქტურით, გეოპოლიტიკური მდებარეობითა და მოსახლეობის დინამიკით. საქართველოს შემთხვევაში მიგრაცია იღებს ე.წ. ჰიბრიდული მიგრაციის ფორმას. იგი აერთიანებს ერთდროულად ორ პარალელურ პროცესს - ქვეყნის მოქალაქეების ეკონომიკურ ემიგრაციას და უცხოელი მოსახლეობის მზარდ იმიგრაციას. აღნიშნული ტენდენცია ცვლის როგორც შრომითი ბაზრის სტრუქტურას, ასევე ზრდის დემოგრაფიული ბალანსის ცვლილების შესაძლობლობასაც. სომხეთში მიგრაციული დინამიკის მთავარი პრობლემა დაკავშირებულია შრომითი რესურსების სისტემურ გადინებასთან, რომელიც ძირითადად ეკონომიკური მიგრაციის ფორმით ხორციელდება და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის დემოგრაფიულ და ეკონომიკურ პოტენციალზე. აზერბაიჯანის შემთხვევაში მიგრაციის საკითხი შედარებით ნაკლებად მწვავედ დგას, თუმცა ქვეყნის უსაფრთხოების გარემო მნიშვნელოვნად არის

დაკავშირებული რეგიონულ გეოპოლიტიკურ რისკებთან, განსაკუთრებით ირანთან გეოგრაფიული სიახლოვის და სამხრეთ საზღვრების სტრატეგიული მნიშვნელობის გამო.[13]

ცხრილი N5. მიგრაციის დინამიკა და უსაფრთხოების ფაქტორები სამხრეთ კავკასიაში, ოფიციალური მონაცემები[14].

ქვეყანა / წელი	იმიგრანტები	ემიგრანტები	წმინდა მიგრაცია	მოქალაქეთა წმინდა მიგრაცია	უცხოელი მიგრანტების ძირითადი ქვეყნები	უცხოელი მოსახლეობა
საქართველო 2023	205,857	245,064	39,207	–92,450	რუსეთი (62,000), უკრაინა (25,000), თურქეთი (19,000), ირანი (15,000), აზერბაიჯანი (13,000)	230,000
საქართველო 2024	135,811	121,425	+14,386	–5,120	რუსეთი (48,000), უკრაინა (20,000), თურქეთი (17,000), ირანი (13,000), ინდოეთი (10,000)	255,000 (6.6%)
საქართველო 2026 (I კვ.)	45,500	28,000	+17,500	-5,000	რუსეთი, თურქეთი, ირანი, აზერბაიჯანი	260,000
სომხეთი (2023–2024)	90,000	110,000	–20,000	–20,000	რუსეთი, საფრანგეთი, გერმანია	80000
აზერბაიჯანი (2023–2024)	36,000	24,000	+12,000	+10,000	თურქეთი, რუსეთი, ცენტრალური აზია	150,000

ამრიგად, სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესები მკვეთრად უარყოფითად აისახება საქართველოს გრძელვადიან სტრატეგიულ შესაძლებლობებზე. მოსახლეობის შემცირება, შრომითი ძალის ემიგრაცია და ნეგატიურ გავლენას ახდენს ახდენს სამხედრო, ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სტაბილურობაზე, მათ შორის აღსანიშნავია შემდეგი:

სამხედრო-პოლიტიკური რისკები - საქართველოში სამხედრო ასაკს მიღწეული მოსახლეობის წილი დაახლოებით 0.9 მილიონ ადამიანს შეადგენს, მაშინ როდესაც აზერბაიჯანში იგი დაახლოებით 2.5, სომხეთში კი 0.8 მილიონია. მსგავსი დემოგრაფიული სხვაობა პირდაპირ აისახება რეგიონულ ძალთა ბალანსზე. მოსახლეობის რაოდენობა განსაზღვრავს

[13] Svante Cornell, *The South Caucasus: A Strategic Region* (London: Routledge, 2015).

[14] National Statistics Office of Georgia (Geostat) *Migration Statistics 2023–2025*; Statistical Committee of the Republic of Armenia *Migration Indicators 2024*; State Statistical Committee of the Republic of Azerbaijan *Migration Statistics 2024*; International Organization for Migration (IOM) *Migration Data Portal*; United Nations DESA *International Migration Report 2024*.

როგორც სამობილიზაციო რესურსის მოცულობას, ასევე თავდაცვის სისტემის გრძელვადიან მდგრადობას. არსებული ტენდენციების შენარჩუნების შემთხვევაში 2035–2040 წლებში საქართველოში სამხედრო ასაკის მოსახლეობა შესაძლოა დამატებით 10–15%-ით შემცირდეს, რაც მნიშვნელოვნად შეასუსტებს სამობილიზაციო შესაძლებლობებს და შესაბამისად ტოტალური თავდაცვის კონცეფციის ეფექტურად განხორციელებას. დემოგრაფიული რისკები გავლენას მოახდენს მაღალკვალიფიციური ადამიანური კაპიტალის ფორმირებასა და განვითარებაზე. მიგრაციული პროცესებისა და ეთნიკური-რელიგიური სიჭრელის პირობებში ეს ფაქტორები შესაძლოა სამხედრო-პოლიტიკური სტაბილურობის დამატებით რისკად გადაიქცეს.

ეკონომიკური რისკები - შრომითი რესურსების შემცირება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკურ შესაძლებლობებზე. საქართველოში ემიგრაციის ძირითადი ნაწილი მოდის 20–39 წლის ასაკობრივ ჯგუფზე, რომელიც ეკონომიკურად ყველაზე აქტიურ შრომით ძალას წარმოადგენს. შედეგად ეკონომიკა უფრო მეტად ხდება დამოკიდებული უცხოელ სამუშაო ძალაზე, რაც გრძელვადიან პერიოდში ზრდის ეკონომიკური მოწყვლადობის, პროდუქტიულობის შემცირების და ეკონომიკური დარგების განვითარების შეფერხების რისკებს.

სოციალური რისკები - მოსახლეობის დაბერება მნიშვნელოვნად ზრდის საპენსიო და სოციალურ ხარჯებს, ამცირებს აქტიური შრომითი ძალის ხვედრით წილს, რაც აძლიერებს ფისკალურ წნეხს. მიგრაციული ნაკადების ზრდა და ეთნოდემოგრაფიული სტრუქტურის ცვლილება გავლენას ახდენს სოციალური ინტეგრაციასთან დაკავშირებულ სირთულეებზე, აძლიერებს იდენტობის, სოციალური თანხვედრისა და საზოგადოებრივი კონსოლიდაციის გამოწვევებს. ეკონომიკურ უთანასწორობასთან აღნიშნული ფაქტორები გრძელვადიან პერსპექტივაში სოციალური დაძაბულობისა და დესტაბილიზაციის რისკებს მნიშვნელოვნად ზრდის.

პოლიტიკური რისკები - დემოგრაფიული სურათის ცვლილება გავლენას ახდენს მიგრაციულ და სოციალურ პოლიტიკაზე. უცხო ეთნიკური შემადგენლობის ზრდა ნა-წილობრივ ავსებს შრომითი ბაზრის დეფიციტს, თუმცა საჭიროებს მკაცრ რეგულაციას. მსგავს ვითარებაში, დაინტერესებული ქვეყნების/ორგანიზაციების/პირთა ჯგუფების პირდაპირი/ფარული მხარდაჭერის შემთხვევაში ეთნიკურ, რელიგიურ, ეკონომიკურ ნიადაგზე შესაძლოა გაჩნდეს ცალკეული პოლიტიკური ამბიციები და მოთხოვნები, რაც მნიშვნელოვნად გააძლიერებს სოციალური დაძაბულობისა და შიდა დესტაბილიზაციის რისკებს.

ამრიგად, თუ არსებული ტენდენციები შენარჩუნდება, მომდევნო ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველო შეიძლება აღმოჩნდეს სერიოზული დემოგრაფიული საფრთხის წინაშე, მნიშვნელოვნად შემცირდება ეკონომიკური შესაძლებლობები, სამხედრო სამობილიზაციო რესურსი და შრომითი ძალა. მსგავს პირობებში ეროვნული უსაფრთხოების სისტემა უფრო მეტად იქნება დამოკიდებული ტექნოლოგიურ განვითარებაზე, ეკონომიკური პროდუქტიულობის ზრდაზე და საერთაშორისო პარტნიორობების მხარ-დაჭერაზე. დემოგრაფიული პოლიტიკის გაძლიერება და შრომით ასაკის მქონე მოსახ-ლეობის შენარჩუნება წინამდებარე კონტექსტში სახელწმიფოს ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ ამოცანად რჩება.

დასკვნა

კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ სამხრეთ კავკასიაში დემოგრაფიული ტენდენციები ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრუქტურულ ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც გავლენას ახდენს სახელმწიფოების ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, სამხედრო პოტენციალსა და რეგიონულ ძალთა ბალანსზე. მოსახლეობის რაოდენობა, ასაკობრივი სტრუქტურა, შობადობა, სიკვდილიანობა და მიგრაციული პროცესები პირდაპირ განსაზღვრავს ეკონომიკურ პოტენციალს, შრომითი რესურსების მოცულობას და სამხედრო მობილიზაციის შესაძლებლობას. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დემოგრაფიული განვითარების განსხვავებული ტენდენციები რეგიონში განსაკუთრებულ სტრუქტურულ ასიმეტრიას წარმოქმნის, რომელიც მომავალში შესაძლოა გავლენას ახდენდეს ძალთა ბალანსზეც.

კვლევა მიუთითებს, რომ აზერბაიჯანი ინარჩუნებს დემოგრაფიულ უპირატესობას როგორც მოსახლეობის რაოდენობის, ისე სამუშაო და სამხედრო ასაკის მოსახლეობის მოცულობის თვალსაზრისით. შედარებით ახალგაზრდა დემოგრაფიული სტრუქტურა და პოზიტიური ბუნებრივი მატება ქმნის ეკონომიკური ზრდისა და სამხედრო რესურსების მობილიზების ფართო შესაძლებლობას. სომხეთის შემთხვევაში დემოგრაფიული მდგომარეობა შედარებით შუალედურ მოდელს წარმოადგენს: მიუხედავად ბუნებრივი მატების არსებობისა, სამუშაო ასაკის მოსახლეობის ემიგრაცია ამცირებს ქვეყნის ეკონომიკურ და დემოგრაფიულ პოტენციალს და ზრდის დიასპორის ფინანსურ გზავნილებზე ეკონომიკურ დამოკიდებულებას.

საქართველოს დემოგრაფიული ტენდენციები უფრო კომპლექსურ გამოწვევებს ხასიათს ატარებს. ქვეყანაში უკვე რამდენიმე წელია ფიქსირდება ბუნებრივი კლება, მო-სახლეობის დაბერების პროცესი და სამუშაო ასაკის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ემიგრაცია. ამასთან

ერთად იზრდება უცხოელი მოქალაქეების რაოდენობაც, რაც მიგ-რაციულ სტრუქტურას უფრო რთულ და პრობლემატურ სისტემად გარდაქმნის. შედეგად ყალიბდება ე.წ. ჰიბ-რიდული მიგრაციული გარემო, სადაც პარალელურ რეჟიმში მიმ-დინარეობს მოქალაქეთა ემიგრაცია და უცხოელი სამუშაო ძალის შემოდინება.

საქართველოსთვის არსებული დემოგრაფიული ტენდენციები რამდენიმე მნიშვნელო-ვან რისკს წარმოშობს. პირველ რიგში, მოსახლეობის შემცირება და დაბერება ამცირებს შრომითი რესურსების მოცულობას და ზრდის სოციალური ხარჯების წილს ეკონომიკაში. მეორე, სამუშაო ასაკის მოსახლეობის ემიგრაცია ამცირებს ადამიანური კაპიტალის რაო-დენობას, ზღუდავს ეკონომიკური განვითარების პოტენციალს და შესაბამისად ამცირებს სამხედრო ძლიერებას. მესამე, უცხოელი მოსახლეობის სწრაფი ზრდა საჭიროებს ეფექტიან მიგრაციულ პოლიტიკას და უსაფრთხოების კონტროლის მექანიზმების გაძლიერებას, განსაკუთრებით რეგიონული გეოპოლიტიკური დაძაბულობის ფონზე.

აღნიშნული გამოწვევების საპასუხოდ საქართველოსთვის მნიშვნელოვანია დემოგ-რაფიული და მიგრაციული პოლიტიკის გაძლიერება. მნიშვნელოვანია შობადობის მხარ-დაჭერის პროგრამების განვითარება, ახალგაზრდა ოჯახების სოციალური და ეკონო-მიკური მხარდაჭერა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, რაც შეამცირებს ემიგრაციის მასშტაბებს. ასევე საჭიროა დიასპორის დაბრუნების სტიმულირების პოლიტიკის გაძ-ლიერება და მაღალკვალიფიციური ადამიანური კაპიტალის შენარჩუნება.

მნიშვნელოვანი მიმართულებაა მიგრაციის მართვის თანამედროვე სისტემის განვითა-რებაც. იგი მოიცავს საზღვრის კონტროლის ტექნოლოგიურ გაუმჯობესებას, მიგრაციული მონაცემების ეფექტიან მონიტორინგსა და მართვას, უცხოელი სამუშაო ძალის რეგულირე-ბულ ინტეგრაციას შრომით ბაზარზე.

აღნიშნული პოლიტიკის განხორციელება ხელს შეუწყობს დემოგრაფიული სტაბილუ-რობის გაუმჯობესებას, ეკონომიკური განვითარების პოტენციალის ზრდას და ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერებას. შესაბამისად, დემოგრაფიული მდგრადობის უზრუნ-ველყოფა საქართველოსთვის მომავალში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ ამოცანად რჩება, რომელიც პირდაპირ განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ, სამხედრო და გეოპოლი-ტიკურ შესაძლებლობებს თანამედროვე რეგიონულ და საერთაშორისო გარემოში.

ბიბლიოგრაფია

A. F. K. Organski and Jacek Kugler, The War Ledger (Chicago: University of Chicago Press, 1980);
Paul Kennedy, The Rise and Fall of the Great Powers (New York: Random House, 1987);
John J. Mearsheimer, The Tragedy of Great Power Politics (New York: W. W. Norton, 2001);

Jack A. Goldstone, “Population and Security,” Journal of International Affairs 56, no. 1 (2002): 3–21;

John R. Weeks, Population: An Introduction to Concepts and Issues, 12th ed. (Boston: Cengage Learning, 2016);

Barry Buzan, Ole Wæver, and Jaap de Wilde, Security: A New Framework for Analysis (Boulder: Lynne Rienner, 1998);

Jef Huysmans, “The European Union and the Securitization of Migration,” Journal of Common Market Studies 38, no. 5 (2000): 751–777;

National Statistics Office of Georgia (Geostat); State Statistical Committee of the Republic of Azerbaijan; Statistical Committee of the Republic of Armenia; United Nations Department of Economic and Social Affairs (UN DESA), World Population Prospects 2024.

United Nations, Department of Economic and Social Affairs, Population Division. World Population Prospects 2024. New York: United Nations, 2024.

World Bank, World Development Indicators 2024; International Monetary Fund, Regional Economic Outlook 2024; International Institute for Strategic Studies (IISS), The Military Balance 2024; United Nations Department of Economic and Social Affairs (UN DESA), World Population Prospects 2024);

Svante Cornell, The South Caucasus: A Strategic Region (London: Routledge, 2015).

National Statistics Office of Georgia (Geostat) Migration Statistics 2023–2025; Statistical Committee of the Republic of Armenia Migration Indicators 2024; State Statistical Committee of the Republic of Azerbaijan Migration Statistics 2024; International Organization for Migration (IOM) Migration Data Portal; United Nations DESA International Migration Report 2024.

აშშ-ის ბირთვული სტრატეგიის ზეგავლენა გლობალურ უსაფრთხოებაზე

მაიორი კახა ფავლენიშვილი
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
სწავლებების მხარდაჭერის და განვითარების ცენტრის
სწავლებების მხარდაჭერის და განვითარების
ჯგუფის საბრძოლო მომზადების ორგანიზების უფროსი ინსტრუქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ
მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნაშრომი განიხილავს ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვული სტრატეგიის გავლენას თანამედროვე გლობალური უსაფრთხოების გარემოზე და შეიარაღების კონტროლის საერთაშორისო სისტემაში XXI საუკუნეში მიმდინარე ტრანსფორმაციულ პროცესებს. კვლევა ეფუძნება იმ გარემოებას, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ ჩამოყალიბებული ბირთვული შეკავების და შეიარაღების კონტროლის მექანიზმები ბოლო წლებში მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა ისეთი საერთაშორისო შეთანხმებების მომავალი, როგორიცაა INF (Intermediate-Range Nuclear Forces Treaty) - საშუალო და მოკლე რადიუსის ბირთვული ძალების ხელშეკრულება, Open Skies Treaty - ღია ცის ხელშეკრულება, "New START" - Strategic Arms Reduction Treaty - სტრატეგიული და ბირთვული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულება "ახალი სტარტი" და Joint Comprehensive Plan of Action - საერთო ყოვლისმომცველი მოქმედების გეგმა, რომელთა ცვლილებებმა ან შეჩერებამ მნიშვნელოვნად იმოქმედა საერთაშორისო სტრატეგიულ სტაბილურობაზე.

კვლევის ძირითადი მიზანია გააანალიზოს, თუ როგორ მოქმედებს ამერიკის ბირთვული პოლიტიკის ცვლილებები საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაზე და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს შეიარაღების კონტროლის არსებული არქიტექტურის შესუსტებას. ნაშრომი ეფუძნება თვისებრივ ანალიზს და იყენებს საერთაშორისო ხელშეკრულებების, ოფიციალური დოკუმენტების, საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების და აკადემიური კვლევების შედარებით ანალიზს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ ფაქტორებს, რომლებიც უკავშირდება გლობალურ ძალთა კონკურენციის გაძლიერებას, სამხედრო ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებას და რეგიონული კონფლიქტების გამწვავებას.

კვლევაში რეგიონული უსაფრთხოების კუთხით განხილულია რამდენიმე მნიშვნელოვანი დინამიკური მდგომარეობა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ბირთვულ სტრატეგიას. პირველ რიგში, გაანალიზებულია დაძაბულობა რუსეთსა და NATO-ს შორის, განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის კონტექსტში, სადაც ბირთვული რიტორიკა და სტრატეგიული შეკავება უსაფრთხოების პოლიტიკის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად იქცა. ასევე განხილულია სამხრეთ აზიაში არსებული ბირთვული კონკურენცია ინდოეთსა და პაკისტანს შორის, რომელიც ქმნის რეგიონული ესკალაციის მუდმივ რისკს. მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა აგრეთვე ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობებს და ჩინეთის ბირთვული მოდერნიზაციის პროცესს, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გლობალურ სტრატეგიულ ბალანსზე, განსაკუთრებით ტაივანის გარშემო არსებული დაძაბულობის ფონზე.

კვლევა ასევე განიხილავს ახლო აღმოსავლეთის უსაფრთხოების გარემოს, სადაც ირანის ბირთვული პროგრამა და მისი ურთიერთობები ისრაელთან ქმნის რეგიონული ბირთვული გავრცელების რეალურ საფრთხეს. პარალელურად გაანალიზებულია აღმოსავლეთ აზიაში არსებული უსაფრთხოების დინამიკა, სადაც ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს როგორც სამხრეთ კორეისთვის, ისე იაპონიისთვის და მთლიანად რეგიონული სტაბილურობისთვის.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ შეიარაღების კონტროლის საერთაშორისო რეჟიმების შესუსტება ზრდის ბირთვული შეიარაღების კონკურენციის ალბათობას და ამცირებს სტრატეგიული გამჭვირვალობის დონეს საერთაშორისო სისტემაში. ამავე დროს, ნაშრომი მიუთითებს, რომ აშშ-ის სტრატეგიის ტრანსფორმაცია გარკვეულწილად დაკავშირებულია ახალი გეოპოლიტიკური რეალობის და ტექნოლოგიური ცვლილებებისადმი ადაპტაციასთან. საბოლოოდ, კვლევა ასკვნის, რომ გლობალური უსაფრთხოების სტაბილურობა მომავალში მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული ახალი მრავალმხრივი შეიარაღების კონტროლის მექანიზმების შექმნაზე, რომლებიც შეძლებენ უპასუხონ როგორც მთავარი აქტორების კონკურენციულ გარემოს, ისე ახალი სამხედრო ტექნოლოგიების მიერ წარმოქმნილ გამოწვევებს.

საკვანძო სიტყვები: ბირთვული სტრატეგია, გლობალური უსაფრთხოება, შეიარაღების კონტროლი, ბირთვული შეკავება, საერთაშორისო უსაფრთხოების პოლიტიკა, გეოპოლიტიკური სტაბილურობა, აშშ-ის საგარეო პოლიტიკა.

The Impact of US Nuclear Strategy on Global Security

Major Kakha Pavlenishvili
Senior Instructor for Combat Training Organization
of the Training Support and Development Group
at the Training Support and Development Center
of LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
PhD candidate at the Faculty of Social Sciences, Georgian Technical University

Abstract

The present study examines the impact of United States nuclear strategy on the global security system within the context of contemporary international relations. Nuclear security represents a multidimensional phenomenon that encompasses political, military, technological, and legal dimensions. The research is based on the premise that nuclear deterrence remains one of the central mechanisms of international security; however, its functioning has undergone significant transformation in the twenty-first century. The system of arms control established after the end of the Cold War ensured strategic stability and predictability among major powers for several decades. Nevertheless, the contemporary international security environment has changed substantially due to the intensification of great-power competition, the rapid development of advanced military technologies, and the escalation of regional conflicts.

The main objective of this research is to analyze the evolution of U.S. nuclear strategy and to assess its influence on the architecture of global security. The study explores the theoretical foundations of nuclear deterrence, the key stages in the development of the U.S. nuclear doctrine, and the transformation of the modern strategic environment. Particular attention is devoted to the factors that influence the transformation of nuclear strategy, including strategic competition among major powers, the emergence of new military technologies such as hypersonic systems, cyber capabilities, and artificial intelligence, as well as the weakening of international arms control mechanisms.

The research is grounded in theoretical approaches from the field of international relations, particularly the concepts of realism and strategic deterrence. Methodologically, the paper relies on qualitative analysis, comparative research, and the examination of international security documents and academic literature. The study also evaluates contemporary trends in nuclear policy and identifies key challenges associated with the risks of nuclear proliferation and the stability of the global security system.

The findings suggest that U.S. nuclear strategy continues to play a significant role in shaping the global security environment. However, its effectiveness and influence increasingly depend on changes in the global balance of power and the dynamics of technological development. In the current international context, nuclear deterrence remains a central instrument of security policy, yet new types of threats are emerging that are associated with decreasing strategic stability and the gradual formation of a multipolar international system. Consequently, maintaining global security requires strengthened international cooperation, the revitalization of arms control mechanisms, and the development of new institutional frameworks capable of addressing evolving strategic challenges.

Keywords: nuclear strategy, nuclear deterrence, global security, strategic stability, arms control, U.S. security policy, geopolitical stability, US foreign policy.

შესავალი

ბირთვული უსაფრთხოება წარმოადგენს მრავალგანზომილებიან ფენომენს, რომელიც მოიცავს ტექნიკურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ კომპონენტებს[1]. მისი ძირითადი ელემენტებია: ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის პოლიტიკა, ბირთვული მასალების კონტროლი, ბირთვული ტერორიზმის პრევენცია, ატომური ენერგეტიკის უსაფრთხოება და საერთაშორისო ინსტიტუციური მმართველობა.

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში ბირთვული შეკავება განიხილება, როგორც სტრატეგიული სტაბილურობის ერთ-ერთი ცენტრალური მექანიზმი, რომელიც ეფუძნება ორმხრივ დაუცველობას და საპასუხო დარტყმის შესაძლებლობას[2].

ცივი ომის დასრულების შემდეგ ჩამოყალიბებული შეიარაღების კონტროლის არქიტექტურა რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ქმნიდა სტრატეგიულ პროგნოზირებადობას. თუმცა XXI საუკუნეში აშშ-ის ბირთვული სტრატეგია ტრანსფორმაციის პროცესში შევიდა - განსაკუთრებით დიდი ძალების კონკურენციის აღდგენის, ახალი სამხედრო ტექნოლოგიების (ჰიპერბგერითი სისტემები, კიბერშესაძლებლობები, AI) და რეგიონული კონფლიქტების გაღრმავების ფონზე[3].

ძირითადი ნაწილი

გლობალურ უსაფრთხოებაზე აშშ-ს ბირთვული სტრატეგიის ზეგავლენის თვალსაზრისით, საინტერესოა განვიხილოთ ყველაზე მნიშვნელოვანი შეთანხმებები, რომლებიდანაც აშშ გამოვიდა, მათი დატოვების მიზეზები, სხვა ქვეყნების ძირითადი რეაქციები და მათი შედეგების პირდაპირი გავლენა მსოფლიო უსაფრთხოებაზე. ქვემოთ მოყვანილი და მოკლედაა მიმოხილული ზოგიერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი მათგანი.

INF (Intermediate-Range Nuclear Forces Treaty) - საშუალო და მოკლე რადიუსის ბირთვული ძალების ხელშეკრულება - გაფორმდა 1987 წელს აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის. ის კრძალავდა 500-დან 5,500 კმ-მდე რადიუსის მქონე მიწიდან გასაშვებ ბალისტიკურ და ფრთოსან რაკეტებს და წარმოადგენდა ევროპული უსაფრთხოების ქვაკუთხედს[4].

---

[1] Graham Allison, *Nuclear Terrorism: The Ultimate Preventable Catastrophe* (New York: Times Books, 2004).
[2] C. Thomas Schelling, *Arms and Influence* (New Haven: Yale University Press, 1966).
[3] Lawrence Freedman, *The Evolution of Nuclear Strategy*, 3rd ed. (London: Palgrave Macmillan, 2003).
[4] U.S. Department of State, *INF Treaty Text*, 1987. https://2009-2017.state.gov/t/avc/trty/102360.htm

2014 წლიდან აშშ აცხადებდა, რომ რუსეთი არღვევდა შეთანხმებას, კერძოდ, ახალი 9M729 (SSC-8) ფრთოსანი რაკეტით, რომელსაც შეეძლო შეთანხმებით აკრძალული დისტანციაზე მოქმედება და რუსეთის საპასუხოდ, 2019 წელს დონალდ ტრამპის ადმინისტრაციამ გამოაცხადა შეთანხმებიდან გასვლა.[5] ამ ქმედებებმა გამოიწვია ევროპის უსაფრთხოების გაუარესება - INF-ით აკრძალული რაკეტები 1980-იან წლებში ევროპის კონტინენტზე სტრატეგიული ბალანსის ნაწილი იყო. შეთანხმების გაუქმებამ გაზარდა ბირთვული რაკეტების განთავსების რისკი ევროპაში. ასევე გამოიწვია ბირთვული შეიარაღების შეჯიბრის გაძლიერება - შეთანხმების არქონის პირობებში, როგორც აშშ, ისე რუსეთი და ჩინეთი უფრო აქტიურად ავითარებენ საშუალო რადიუსიზე მოქმედ რაკეტებს, რაც ამცირებს რეგიონულ სტრატეგიულ ბალანსს[6].

ღია ცის ხელშეკრულება (Open Skies Treaty) - 1992 წელს გაფორმებული ეს ხელშეკრულება 34 ქვეყანას აძლევდა უფლებას, ერთმანეთის საჰაერო სივრცეზე სადამკვირვებლო ფრენები განეხორციელებინათ, რაც სამხედრო გამჭვირვალობას და ნდობის ზრდას ემსახურებოდა. ტრამპის ადმინისტრაციამ ამ ხელშეკრულებიდან გამოსვლის მიზეზად 2020 წელს განაცხადა, რომ რუსეთი არღვევდა ხელშეკრულებას, "ზღუდავდა ამერიკულ სადამკვირვებლო ფრენებს" კალინინგრადსა და სხვა სტრატეგიულ ზონებზე, აშშ ასევე მიიჩნევდა, რომ რუსეთი იყენებდა ხელშეკრულებას სადაზვერვო უპირატესობის მისაღებად[7].

ხელშეკრულების მოქმედების დასრულებამ გამოიწვია ნდობის მექანიზმების და შესაბამისად ევროპის უსაფრთხოების შემცირება - ღია ცის ხელშეკრულება ევროპელ მოკავშირეებს ეხმარებოდა რუსული სამხედრო აქტივობების მონიტორინგში, ამასთან, მეტმა საიდუმლოებამ გაზარდა უნდობლობა და გაუგებრობისგან გამოწვეული ესკალაციის რისკი[8].

ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება (NPT) - მიზნად ისახავს ბირთვული იარაღის გავრცელების პრევენციას, ბირთვული განიარაღების ხელშეწყობას და ბირთვული ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების ხელშეწყობას. NPT ეფუძნება სამ ძირითად პილარს: ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობა, განიარაღება და ბირთვული ენერგიის მშვიდობიანი გამოყენება[9].

---

[5] Amy Woolf, *Russian Compliance with the INF Treaty* (CRS Report, 2019).
[6] SIPRI Yearbook 2020, *Nuclear weapon modernization continues but the outlook for arms control is bleak* (Oxford: Oxford University Press, 2020). https://tinyurl.com/3zuns6tp
7 U.S. Department of State, Open Skies Treaty Withdrawal Statement, 2020. https://tinyurl.com/bde5d6wv
[8] Michael Kofman, "The Open Skies Collapse and European Security," CSIS, 2021.
[9] United Nations, *Treaty on the Non-Proliferation of Nuclear Weapons*, 1968. https://tinyurl.com/ycy935kc

NPT შეიმუშავა გაეროს განიარაღების კომიტეტმა და დაამტკიცა გენერალურმა ასამბ-ლეამ 1968 წლის 12 იანვარს. NPT-ის მოლაპარაკებებში მონაწილეობდნენ აშშ-ის, საბჭოთა კავშირის და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლები, ხოლო ხელმოწერა დაიწყო 1968 წლის 1 ივლისს მოსკოვში, ლონდონსა და ვაშინგტონში, ხოლო ძალაში შევიდა 1970 წლის 5 მარტს. NPT-ს ამჟამად 190-ზე მეტი ქვეყანაა შეერთებული, მათ შორის ხუთი, აღიარებული ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფო: აშშ, რუსეთი, ჩინეთი, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი, რაც მას ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ მიღებულ საერთაშორისო ხელშეკრულე-ბად აქცევს, თუმცა მისი ეფექტიანობა დამოკიდებულია ბირთვული სახელმწიფოების თა-ნამშრომლობაზე და ახალი ბირთვული ძალების შეზღუდვაზე[10]. არ შეუერთდნენ: სამხრე-თი სუდანი, ინდოეთი, ისრაელი და პაკისტანი (ეს უკანასკნელი სამი, არასდროს ყოფილან NPT-ის წევრები).

ჩრდილოეთ კორეამ 2003 წელს გამოაცხადა NPT-დან გამოსვლა, რაც პირველი და ერთა-დერთი შემთხვევაა, როდესაც ქვეყანა ოფიციალურად გამოვიდა ხელშეკრულებიდან.

სტრატეგიული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულებები (START I) და (START II) - გაფორმდა აშშ-სა და რუსეთს შორის და მიზნად ისახავდა ორივე მხარეს, სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების შემცირებას. START I ძალაში შევიდა 1994 წელს და დასრულდა 2009 წელს, ხოლო START II არასდროს შესულა ძალაში.

ხელშეკრულება START I გაფორმდა აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ უფროსსა და საბჭოთა კავშირის პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვს შორის 1991 წლის 31 ივლისს, რატიფიცირდა ორივე ქვეყნის მიერ და ძალაში შევიდა 1994 წლის 5 დეკემბერს, ხოლო ხელშეკრულების ვადა ამოიწურა 2009 წლის 5 დეკემბერს. ის იყო პირველი ხელშეკრულება, რომელმაც შეა-მცირა სტრატეგიული არსენალები ცივი ომის შემდეგ[11].

ხელშეკრულება START II გაფორმდა აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ უფროსსა და რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინს შორის 1993 წლის 3 იანვარს, რათა გაგრძელებულიყო START I - ის ძალისხმევა და შემდგომ შემცირებულიყო სტრატეგიული ბირთვული შეია-რაღება. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს სენატმა რატიფიცირება მოახდინა 1996 წელს, ხოლო რუსეთის დუმამ 2000 წელს, START II არასდროს შესულა ძალაში, რადგან რუსეთმა მისი რატიფიცირება დააკავშირა ანტი-სარაკეტო თავდაცვის ხელშეკრულების (ABM) შენარჩუ-ნებასთან, საიდანაც აშშ გამოვიდა 2002 წელს, რის შემდგომაც რუსეთმა 2002 წელს ოფიცი-ალურად გამოაცხადა, რომ აღარ განიხილავდა ხელშეკრულების ვალდებულებებს.

[10] Scott Sagan, *Why Do States Build Nuclear Weapons?* (Stanford University Press, 1996).
[11] START I Treaty, *Start I Entry nto Force,* (State Department web site archive, 1991). https://tinyurl.com/vm4hr9vn

სტრატეგიული და ბირთვული შეიარაღების შემცირების ხელშეკრულება "ახალი სტარ-ტი" (New START - Strategic Arms Reduction Treaty) - გაფორმდა აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამასა და რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს შორის 2010 წლის 8 აპრილს და მიზნად ისახავდა სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების შემდგომ შემცირებას. აშშ-ს სენატმა ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა 2010 წლის 22 დეკემბერს, ხოლო რუ-სეთის დუმამ 2011 წლის 25 იანვარს. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2011 წლის 5 თებერ-ვალს და თავდაპირველად გათვალისწინებული იყო 2021 წლამდე, თუმცა 2021 წელს გაგ-რძელდა 2026 წლამდე. ხელშეკრულება ზღუდავს სტრატეგიული ბირთვული ქობინების რაოდენობას 1,550-მდე, მატარებელ საშუალებებს (ICBM, SLBM, ბომბდამშენები) 700-მდე და წარმოადგენს ბოლო მოქმედ ორმხრივ ბირთვულ შეზღუდვის შეთანხმებას აშშ-სა და რუსეთს შორის[12].

მხედველობაში მისაღებია რუსეთ-უკრაინის ომის ფონის დაძაბულობა და მის ფონზე ის ფაქტი, რომ რუსეთის მიერ მოხდა ინსპექციების შეჩერება - 2022 წელს რუსეთმა შეაჩერა ამერიკული ინსპექციების დაშვება თავის ბირთვულ ობიექტებზე. ამასთან, აშშ-რუსეთს შორის ნდობის შემცირებამ გაზარდა გაუთვლელი ესკალაციის რისკი, ასევე რისკი, რომ 2026 წელს შეთანხმება აღარ განახლდება[13].

ეს ხელშეკრულება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, თუ New START ჩაიშლება, აშშ-სა და რუსეთს შორის ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის მექანიზმი მთლიანად გაქრება.

საერთო ყოვლისმომცველი მოქმედების გეგმა (JCPOA) - შეთანხმება, ცნობილი როგორც "ირანის ბირთვული შეთანხმება" (Joint Comprehensive Plan of Action), გაფორმდა ირანსა და P5+1 ქვეყნებს (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი, ჩინეთი და გერმანია) შორის 2015 წლის 14 ივლისს, ხოლო ძალაში შევიდა 2016 წლის 16 იანვარს, რათა შეზღუდულიყო ირანის ბირთვული პროგრამა სანქციების შემსუბუქების სანაცვლოდ[14]. ხელშეკრულება JCPOA არ არის ფორმალური, ამიტომ ის არ საჭიროებდა რატიფიცირებას მონაწილე ქვეყ-ნების საკანონმდებლო ორგანოების მიერ.

2018 წელს ტრამპის ადმინისტრაციამ შეთანხმებიდან გასვლის მიზეზად განაცხადა, რომ ეს იყო "სუსტი" შეთანხმება, რომელიც ირანს მაინც აძლევდა შესაძლებლობას, დროთა გან-

[12] U.S. Department of State, New START Treaty, 2010. https://tinyurl.com/bdey9nz2
[13] SIPRI Yearbook 2023: Armaments, Disarmament and International Security (Oxford: Oxford University Press, 2023). https://tinyurl.com/3y9j43jy
[14]International Atomic Energy Agency, Joint Comprehensive Plan of Action (Vienna, 2015). https://tinyurl.com/yze6ejhv

მავლობაში ბირთვული იარაღი შეემუშავებინა. აშშ-მა ერთპიროვნულად განაახლა სანქციები ირანის წინააღმდეგ, რის შემდეგაც ირანმა დაიწყო ურანის უფრო მაღალი დონით გამდიდრება და შეამცირა საერთაშორისო ზედამხედველობის შესაძლებლობა, რაც ბირთვული იარაღის შექმნის რისკს ზრდის. აქედან გამომდინარე, ახლო აღმოსავლეთში იზრდება შანსი, რომ ისრაელმა ან აშშ-მა სამხედრო ძალით შეაჩეროს ირანის ბირთვული პროგრამა, რამაც შეიძლება ფართომასშტაბიან ომამდე მიიყვანოს რეგიონი[15].

ბირთვული იარაღის აკრძალვის ხელშეკრულება (TPNW) - წინამდებარე ხელშეკრულების მოლაპარაკებებში მონაწილეობდა 122 ქვეყნის წარმომადგენელი, მიღებულ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 2017 წლის 7 ივლისს და მიზნად ისახავს ბირთვული იარაღის სრულ აკრძალვას. TPNW ძალაში შევიდა 2021 წლის 22 იანვარს, მას შემდეგ, რაც 50-მა ქვეყანამ მოახდინა მისი რატიფიცირება. თუმცა, ბირთვული იარაღის მქონე ქვეყნები და ნატოს წევრი ქვეყნების უმეტესობა არ შეუერთდა TPNW-ს, რაც ზღუდავს მის გლობალურ ეფექტურობას[16].

საერთო ბირთვული ცდების აკრძალვის ხელშეკრულება (CTBT) - მიღებულ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1996 წლის 10 სექტემბერს, რათა სრულად აკრძალულიყო ბირთვული ცდები. კრძალავს ყველა სახის ბირთვულ ცდას. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ 185 ქვეყანამ მოაწერა ხელი CTBT-ს და 170-მა მოახდინა მისი რატიფიცირება, CTBT ჯერ კიდევ არ შესულა ძალაში, რადგან აუცილებელია 44 კონკრეტული ქვეყნის რატიფიცირება, რომელთაგან ზოგიერთი ჯერ კიდევ არ აქვს რატიფიცირებული, მათ შორის აშშ, ჩინეთი, ინდოეთი, პაკისტანი, ჩრდილოეთ კორეა და ირანი[17].

გამოწვევები 21-ე საუკუნეში

მომავალ სამოქმედო გარემოში გამოწვევების იდენტიფიცირება არ არის მარტივი, თუმცა შეგვიძლია ყურადღება გავამახვილოთ პოტენციურ საფრთხეებზე, რაც ძირეითადად ასოცირდება ახალ ტექნოლოგიებთან (კიბერუსაფრთხოების საკითხები და ხელოვნური ინტელექტის განვითარება ახალ გამოწვევებს ქმნის ბირთვული უსაფრთხოების სფეროში), ტერორიზმთან (ბირთვული მასალების არალეგალური გავრცელების საფრთხე და ბირთვული ტერორიზმის რისკები კვლავ აქტუალურია) და გეოპოლიტიკასთან (რეგიონული კონფლიქტები და ბირთვული იარაღის მქონე ქვეყნების ურთიერთობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გლობალურ უსაფრთხოებაზე).

[15] IAEA, Iran Verification Reports, 2019–2024. https://www.iaea.org/publications/reports
[16] United Nations, *Treaty on the Prohibition of Nuclear Weapons* (2017). https://tinyurl.com/56v4suwa
[17] CTBTO Preparatory Commission Reports, 2000-2024. https://tinyurl.com/5n6tybxy

ბირთვული იარაღის მქონე ქვეყნების ურთიერთობები და რეგიონული კონფლიქტები ბირთვული უსაფრთხოების ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური საკითხია. განვიხილოთ რამდენიმე მთავარი რეგიონული კონფლიქტი და მათი გავლენა ბირთვულ დინამიკაზე.

რუსეთი და ნატო - უკრაინის ომი და ბირთვული ესკალაციის საფრთხე: რუსეთის მიერ უკრაინაში ომის გაჩაღებამ ბირთვული ესკალაციის საკითხი აქტუალურ საფრთხედ აქცია. უკრაინასთან ომში დასავლეთის პირდაპირი ჩარევის პრევენციად იყენებს აგრესიულ ბირთვულ რიტორიკას, რაც ერთგვარ სტრატეგიული შეკავების ინსტრუმენტად იქცა[18].

აშშ-ის მიერ INF-ის დატოვების შემდეგ, ნატო-ს წევრი ქვეყნები განიხილავენ ახალ ბირთვული იარაღის განთავსებას ევროპაში, ამასთან, გერმანია, პოლონეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები ითხოვენ მეტი უსაფრთხოების გარანტიებს, მათ შორის ბირთვული შეკავების გაძლიერებას; შესაბამისად, 2022 წლის შემდეგ ნატოს ქვეყნებმა სამხედრო ხარჯები რეკორდულად გაზარდეს, რაც ასევე შეიარაღების შეჯიბრის ტენდენციას აძლიერებს. აქედან გამომდინარე, ევროპაში "ახალი ცივი ომის" მსგავსი სიტუაცია იქმნება, სადაც ბირთვული იარაღის როლი იზრდება. 2023 წელს რუსეთის მიერ ტაქტიკური ბირთვული იარაღის განთავსება ბელარუსში და ნატოს სამხედრო ხარჯების ზრდა მიუთითებს უსაფრთხოების დილემის გაღრმავებაზე[19].

აშშ-ის გამოსვლამ INF-დან, ღია ცის ხელშეკრულებიდან და JCPOA-დან რუსეთს მეტი თავისუფლება მისცა. მოსკოვმა: გააძლიერა ახალი ტიპის ბირთვული იარაღის განვითარება (მაგალითად, "პოსეიდონი" – წყალქვეშა ბირთვული დრონი და "ავანგარდი" – ჰიპერბგერითი ქობინი). ასევე შეაჩერა New START-ის მონიტორინგი, რაც აშშ-სთან გამჭვირვალობის შემცირებას ნიშნავს. ხოლო ბელარუსში ტაქტიკური ბირთვული იარაღის განთავსების საკითხი, რაც ნატოსთვის დამატებითი გამოწვევაა. შესაბამისად, ევროპაში უსაფრთხოების დონე მცირდება, რადგან რუსეთი თავს უფრო თავისუფლად გრძნობს ბირთვული შეკავების პოლიტიკაში.

შესაბამისად, ევროპაში ბირთვული იარაღის განთავსების რისკი იზრდება, რაც რუსეთსა და ნატოს შორის პირდაპირი კონფლიქტის ალბათობას ზრდის.

ინდოეთი vs პაკისტანი – დაძაბულობა ქაშმირში: ინდოეთი და პაკისტანი ბირთვული იარაღის მქონე მეზობლები არიან, რომელთა ურთიერთობა მუდმივ დაძაბულობაშია ქაშმირის გამო. ინდოეთმა პირველი ბირთვული გამოცდა 1974 წელს ჩაატარა, ხოლო პაკის-

[18] Lawrence Freedman, "Ukraine and Nuclear Signaling," Survival, 2022.
[19] NATO, Defence Expenditure of NATO Countries (2014-2025), 2025. https://tinyurl.com/47x5r2a5

ტანმა ბირთვული იარაღი 1998 წელს შეიმუშავა, როგორც საპასუხო ნაბიჯი ინდოეთისადმი. 2019 წელს ინდოეთმა და პაკისტანმა საჰაერო შეტევები გაცვალეს ქაშმირში, რამაც ბირთვული დაპირისპირების შიში გაზარდა. ნიშანდობლივია, რომ ორივე ქვეყანა ბირთვულ იარაღს რეგიონალური შეკავების ინსტრუმენტად იყენებენ და ბირთვული დოქტრინის ფარგლებში "პირველი დარტყმის" შესაძლებლობას არ გამორიცხავს, ხოლო გრძელვადიანი რისკის თვალსაზრისით, ამ ქვეყნების მიერ ახალი ტექნოლოგიების განვითარება, როგორიცაა ჰიპერბგერითი რაკეტები, ზრდის ომის სწრაფი ესკალაციის რისკს[20].

ჩინეთი და აშშ - ჩინეთი აქტიურად ზრდის თავის ბირთვულ არსენალს და ამ პროცესს გეოპოლიტიკური კონტექსტი უდევს საფუძვლად. ის ტაივანს თავის ტერიტორიად მიიჩნევს და სამხედრო ძალის გამოყენებით დაბრუნებას არ გამორიცხავს; ტაივანის საკითხზე სამხედრო ესკალაციის შემთხვევაში მოსალოდნელია ჩინეთის ბირთვული რიტორიკა კიდევ უფრო აგრესიული გახდეს. აშშ აცხადებს, რომ ტაივანს სამხედრო მხარდაჭერას გაუწევს, რაც კონფლიქტის ბირთვულ ესკალაციასაც არ გამორიცხავს. ჩინეთი ცდილობს ბირთვულ მოდერნიზაციას და 2030 წლისთვის აპირებს ბირთვული ქობინების რაოდენობა 1000-მდე გაზარდოს. ამასთან, ახორციელებს ჰიპერბგერითი იარაღის ტესტირებას, ყოველივე ეს კი უდავოდ შეცვლის ბირთვულ ბალანსს. აშშ-ის ახალი ბირთვული სტრატეგია ჩინეთის ბირთვულ მოდერნიზაციას პირდაპირი პასუხით უყურებს და აკვირდება, რაც ბირთვული შეიარაღების ახალ შეჯიბრს იწვევს.

ჩინეთი ტრადიციულად გამოირჩეოდა მცირე ბირთვული არსენალით, მაგრამ ბოლო წლებში, აშშ-ის სტრატეგიის ცვლილების ფონზე, ის ბირთვულ შეიარაღებას აჩქარებს. პენტაგონი ვარაუდობს, რომ ჩინეთი 2035 წლისთვის 1,500-ზე მეტ ბირთვულ ქობინს შექმნის.[21] გასათვალისწინებელია, რომ ჩინეთი არ მონაწილეობს არცერთ ბირთვული იარაღის შეზღუდვის შეთანხმებაში, რადგან მიიჩნევს, რომ აშშ და რუსეთი უფრო დიდი ბირთვული არსენალებით უნდა იყვნენ შეზღუდულები, ამასთან, ბირთვული იარაღი ტაივანის საკითხთან დაკავშირებით შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც შანტაჟის ინსტრუმენტი აშშ-ისა და მოკავშირეების წინააღმდეგ[22]. შესაბამისად, მოცემული ტენდენცია ზრდის დაძაბულობას წყნარ ოკეანეში და აშშ-ჩინეთის და ჩრდილოეთ კორეის ბირთვული კონკურენციის ახალ ეტაპს ხსნის.

[20] Vipin Narang, *Nuclear Strategy in the Modern Era* (Princeton University Press, 2014).
[21] U.S. Department of Defense, *China Military Power Report* (Washington, DC,2023). https://tinyurl.com/3zaxcchb
[22] M. Taylor Fravel, *Active Defense: China's Military Strategy* (Princeton, 2019).

ისრაელი და ირანი - 2018 წელს აშშ-ის გამოსვლის შემდეგ ირანმა მნიშვნელოვნად გაზარდა ურანის გამდიდრების დონე და ეს ქვეყნები ბირთვული დაპირისპირების ზღვარზე იმყოფებიან, რასაც რეგიონის დესტაბილიზაცია შეუძლია, ხოლო ირანი ასევე უფრო მეტად უახლოვდება რუსეთს და ჩინეთს, რაც ახლო აღმოსავლეთში ძალთა ახალი გადანაწილებისკენ იხრება. აქედან გამომდინარე ჩნდება ლოგიკური ვარაუდი, რომ ირანის პროგრამის პროგრესი ზრდის პრევენციული დარტყმის ალბათობას და რეგიონული გავრცელების რისკს (საუდის არაბეთი, თურქეთი)[23].

ჩრდილოეთ კორეა, სამხრეთ კორეა და იაპონია – ჩრდილოეთ კორეა უკვე დიდი ხანია ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა და აქტიურად ახდენს ბირთვული რაკეტების ტესტირებას. მან მიაღწია გარკვეულ პროგრესს ბირთვულ პროგრამაში: ბოლო წლებში ჩრდილოეთ კორეამ განავითარა ბალისტიკური რაკეტები, რომელთაც აშშ-სა და იაპონიის მიღწევა შეუძლიათ, ხოლო ბირთვული იარაღი განიხილება ჩრდილოეთ კორეის თავდაცვის უმთავრესი ელემენტად. საბოლოოდ, ჩრდილოეთ კორეა ჩამოყალიბდა, როგორც არაპროგნოზირებადი ბირთვული სახელმწიფო, რომლის სტრატეგია ეფუძნება რეჟიმის გადარჩენას ბირთვული შეკავების გზით[24].

აშშ-სა და სამხრეთ კორეას შორის სამხედრო წვრთნები და კოორდინაცია იზრდება. საპასუხოდ იაპონია განიხილავს საკუთარი ბირთვული დოქტრინის გადახედვას, რაც რეგიონში შეიარაღების ახალ ტალღას გამოიწვევს. ამასთან, იაპონიამ და სამხრეთ კორეამ შეიძლება განიხილონ საკუთარი ბირთვული იარაღის შექმნის ვარიანტი, რაც აზიის სტაბილურობას რისკის ქვეშ დააყენებს.

დასკვნა

მსოფლიო მშვიდობაზე და გლობალურ უსაფრთხოებაზე აშშ-ს ბირთვული სტრატეგიის გავლენის თვალსაზრისით უარყოფით ასპექტად უნდა ღინიშნოს, რომ ბირთვული შეიარაღების კონტროლის შეთანხმებების გარეშე, გზა იხსნება ბირთვული შეიარაღების შეჯიბრისთვის და რეგიონებში (ევროპა, ახლო აღმოსავლეთი, აზია) უსაფრთხოების დონე იკლებს, რადგან ნაკლები კომუნიკაცია და გამჭვირვალობაა ბირთვულ ძალებს შორის, ხოლო ირანი, ინდოეთი, პაკისტანი და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნები შესაძლოა ბირთვულ შეიარაღებაზე უფრო მეტად ფოკუსირდნენ, ხოლო აშშ-ს, რუსეთსა და ჩინეთს შორის

[23] Carnegie Endowment for International Peace - Annual Report, Instability in the Middle East, 2025. https://tinyurl.com/yc8h8r7u

[24] Siegfried Hecker, *North Korea's Nuclear Future* (Stanford, 2020).

კონტროლის მექანიზმების შემცირებამ ბირთვული იარაღის ახალი ტალღის განვითარების სტიმული გააჩინა, ამიტომ სამივე ქვეყანა ახალ ტექნოლოგიებს ავითარებენ, რაც ბირთვული კრიზისის რისკებს ზრდის და იწვევს კრიზისების მართვის სირთულეს[25]. ჩრდილოეთ კორეა ჩამოყალიბდა, როგორც არაპროგნოზირებადი ბირთვული სახელმწიფო, რომლის სტრატეგია ეფუძნება რეჟიმის გადარჩენას ბირთვული შეკავების გზით[26].

დადებითი თალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ, რომ შეთანხმებებიდან გასვლა, აშშ-ს მოქმედების მეტ მოქნილობას აძლევს გლობალურ სტრატეგიაში, რაც ზრდის წნეხს რუსეთსა და ჩინეთზე; ასევე იქმნება შესაძლებლობა ახალი, თანამედროვე ხელშეკრულებების შესაქმნელად, რაც შესაძლოა მომავალი სტაბილურობის ახალი გარანტი იყოს, ხოლო ტექნოლოგიური უპირატესობის კუთხით აშშ-ს შეიარაღების განვითარების თავისუფლებამ შესაძლოა მომავალში ჰიპერბგერითი და კოსმოსური შეიარაღების კონტროლის ახალ ეტაპს გაუხსნას გზა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ის ბირთვული სტრატეგია იმყოფება მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციის ეტაპზე, რაც პირდაპირ აისახება მსოფლიო წესრიგის სტაბილურობაზე. ცივი ომის პერიოდში ჩამოყალიბებული შეიარაღების კონტროლის სისტემა, ერთგვარი შემაკავებელი სტრატეგია, რომელიც ათწლეულების განმავლობაში აკავებდა ბირთვულ ესკალაციას, დღეს პრაქტიკულად დაშლის პირასაა. ხელშეკრულებებიდან (INF, Open Skies) გასვლამ და "ახალი START"-ის ბუნდოვანმა მომავალმა შექმნა ვაკუუმი, არასტაბილური გარემო, რომელიც ზრდის გაუთვლელი სამხედრო დაპირისპირების რისკს. ამასთან, ზემოთ მოყვანილი ფაქტები ცხადყოფს, რომ ბირთვული იარაღის მქონე ქვეყნების ურთიერთობები დღითიდღე უფრო დაძაბული ხდება, მსოფლიო ბირთვული უსაფრთხოების სისტემა ახლა ყველაზე დაძაბულ ფაზაშია ცივი ომის შემდეგ და რეგიონული კონფლიქტები ხელს უწყობს ბირთვული ესკალაციის რისკს, აშშ-ს და რუსეთის მიერ კონტროლის მექანიზმების შესუსტება აძლიერებს სამხრეთ აზიაში ბირთვულ კონკურენციას, ხოლო ახალი ტექნოლოგიების დახვეწა (ჰიპერბგერითი რაკეტები, ხელოვნური ინტელექტი) კიდევ უფრო ზრდის ბირთვული ომის საფრთხეს და ახალი ხელშეკრულებების ან სხვა სახის შემაკავებელი მექანიზმების არ არსებობის პირობებში, 2030-იანი წლები შესაძლოა გახდეს ბირთვული შეიარაღების ახალი ტალღის დასაწყისი.

[25] Stockholm International Peace Research Institute Yearbook, World nuclear forces, 2024. https://tinyurl.com/md229uzb

[26] Brad Roberts, The Case for U.S. Nuclear Weapons in the 21st Century (Stanford, 2015).

სამომავლო პერსპექტივაში, გლობალური უსაფრთხოება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად მოხერხდება ჩინეთის ჩართვა ბირთვული შეზღუდვის მრავალმხრივ ფორმატში და რამდენად ეფექტური იქნება საერთაშორისო საზოგადოება ირანის და ჩრდილოეთ კორეის ბირთვული ამბიციების შეკავებაში. რუსეთის მიერ ბირთვული რიტორიკის ინსტრუმენტალიზაცია უკრაინის ომის კონტექსტში კიდევ უფრო აქტუალურს ხდის "ბირთვული ტაბუს" დაცვის აუცილებლობას. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ტექნოლოგიური უპირატესობის მოპოვება ვერ უზრუნველყოფს ხანგრძ-ლივ მშვიდობას; აუცილებელია ახალი ტიპის შეიარაღების კონტროლის მექანიზმების შემუშავება, რომლებიც გაითვალისწინებენ როგორც კიბერშესაძლებლობებს, ისე ჰი-პერბგერითი ტექნოლოგიების გავლენას სტრატეგიულ სტაბილურობაზე; წინააღმდეგ შემთხვევაში, XXI საუკუნის მესამე ათწლეული შესაძლოა იქცეს ბირთვული შეიარაღების ახალი ტალღის დასაწყისად.

ბიბლიოგრაფია

Allison, Graham. Nuclear Terrorism: The Ultimate Preventable Catastrophe. New York: Times Books, 2004.

Carnegie Endowment for International Peace. Annual Report: Instability in the Middle East, 2025. https://tinyurl.com/yc8h8r7u [ბოლოს შესვლის თარიღი: 2026 წლის 27 მარტი].

CTBTO Preparatory Commission Reports, 2000-2024. https://tinyurl.com/5n6tybxy [ბოლოს შესვლის თარიღი: 2026 წლის 27 მარტი].

Fravel, M. Taylor. *Active Defense: China's Military Strategy*. Princeton, 2019.

Freedman, Lawrence. *The Evolution of Nuclear Strategy*. 3rd ed. London: Palgrave Macmillan, 2003.

Freedman, Lawrence. *Ukraine and Nuclear Signaling*. Survival, 2022.

Hecker, Siegfried. *North Korea's Nuclear Future*. Stanford University Press, 2020.

International Atomic Energy Agency. Joint Comprehensive Plan of Action. Vienna, 2015. https://tinyurl.com/yze6ejhv [ბოლოს შესვლის თარიღი: 2026 წლის 27 მარტი].

International Atomic Energy Agency. Iran Verification Reports, 2019–2024. https://redirme.com/3tdyth, (გადამოწმებულია2026 წლის 27 მარტი).

Kofman, Michael. *"The Open Skies Collapse and European Security,"* CSIS, 2021.

Narang, Vipin. *Nuclear Strategy in the Modern Era*. Princeton University Press, 2014.

NATO, Defence Expenditure of NATO Countries 2014-2025, 2025. https://tinyurl.com/47x5r2a5 (გადამოწმებულია2026 წლის 27 მარტი).

Roberts, Brad. *The Case for U.S. Nuclear Weapons in the 21st Century*. Stanford University Press, 2015.

Sagan, Scott. *Why Do States Build Nuclear Weapons?* Stanford University Press, 1996.

Schelling, Thomas. *Arms and Influence*. Yale University Press, 1966.

SIPRI. SIPRI Yearbook 2020: *Nuclear weapon modernization continues but the outlook for arms control is bleak.* Oxford: Oxford University Press, 2020. https://tinyurl.com/3zuns6tp (გადამოწმებულია2026 წლის 27 მარტი).

SIPRI. SIPRI Yearbook 2023: Armaments, Disarmament and International Security. Oxford: Oxford University Press, 2023. https://tinyurl.com/3y9j43jy (გადამოწმებულია2026 წლის 27 მარტი). SIPRI. SIPRI Yearbook 2024: World nuclear forces. Oxford: Oxford University Press, 2024. https://tinyurl.com/md229uzb (გადამოწმებულია2026 წლის 27 მარტი). START I Treaty. *Start I Entry nto Force.* State Department web site archive, 1991. https://tinyurl.com/vm4hr9vn (გადამოწმებულია2026 წლის 27 მარტი).

United Nations. *Treaty on the Non-Proliferation of Nuclear Weapons*, 1968. https://tinyurl.com/ycy935kc (გადამოწმებულია2026 წლის 27 მარტი).

U.S. Department of State. *INF Treaty Text*, 1987. https://2009-2017.state.gov/t/avc/trty/102360.htm (გადამოწმებულია2026 წლის 27 მარტი).

U.S. Department of State. New START Treaty, 2010. https://tinyurl.com/bdey9nz2 (გადამოწმებულია2026 წლის 27 მარტი).

United Nations. *Treaty on the Prohibition of Nuclear Weapons*, 2017. https://tinyurl.com/56v4suwa (გადამოწმებულია2026 წლის 27 მარტი).

U.S. Department of State. Open Skies Treaty Withdrawal Statement, 2020. https://tinyurl.com/bde5d6wv (გადამოწმებულია2026 წლის 27 მარტი).

U.S. Department of Defense. *China Military Power Report*. Washington, DC,2023. https://tinyurl.com/3zaxcchb (გადამოწმებულია2026 წლის 27 მარტი).

Woolf Amy, Russian Compliance with the INF Treaty, CRS Report, 2019.

სამხედრო ინჟინერია და საერთო ტაქტიკა თანამედროვე ომში: დრონებისა და მაღალი სიზუსტის დარტყმების ადაპტაცია

ზურა სამხარაძე
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
სამეცნიერო-კვლევით ცენტრის მთავარი მეცნიერი,
სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი

აბსტრაქტი

სტატია ეხება სამხედრო ინჟინერიის როლის ტრანსფორმაციას თანამედროვე ომის პირობებში, სადაც დომინანტურ ფაქტორებად გვევლინება უპილოტო ტექნოლოგიები და მაღალი სიზუსტის იარაღი. კვლევის მიზანია გაანალიზოს, თუ როგორ ადაპტირდება საინჟინრო უზრუნველყოფა ახალი ტიპის საფრთხეებთან და რა გავლენას ახდენს იგი საერთო ტაქტიკურ გარემოზე.

თანამედროვე ომმა ნათლად წარმოაჩინა, რომ საბრძოლო მოქმედებების შედეგი განისაზღვრება არა მხოლოდ შეიარაღების რაოდენობითა და პირადი შემადგენლობის მომზადების დონით, არამედ არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებს საინჟინრო უზრუნველყოფა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიციების სწრაფად მომზადების, პერსონალისა და ტექნიკის ეფექტიანი დაცვის, ასევე მოწინააღმდეგის სადაზვერვო საშუალებებისათვის ხილვადობის შემცირების უნარს.

ნაშრომში ასევე განხილულია საინჟინრო ღონისძიებების ძირითადი მიმართულებები, მათ შორის: ფორტიფიკაციული სისტემების განვითარება, შენიღბვისა და ცრუპოზიციების თანამედროვე მეთოდები, პოზიციების სწრაფი მოწყობა და ინფრასტრუქტურის მოქნილი ადაპტაცია ბრძოლის დინამიკურ პირობებში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დრონების მიერ წარმოებული მუდმივი დაკვირვების პირობებში მოქმედების თავისებურებებს და იმ გამოწვევებს, რაც დაკავშირებულია მაღალი სიზუსტის დარტყმების ზრდასთან.

თანამედროვე კონფლიქტებში, სადაც ფართოდ გამოიყენება უპილოტო საფრენი აპარატები (დრონები), სენსორული ქსელები და მაღალი სიზუსტის დარტყმის საშუალებები, საინჟინრო ღონისძიებები გარდაიქმნა ტაქტიკური გადარჩენის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად. საინჟინრო ნაგებობების ხარისხი, შენიღბვისა და თვალთმაქცობის (deception) მეთოდების გამოყენება, ასევე სწრაფი მანევრული ფორტიფიკაცია განსაზღვრავს დანაყოფის სიცოცხლისუნარიანობას ინტენსიური ცეცხლის პირობებში.

ამავდროულად, საინჟინრო ამოცანების ეფექტიანი შესრულება პირდაპირ გავლენას ახდენს ქვედანაყოფების ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნებაზე, მათი ოპერატიული მოქნილობის ზრდაზე და ბრძოლის ველზე ინიციატივის შენარჩუნებაზე. აღნიშნული გარემოებები განსაკუთრებით აქტუალურია ჰიბრიდული და მაღალი ტექნოლოგიური ომის პირობებში, სადაც საინჟინრო უზრუნველყოფა ინტეგრირებულია სადაზვერვო, ცეცხლის მართვისა და ლოგისტიკურ სისტემებთან.

კვლევა აჩვენებს, რომ საინჟინრო უზრუნველყოფა აღარ წარმოადგენს მხოლოდ დამხმარე კომპონენტს, არამედ გარდაიქმნა საბრძოლო მოქმედებების ერთ-ერთ გადამწყვეტ ელემენტად, რომელიც განსაზღვრავს დანაყოფების გადარჩენას, მდგრადობასა და ოპერატიულ ეფექტიანობას.

დასკვნის სახით ხაზგასმულია, რომ თანამედროვე სამხედრო ტაქტიკა საჭიროებს საინჟინრო და ტექნოლოგიური კომპონენტების ღრმა ინტეგრაციას, რაც უზრუნველყოფს ბრძოლის ველზე ადაპტაციისა და უპირატესობის შენარჩუნებას.

საკვანძო სიტყვები: სამხედრო ინჟინერია, დრონი, ტაქტიკა, ლოგისტიკა, სტრატეგია

Military Engineering and General Tactics in Modern Warfare: Adaptation to Drones and Precision Strikes

Zura Samkharadze
Chief Scientist in the Scientific Research Center of
LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Doctor of Military Sciences

Abstract

The article examines the transformation of the role of military engineering in the context of modern warfare, where unmanned technologies and precision-guided weapons have emerged as dominant factors. The aim of the study is to analyze how engineering support adapts to new types of threats and what impact it has on the overall tactical environment.

Modern warfare has clearly demonstrated that the outcome of combat operations is determined not only by the quantity of weapons and the level of personnel training, but also by engineering support, which plays an equally important role. Particular importance is attached to the ability to rapidly prepare positions, effectively protect personnel and equipment, and reduce visibility to enemy reconnaissance systems.

The paper also discusses the main directions of engineering measures, including the development of fortification systems, modern methods of camouflage and deception, rapid emplacement of positions, and the flexible adaptation of infrastructure under dynamic battlefield conditions. Special attention is paid to the specifics of operating under constant surveillance by drones and to the challenges associated with the increasing use of precision strikes.

In modern conflicts, where unmanned aerial vehicles (drones), sensor networks, and precision-strike systems are widely used, engineering measures have become one of the key factors of tactical survival. The quality of engineering structures, the use of camouflage and deception methods, as well as rapid and maneuverable fortification, determine the survivability of units under conditions of intensive fire.

At the same time, the effective execution of engineering tasks directly influences the preservation of combat capability, increases operational flexibility, and helps maintain initiative on the battlefield. These factors are particularly relevant in the context of hybrid and high-tech warfare, where engineering support is integrated with reconnaissance, fire control, and logistics systems.

The study demonstrates that engineering support is no longer merely a supporting component, but has transformed into one of the decisive elements of combat operations, determining the survival, resilience, and operational effectiveness of units.

In conclusion, it is emphasized that modern military tactics require deep integration of engineering and technological components, which ensures adaptability and the maintenance of advantage on the battlefield.

Keywords: Military engineering, drone, tactics, logistics, strategy

შესავალი

ამ სტატიის აქტუალობა მიიქცევს არა მარტო სამხედრო პერსონალის და დანაყოფების მეთაურების ყურადღებას, არამედ თავდაცვის ძალების სპეციალისტების, მოხალისეებისა და სამოქალაქო პირების ყურადღებას რომელთაც სურთ გაიგონ სამხედრო ინჟინერიის როლი თანამედროვე ომში, და თუ რატომ მოქმედებს საინჟინრო ამოცანების და ღონის-ძიებების შესრულება პირდაპირ დანაყოფების გადარჩენაზე.

სამხედრო ინჟინერია არის ღონისძიებების და გადაწყვეტილებების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს ტერიტორიის რელიეფის საბრძოლო მოქმედებებისთვის მომზადებას, პერსონალის დაცვას და ჯარების მანევრირების უზრუნველყოფას. თანა-მედროვე ომში მისი მნიშვნელობა მნიშვნელოვნად გაიზარდა არტილერიის, უპილოტო საფრენი აპარატების და ზუსტი მართვადი იარაღის ფართოდ გამოყენების გამო. საინჟინრო სამუშაოები აღარ წარმოადგენს ბრძოლებს შორის მეორეხარისხოვან ეტაპს. ამოცანების და ღონისძიებების მეტ წილად ტარდება - შეზღუდულ დროში და შეზღუდული რესურსე-ბით, ხშირად მოწინაამღდეგის ცეცხლის ქვეშ. საინჟინრო გადაწყვეტილებების სიზუსტე განსაზღვრავს, შეძლებს თუ არა ქვედანაყოფი თავისი პოზიციის შენარჩუნებას, საბრძოლო ეფექტურობის შენარჩუნებას და კრიტიკული დანაკარგების თავიდან აცილებას. ვინაიდან სამხედრო საინჟინრო ჯარები ასრულებენ ფართო სპექტრის ამოცანებს როგორც ფრონტის წინა ხაზზე, ასევე ზურგში. მათი ძირითადი ამოცანაა ქვეითებს შეუქმნას ისეთი პირობები, რომ საბრძოლო დანაყოფებმა შეეძლონ უფრო ეფექტურად და ნაკლები დანაკარგებით მოქმედება. საინჟინრო ჯარების ძირითადი ამოცანებია თავდაცვითი პოზიციების შექმნა, საფრების და თავშესაფრების მშენებლობა, საინჟინრო დაზვერვის ჩატარება, მარშრუტების მომზადება, ობიექტებისა და პოზიციების დაცვა თავდასხმისგან (შენიღბვა, ნაღმ-ფეთქე-ბადი დაბრკოლებების მოწყობა და ა.შ.). თანამედროვე პირობებში ამას ამძიმებს დრონების მუდმივი საფრთხე, ცეცხლის კორექტირებაა და მტრის თვალთვალი.

ძირითადი ნაწილი

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ომში საბრძოლო პოზიციების მშენებლობა მნიშვნე-ლოვნად განსხვავდება წარსული კონფლიქტების კლასიკური მიდგომებისგან. მიუხედა-ვად იმისა, რომ ადრე ძირითადი აქცენტი მცირე ზომის იარაღის ცეცხლისგან დაცვაზე იყო, დღევანდელმა პოზიციებმა უნდა გაუძლოს არტილერიის დარტყმებს, დრონების თავდას-ხმებს და მუდმივ საჰაერო მეთვალყურეობას. პოზიციების მშენებლობისას გათვალისწინე-

ბულია თხრილის სიღრმე, საფარის არსებობა, თავშესაფრებს შორის სწრაფი გადაადგილების შესაძლებლობა და თერმული და ვიზუალური ნიშნების შემცირება. პოზიციების მშენებლობა ხშირად ეტაპობრივად ხორციელდება, დროის ფაქტორის გათვალისწინებით უმარტივესი გადაწყვეტილებებიდან სრულად გამაგრებულ ნაგებობებამდე, სიტუაციიდან და ხელმისაწვდომი დროიდან გამომდინარე. პოზიციების გამაგრება, პირველ რიგში, პერსონალის შენარჩუნებასა და აღჭურვილობის დაცვაზეა ორიენტირებული. მთავარი პრინციპია გაშლა და მრავალდონიანი დაცვა, რომლის დროსაც ერთი ელემენტის დამარცხება არ იწვევს მთელი პოზიციის დაკარგვას. თანამედროვე გამაგრებები უზრუნველყოფს დაცვას ნამსხვრევებისგან, ზემოდან თავდასხმებისგან და თანმდევი ზიანებისაგან. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პოზიციების ავტონომიურ ფუნქციონირებას დაბომბვის, ლოჯისტიკის შეფერხების ან დანაყოფის დროებითი იზოლაციის შემთხვევაში. ასევე საინჟინრო პოზიციის სტაბილურობა დამოკიდებულია არა მხოლოდ დაფარვასა და შენიღბვაზე, არამედ სტაბილურ ენერგომომარაგებაზეც.[1] ელექტროენერგია აუცილებელია საკომუნიკაციო აღჭურვილობის მუშაობისთვის, თავშესაფრების განათებისთვის, დამტენი მოწყობილობებისთვის და ძირითადი საცხოვრებელი პირობების შესანარჩუნებლად. საველე პირობებში ამ მიზნით გამოიყენება ავტონომიური ენერგიის წყაროები. მაგალითად, ახალი თაობის აკუმულიატორებზე აწყობილი უწყვეტი დენის წარო „Genera-1200“[2]-ის 220 ვოლტიანი დამტენი სადგური გამოიყენება როგორც კომპაქტური და მობილური გადაწყვეტა ინჟინრის პოზიციების ენერგიით უზრუნველყოფისთვის. მისი დარტყმაგამძლეობა და ექსტრემალურ ამინდის პირობებში მუშაობის უნარი ასეთ სადგურებს საინჟინრო ინფრასტრუქტურის სასარგებლო ელემენტად აქცევს, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც სტაციონარული ენერგიის წყაროებზე წვდომა მიუწვდომელია. ასეთი აღჭურვილობა არ ითვლება საბრძოლო აღჭურვილობად, მაგრამ ის პირდაპირ გავლენას ახდენს დანაყოფის მართვადობაზე, კომუნიკაციებსა და საერთო სიცოცხლისუნარიანობაზე.

პოზიციების საინჟინრო მოპირკეთება და მათი შენიღბვა თანამედროვე თავდაცვის განუყოფელი ნაწილია. დღეს შენიღბვა მოიცავს არა მხოლოდ ვიზუალურ ასპექტებს, არამედ პოზიციების თერმულ და ზოგად ხილვადობას. პოზიციები ინიღბება დრონების, თანამგზავრების და ხმელეთზე დაფუძნებული დაზვერვის გათვალისწინებით. საინჟინრო გადაწ-

[1]ზეზვა ნავერიანი, „საინჟინრო ძალებისა და სამხედრო-საინჟინრო ტექნიკის, კომპლექტაციისა და სტრუქტურული რეორგანიზაციის შესაძლო სრულყოფის საკითხი“. დისერტაცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი:2021.

[2] ელ.რესურსი, https://redirme.com/67p3sn, (გადამოწმებულია 11.04.2026)

ყვეტილებები მოიცავს რელიეფის გამოყენებას, დაფარვის სწორად განთავსებას, მოძრაობის კონტროლს და შუქ-შენიბვის დისციპლინის დაცვას. სწორედ ამ ღონისძიებების კომბინაციის გამოყენება ამცირებს მტრის მიერ პოზიციების აღმოჩენის ალბათობას. სამხედრო ინჟინერია, თანამედროვე საერთო ტაქტიკის განუყოფელი ნაწილია და პირდაპირ გავლენას ახდენს „საბრძოლო მოქმედებების თეატრზე". ცრუ პოზიციების მოწყობა, შენიღბვა და მოწინაამღდეგის შეცდომაში შეყვანა განსაზღვრავს მანევრირებას, თავდაცვას და ზუსტ დარტყმებზე რეაგირების უნარს.

თუ იმას გავითვალისწინებთ რომ თანამედროვე ომი მიმდინარეობს მუდმივი მეთვალყურეობის, მონაცემთა სწრაფი გადაცემის და სამიზნეების ზუსტი ზემოქმედების პირობებში, დრონები, მაღალი სიზუსტის იარაღი და ციფრული მართვის სისტემები ცვლის არა მხოლოდ საბრძოლო ინსტრუმენტებს, არამედ თავად ბრძოლის ველზე ტაქტიკური მოქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების მიდგომასაც. სამხედრო ტაქტიკა განსაზღვრავს, თუ როგორ მოქმედებენ ქვედანაყოფები უშუალოდ ბრძოლის ველზე: როგორ იკავებენ პოზიციებს, როგორ მანევრირებენ, როგორ ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან და როგორ რეაგირებენ საფრთხეებზე. სწორედ ტაქტიკური დონე - ასეული, ოცეული და რაზმი - ახდენს უდიდეს გავლენას პირადი შემადგენლობის გადარჩენასა და საბრძოლო მისიების წარმატებაზე. მოკლედ ზოგადად რომ ავხსნათ, საერთო ტაქტიკა განსაზღვრავს იმას, თუ როგორ მოქმედებენ პრაქტიკულად დანაყოფები ბრძოლაში: როგორ მოძრაობენ ისინი, იკავებენ პოზიციებს, ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან, აფიქსირებენ მოწინააღმდეგეს და ახორციელებენ დარტყმებს ისე, რომ დავალება მინიმალური დანაკარგებით შესრულდეს, და სტრატეგია პასუხობს კითხვას „რატომ ვიბრძვით და რა მიზნების მიღწევა გვსურს?" ოპერატიული ხელოვნება პასუხობს კითხვას „როგორ მოვაწყოთ კამპანია ან ოპერაცია", ხოლო ტაქტიკა პასუხობს კითხვას „რა უნდა გავაკეთოთ კონკრეტულად აქ და ახლა ბრძოლაში". ტაქტიკა განსაზღვრავს, თუ როგორ მოქმედებს ქვედანაყოფი კონკრეტულ სიტუაციაში: პოზიციის დაკავება, შეტევის მოგერიება, მანევრირება, შეტევის თავიდან აცილება ან მოწინაამღდეგის ობიექტის განადგურება. ისინი საჭიროა არა მხოლოდ კონკრეტული ბრძოლის მოსაგებად, არამედ საბრძოლო ეფექტურობის შესანარჩუნებლად სისტემის სახით მოქმედებისთვის და არა ინდივიდუალური მამაცების ერთობლიობის სახით. თანამედროვე ბრძოლაში ტაქტიკა აერთიანებს ქვეითებს, არტილერიას, დრონებს, კომუნიკაციებს, საინჟინრო და სამედიცინო ელემენტებს ერთ პროცესში. თუ ეს ჯაჭვი გაწყდება, ეფექტურობა მცირდება, ჯარისკაცების ინდივიდუალური მომზადების მიუხედავად.

თანამედროვე ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არა ცეცხლის რაოდენობას, არამედ „ნახე-შეაფასე-იმოქმედე“ ციკლის სიჩქარეს გააჩნია. უპირატესობა აქვთ იმათ, ვინც უფრო სწრაფად აითვისებს სიტუაციას, მიიღებს გადაწყვეტილებებს და თავის ქმედებებს საბრძოლო ველის რეალურ პირობებს მოარგებს. ერთ-ერთი მთავარი პრინციპი მანევრირებაა. საქმე ქაოტურ მოძრაობას კი არა, ტაქტიკური უპირატესობის მოპოვებისკენ მიმართულ პოზიციის განზრახ შეცვლას ეხება, როგორიცაა: მტრის ფლანგიდან შემოვლას, შეტევისგან თავის არიდება, გადაადგილებისა ან მომარაგების მარშრუტების შეცვლა. მანევრირება საშუალებას გაძლევთ, რომ მტერი ნაკლები ძალებითაც კი არახელსაყრელ სიტუაციაში ჩააყენოთ. ასევე მნიშვნელოვანია დანაყოფების ურთიერთქმედება. ტაქტიკა მხოლოდ მაშინ მუშაობს, როდესაც ყველა ელემენტი ერთიანი სისტემის სახით მოქმედებს. ტიპიური საბრძოლო სიტუაცია ასე გამოიყურება: დრონი აფიქსირებს სამიზნეს, კომუნიკაციის მეშვეობით გადასცემს მონაცემებს ოპერატორს, შემდეგ ხდება სამიზნეს ცეცხლით ჩახრჩობა და შემდეგ კი ქვეითი ჯარი პოზიციას იკავებს. თუ ჩამოთვლილი მოქმედებებიდან ერთი რგოლიც კი - დაზვერვა, კომუნიკაცია ან მოქმედებების კოორდინაცია - ვერ ხერხდება, საერთო ეფექტურობა მკვეთრად მცირდება.

სწორედ ამიტომ არი რომ საბრძოლო ფორმირების ელემენტებს შორის სტაბილუ-რი კომუნიკაცია ტაქტიკურ ფაქტორად. რთულ რელიეფზე, სიღრმეზე მოქმედებისას ან უპილოტო საფრენი აპარატების აქტიური გამოყენებისას, კომუნიკაციის გამაძლიერებელი მოწყობილობებს, „Repeater“-ს (გამეორებელი) ენიჭებათ განსაკუთრებით, გადამწყვეტი როლი. ისინი უზრუნველყოფენ მართვასა და მათ შორის მონაცემების გადაცემას მაშინაც კი, როდესაც კომუნიკაციის პირდაპირი ხაზი არასტაბილურია ან მიუწვდომელია. ასეთი გადაწყვეტის მაგალითია „BlueBird Repeater“[3] (უკაბელო გამეორებელი), რომელიც გამოიყენება კომუნიკაციის დიაპაზონის გასაფართოებლად და დანაყოფებს შორის კოორდინაციის მხარდასაჭერად.

თანამედროვე ბრძოლა ასევე მოითხოვს ინიციატივას ადგილზე. სიტუაცია იცვლება უფრო სწრაფად, ვიდრე ბრძანებების გაცემაა შესაძლებელი, ამიტომ ამოცანით მართვის პრინციპი გამოიყენება სულ უფრო ხშირად: მაგ. მეთაური განსაზღვრავს ამოცანას, ხოლო შემსრულებლებს ეძლევათ თავისუფლება იმოქმედონ ამოცანის ფარგლებში. ეს შესაძლებელია მხოლოდ საიმედო ინფორმაციის გაცვლით და დინამიურ სიტუაციაში მართვის შენარჩუნებით.

[3] ელ.რესურსი. https://redirme.com/f9wjzp, (გადამოწმებულია 11.04.2026)

ცალკე განსაკუთრებული როლი ენიჭება შენიღბვას. თანამედროვე ომში მოწინაამღდეგე „ხედავს“ არა მხოლოდ თვალებით, არამედ დრონებით, რადიო-ელექტრონუ-ლი დაზვერ-ვით და კომუნიკაციების ანალიზითაც. ამიტომ, ხილვადობის შემცირება, მარშრუტების, ტექნიკისა და პირადი შემადგენლობის მიერ გამოყოფილი სითბოს კონტროლი და პროგ-ნოზირებადი მოქმედებების თავიდან აცილება, ხდება გადარჩენის ტაქტიკის ნაწილი.

ბოლო ელემენტია დაზვერვა და ბრძოლის ველის კონტროლი. მიუხედავად იმისა, რომ ადრე პოზიციების კონტროლი — სიმაღლეების შენარჩუნებას ნიშნავდა, დღეს ის მოიცავს ინფორმაციულ უპირატესობას - მუდმივ იცოდე, თუ რა ხდება წინ, ფლანგებსა და ზურგში. სწორედ ამიტომ გახდა დრონები, რადიო ელექტრონული ბრძოლის სისტემები, რადიო ელექტრონული დაზვერვა და კომუნიკაციები, თანამედროვე საბრძოლო მოქმედებების „თვალებად და ყურებად“.

ამ ცვლილებებში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დრონები. ისინი უზრუნ-ველყოფენ თვალთვალს, ცეცხლის კორექტირებას, მარშრუტის კონტროლს და, ზოგიერთ შემთხვევაში, ასრულებენ წერტილოვან დარტყმით დავალებებს. ეს პირდაპირ გავლენას ახდენს ქვედანაყოფის ოპერატიულ ლოგიკაზე: მაგ. პოზიციაზე ყოფნის ნაკლები ხანგრძ-ლივობა, მეტი მცირე მანევრები, უფრო მკაცრი შენიღბვა და უმკაცრესი კომუნიკაციის დისციპლინა.

დრონებთან ერთად, გაიზარდა ციფრული არხების როლი მართვაში და კავშირგაბმუ-ლობაში. თანამედროვე რეალობებში ჩამოყალიბდა ისეთი ტენდეცია რომ, ვინც უფრო სწრაფად დაასრულებს ციკლს „აღმოჩენა-გადაცემა- განადგურება-შედეგიდ დადასტურე-ბა“, იძენენ უპირატესობას. ამავდროულად, კომუნიკაციებზე დამოკიდებულება ქმნის ახალ დაუცველობას: ნებისმიერი შეფერხება მყისიერად ამცირებს ქვედანაყოფის ეფექტუ-რობას.

სწორედ ამიტომ, რადიო-ელექტრონული ბრძოლა და რადიო-დაზვერვა გახდა ტაქ-ტიკის განუყოფელ კომპონენტად. ისინი იძლევიან მოწინააღმდეგის დრონებისა და ნავი-გაციის სისტემების შეფერხების საშუალებას ან, პირიქით, მოწინაამღდეგის ჰაერში აქტი-ვობის აღმოჩენას. თანამედროვე ბრძოლაში ელექტრონიკა ისეთივე უპირატესობა გახდა, როგორც შეიარაღება და ტექნიკა.

როგორც თავიდან აღვნიშნეთ თანამედროვე ომი მიმდინარეობს მუდმივი მეთვალყუ-რეობის, მონაცემთა სწრაფი გადაცემის და სამიზნეზე ზუსტი ზემოქმედების პირობებში. დრონები, მაღალი სიზუსტის იარაღი და ციფრული მართვის სისტემები ცვლიან არა მხო-ლოდ ომის ინსტრუმენტებს, არამედ თავად ბრძოლის ველზე ტაქტიკური მოქმედებების

დაგეგმვისა და განხორციელების მიდგომასაც. თანამედროვე ომებში ეს პრინციპები მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიან. მუდმივი საჰაერო დაზვერვა, სამიზნის სწრაფი აღმოჩენა და ზუსტი დარტყმების განხორციელების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად ამცირებს დანაყოფის აღმოჩენასა და მის განადგურებას შორის დროს. ეს აიძულებს ჯარებს, უარი თქვან ფორმულურ გადაწყვეტილებებზე და მიიღონ უფრო მოქნილი, ადაპტირებადი საბრძოლო მოდელები.

დრონების ფართოდ გამოყენებამ ბრძოლის ველი უფრო მნიშვნელოვნად გამჭვირვალე გახადა. ნებისმიერი მოძრაობა, აღჭურვილობის დაგროვება ან ერთ პოზიციაზე ხანგრძლივი ყოფნა, შესაძლებელია დაფიქსირდეს ჰაერიდან. დრონები გამოიყენება დაზვერვისთვის, არტილერიის კორექტირებისათვის და ზუსტი დარტყმებისთვის, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს დანაყოფების მოქმედების თავისუფლებას.

ამ ყველაფრის პასუხოდ, მანევრის ლოგიკა იცვლება. დანაყოფები ნაკლებად ხშირად მოძრაობენ დიდ ჯგუფებად, უფრო ხშირად იცვლიან მარშრუტებსა და პოზიციებს და უფრო მეტად იყენებენ დაფარვასა და შენიღბვას. საბრძოლო დაგეგმვა ახლა აუცილებლად ითვალისწინებს საჰაერო ვითარებას, რადგან ღია რელიეფზე მცირე შეფერხებაც კი, მნიშვნელოვნად გაზარდოს დამარცხების რისკს.

ასევე აღსანიშნავია, რომ მაღალი სიზუსტის იარაღმა შეცვალა ძალებისა და აქტივების კონცენტრაციის მიდგომა. თუ ადრე დანაყოფების კონცენტრაციას შეეძლო გარღვევის მიღწევა ან თავდაცვის გაძლიერება, დღეს ის ხშირად დაუცველ სამიზნედ იქცევა. აღნიშნულიდან გამომდინარე თანამედროვე პირობებში ტაქტიკა ეფუძნება გაშლას, მოქნილ მართვაზე და ერთ პოზიციაზე გატარებული დროის შემცირებაზე. დანაყოფები იძულებულნი არიან იმოქმედონ უფრო სწრაფად, მუდმივად შეცვალონ პოზიცია და გაითვალისწინონ რომ პრაქტიკულად ნებისმიერ მომენტში არსებობს შორიდან დარტყმის შესაძლებლობა. დრონებისა და მაღალი სიზუსტის იარაღის კომბინაცია ქვედანაყოფებისგან მოითხოვს ტაქტიკისადმი ყოვლისმომცველი მიდგომის გამოყენებას. თანამედროვე ტაქტიკა მოითხოვს ქვეითების, უპილოტო საფრენი აპარატების ოპერატორების, არტილერიასა და რადიო-ელექტრონული ბრძოლის სისტემების შორის მჭიდრო თანამშრომლობას.[4]

[4] Wang, J., Liu, Y., & Song, H. Counter-Unmanned Aircraft Systems (C-UAS): State of the Art, Challenges and Future Trends. arXiv, 2020.

დასკვნა

თანამედროვე ომში სამხედრო ინჟინერია პრაქტიკული გადაწყვეტილებების რთული ერთობლიობაა, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანების ცხოვრებასა და თავდაცვის ეფექტურობაზე. საინჟინრო ჯარები უზრუნველყოფენ პოზიციების მშენებლობას, გამაგრებას, ენერგომომარაგებას და შენიღბვას, რაც რთულ საბრძოლო გარემოში დანაყოფების მდგრადობისთვის ქმნის ხელსაყრელ პირობებს.

თანამედროვე ომში სამხედრო ტაქტიკა მუდმივი ტრანსფორმაციის პროცესშია. დრონებისა და ზუსტი დარტყმების აქტიური გამოყენება ცვლის არა მხოლოდ საბრძოლო ინსტრუმენტებს, არამედ თავად ქვედანაყოფის ოპერაციების ლოგიკასაც - მანევრის დაგეგმვიდან თავდაცვის ორგანიზებამდე და შენიღბვამდე. ასეთ პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადაპტაციას, მოქნილობას და ახალ საფრთხეებზე სწრაფი რეაგირების უნარს. თანამედროვე ტაქტიკა აღარ არის წესების ფიქსირებული ერთობლიობა, არამედ ანალიზის, სწავლისა და დინამიურ საბრძოლო ველთან ადაპტაციის უწყვეტი პროცესია. ასეთ პირობებში ადაპტაცია, მოქნილობა და ახალ საფრთხეებზე სწრაფი რეაგირების უნარი იძენს გადამწყვეტ მნიშვნელობას.

ბიბლიოგრაფია

ნავერიანი, ზეზვა, „საინჟინრო ძალებისა და სამხედრო-საინჟინრო ტექნიკის, კომპლექტაციისა და სტრუქტურული რეორგანიზაციის შესაძლო სრულყოფის საკითხი“. დისერტაცია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი:2021.

მაცაბერიძე, ლევან, „საქართველოს თავდაცვითი სივრცის ოპერატიული მიმართულების სამხედრო-საინჟინრო აღჭურვა.“ თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2024.

ლაოშვილი, ზურაბ, „საქართველოს სამხედრო-საინჟინრო გეოგრაფიის გეოინფორმაციული საფუძვლები“, ავტორეფერატი, 2014

Kill Chain: Drones and the Rise of High-Tech Assassins. London: Verso Books, 2015.

Celander, L. How Drones Fight: How Small Drones are Revolutionizing Warfare. Havertown: Casemate Publishers, 2024.

Aaronson, M., Aslam, W., Dyson, T., & Rauxloh, R. (eds.). Precision Strike Warfare and International Intervention. London: Routledge, 2015.

Scharre, P. Army of None: Autonomous Weapons and the Future of War. New York: W. W. Norton, 2018

Singh, R., & Kumar, S. A Comprehensive Insights into Drones: History, Classification, Architecture, Navigation, Applications, Challenges, and Future Trends. arXiv, 2025.

Aljohani, M., Mukkamalai, R., & Olariu, S. Autonomous Strike UAVs for Counterterrorism Missions: Challenges and Preliminary Solutions. arXiv, 2024.

Wang, J., Liu, Y., & Song, H. Counter-Unmanned Aircraft Systems (C-UAS): State of the Art, Challenges and Future Trends. arXiv, 2020.

Walters, W. და სხვ. „Precision strike and legitimacy in contemporary warfare“. Security Studies / Political Science კვლევები, 2022.

Eyes in the Sky: The Strategic Role of Drones in Modern Warfare and Surveillance. ResearchGate, 2024.

Bronk, J., & Watling, J. *Mass Precision Strike: Designing UAV Complexes for Land Forces*. Wilson Center, 2024.

ძალაუფლების პროექცია „ნაცრისფერ ზონაში“: ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია და კონფლიქტის ახალი პარადიგმები

სოფიკო მეტრეველი
სსიპ დავით აღმაშენებელის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის
თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების
ასისტენტ პროფესორი
ORCID: 0000-0001-8480-2024

აბსტრაქტი

სტატია ეხება 21-ე საუკუნის გეოპოლიტიკურ ლანდშაფტში მიმდინარე ფუნდამენტური ცვლილებების ანალიზს, სადაც ტრადიციული სამხედრო დაპირისპირება ჩანაცვლებულია სტრატეგიული გაურკვევლობის სივრცით „ნაცრისფერი ზონით“. ნაშრომში განხილულია, თუ როგორ ახდენს თანამედროვე ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია (ხელოვნური ინტელექტი, დიდი მონაცემები, კიბერ-შესაძლებლობები) კონფლიქტის ონტოლოგიური ბუნების რეპროგრამირებას. კვლევის მიზანია დაადგინოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ციფრულ განვითარებასა და ძალაუფლების პროექციის ახალ მეთოდებს შორის, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის სამართლებრივ ზღვარს ქვემოთ ხორციელდება.

სტატიის თეორიული ჩარჩო ეფუძნება ნეორეალიზმის მოდიფიცირებულ პარადიგმას, კოგნიტური ომის თეორიასა და სტრატეგიული რეზილენტობის კონცეფციას. ანალიზი ცხადყოფს, რომ თანამედროვე პირობებში ძალაუფლება აღარ შემოიფარგლება მხოლოდ კინეტიკური ენერგიით; იგი გადაინაცვლებს ალგორითმულ უპირატესობასა და საზოგადოებრივი ნარატივების კონტროლში. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ კლასიკური შეკავების მოდელების კრიზისი მოითხოვს გადასვლას „ჭკვიანი შეკავებისა“ და „მთლიანი საზოგადოების მდგრადობის“ მოდელებზე.

დასკვნით ნაწილში ავტორი აყალიბებს რეკომენდაციებს სისტემური რეზილენტობის გაძლიერებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ახალი არქიტექტურის შესახებ. ნაშრომი ხაზს უსვამს, რომ ციფრული და კოგნიტური სუვერენიტეტის დაცვა წარმოადგენს თანამედროვე სახელმწიფოს გადარჩენისა და სტაბილურობის უმთავრეს პირობას ტექნოლოგიური გეოპოლიტიკის ეპოქაში.

საკვანძო სიტყვები: ნაცრისფერი ზონა, ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია, ჰიბრიდული ომი, კოგნიტური უსაფრთხოება, ალგორითმული მართვა, სტრატეგიული რეზილენტობა, ციფრული სუვერენიტეტი.

Projection of Power in the "Gray Zone": Technological Transformation and New Paradigms of Conflict

Sofiko Metreveli
Assistant Professor of Bachelor's Program in Defense and Security of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Abstract

This article explores the fundamental shifts within the 21st-century geopolitical landscape, where traditional military confrontation has been superseded by a realm of strategic ambiguity known as the "Gray Zone." The paper analyzes how modern technological transformation specifically Artificial Intelligence (AI), Big Data, and advanced cyber capabilities is reprogramming the ontological nature of conflict. The primary objective of this research is to establish the causal link between digital evolution and new methods of power projection that operate below the legal threshold of armed conflict.

The theoretical framework of this study is built upon a modified neo-realist paradigm, Cognitive Warfare theory, and the concept of strategic resilience. The analysis reveals that in the contemporary era, power is no longer limited to kinetic energy; rather, it has shifted toward algorithmic superiority and the control of societal narratives. The paper argues that the crisis of classical deterrence models necessitates a transition toward "Smart Deterrence" and a "Whole-of-Society" approach to resilience.

In its concluding section, the author formulates recommendations for strengthening systemic resilience and developing a new architecture for international cooperation. The research emphasizes that protecting digital and cognitive sovereignty is the paramount condition for the survival and stability of the modern state in the era of technological geopolitics.

Keywords: Gray Zone, Technological Transformation, Hybrid Warfare, Cognitive Security, Algorithmic Governance, Strategic Resilience, Digital Sovereignty.

შესავალი

21-ე საუკუნის გეოპოლიტიკური ლანდშაფტი განიცდის ფუნდამენტურ ცვლილებას, სადაც ტრადიციული დიქოტომია „ომი“ და „მშვიდობა“ კარგავს თავის ანალიტიკურ ვალიდურობას და ადგილს უთმობს სტრატეგიული გაურკვევლობის ახალ მდგომარეობას. ტექნოლოგიურმა პროგრესმა, ინფორმაციულმა გლობალიზაციამ და ასიმეტრიული ტაქტიკების დახვეწამ წარმოშვა ფენომენი, რომელსაც თანამედროვე სტრატეგიულ ლიტერატურაში „ნაცრისფერი ზონის“ (Grey Zone) კონფლიქტები ეწოდება. სტატიის მიზანია გააანალიზოს, თუ როგორ ახდენენ სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორები ძალაუფლების პროექციას ამ ბუნდოვან სივრცეში, სადაც დაპირისპირება მიმდინარეობს პირდაპირი შეიარაღებული კონფრონტაციის ზღურბლს ქვემოთ, თუმცა მისი შედეგები ეგზისტენციალური და სტრატეგიული მნიშვნელობისაა. კვლევის ცენტრალური ჰიპოთეზა მდგომარეობს იმაში, რომ ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია, იგივე ხელოვნური ინტელექტი, კიბერ-შესაძლებლობები და ავტონომიური სისტემები არა მხოლოდ ინსტრუმენტულად ცვლის ომის წარმოების მეთოდებს, არამედ ახდენს თავად კონფლიქტის პარადიგმის რეპროგრამირებას, რაც მოითხოვს უსაფრთხოების კლასიკური თეორიების რადიკალურ გადააზრებას.

ამ პროცესების თეორიული გააზრებისთვის აუცილებელია საერთაშორისო ურთიერთობების ნეორეალისტური პარადიგმის მოდიფიცირება. მიუხედავად იმისა, რომ ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოები კვლავ რჩებიან რაციონალურ აქტორებად, რომლებიც უსაფრთხოების დილემის პირობებში ძალაუფლების მაქსიმიზაციისკენ ისწრაფვიან, „ნაცრისფერი ზონის“ სპეციფიკა ცვლის ამ სწრაფვის მექანიზმებს. როგორც მაიკლ მაზარი აღნიშნავს, ნაცრისფერი ზონა არის სივრცე, სადაც აქტორები ცდილობენ სტატუს-კვოს შეცვლას ისე, რომ თავიდან აიცილონ პირდაპირი სამხედრო ესკალაცია და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური თუ ეკონომიკური დანახარჯები.[1] აქ ძალაუფლების პროექცია აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკური ტერიტორიის კონტროლით; იგი გადაინაცვლებს კოგნიტურ და ციფრულ სფეროებში, რაც ფრენკ ჰოფმანის მიერ ფორმულირებული „ჰიბრიდული ომის“ კონცეფციის ლოგიკური გაგრძელებაა.[2]

[1] M. J. Mazarr, Mastering the Gray Zone: Understanding a Changing Era of Strategic Conflict. Strategic Studies Institute, US Army War College Press. გვ. 5-12. (2018).

[2] F. G Hoffman, Conflict in the 21st Century: The Rise of Hybrid Wars. Potomac Institute for Policy Studies. p. 24-30. (2007).

ტექნოლოგიური დეტერმინიზმის ჭრილში, თანამედროვე კონფლიქტები ახდენენ კარლ ფონ კლაუზევიცის „ომის ტრიადის“ (ხალხი, არმია, მთავრობა) დეკონსტრუქციას. თუ კლასიკურ ეპოქაში დარტყმის მთავარი ობიექტი მოწინააღმდეგის არმია იყო, ციფრული ტრანსფორმაცია შესაძლებელს ხდის პირდაპირ ზემოქმედებას „ხალხის“ კომპონენტზე, საზოგადოებრივ აზრსა და სოციალურ კონსენსუსზე. ეს არის „კოგნიტური ომის“ არსი, სადაც ბრძოლის ველი ადამიანის გონებაა და სადაც ალგორითმული მართვა ხდება ძალაუფლების პროექციის უმთავრესი ინსტრუმენტი.[3] შესაბამისად, ჯოზეფ ნაის მიერ დამკვიდრებული „რბილი“ და „ხისტი“ ძალის ცნებები დღეს ტრანსფორმირდება „ციფრულ ძალაუფლებად“, რომელიც ეყრდნობა მონაცემთა ფლობასა და ტექნოლოგიურ დომინანტობას.[4]

ამავდროულად, „ნაცრისფერი ზონის“ აღზევება იწვევს კლასიკური შეკავების თეორიის კრიზისს. თომას შელინგის მიერ ცივი ომის დროს ჩამოყალიბებული მოდელი, რომელიც მკაფიო „წითელ ხაზებსა“ და გარდაუვალ საპასუხო დარტყმას ეფუძნებოდა, არაეფექტურია იმ პირობებში, როდესაც აგრესორი მოქმედებს ატრიბუციის (ავტორის იდენტიფიცირების) სირთულისა და ბუნდოვანი ლეგიტიმაციის ფარგლებში. კიბერშეტევები, ეკონომიკური იძულება და დეზინფორმაციული კამპანიები ისე აზიანებენ სახელმწიფოს მდგრადობას, რომ ხშირად ვერ ხერხდება საერთაშორისო სამართლის 51-ე მუხლის (თავდაცვის უფლება) ეფექტური ამოქმედება.[5] ამდენად, სტატია მიზნად ისახავს აჩვენოს, რომ 21-ე საუკუნის გეოპოლიტიკური ტრანსფორმაცია არა მხოლოდ ტექნოლოგიური სიახლეების ჯამია, არამედ კონფლიქტის ახალი ფილოსოფიაა, სადაც გამარჯვება მიიღწევა არა ბრძოლის ველზე, არამედ სოციალური, ციფრული და ინსტიტუციური რეზილენტობის (მდგრადობის) მოშლის გზით.

ძირითადი ნაწილი

ციფრული არსენალი და სტრატეგიული იძულება: ალგორითმული მართვა, როგორც ძალაუფლების პროექციის ინსტრუმენტი

შესავალში განხილული ომის ონტოლოგიური ტრანსფორმაცია პირდაპირ კავშირშია იმ ტექნოლოგიურ დრაივერებთან, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს ძალაუფლების პროექცია ფიზიკური ინტერვენციის გარეშე. თუ კლასიკური კონფლიქტოლოგია ძალაუფლებას სამხედრო პოტენციალის კონტექსტში განიხილავდა, 21-ე საუკუნის „ნაცრისფერი ზონის“

[3] P. W. Singer, & Brooking, E. T. LikeWar: The Weaponization of Social Media. Eamon Dolan/Houghton Mifflin Harcourt. рю 112-115. . (2018).
[4] J. S. Nye, The Future of Power. PublicAffairs. p. 210-215. (2011).
[5] Libicki, M. C. Cyberdeterrence and Cyberwar. RAND Corporation. p. 45-52. (2009).

კონფლიქტებში მთავარ მიზეზობრივ ფაქტორად ინფორმაციული ასიმეტრია და ალგორითმული უპირატესობა გვევლინება. ეს ტრანსფორმაცია არ არის მხოლოდ ტექნიკური სიახლე; იგი წარმოადგენს სტრატეგიულ გადასვლას კინეტიკური ენერგიიდან კოგნიტურ ზემოქმედებაზე, სადაც გამარჯვება არა მოწინააღმდეგის განადგურებით, არამედ მისი გადაწყვეტილების მიღების პროცესის პარალიზებით მიიღწევა.

პირველი და უმთავრესი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ვლინდება ე.წ. „დიდი მონაცემებისა“ და ხელოვნური ინტელექტის (AI) იარაღად გამოყენებაში. ნაცრისფერ ზონაში მოქმედი აქტორებისთვის სოციალური მედიის ალგორითმები გახდა სტრატეგიული იძულების ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას იძლევა მოხდეს საზოგადოებრივი ჯგუფების „მიკრო-თარგეთირება“. შედეგად, ხდება სოციალური პოლარიზაციის ხელოვნური სტიმულირება, რაც ასუსტებს სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობას და ქმნის შიდა დესტაბილიზაციის კერებს. როგორც პიტერ ზინგერი აღნიშნავს, ეს არის „LikeWar“ მდგომარეობა, სადაც ვირუსული ინფორმაცია ისეთივე ეფექტურია სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, როგორც ტრადიციული საარტილერიო დარტყმა, რადგან იგი არღვევს მოწინააღმდეგის სოციალურ ქსოვილს შიგნიდან.[6]

მეორე მხრივ, ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია წარმოშობს „ატრიბუციის დილემას“, რომელიც ნაცრისფერი ზონის მდგრადობის გარანტიაა. კიბერ-შესაძლებლობების განვითარებამ შესაძლებელი გახადა დარტყმების განხორციელება კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე (ენერგეტიკა, ფინანსური სისტემები) ისე, რომ აგრესორმა შეინარჩუნოს „დაჯერებული უარყოფადობა“. აქ ვლინდება მიზეზობრივი კავშირი ტექნოლოგიურ ანონიმურობასა და საერთაშორისო სამართლის ეროზიას შორის: ვინაიდან რთულია თავდასხმის ავტორის მყისიერი და უტყუარი იდენტიფიცირება, მსხვერპლი სახელმწიფო დგება „საპასუხო დარტყმის ლეგიტიმაციის“ პრობლემის წინაშე. ეს მდგომარეობა პირდაპირ ასუსტებს კლასიკური შეკავების მოდელს, რადგან აგრესორი ხედავს, რომ მისი მოქმედება შეიარაღებული კონფლიქტის ზღურბლს ქვემოთ რჩება და არ იწვევს საერთაშორისო სანქციებს ან სამხედრო პასუხს.[7]

გარდა ამისა, ავტონომიური სისტემებისა და დრონების მასობრივი გამოყენება ნაცრისფერ ზონაში ცვლის ძალაუფლების პროექციის ეკონომიკურ გათვლებს. ტექნოლოგიამ მკვეთრად შეამცირა კონფლიქტში ჩართვის „შესვლის ბარიერი“. მცირე სახელმწიფოებსა თუ არასახელმწიფო აქტორებსაც კი ეძლევათ საშუალება, შექმნან სტრატეგიული საფრთხეები

[6]Ibid. Singer, P. W., & Brooking, E. T. (2018). 2
[7] Libicki, M. C. Cyberspace in Peace and War. Naval Institute Press. p. 88-94, (2017).

გლობალური მოთამაშეებისთვის. ეს იწვევს „პასუხისმგებლობის დიფუზიას“ კონფლიქ-ტები ხდება უფრო ფრაგმენტირებული და რთულად სამართავი. ტექნოლოგიური ტრანს-ფორმაციის შედეგად, ჩვენ მივიღეთ გარემო, სადაც ძალაუფლება აღარ არის იერარქიული და მხოლოდ სახელმწიფოზე ორიენტირებული; იგი გახდა ქსელური, სადაც უპირატესობა აქვს მას, ვინც უკეთ ფლობს ინფორმაციულ ნაკადებს და ციფრულ ინფრასტრუქტურას. ამ-დენად, 21-ე საუკუნის პირველ ნახევარში გეოპოლიტიკური უსაფრთხოება აღარ განიხი-ლება მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის ჭრილში იგი გადავიდა ციფრული და კოგ-ნიტური სუვერენიტეტის დაცვის სიბრტყეში.[8]

სტრატეგიული დესტაბილიზაცია და ძალაუფლების რეპროგრამირება: კინეტიკური შეკავებიდან კოგნიტურ დომინანტობამდე

ზემოთ განხილული ტექნოლოგიური დრაივერები წარმოადგენს იმ ფუნდამენტს, რო-მელზეც ძალაუფლების პროექციის ახალი ფორმები შენდება. თუმცა, კონფლიქტოლო-გიური პერსპექტივიდან, 21-ე საუკუნის გეოპოლიტიკური ტრანსფორმაცია მხოლოდ „შე-იარაღების მოდერნიზაციით“ არ შემოიფარგლება. საქმე გვაქვს ფუნდამენ-ტურ გადასვ-ლასთან კლასიკური კინეტიკური შეკავების მოდელიდან კოგნიტური და ინსტიტუციური ეროზიის კომპლექსურ სტრატეგიაზე. „ნაცრისფერი ზონის“ კონ-ფლიქტების მთავარი ონ-ტოლოგიური მახასიათებელი ისაა, რომ აქ გამარჯვება აღარ განისაზღვრება მოწინააღმდე-გის ფიზიკური კაპიტულაციით; ნაცვლად ამისა, მიზანი სამიზნე სახელმწიფოს სოცია-ლურ-პოლიტიკური სისტემის შინაგანი დესტაბილიზაციაა, რაც „გამარჯვების“ ტრადიცი-ული გაგების რადიკალურ რევიზიას ახდენს.

ამ პროცესში მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვი მკაფიოდ იკვეთება: ტექნოლოგიური განვითა-რება აგრესორს აძლევს სტრატეგიულ შესაძლებლობას, გვერდი აუაროს მსხვერპლი სა-ხელმწიფოს სამხედრო პოტენციალს და დარტყმა პირდაპირ მის პოლიტიკურ ნებაზე მიი-ტანოს. სტრატეგიულ ლიტერატურაში ამ პარადიგმას „არაწრფივი ომი“ ეწოდება. მოცემულ კონტექსტში ძალაუფლების პროექცია ხორციელდება ე.წ. „სალიამის ტაქტიკით“, რაც გუ-ლისხმობს მცირე, ერთი შეხედვით უმნიშვნელო და ლოკალური ნაბიჯებით, რომლებიც ცალ-ცალკე აღებული არ წარმოადგენს კასუს ბელი-ს, თუმცა კუმულაციურად იწვევს გეოპოლიტიკური სტატუს-კვოს შეუქცევად ცვლილებას.[9] ტექნოლოგიური ტრანსფორმა-ცია ამ ტაქტიკას მასშტაბურობასა და მრავალფეროვნებას ანიჭებს: თუ ადრე „სალიამის

[8] E. B. Kania, Battlefield Singularity: Artificial Intelligence, Military Revolution, and China's Future Strategic Ambition. Center for a New American Security. p. 12-20. (2019).

[9] A. Lanoszka, Russian Hybrid Warfare and Extended Deterrence. International Affairs. Vol. 92, No. 1. p. 175-195. (2016).

ტაქტიკა“ მხოლოდ ტერიტორიულ ხელყოფას გულისხმობდა, დღეს იგი მოიცავს შეტევებს ციფრულ ინფრასტრუქტურაზე, ენერგეტიკულ უსაფრთხოებასა და საინფორმაციო ველზე.

კონფლიქტოლოგიური თვალსაზრისით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია იმის გააზრება, თუ როგორ გარდაქმნის ტექნოლოგია „უსაფრთხოების დილემას“. კლასიკური რეალიზმის ფარგლებში, ერთი სახელმწიფოს მიერ შეიარაღების გაზრდა მეორეს ანალოგიური საპასუხო ნაბიჯისკენ უბიძგებდა, რაც ხშირად შეიარაღების ღია რბოლით სრულდებოდა. „ნაცრისფერ ზონაში“ კი ძალაუფლების პროექცია „ფარული“ ხასიათისაა და ეფუძნება „დაჯერებული უარყოფადობის“ პრინციპს. კიბერ-შესაძლებლობებისა და ალგორითმული მართვის მეშვეობით, აქტორები გავლენას ახდენენ მოწინააღმდეგის საარჩევნო პროცესებზე, ეკონომიკურ გადაწყვეტილებებსა და სოციალურ განწყობებზე. ეს იწვევს „სტრატეგიულ პარალიზს“ - სახელმწიფო განიცდის სისტემურ ზიანს, თუმცა ვერ პოულობს ადეკვატურ სამხედრო თუ პოლიტიკურ პასუხს, ვინაიდან თავდასხმა არ თავსდება ომის ტრადიციულ დეფინიციაში. შედეგად, ვიღებთ „მუდმივი კონფლიქტის“ მდგომარეობას, სადაც ზღვარი მშვიდობასა და ომს შორის საბოლოოდ იშლება.[10]

ამ ტრანსფორმაციის კიდევ ერთი ასპექტია „სტრატეგიული ნარატივების“ იარაღად ქცევა. 21-ე საუკუნეში ძალაუფლება აღარ განისაზღვრება მხოლოდ იმით, თუ „ვისი არმია გაიმარჯვებს“; დღეს გადამწყვეტია, თუ „ვისი ისტორია (ნარატივი) გაიმარჯვებს“. ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული დეზინფორმაცია და „ღრმა ყალბი“ ტექნოლოგიები რეალობის სრული კონსტრუქციის შესაძლებლობას იძლევა. აგრესორი სახელმწიფოები ამ ინსტრუმენტებს მოწინააღმდეგე საზოგადოებაში შიდა დაპირისპირების გასაღვივებლად იყენებენ. კონფლიქტოლოგიური თვალსაზრისით, ეს არის „ვერტიკალური კონფლიქტის“ (სახელმწიფო საკუთარი ხალხის წინააღმდეგ) ხელოვნური პროვოცირება გარე აქტორის მიერ. ეს ძალაუფლების რეპროგრამირების უმაღლესი დონეა: სამხედრო ძალა მეორეხარისხოვანი ხდება იქ, სადაც საზოგადოების ფსიქოლოგიური მდგრადობა მოშლილია.[11]

დაბოლოს, უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ გეოპოლიტიკურმა ტრანსფორმაციამ წარმოშვა „სუვერენიტეტის ახალი განზომილება“. თუ ადრე სუვერენიტეტი მხოლოდ ფიზიკურ საზღვრებს ეფუძნებოდა, დღეს იგი მონაცემთა ნაკადებსა და ტექნოლოგიურ სტან-

[10] V. Gerasimov, The Value of Science Is in the Foresight: New Challenges Demand Rethinking the Forms and Methods of Combat Operations. Military-Industrial Kurier. (2013).

[11] A. Miskimmon, B.O'Loughlin, & Roselle, L. Strategic Narratives: Communication Power and the New World Order. Routledge. (2013).

დარტებშია გადატანილი. ძალაუფლების პროექცია „ნაცრისფერ ზონაში“ სწორედ ციფრული სუვერენიტეტის შელახვას ისახავს მიზნად. სახელმწიფო, რომელიც ვერ აკონტროლებს საკუთარ ციფრულ ინფრასტრუქტურას, კარგავს ავტონომიას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შესაბამისად, არსებობს პირდაპირი კავშირი პოლიტიკურ სტაბილურობასა და ტექნოლოგიურ დამოუკიდებლობას შორის. სახელმწიფო, რომელსაც არ გააჩნია მყარი კიბერ-თავდაცვა და მედია-წიგნიერი საზოგადოება, განწირულია გეოპოლიტიკური მარგინალიზაციისთვის. მოცემული ანალიზი ადასტურებს, რომ ძალაუფლება 21-ე საუკუნეში არის ინტელექტუალური და ტექნოლოგიური შეჯიბრი, სადაც უპირატესობა მას რჩება, ვინც უკეთ მოახდენს სახელმწიფოებრივი სისტემის ადაპტაციას ჰიბრიდული საფრთხეების პირობებში.[12]

სისტემური რეზილენტობა და საერთაშორისო თანამშრომლობა: „ნაცრისფერი ზონის“ გამოწვევების დაძლევის სტრატეგიები

ზემოთაღნიშნულმა ტექნოლოგიურმა ტრანსფორმაციამ და ძალაუფლების პროექციის ახალმა ფორმებმა ნათლად აჩვენა, რომ ტრადიციული, ხაზოვანი სამხედრო თავდაცვის მოდელები აღარ არის საკმარისი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის სრულფასოვანი დაცვისთვის. კონფლიქტოლოგიური პერსპექტივიდან, „ნაცრისფერი ზონის“ პირობებში უსაფრთხოების უმთავრეს გარანტად არა მხოლოდ შეიარაღებული ძალების სიმძლავრე, არამედ სისტემური რეზილენტობა გვევლინება. რეზილენტობა, მოცემულ კონტექსტში, განიმარტება როგორც სახელმწიფოს, ინსტიტუტებისა და საზოგადოების კომპლექსური უნარი, გაუძლოს გარე შოკებს, შეინარჩუნოს ფუნქციონირება კრიზისულ პირობებში და მოახდინოს ჰიბრიდული შეტევების ნეიტრალიზაცია ისე, რომ არ დაუშვას პოლიტიკური სისტემის კოლაფსი ან სოციალური დეგრადაცია.

ამ მიმართულებით მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი მიგვითითებს იმაზე, რომ რეზილენტობის პირველი და უმნიშვნელოვანესი დონე კოგნიტურ უსაფრთხოებაზე გადის. ვინაიდან 21-ე საუკუნის კონფლიქტების ერთ-ერთი უმთავრესი სამიზნე საზოგადოებრივი კონსენსუსია, სახელმწიფოების სტრატეგიული პრიორიტეტი საინფორმაციო სივრცის დაცვა და მედია-წიგნიერების დონის ფუნდამენტური ამაღლება ხდება. კოგნიტური მდგრადობა გულისხმობ საზოგადოების „ფსიქოლოგიური იმუნიტეტის“ გამომუშავებას დეზინფორმაციისა და ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული მანიპულაციების მიმართ. ეს არ

[12]B. Buzan, & O. Wæver, Regions and Powers: The Structure of International Security. Cambridge University Press. p. 45-53. (2003).

არის მხოლოდ საგანმანათლებლო ამოცანა; ეს არის ეგზისტენციალური აუცილებლობა იმისათვის, რომ აღიკვეთოს გარე აქტორების მიერ შიდა ეთნიკური, რელიგიური თუ პოლიტიკური ნაპრალების ინსტრუმენტალიზაცია. სახელმწიფო, რომლის საზოგადოებაც კრიტიკულად აანალიზებს ინფორმაციულ ნაკადებს, ხდება „რთული სამიზნე" ნაცრისფერი ზონის ოპერატორებისთვის.[13]

მეორე მხრივ, ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია მოითხოვს საერთაშორისო თანამშრომლობის ახალ არქიტექტურას, რომელიც გასცდება კლასიკური სამხედრო ალიანსების ფარგლებს. ვინაიდან ნაცრისფერი ზონის ოპერაციები ტრანსსასაზღვრო ხასიათისაა და დიდწილად გლობალურ ციფრულ ინფრასტრუქტურას ეყრდნობა, ვერცერთი სახელმწიფო, მიუხედავად მისი რესურსული სიმძლავრისა, ვერ უზრუნველყოფს იზოლირებულ უსაფრთხოებას. აქ ჩნდება საჭიროება „კოლექტიური რეზილენტობის" კონცეფციისა. ეს გულისხმობს არა მხოლოდ სადაზვერვო ინფორმაციის ოპერატიულ გაზიარებას, არამედ ტექნოლოგიური სტანდარტების ჰარმონიზაციასა და კიბერ-თავდაცვის ერთიანი ქოლგის შექმნას. საერთაშორისო ინსტიტუტებმა, როგორიცაა ნატო და ევროკავშირი, უკვე დაიწყეს მუშაობა „მდგრადობის საბაზისო მოთხოვნებზე", თუმცა კვლავ აქტუალურია უფრო მოქნილი საერთაშორისო-სამართლებრივი ჩარჩოების შექმნა, რომლებიც „აგრესიის" დეფინიციას 21-ე საუკუნის ტექნოლოგიურ რეალობას მოარგებენ და საშუალებას მისცემენ სახელმწიფოებს, მოახდინონ კოლექტიური რეაგირება არაკინეტიკურ შეტევებზე.[14]

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს „ჭკვიანი შეკავების" მექანიზმების ევოლუციას. თუ კლასიკური შეკავება ცივი ომის ეპოქაში მხოლოდ სამხედრო პასუხის მუქარას ეფუძნებოდა, თანამედროვე პირობებში იგი მრავალშრიანი და პროაქტიული უნდა იყოს. ეს მოიცავს „შეკავებას უარყოფის გზით" მდგომარეობას, როდესაც მსხვერპლი სახელმწიფოს კრიტიკული ინფრასტრუქტურა იმდენად მდგრადია, რომ აგრესორისთვის შეტევა აზრს კარგავს მისი არაპროპორციულად მაღალი დანახარჯებისა და დაბალი ეფექტურობის გამო. ამ კონტექსტში ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია უკვე თავდაცვის სასარგებლოდ უნდა იქნეს გამოყენებული: ხელოვნური ინტელექტით მართული კიბერ-სისტემები და დიდი მონაცემების ანალიტიკა იძლევა საშუალებას, მოხდეს ჰიბრიდული საფრთხეების ადრეული იდენტიფიცირება, ანომალიების აღმოჩენა საინფორმაციო ნაკადებში და პრევენციული რეაგირება მანამ, სანამ კონფლიქტი ღია ფაზაში გადავა.[15]

---

[13] J. S. Nye, The Future of Power. PublicAffairs. p. 215-220. (2011).
[14] B. R. Posen, Restraint: A New Foundation for U.S. Grand Strategy. Cornell University Press. (2014).
[15] T. Rid, Cyber War Will Not Take Place. Oxford University Press. (2013).

დაბოლოს, სისტემური რეზილენტობა მოითხოვს სახელმწიფო მართვის ალგო-რითმებ-ის გადახედვას. ნაცრისფერი ზონის პირობებში აუცილებელია უწყებათაშორისი კოორდი-ნაციის უმაღლესი დონე, სადაც სპეცსამსახურები, ტექნოლოგიური სექტორი, აკადემიური წრეები და სამოქალაქო საზოგადოება ერთიანი სტრატეგიით მოქმედებენ. ეს არის ე.წ. „მთლიანი საზოგადოების მიდგომა“, რომელიც უსაფრთხოებას განიხილავს არა როგორც მხოლოდ ძალოვანი სტრუქტურების პრეროგატივას, არამედ როგორც ეროვნული თვით-მყოფადობისა და ფუნქციონალური მდგრადობის განუყოფელ ნაწილს. მხოლოდ ასეთი კომპლექსური მიდგომითაა შესაძლებელი ძალაუფლების პროექციის იმ ახალ გამოწვევებ-თან გამკლავება, რომლებსაც 21-ე საუკუნის ტექნოლოგიური გეოპოლიტიკა გვთავაზობს.[16]

დასკვნა

სტატიაში განხილულმა „ნაცრისფერი ზონის“ კონფლიქტების კომპლექსურმა ანალიზმა ცხადყო, რომ 21-ე საუკუნის გეოპოლიტიკური ტრანსფორმაცია არა მხოლოდ ტექნოლოგი-ური პროგრესის პირდაპირი შედეგია, არამედ ძალაუფლების პროექციის ფუნდამენტურად ახალი პარადიგმაა. კვლევის ფარგლებში დადასტურდა ჰიპოთეზა, რომ ტექნოლოგიური დრაივერები ხელოვნური ინტელექტი, დიდი მონაცემები და კიბერ-შესაძლებლობები ახ-დენენ კონფლიქტის ბუნების რეპროგრამირებას, რაც ტრადიციულ სამხედრო დაპირის-პირებას კოგნიტური და ინსტიტუციური ეროზიის სტრატეგიით ანაცვლებს.

ნაშრომში გამოკვეთილი ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ჩამოყალიბდეს რამდენიმე შემაჯამებელი დასკვნა:

- ომის ონტოლოგიური ტრანსფორმაცია: კვლევამ აჩვენა, რომ ზღვარი ომსა და მშვიდო-ბას შორის საბოლოოდ წაიშალა „ნაცრისფერი ზონის“ აღზევებით. აგრესორი აქტორები „დაჯერებული უარყოფადობის“ პრინციპით აღწევენ სტრატეგიულ მიზნებს ისე, რომ მათი მოქმედებები შეიარაღებული კონფლიქტის სამართლებრივ ზღვარს ქვემოთ რჩება. ეს მდგომარეობა პარალიზებას უკეთებს კლასიკური საერთაშორისო სამართლის მექა-ნიზმებს და აიძულებს სახელმწიფოებს, გადახედონ თავდაცვისა და უსაფრთხოების ტრადიციულ გაგებას.
- ძალაუფლების ციფრული განზომილება: 21-ე საუკუნეში სახელმწიფო სუვერენიტეტი გადამწყვეტად არის დამოკიდებული ინფორმაციულ და ტექნოლოგიურ დომინანტო-ბაზე. სამხედრო პოტენციალი კარგავს თავის კლასიკურ შეკავების ფუნქციას იქ, სადაც საზოგადოებრივი კონსენსუსი და სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობა კოგნიტური

[16] H. G. Brauch, Concepts of Security Threats, Challenges, Vulnerabilities and Risks. (2011).

ოპერაციებისა და ალგორითმული მანიპულაციების შედეგად არის მოშლილი. ძალაუფლების პროექცია დღეს გულისხმობს არა ტერიტორიის დაპყრობას, არამედ მოწინააღმდეგის გადაწყვეტილების მიღების პროცესის კონტროლსა და პარალიზებას.

- სისტემური რეზილენტობის პრიორიტეტულობა: კლასიკური შეკავების მოდელების კრიზისმა დღის წესრიგში დააყენა სისტემური რეზილენტობის (მდგრადობის) აუცილებლობა. უსაფრთხოების ახალი არქიტექტურა უნდა დაეფუძნოს არა მხოლოდ შეიარაღების დაგროვებას, არამედ საზოგადოებრივ მდგრადობას, კიბერ-თავდაცვის გაძლიერებასა და მრავალშრიან საერთაშორისო თანამშრომლობას. კოგნიტური იმუნიტეტი და ტექნოლოგიური დამოუკიდებლობა თანამედროვე სახელმწიფოს გადარჩენის მთავარი პირობაა.

საბოლოო ჯამში, კონფლიქტოლოგიური ანალიზი ცხადყოფს, რომ გეოპოლიტიკურ ტრანსფორმაციებთან ადაპტაცია სახელმწიფოებრივი აზროვნების სრულ გარდაქმნას მოითხოვს. სახელმწიფო, რომელიც ვერ შეძლებს საკუთარი უსაფრთხოების პოლიტიკის მორგებას ციფრული ეპოქის ასიმეტრიულ გამოწვევებთან, გარდაუვლად აღმოჩნდება სტრატეგიული გაურკვევლობისა და ჰიბრიდული გავლენების მსხვერპლი. 21-ე საუკუნის მშვიდობა აღარ არის მხოლოდ „ომის არარსებობა"; ის არის დინამიკური და მუდმივი პროცესი, რომელიც მოითხოვს უწყვეტ ტექნოლოგიურ სიფხიზლეს, სოციალური კაპიტალის დაცვასა და საერთაშორისო წესრიგის ახლებურ, ჰოლისტურ გააზრებას.

ბიბლიოგრაფია

Brauch, H. G. Concepts of security threats, challenges, vulnerabilities and risks. Springer. (2011).

Buzan, B., & Wæver, O. Regions and powers: The structure of international security. Cambridge University Press. (2003).

Gerasimov, V. The value of science is in the foresight: New challenges demand rethinking the forms and methods of combat operations. Military-Industrial Kurier. (2013).

Hoffman, F. G. Conflict in the 21st century: The rise of hybrid wars. Potomac Institute for Policy Studies. (2007).

Kania, E. B. Battlefield singularity: Artificial intelligence, military revolution, and China's future strategic ambition. Center for a New American Security. (2019).

Lanoszka, A. Russian hybrid warfare and extended deterrence. International Affairs, 92(1), 175-195. (2016).

Libicki, M. C. Cyberdeterrence and cyberwar. RAND Corporation. (2009).

Libicki, M. C. Cyberspace in peace and war. Naval Institute Press. (2017).

Mazarr, M. J. Mastering the gray zone: Understanding a changing era of strategic conflict. Strategic Studies Institute, US Army War College Press. (2018).

Miskimmon, A., O'Loughlin, B., & Roselle, L. Strategic narratives: Communication power and the new world order. Routledge. (2013).

Nye, J. S. The future of power. PublicAffairs. (2011).

Posen, B. R. Restraint: A New foundation for U.S. grand strategy. Cornell University Press. (2014).

Rid, T. Cyber war will not take place. Oxford University Press. (2013).

Singer, P. W., & Brooking, E. T. LikeWar: The weaponization of social media. Eamon Dolan/Houghton Mifflin Harcourt. (2018).

პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოების სტრატეგიები დიდი ძალების გეოპოლიტიკური კონკურენციის პირობებში: აზერბაიჯანისა და სომხეთის შედარებითი ანალიზი

შოთა ოთხოზორია
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის
თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების ასისტენტ პროფესორი
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი

აბსტრაქტი

21-ე საუკუნის საერთაშორისო სისტემა ხასიათდება გეოპოლიტიკური ძალთა გადანაწილებითა და დიდი სახელმწიფოების კონკურენციის გაძლიერებით, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოების პოლიტიკაზე. ასეთ პირობებში მცირე რესურსების მქონე სახელმწიფოები ცდილობენ შეიმუშაონ ისეთი სტრატეგიები, რომლებიც უზრუნველყოფს მათი სუვერენიტეტისა და ეროვნული უსაფრთხოების დაცვას.

პატარა სახელმწიფოები ხშირად იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიულ მიდგომას, მათ შორის ბალანსირებას (Balancing), მიტმასნებას (bandwagoning), მრავალვექტორულობას (Hedging) და უსაფრთხოების თავშესაფარს (Shelter), რათა ეფექტურად უპასუხონ საერთაშორისო სისტემაში არსებულ გამოწვევებს.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს დიდი ძალების გეოპოლიტიკური კონკურენციის პირობებში პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოების სტრატეგიების ანალიზს, სამხრეთ კავკასიის რეგიონში. კვლევა ეფუძნება შედარებით მეთოდს და განიხილავს ორი სახელმწიფოს - აზერბაიჯანისა და სომხეთის - საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას 2020 წლის ყარაბაღის მეორე ომამდე. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქვეყანა გეოგრაფიულად ერთსა და იმავე რეგიონში მდებარეობს და მსგავსი უსაფრთხოების გამოწვევების წინაშე დგას, მათი სტრატეგიული არჩევანი მნიშვნელოვნად განსხვავდება.

ნაშრომში გაანალიზებულია რეგიონული გეოპოლიტიკური გარემო და დიდი ძალების გავლენა სამხრეთ კავკასიაში, როგორებიცაა: **რუსეთი, თურქეთი, ირანი, აშშ, ჩინეთი, ევროკავშირი და ნატო.**

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ აზერბაიჯანი იყენებს მრავალვექტორულ საგარეო პოლიტიკასა და ბალანსირებას, რაც ზრდის მის სტრატეგიულ ავტონომიას საერთაშორისო სისტემაში. ამის საპირისპიროდ, სომხეთის უსაფრთხოების პოლიტიკა მეტად იყო დამოკიდებული ერთ მთავარ უსაფრთხოების პარტნიორზე, რაც განსხვავებულ სტრატეგი-ულ მოდელს წარმოაჩენს. შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოების პოლიტიკა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება როგორც მათი შიდა რესურსებით, ასევე რეგიონული და გლობალური გეოპოლიტიკური გარემოთი.

საკვანძო სიტყვები: პატარა სახელმწიფოები, მრავალვექტორული პოლიტიკა, მიტმასნება, ბალანსი, უსაფრთხოების თავშესაფარი, უსაფრთხოების პოლიტიკა, სამხრეთ კავკასია.

Security Strategies of Small States in the Context of Great Power Geopolitical Competition: A Comparative Analysis of Azerbaijan and Armenia

Shota Otkhozoria
Assistant Professor of Bachelor's Program in Defense and Security of
LEPL David Agmashenebeli National Defense Academy of Georgia
Doctor of International Relations

Abstract

The international system of the 21st century is defined by a dynamic distribution of geopolitical power and the intensification of competition among major powers, both of which significantly shape the security policies of small states. In this context, states with limited material and political resources endeavor to formulate strategies that safeguard their sovereignty and ensure national security.

Small states typically adopt a variety of strategic approaches—such as balancing, bandwagoning, hedging, and security sheltering—in order to navigate the complexities of the international system and respond effectively to external challenges.

This paper seeks to examine the security strategies of small states in the South Caucasus within the broader framework of great power competition. Employing a comparative methodological approach, the study analyzes the foreign and security policies of two countries—Azerbaijan and Armenia—prior to the Second Karabakh War of 2020. Despite their shared geographical location and exposure to similar security threats, the two states have pursued markedly different strategic trajectories.

Furthermore, the paper assesses the regional geopolitical environment and evaluates the role and influence of key external actors in the South Caucasus, including Russia, Turkey, Iran, the United States, China, the European Union, and NATO.

The findings suggest that Azerbaijan has pursued a multi-vector foreign policy, complemented by a balancing strategy, thereby enhancing its strategic autonomy within the international system. In contrast, Armenia's security policy has been characterized by a greater reliance on a single principal security partner, reflecting a distinct strategic model. The comparative analysis underscores that the security policies of small states are shaped by a combination of internal capacities and the broader regional and global geopolitical context.

Keywords: small states; multi-vector foreign policy; bandwagoning; balancing; security shelter; security policy; South Caucasus.

შესავალი

თანამედროვე საერთაშორისო სისტემას ახასიათებს გლობალურ ძალთა მიერ გავლენათა გადანაწილების დინამიკა, რომელიც მცირე სახელმწიფოებისთვის ქმნის, როგორც შესაძლებლობებსა ისე გამოწვევებს. ცივი ომის დასრულების შემდეგ ჩამოყალიბებული ერთპოლარული საერთაშორისო წესრიგი 21-ე საუკუნეში თანდათანობით შეიცვალა უფრო კომპლექსური და მრავალპოლარული გლობალური სისტემით, სადაც სხვადასხვა ძალის ცენტრები ცდილობენ საკუთარი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო გავლენის გაფართოებას. ამ პროცესს თან ახლავს დიდი სახელმწიფოების კონკურენციის გაძლიერება, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონებში.

ასეთ რეგიონებს შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სამხრეთ კავკასია, რომელიც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ ერთ-ერთ გეოპოლიტიკურ სივრცეს წარმოადგენს. ამასთან, რეგიონი გამოირჩევა როგორც ენერგეტიკული რესურსებით, ისე სატრანსპორტო და ენერგეტიკული დერეფნებით, რაც ზრდის მის სტრატეგიულ მნიშვნელობას საერთაშორისო პოლიტიკაში. შედეგად, სამხრეთ კავკასია წარმოადგენს დიდი სახელმწიფოების ინტერესების გადაკვეთის ადგილს, სადაც აქტიურად მოქმედებენ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა **რუსეთი, თურქეთი, ირანი, აშშ, ჩინეთი** და სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტები, მათ შორის **ევროკავშირი და ნატო.**

გარდა ამისა, საერთაშორისო პოლიტიკის კვლევებში გაიზარდა ყურადღება **პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოების პოლიტიკის დინამიკაზე**, ვინაიდან ისინი ხშირად აღმოჩნდებიან დიდი ძალების ინტერესთა გადაკვეთის არეალში.

ამ გარემოში, შეზღუდული სამხედრო, ეკონომიკური და დემოგრაფიული რესურსების გამო რეგიონის პატარა სახელმწიფოები ხშირად დგანან რთული სტრატეგიული არჩევანის წინაშე. მათ უნდა მოახერხონ საკუთარი სუვერენიტეტისა და ეროვნული ინტერესების დაცვა საერთაშორისო სისტემაში, სადაც ძალთა ბალანსი დიდწილად, დიდი სახელმწიფოების მიერ განისაზღვრება. სწორედ ამიტომ, რეგიონის პატარა სახელმწიფოები ხშირად მიმართავენ სხვადასხვა სტრატეგიულ მიდგომას, როგორიცაა: *ბალანსირება (Balancing), მიტმასნება (bandwagoning), მრავალვექტორულობა (Hedging) და უსაფრთხოების თავშესაფარი (Shelter).*

ნაშრომის მიზანია:

1. გაანალიზოს პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოების პოლიტიკა დიდი ძალების კონკურენციის კონტექსტში;
2. შეადაროს აზერბიჯანისა და სომხეთის სტრატეგიული მიდგომები;

3. გასცეს პოლიტიკის რეკომენდაციები პატარა სახელმწიფოებისათვის.

კვლევა პასუხობს კითხვას: -რამ განაპირობა აზერბაიჯანის წარმატება?

ანალიზის დროითი ჩარჩო ვრცელდება პოსტსაბჭოთა ეპოქიდან 2020 წლამდე.

კვლევა ეყრდნობა *შემთხვევის შესწავლის შედარებით ანალიზის მეთოდს* (ორი ან მეტი შემთხვევის ანალიზი კონტექსტებს შორის მსგავსებების, განსხვავებებისა და კანონზომიერებების გამოსავლენად) და როგორც *თეორიული*, ისე *ემპირიული ანალიზის* ინტეგრირებას.

ძირითადი ნაწილი

თეორიული ჩარჩო: პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოების სტრატეგიები საერთაშორისო ურთიერთობებში

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში ძირითადი ყურადღება დიდი ძალების პოლიტიკაზეა კონცენტრირებული, პატარა სახელმწიფოებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რეგიონული და გლობალური პროცესების ფორმირებაში. მათი უსაფრთხოების პოლიტიკა განსაკუთრებით საინტერესოა იმ პირობებში, როდესაც საერთაშორისო სისტემა ხასიათდება ძალთა ასიმეტრიით და დიდი სახელმწიფოების კონკურენციით.

ნეორეალიზმის მიხედვით, საერთაშორისო სისტემა ანარქიულია და სახელმწიფოები იძულებულნი არიან საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე თავად იზრუნონ. ამ მიდგომის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი კენეტ უოლცი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოების ქცევა დიდწილად განისაზღვრება საერთაშორისო სისტემის სტრუქტურითა და ძალთა განაწილებით.[1] პატარა სახელმწიფოებისთვის ასეთი გარემო განსაკუთრებით რთულია, რადგან მათი სამხედრო და ეკონომიკური შესაძლებლობები შეზღუდულია, რაც მათ უსაფრთხოების პოლიტიკას მეტად დამოკიდებულს ხდის გარე ფაქტორებზე.

ნეორეალიზმი ხაზს უსვამს, რომ სახელმწიფოები მოქმედებენ სისტემაში, სადაც ძალთა ბალანსი განსაზღვრავს უსაფრთხოების სტრატეგიებს.[2] პატარა სახელმწიფოები, რომლებიც შეზღუდული სამხედრო და ეკონომიკური რესურსებით ხასიათდებიან, ხშირად ამ პარადიგმის გამოყენებით ცდილობენ დაიცვან სუვერენიტეტი დიდი ძალების კონკურენციის პირობებში.

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოების სტრატეგიები ხშირად რამდენიმე ძირითადი კონცეფციის ფარგლებში განიხილება. ერთ-

[1] N. Waltz, Kenneth, *Theory of International Politics*. Addison-Wesley Publishing Company, Inc. 1979, 111-125.
[2] Ibid, 105–10, N. Waltz, Kenneth, 1979

ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მათგანია **ბალანსირების (balancing)** სტრატეგია, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოები ცდილობენ შეამცირონ ძლიერი აქტორის გავლენა საკუთარი შესაძლებლობების გაზრდით ან სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობით. აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით აქტუალურია რეგიონებში, სადაც რამდენიმე დიდი ძალაა ჩართული კონკურენციაში.

მეორე მნიშვნელოვანი სტრატეგიაა **მიტმასნება (bandwagoning)**, რომელიც გულისხმობს პატარა სახელმწიფოს მიერ უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, საფრთხის შემცველ ძლიერ ძალასთან დაახლოებას. როგორც მეარშეიმერი მიუთითებს, პატარა სახელმწიფოები ხშირად იყენებენ **მიტმასნებას** (bandwagoning) -სტრატეგია, სადაც სუსტი სახელმწიფო უფრო ძლიერ, პოტენციურად საფრთხის შემცველ ძალასთან შედის კავშირში.[3]

თანამედროვე ლიტერატურა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს **მრავალვექტორულ პოლიტიკას (Hedging)**-რისკების მართვის სტრატეგია, სადაც სახელმწიფო თავს არიდებს რომელიმე ერთი ძალის წინაშე ზედმეტ ვალდებულებების აღებას და ამის ნაცვლად, დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად მრავალმხრივ პარტნიორობას ანვითარებს. [4] ეს მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ რეგიონებისათვის, სადაც რამდენიმე დიდი ძალის ინტერესები თანაარსებობს.

პატარა სახელმწიფოებისთვის ასევე მნიშვნელოვანია **„უსაფრთხოების თავშესაფარი" (Shelter)**. ამ კონცეფციის მიხედვით პატარა სახელმწიფოები უფრო დიდი სახელმწიფოებისგან ან საერთაშორისო ორგანიზაციებისგან დაცვას, სტაბილურობასა და მხარდაჭერას იძენენ. ეს თეორია გულისხმობს, რომ პატარა სახელმწიფოს უსაფრთხოებას მხოლოდ სამხედრო ძალა ვერ უზრუნველყოფს, საჭიროა პოლიტიკური (დიპლომატიური მხარდაჭერა/ ნორმები), ეკონომიკური (სესხები/ბაზარზე წვდომა) და სოციალური (კულტურული/ ცოდნის გაცვლა) შესაძლებლობების განვითარება. ძლიერ აქტორებთან შეთანხმებით, პატარა სახელმწიფოები მიზნად ისახავენ კრიზისების რისკის შემცირებას, გარე შოკების ატანას და აღდგენის პერიოდში დახმარების მიღებას.[5]

აღნიშნული თეორიული მიდგომები მნიშვნელოვან ანალიტიკურ ჩარჩოს ქმნის სამხრეთ კავკასიის რეგიონში პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოების პოლიტიკის შესასწავლად. განსაკუთრებით საინტერესოა ორი სახელმწიფოს აზერბაიჯანისა და სომხეთის -

---

[3] John J. Mearsheimer. *The Tragedy of Great Power Politics,* University of Chicago, 2001, 139. ; ალექსანდრე რონდელი, *საერთაშორისო ურთიერთობები,* მესამე განახლებული გამოცემა, თბილისი 2006, 156-158.

[4] Fabio Figiaconi, Choosing not to choose: Hedging as a category of neutrality , *European Journal of International Security* (2025), page 1- 20. https://shorturl.at/8VeA8 ; Kuik Cheng-Chwee, „The Essence of Hedging: Malaysia and Singapore's Response to a Rising China." *Contemporary Southeast Asia* 30 (2): 2008, 163-165.

[5] Baldur Thorhallsson, *Small States and Shelter Theory,* London: Routledge. 2018,

მაგალითი, რადგან მიუხედავად მათი მსგავსი გეოგრაფიული გარემოსა და უსაფრთხოების გამოწვევებისა, მათი სტრატეგიული არჩევანი მნიშვნელოვნად განსხვავდება, განსაკუთრებით 21-ე საუკუნის 20-იან წლებამდე. ერთ შემთხვევაში თვალსაჩინოა მრავალვექტორული პოლიტიკა და სტრატეგიული ბალანსირება, ხოლო მეორე შემთხვევაში - უსაფრთხოების პოლიტიკის უფრო ძლიერი დამოკიდებულება ერთ მთავარ პარტნიორზე.

ამრიგად, პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოების სტრატეგიების ანალიზი საშუალებას იძლევა უკეთ გავიგოთ, როგორ ცდილობენ ასეთი სახელმწიფოები ადაპტაციას საერთაშორისო სისტემის რთულ და კონკურენტულ გარემოში. თეორიული ჩარჩო, რომელიც ეფუძნება ბალანსირების, მიტმასნების, თავშესაფრისა და მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკის კონცეფციებს, ქმნის მნიშვნელოვან საფუძველს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების უსაფრთხოების პოლიტიკის შედარებითი კვლევისთვის.

დიდი ძალების კონკურენცია სამხრეთ კავკასიაში

სამხრეთ კავკასია თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ რეგიონად მიიჩნევა. მისი სტრატეგიული მნიშვნელობა განპირობებულია როგორც გეოგრაფიული მდებარეობით, რომელიც ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელ სივრცეს წარმოადგენს, ისე ენერგეტიკული რესურსებითა და სატრანსპორტო/სატრანზიტო დერეფნებით. სწორედ ამიტომ რეგიონი ხშირად იქცევა სხვადასხვა დიდი ძალის, როგორც რეგიონული, ისე გლობალური აქტორების ინტერესების გადაკვეთის ადგილად.

რუსეთი სამხრეთ კავკასიას განიხილავს როგორც საკუთარი გავლენის ზონასა და უსაფრთხოების პერიმეტრის მნიშვნელოვან ნაწილს.[6] ამ ფარგლებში იგი ცდილობს პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენების შენარჩუნებას სომხეთზე, აზერბაიჯანსა და საქართველოზე, დასავლური გავლენების შეზღუდვას და სტრატეგიული ზემოქმედების ბერკეტად რეგიონული კონფლიქტების გამოყენებას.

ეკონომიკურ და სამხედრო განზომილებაში რუსეთი ეყრდნობა ენერგეტიკულ და ინტეგრაციულ მექანიზმებს, აგრეთვე სამხედრო ყოფნას, მათ შორის ბაზებს სომხეთსა და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ამასთან, ეწინააღმდეგება ნატო-ს გაფართოებას რეგიონის მიმართულებით.[7]

---

[6] Александр Дугин, *Основы геополитики,* Москва: Арктогея-центр, 2000, 48-49; 88; 200; 201.

[7] შოთა ოთხოზორია, *„სამხრეთ კავკასია 21-ე საუკუნის „დიდი თამაშების“ გზაჯვარედინზე“,* დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებული, გორი, 2024, 143.

ჩინეთი სამხრეთ კავკასიას არ განიხილავს, როგორც სამხედრო გავლენის სფეროდ. არამედ, როგორც მნიშვნელოვანი სატრანსპორტო დერეფნის ნაწილს, თავისი გლობალური ეკონომიკური ინიციატივის - „ერთი სარტყელი ერთი გზის ინიციატივა (Belt and Road Initiative)“ - ფარგლებში, რომლის მიზანია ევრაზიის მასშტაბით სატრანსპორტო და სავაჭ-რო ქსელების განვითარება.[8] ამ ინიციატივის ფარგლებში იგი ახორციელებს ინფრასტრუქ-ტურულ პროექტებში ინვესტირებას, ხელს უწყობს „შუა დერეფნის“ სატრანზიტო მარშრუ-ტის განვითარებას და ამავდროულად ცდილობს შეინარჩუნოს ფრთხილი ბალანსი რუსეთსა და დასავლურ აქტორებთან ურთიერთობებში, რათა თავიდან აიცილოს მათთან დაპირისპირება.[9]

თურქეთი უკანასკნელ წლებში ჩამოყალიბდა როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქ-ტორი სამხრეთ კავკასიაში, რასაც განაპირობებს მისი ეკონომიკური, კულტურული და სტრატეგიული ინტერესები. ანკარასათვის სამხრეთ კავკასია ასევე მნიშვნელოვანია, რო-გორც ხიდი ცენტრალური აზიის თურქულენოვან სახელმწიფოებთან.[10] იგი ავითარებს მჭიდრო სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობებს აზერბაიჯანსა და საქართველოსთან, აქტიურად იყენებს კულტურულ დიპლომატიას და აძლიერებს სამხედრო თანამშრომლო-ბას, განსაკუთრებით აზერბაიჯანთან.

ამასთანავე, თურქეთი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ენერგეტიკულ და სატრანსპორ-ტო პროექტებში, როგორიცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და ტრანსანატოლი-ური გაზსადენი, ასევე ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა. მისი გააქტიურება, განსაკუთ-რებით 2020 წლის მთიანი ყარაბაღის მეორე ომის დროს, მიუთითებს რეგიონში თურქეთის გავლენის ზრდასა და ძალთა ბალანსის ცვლილებაზე, მათ შორის რუსეთის ტრადიციული პოზიციების მიმართ.

ირანისთვის სამხრეთ კავკასია წარმოადგენს მნიშვნელოვან სტრატეგიულ სივრცეს, რაც განპირობებულია ისტორიული და კულტურული კავშირებით, რომლებიც ჩამოყალიბდა რეგიონის სპარსეთის გავლენის ქვეშ მრავალსაუკუნოვანი ყოფნის შედეგად. ამასთ, მისი გეოგრაფიული მდებარეობა ირანისთვის უზრუნველყოფს წვდომას ევროპულ ბაზრებზე

---

[8] Rolland Nadège, *China's Eurasian Century? Political and Strategic Implications of the Belt and Road Initiative.* Seattle: National Bureau of Asian Research. 2017, 93–97

[9] შოთა ოთხოზორია, *„სამხრეთ კავკასია 21-ე საუკუნის „დიდი თამაშების“ გზაჯვარედინზე“,* დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებული, გორი, 2024, 145.

[10] Karen Kaya, Book Review: *A Look Back and Forward at Turkey's "Strategic Depth" Foreign Policy Doctrine*. Foreign Military Studies Office., Fort Leavenworth, Kansas, an open source research organization of the U.S. Army. 2020, 14.

და ქმნის მას როგორც დამაკავშირებელ რგოლს ევროპასა და სპარსეთის ყურეს შორის, რაც ზრდის რეგიონის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას.

უსაფრთხოების თვალსაზრისით, სამხრეთ კავკასიის სიახლოვე ირანის საზღვრებთან განაპირობებს, რომ რეგიონში არსებული არასტაბილურობა პირდაპირ აისახება მის ეროვნულ უსაფრთხოებაზე. ამავე დროს, რეგიონი ფუნქციონირებს როგორც ბუფერული ზონა რეგიონულ და გლობალურ ძალებს შორის, რის შედეგადაც სხვადასხვა აქტორის პოლიტიკა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ირანის უსაფრთხოების გარემოზე. აშშ-სა და თურქეთის გავლენის ზრდის ფონზე, ირანი ცდილობს შეინარჩუნოს სტატუს-კვო და თავიდან აიცილოს დრამატული ძალთა ცვლილებები რეგიონში.[11]

დასავლური ძალები -აშშ, ევროკავშირი და ნატო რეგიონს განიხილავენ როგორც ენერგეტიკული პლატფორმისა და სტაბილური სატრანზიტო დერეფნის სივრცეს. მათი პოლიტიკის მთავარი აქცენტებია უსაფრთხოება, ენერგეტიკული დივერსიფიკაცია და რეგიონული სტაბილურობა.[12]

შეერთებული შტატების სტრატეგია სამხრეთ კავკასიაში ეფუძნება მრავალმხ-რივ ინტერესებს, რომლებიც სცილდება რეგიონულ ფარგლებს. მისი პოლიტიკა მოიცავს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებისა და დასავლურ სტრუქტურებთან ინტეგრაციის მხარდაჭერას, ასევე ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფას ალტერნატიული დერეფნების განვითარების გზით, რაც ამცირებს დამოკიდებულებას რუსეთი-სა და ირან-ზე. პარალელურად, აშშ ხელს უწყობს საკუთარი ეკონომიკური ინტერესების, განსაკუთრებით ენერგეტიკის სექტორში, გაძლიერებას და ცდილობს რეგიონში რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო გავლენის დაბალანსებას, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერით.

ევროკავშირის მიდგომა სამხრეთ კავკასიაში განისაზღვრება როგორც პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტეგრაციის, ისე ენერგეტიკული უსაფრთხოების პრიორიტეტებით, განსაკუთრებით ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში. აღნიშნული პოლიტიკა გულისხმობს რეგიონული ქვეყნების ევროპულ სივრცესთან დაახლოების ხელშეწყობას, რეფორმების მხარდაჭერას კანონის უზენაესობის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ეფექტიანი საჯარო მმართველობის მიმართულებით. ამასთანავე, მნიშვნელოვანი

---

[11] Kouhi-Esfahani Marzieh, *Iran's Foreign Policy in the South Caucasus Relations with Azerbaijan and Armenia,* Routledge, Taylor & Francis Group, 2019, 100-109

[12] შოთა ოთხოზორია, *„სამხრეთ კავკასია 21-ე საუკუნის „დიდი თამაშების“ გზაჯვარედინზე“,* დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებული, გორი, 2024, 143-145.

ადგილი უკავია ენერგოუსაფრთხოების სტრატეგიას, რაც გამოიხატება სამხრეთ გაზის დერეფანის განვითარების მხარდაჭერაში, რათა შემცირდეს დამოკიდებულება რუსეთის ენერგორესურსებზე, და პარალელურად წახალისდეს განახლებადი ენერგიისა და ენერგოეფექტურობის ინიციატივები.

ნატო-ს ჩართულობა სამხრეთ კავკასიაში დაკავშირებულია მის ფართო სტრატეგიასთან აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში, რასაც ადასტურებს 2004 წელს სპეციალური წარმომადგენლის ინსტიტუციის შექმნა და მისი ოფისის თბილისში განთავსება. ალიანსი აქტიურად ახორციელებს პარტნიორობის პროგრამებს, განსაკუთრებით „პარტნიორობა მშვიდობისთვის" ფარგლებში, და მხარს უჭერს სამხედრო რეფორმებს საქართველოსა და აზერბაიჯანში.

ამასთანავე, ნატო რეგიონს განიხილავს როგორც ენერგეტიკული უსაფრთხოების მნიშვნელოვან ელემენტსა და ბუფერულ ზონას, აგრეთვე სატრანზიტო სივრცეს სამხედრო მიზნებისთვის. მისი გაფართოება, განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიის მიმართულებით, რუსეთის მხრიდან „წითელ ხაზად" აღიქმება,[13] რაც ზრდის უსაფრთხოების რისკებს და ალიანსის პოლიტიკის ფრთხილ ბალანსირებას განაპირობებს.

ამრიგად, სამხრეთ კავკასია წარმოადგენს კომპლექსურ გეოპოლიტიკურ სივრცეს, სადაც ერთმანეთთან იკვეთება სხვადასხვა გლობალური და რეგიონული აქტორების ინტერესები. ასეთ გარემოში პატარა სახელმწიფოები, როგორიცაა აზერბაიჯანი და სომხეთი, იძულებულნი არიან შეიმუშაონ საკუთარი უსაფ-რთხოების ეფექტური სტრატეგიები, რათა უზრუნველყონ საკუთარი ეროვნული ინტერესებისა და სუვერენიტეტის დაცვა დიდი ძალების კონკურენციის პირობებში.

აზერბაიჯანის უსაფრთხოების სტრატეგია

აზერბაიჯანის უსაფრთხოების პოლიტიკა გამოირჩევა *მრავალვექტორულობით* და *სტრატეგიული ბალანსირებით*, რაც სამხრეთ კავკასიის რეგიონში დიდი ძალების გეოპოლიტიკური კონკურენციის პირობებში, ქვეყანას საშუალებას აძლევს შეინარჩუნოს სუვერენიტეტი.[14] ამ კონტექსტში, აზერბაიჯანის პოლიტიკა სამ ძირითადი კომპონენტს

[13] Владимир Путин, *Выступление и дискуссия на Мюнхенской конференции по вопросам политики безопасности,* Мюнхен, 10 февраля 2007. https://shorturl.at/Sd2jq (21.03.2026)

[14] *EU Reporter*, *Azerbaijan's multi-vector foreign policy as a key pillar of sovereignty, stability and strategic development,* May 12, 2025

ეფუძნება: **გეოპოლიტიკური პარტნიორების დივერსიფიკაცია, სამხედრო მოდერნიზაცია და ენერგეტიკული შესაძლებლობების გაძლიერება.**[15]

საგარეო პოლიტიკა: აზერბაიჯანი აქტიურად ინარჩუნებს კავშირებს სხვადასხვა რეგიონულ და გლობალურ აქტორებთან, მათ შორის თურქეთი, რუსეთი, ირანი, ჩინეთი და დასავლურ ინსტიტუტებთან, როგორიცაა ევროკავშირი და ნატო. მსგავსი პოლიტიკა არის *ბალანსირების (balancing)* სტრატეგიის კლასიკური მაგალითი, რომელიც საშუალებას აძლევს ქვეყანას შეამციროს სტრატეგიული რისკები.

დიპლომატიური სტრატეგიები: როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, აზერბაიჯანი აქტიურად თანამშრომლობს რეგიონალურ და გლობალურ ძალებთან. ამასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებს - გაერო UN, ეუთო OSCE, ნატო NATO, ევროკავშირი EU და თურქული სახელმწიფოების ორგანიზაცია OTS - იყენებს, როგორც დიპლომატიურ პლატფორმებს, საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვის გასაძლიერებლად და საერთაშორისო მხარდაჭერის მოსაპოვებლად.[16] აღნიშნული პრაქტიკა ასახავს ქვეყნის *მრავალვექტორულ საგარეო პოლიტიკას,* რომელიც მიზნად ისახავს სხვადასხვა საერთაშორისო აქტორთან ურთიერთო-ბების დაბალანსებას და გეოპოლიტიკური მოქნილობის შენარჩუნებას. ამასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებში აქტიური ჩართუ- ლობა ხელს უწყობს სომხეთთან არსებული კონფლიქტის დიპლომატიური მართვის გაძლიერებას.

აღნიშნული მიდგომა ასევე თავსდება *უსაფრთხოების თავშესაფრის (Shelter)* კონცეფციაში, რომელიც განმარტავს, თუ როგორ იყენებენ მცირე და საშუალო სახელმწიფოები საერთაშორისო ინსტიტუტებსა და დიდ ძალებთან მრავალმხრივ კავში-რებს უსაფრთხოების რისკების შესამცირებლად და სტრატეგიული სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

სამხედრო უსაფრთხოება აზერბაიჯანის ეროვნული პრიორიტეტების ცენტრალური ნაწილია.[17] ბაქო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სამხედრო მოდერნიზაციას და

---

[15] President Ilham Aliyev`s Speech, 23 September 2024. https://shorturl.at/vRKxP (21.03.2026)

[16] Svante E. Cornell, *Azerbaijan Since Independence*, New York: Routledge, 2011, 300–305, ;United Nations Security Council, *Resolution 874* (October 14, 1993), https://undocs.org/S/RES/874(1993) (21.03.2026) ; Organization for Security and Co-operation in Europe (OSCE), *OSCE Minsk Group* Process, https://www.osce.org/mg (21.03.2026) ; OSCE, *Joint Statement by the Heads of Delegation of the OSCE Minsk Group Co-Chair Countries and the Presidents of Azerbaijan and Armenia* (Dec. 1, 2010), https://www.osce.org/home/74234 (21.03.2026) ; Aze.Media, One of main objectives of Azerbaijan's foreign policy: Integration with Turkic world, AzeMedia, May 28, 2025. https://shorturl.at/xJ6Oj (21.03.2026)

[17] Ilham Aliyev`s Speech, 23 September 2024. https://shorturl.at/vRKxP (21.03.2026)

პრაქტიკულ თანამშრომლობას სხვადასხვა პარტნიორებთან, -რუსეთი, ნატო, აშშ, ისრაელი, განსაკუთრებით თურქეთთთან.[18] 2020 წლის ყარაბაღის მეორე ომმა აჩვენა, რომ აზერბაიჯანის მრავალვექტორული მიდგომა, თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიებისა და სტრატეგიული პარტნიორობის კომბინაციით, ეფექტური იყო რეგიონული ძალთა ბალანსის შეცვლისთვის.[19]

ეკონომიკური უსაფრთხოება აზერბაიჯანის ეკონომიკური სტრატეგიის ცენტრია ენერგეტიკული რესურსები, განსაკუთრებით ნავთობისა და ბუნებრივი აირის სექტორი.[20] აზერბაიჯანის მთავრობა იყენებს ენერგეტიკულ დიპლომატიას საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობების გასაძლიერებლად. მაგალითად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი **(BTC)** და სამხრეთის გაზის დერეფანი აძლიერებს ქვეყნის გეოპოლიტიკურ გავლენას, რაც პირდაპირ ზრდის მის უსაფრთხოებას რეგიონში.

რომ შევაჯამოთ, აზერბაიჯანის უსაფრთხოების სტრატეგია ცხადყოფს, რომ მისი წარმატება დიდი ძალების გეოპოლიტიკურ კონკურენციის პირობებში დამოკიდებულია **მრავალვექტორულ პოლიტიკაზე, ენერგეტიკული (ეკონომიკური) დიპლომატიის გამოყენებასა და სამხედრო შესაძლებლობების თანამედროვე განვითარებაზე**. ამ მიდგომამ ქვეყნის სუვერენიტეტი და რეგიონული გავლენა მნიშვნელოვნად გააძლიერა, განსაკუთრებით 2020 წლის კონფლიქტის შემდეგ. თეორიულ ჭრილში კი აზარბაიჯანი მოხერხებულად იყენებს *ბალანსირების (balancing), მრავალვექტორული პოლიტიკის (Hedging)* და *უსაფრთხოების თავშესაფარის (***Shelter***)* კონცეფციის კომბინაციას.

სომხეთის უსაფრთხოების სტრატეგია

სომხეთის უსაფრთხოების პოლიტიკა დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 21-ე საუკუნის 20-იან წლებამდე მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა აზერბაიჯანის მრავალვექტორული მიდგომისაგან და დიდწილად ეფუძნებოდა ერთ მთავარ რეგიონულ პარტნიორზე დამოკიდებულებას, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებას სამხედრო გარანტიებითა და სტრატეგიული თანამშრომლობით უზრუნველყოფდა.

---

[18] შოთა ოთხოზორია , დისერტაცია, *რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი თანამედროვე ეტაპზე და მისი გადაჭრის გზები,* თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2021, 110-111; 127-128;

[19] CSIS, A Renewed Nagorno-Karabakh Conflict: Reading Between the Front Lines, *Center for Strategic and International Studies* 2023. https://urli.info/1m8Gx (21.03.2026) ; Insight Turkey, *The Role of Turkish Drones in Azerbaijan's Increasing Military Effectiveness: An Assessment of the Second Nagorno-Karabakh War,* Published by SETA Foundation, 14.02.2021. - https://shorturl.at/rEP4C (21.03.2026);

[20] Geopolitica.info, *The role of oil and gas in Azerbaijan's foreign policy* - https://rb.gy/rnd7y4 (21.03.2026) ; International Energy Agency, *Azerbaijan Energy Profile*, France, IEA - August 2023, 11–14. https://shorturl.at/cQwcI (21.03.2026)

სტრატეგიული პარტნიორობა რუსეთისთან: სომხეთის უსაფრთხოების პოლიტიკის ცენტრია 1997 წლის, „რუსეთთან მეგობრობის, თანამშრომლიბისა და ურთიერთდახმარე-ბის ხელშეკრულება“ და რუსეთის მიერ დომინირებული „**(Организация Договора о коллективной безопасности)“** კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზა-ცია“ (სომხეთმა 2024 წლიდან „კუხო“-სთან ურთიერთობა გაყინა. თუმცა, წევრობას დღემ-დე ინარჩუნებს). ამ ორგაბიზაციამ კონფლიქტის დროს უნდა უზრუნველყოს სამხედრო-პოლიტიკური დახმარების მიღების შესაძლებლობა.[21] ასეთი დამოკიდებულება წარმოად-გენს კლასიკურ *მიტმასნების (bandwagoning)* -სტრატეგიას, სადაც პატარა სახელმწიფო საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სრულად ეყრდნობა ძლიერ მოკავშირეს.[22]

დიპლომატიური სტრატეგია: 2020-იან წლებამდე, სომხეთის საგარეო პოლი-ტიკა ძირი-თადად ორიენტირებულია რუსეთთან სტაბილური ურთიერთობის შენარჩუნებაზე. ამასთან, სომხეთი ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს ირანთან და მიმართავს დასავლური ძალების მხარდაჭერას - ევროკავშირისა და აშშ-ის დიპლომატიური არხების მეშვეობით. თუმცა, *მრავალვექტორული (Hedging) პოლიტიკის* ელემენტების შემოტანის მცდელობა სუსტი და არასაკმარისი აღმოჩნდა. უფრო მეტიც, განაპირობა რუსეთის პოლიტიკური ელიტის განწყობების ცვლილება, რაც საბოლოო ჯამში ყარაბაღის მეორე ომის შედეგებზე უარყოფითად აისახა.[23]

სამხედრო კომპონენტი: 2020-იან წლებამდე, სომხეთი ცდილობდა არსებული რესურსე-ბით თავისი თავდაცვის შესაძლებლობები მაქსიმალურად გაეძლიერებია. თუმცა, აზერ-ბაიჯანთან შედარებით, ფინანსური და ტექნოლოგიური შეზღუდვების გამო იგი უფრო მეტად ეყრდნობოდა რეგიონალურ კოლექტიური უსაფრთხოების მექანიზმსა და რუსეთის მიერ დომინირებულ უსაფრთხოების სისტემებს.[24] თუმცა, 2020 წლის ყარაბაღის მეორე ომთან მიმართებაში რუსეთის პოზიციის გამო, აღნიშნული მექანიზმები სომხეთისათვის უსარგებლო აღმოჩნდა, რამაც ომის შედეგებზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა.

ეკონომიკური პოლიტიკა: სომხეთი 2020 წლამდე, მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული რუსეთზე, - სომხეთის საგარეო ვაჭრობის თითქმის ერთი მესამედი რუსეთთან ხორციელ-დება, როგორც მთავარ ეკონომიკურ და ენერგეტიკულ პარტნიორთან.[25] 2015 წელს ქვეყნის

---

[21] Организация Договора о коллективной безопасности https://shorturl.at/Xtvw2 (21.03.2026).

[22] John J. Mearsheimer. *The Tragedy of Great Power Politics,* University of Chicago, 2001, 162–163

[23]იქვე, 110; 123; 126-128; 130-131 ; Central Asia-Caucasus Analyst “Armenia’s Enduring Military Dependence on Russia Resists Erosion” (2024) https://shorturl.at/Tkl49 (21.03.2026).

[24] შოთა ოთხოზორია , დისერტაცია, *რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი თანამედროვე ეტაპზე და მისი გადაჭრის გზები,* თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2021, 106-109;

[25] European Union Institute for Security Studies, Appeasement and autonomy Armenian-Russian relations from revolution to war. 1 February 2021, 4-5. https://shorturl.at/OlrvL (21.03.2026).

ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში გაწევრიანებამ რუსეთთან სავაჭრო ინტეგრაცია კიდევ უფრო გააძლიერა, ხოლო ენერგეტიკული სექტორი პრაქტიკულად რუსულ მიწოდებას მიება. ბუნებრივი გაზის დაახლოებით 80–85% რუსეთიდან შემოდიოდა, რაც ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას ერთ წყაროზე აკავშირებდა.

ირანთან ეკონომიკური ურთიერთობები წარმოადგენს შეზღუდულ, მაგრამ მნიშვნელოვან ალტერნატივას. ირანიდან შემოდის გაზის შედარებით მცირე ნაწილი, რომელიც გამოიყენება ელექტროენერგიის წარმოებისთვის „გაზი–ელექტროენერგიის გაცვლის“ ფარგლებში. თუმცა, ინფრასტრუქტურული და პოლიტიკური შეზღუდვების გამო ეს მიმართულება რუსეთის მიმართ დამოკიდებულების შემცირების შესაძლებლობას ვერ უზრუნველყოფდა.[26] შედეგად, სომხეთის ეკონომიკური მოდელი ერთ ძირითად პარტნიორზე მაღალი დამოკიდებულებით ხასიათდებოდა, ხოლო ირანთან თანამშრომლობა დივერსიფიკაციის ფუნქციას მხოლოდ ნაწილობრივ ასრულებდა

მოკლედ, 2020 წლის ყარაბაღის მეორე ომმა აჩვენა, რომ სომხეთის ერთ ძირითად პარტნიორზე დამოკიდებულ სტრატეგიას აქვს სუსტი წერტილები. შეიძლება ითქვას, რომ ერთ სტრატეგიულ პარტნიორზე დამოკიდებულება ნაწილობრივ სტაბილურობას უზრუნველყოფს, თუმცა სტრატეგიული მოქნილობის არქონის გამო, რისკის შემცველია.

შედარებითი ანალიზი:

აზერბაიჯანი-სომხეთის უსაფრთხოების პოლიტიკის შედარება აჩვენებს **სტრატეგიული მიდგომების ძირითადი განსხვავებებს** დიდი ძალების კონკურენციის პირობებში.

ასპექტი	აზერბაიჯანი	სომხეთი
საგარეო პარტნიორები	მრავალლი	ერთ ძირითადი პარტნიორი, ნაკლები თანანშრომლობა დასავლეთთან
სტრატეგიული მიდგომა	მრავალვექტორული + ბალანსირება და უსაფრთხოების თავშესაფარი	მიტმასნება (bandwagoning) (რუსეთზე დამოკიდებულება)
სამხედრო	თანამედროვე მოდერნიზაცია, სტრატეგიული პარტნიორობა, 2020; წ გამარჯვება	შეზღუდული რესურსები, „კუხო“-ზე დამოკიდებულება
ეკონომიკური პოლიტიკა	ენერგეტიკული დიპლომატია (BTC, Southern Gas Corridor და სხვა.)	ეკონომიკური სირთულეები; ნაკლებად ეფექტური ენერგეტიკული დიპლომატია (სომხეთი-ირანის ელექტრო გადამცემი ხაზი)

[26] International Energy Agency, *Energy Policy Review,* Armenia 2022. https://www.iea.org/reports/armenia-2022 (21.03.2026).

დიპლომატიური სტრატეგია	მრავალვექტორული, საერთაშორისო ინსტიტუტების მაქსიმალური გამოყენება,	საერთაშორისო არხების არაეფექტური გამოყენება სტრატეგიული ბალანსისთვის
მთავარი რისკები	კონფლიქტური რეგიონი, გეოპოლიტიკური კონკურენცია	მაღალი დამოკიდებულება ერთ პარტნიორზე, სტრატეგიული მოქნილობის ნაკლებობა

ანალიზის შედეგები:

მრავალვექტორულობა: აზერბაიჯანი იყენებს *ბალანსირების (balancing), მრავალვექტორული პოლიტიკის (Hedging)* და *უსაფრთხოების თავშესაფარის (***Shelter***)* კომბინაციას, რაც ნიშნავს, რომ პატარა სახელმწიფო არ ეყრდნობა მხოლოდ ერთ დიდ პარტნიორს. იგი იცავს საკუთარ სუვერენიტეტს მრავალმხრივი პარტნიორობის საშუალებით.

მიტმასნება (bandwagoning): სომხეთი უფრო გამოკვეთილად იყენებს მიტმასნების სტრატეგიას - მთლიანად ეყრდნობა რუსეთის სამხედრო და პოლიტიკურ მხარდაჭერას. ეს უზრუნველყოფს გარკვეულ სტაბილურობას, მაგრამ ამავე დროს ზღუდავს სტრატეგიულ მოქნილობას.

სამხედრო: აზერბაიჯანის სამხედრო სტრატეგია 2020 წლის ყარაბაღის მეორე ომში გამოიკვეთა. მისმა მრავალვექტორულმა პარტნიორობამ, თანამედროვე ტექნოლოგიებმა და თურქეთთან სტრატეგიულმა ურთიერთობამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ომის შედეგებზე. ხოლო, სომხეთის ერთ პარტნიორზე დამოკიდებულება დამაზიანებელი აღმოჩნდა და მისი სამხედრო შესაძლებლობები შეზღუდა.

ეკონომიკური და დიპლომატიური ინსტრუმენტები: აზერბაიჯანის ენერგეტიკული დიპლომატია არა მხოლოდ ფინანსური სარგებლის მომტანია, არამედ სუვერენიტეტის გარანტიც. სომხეთის ეკონომიკური დამოკიდებულება, განსაკუთრებით ნავთობისა და გაზის იმპორტზე, გრძელვადიანი უსაფრთხოების გარანტიებს ვერ უზრუნველყოფს.

მოკლედ, კონფლიქტურ რეგიონში, აზერბაიჯანის მრავალვექტორული მიდგომა და ენერგეტიკული დიპლომატია სომხეთის ერთპარტნიორული სტრატეგიასთან შედარებით უფრო ეფექტური გამოდგა. სომხეთის მიერ არჩეული მიტმასნების სტრატეგია 2020 წლამდე ნაწილობრივ უზრუნველყოფდა მოკლევადიან სტაბილურობას, მაგრამ სტრატეგიული მოქნილობის სიმწირის გამო, გეოპოლიტიკური შოკების პირობებში ნაკლებად მდგრადი და არაეფექტური აღმოჩნდა.

დასკვნა და რეკომენდაციები

პატარა სახელმწიფოების - აზერბაიჯანის და სომხეთის - უსაფრთხოების სტრატეგიების ანალიზმა აჩვენა, რომ *სტრატეგიული მოქნილობა* **და** *მრავალვექტორული მიდგომა* დიდი ძალების გეოპოლიტიკური კონკურენციის პირობებში მნიშვნელოვანი უპირატესობაა.

მრავალვექტორულობა უკეთ უზრუნველყოფს სუვერენიტეტს: აზერბაიჯანის მაგალითი ადასტურებს, რომ *ბალანსირების (balancing), მრავალვექტორული პოლიტიკის (Hedging)* და *უსაფრთხოების თავშესაფარის (***Shelter***)* კომბინაცია, რომელიც ერთდროულად იყენებს რეგიონულ (რუსეთი, თურქეთი, ირანი) და გლობალურ (ჩინეთი, აშშ, ევროკავშირი ნატო და სხვა.) პარტნიორებს, ზრდის პატარა სახელმწიფოს **სტრატეგიულ მოქნილობას** და უზრუნველყოფს რესურსების მრავალმხრივ გამოყენებას.

მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკა საშუალებას აძლევს სახელმწიფოს შექმნას **გრძელვადიანი სტაბილურობის მექანიზმები**, რაც სომხეთს ნაკლებად გააჩნდა. საერთაშორისო ორგანიზაციების ეფექტური გამოყენება (გაერო, ეუთო, ევროკავშირი) აძლიერებს პატარა სახელმწიფოს მდგრადობას და კრიზისების დროს ამცირებს რისკებს.

ერთპარტნიორული დამოკიდებულება აჩენს რისკებს: სომხეთის სტრატეგია, რომელიც დიდწილად ეყრდნობოდა **მიტმასნების** (bandwagoning) სტრატეგიას უზრუნველყოფდა მოკლევადიან უსაფრთხოებას. თუმცა, გეოპოლიტიკური შოკების პირობებში, **შემოქმედებითი მოქნილობის სიმწირის გამო** ნაკლებად მდგრადი და რისკების შემცველია.

სამხედრო და ეკონომიკური შესაძლებლობები: აზერბაიჯანის წარმატება 2020 წლის ყარაბაღის მეორე ომში ძირითადად განპირობებული იყო **სწრაფი სამხედრო მოდერნიზაციით, სტრატეგიული პარტნიორობით და ენერგეტიკული დიპლომატიის გამოყენებით**. სომხეთის შემთხვევაში, მწირი ფინანსური და ტექნოლოგიური შესაძლებლო-ბები ზღუდავდა სამხედრო ეფექტურობას.

აზერბაიჯანისა და სომხეთის უსაფრთხოების პოლიტიკის შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთ კავკასიაში დიდი ძალების გეოპოლიტიკური კონკურენციის პირობებში, რეგიონის პატარა სახელმწიფოებმა იმისათვის, რომ საკუთარი სუვერენიტეტი გააძლიერონ, მნიშვნელოვანია:

1. **მრავალვექტორული პარტნიორობის გაფართოება:** განავითარონ *მრავალვექტორული (Hedging) სტრატეგია,* რაც გულისხმობს არა მხოლოდ რუსეთთან, არამედ ევროპულ, ჩრდილოეთ ამერიკულ და აზიურ პარტნიორებთან ურთიერთობის გაძლიერებას.

2. **სამხედრო შესაძლებლობების მოდერნიზაცია:** განახორციელონ ინვესტიციები თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიებში, რათა გააძლიერონ პრევენციული და რეაქციული შესაძლებლობები.
3. **ენერგეტიკული (ეკონომიკური) დიპლომატია:** აზერბაიჯანის წარმატებული გამოცდილებიდან გამომდინარე, რეგიონის ქვეყნებმა უნდა შეიმუშაონ **ეკონომიკური პროექტები**, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ საერთაშორისო მიმზიდველობას, ფინანსურ სტაბილურობას და სუვერენიტეტის გაძლიერებას.
4. **დიპლომატიური არხების ეფექტური გამოყენება:** რეგიონის სახელმწიფოებმა უსაფრთხოების სტაბილურობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერისთვის უნდა გამოიყენონ გაერო, ეუთო, ევროკავშირი, ნატო და სხვა საერთაშორისო პლატფორმები.
5. **სტრატეგიული პროგნოზირება:** მცირე სახელმწიფოებმა რეგულარულად უნდა განიხილონ **სავარაუდო გეოპოლიტიკური რისკები და შესაძლებლობები**, რათა დროულად აირჩიონ სტრატეგიული ქმედებები.

რომ შევაჯამოთ, კონფლიქტურ რეგიონში დიდი ძალების გეოპოლიტიკური კონკურენციის პირობებში, აზერბაიჯანის წარმატებას ხელი შეუწყო: **მრავალვექტორულმა საგარეო პოლიტიკამ, ენერგეტიკული (ეკონომიკური) დიპლომატიის გამოყენებამ და სამხედრო შესაძლებლობების თანამედროვე განვითარებამ-მოდერნიზაციამ**. თეორიულ ჭრილში კი აზარბაიჯანის მიერ *ბალანსირების (balancing), მრავალვექტორული პოლიტიკის (Hedging)* და *უსაფრთხოების თავშესაფარის (***Shelter***)* კონცეფციის კომბინირებულმა გამოყენებამ.

ბიბლიოგრაფია

ოთხოზორია, შოთა, *„სამხრეთ კავკასია 21-ე საუკუნის „დიდი თამაშების“ გზაჯვარედინზე“,* დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, სამეცნიერო კონფერენციის შრომათა კრებული, გორი, 2024.

ოთხოზორია, შოთა, დისერტაცია, *რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი თანამედროვე ეტაპზე და მისი გადაჭრის გზები,* თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2021.

რონდელი, ალექსანდრე, *საერთაშორისო ურთიერთობები,* მესამე განახლებული გამოცემა, „ნეკერი“, თბილისი 2006, 156-158.

Aliyev, Ilham, 23 September 2024. https://shorturl.at/vRKxP (21.03.2026)

Aze.Media, One of main objectives of Azerbaijan's foreign policy: Integration with Turkic world, *AzeMedia, May* 28, 2025. https://shorturl.at/xJ6Oj (21.03.2026).

Cheng-Chwee, Kuik, „The Essence of Hedging: Malaysia and Singapore's Response to a Rising China.“*Contemporary Southeast Asia* 30 (2): 2008.

Cornell, Svante E., *Azerbaijan Since Independence*, New York: Routledge, 2011.

Center for Strategic and International Studies, A Renewed Nagorno-Karabakh Conflict: Reading Between the Front Lines, *Center for Strategic and International Studies* 2023. https://urli.info/1m8Gx (21.03.2026).

Central Asia-Caucasus Analyst "Armenia's Enduring Military Dependence on Russia Resists Erosion" (2024) https://shorturl.at/Tkl49 (21.03.2026).

EU Reporter, *Azerbaijan's multi-vector foreign policy as a key pillar of sovereignty, stability and strategic development,* May 12, 2025. https://shorturl.at/wJ6x8 (21.03.2026).Kenneth N. Waltz, *Theory of International Politics*. Addison-Wesley Publishing Company, Inc. 1979.

European Union Institute for Security Studies, Appeasement and autonomy Armenian-Russian relations from revolution to war. 1 February 2021, 4-5. https://shorturl.at/OlrvL (21.03.2026).

Figiaconi, Fabio, Choosing not to choose: Hedging as a category of neutrality , *European Journal of International Security* (2025). https://shorturl.at/8VeA8 (21.03.2026).

Geopolitica.info, *The role of oil and gas in Azerbaijan's foreign policy* - https://rb.gy/rnd7y4 (21.03.2026) ;

Insight Turkey, *The Role of Turkish Drones in Azerbaijan's Increasing Military Effectiveness: An Assessment of the Second Nagorno-Karabakh War,* SETA Foundation, 14.02.2021. https://shorturl.at/rEP4C (21.03.2026).

International Energy Agency*, Azerbaijan Energy Profile*, France, IEA - August 2023, 11–14. https://shorturl.at/cQwcI (21.03.2026)

International Energy Agency, *Energy Policy Review,* 2022. https://urli.info/1rk67 (21.03.2026).

John J. Mearsheimer. *The Tragedy of Great Power Politics,* University of Chicago, 2001.

Kaya, Karen, Book Review: *A Look Back and Forward at Turkey's "Strategic Depth" Foreign Policy Doctrine*. Foreign Military Studies Office., Fort Leavenworth, Kansas, an open source research organization of the U.S. Army. 2020.

Marzieh, Kouhi-Esfahani, *Iran's Foreign Policy in the South Caucasus Relations with Azerbaijan and Armenia,* Routledge, Taylor & Francis Group, 2019.

Nadège, Rolland, *China's Eurasian Century? Political and Strategic Implications of the Belt and Road Initiative.* Seattle: National Bureau of Asian Research. 2017.

Organization for Security and Co-operation in Europe (OSCE), *OSCE Minsk Group* Process, https://www.osce.org/mg (21.03.2026).

Organization for Security and Co-operation in Europe (OSCE), *Joint Statement by the Heads of Delegation of the OSCE Minsk Group Co-Chair Countries and the Presidents of Azerbaijan and Armenia* (Dec. 1, 2010), https://shorturl.at/qyMZw (21.03.2026).

Thorhallsson, Baldur, *Small States and Shelter Theory,* London: Routledge. 2018.

United Nations Security Council, *Resolution 874* (October 14, 1993). https://shorturl.at/RRtQB (21.03.2026) ;

Дугин, Александр, *Основы геополитики,* Москва: Арктогея-центр, 2000.

Организация Договора о коллективной безопасности. https://shorturl.at/Xtvw2 (21.03.2026).

Путин, Владимир, *Выступление и дискуссия на Мюнхенской конференции по вопросам политики безопасности,* Мюнхен, 10 февраля 2007. https://shorturl.at/Sd2jq (21.03.2026).

ჰიბრიდული ომის ფენომენის განსხვავებული აღქმადობა საერთაშორისო პოლიტიკაში

ამირან ბიჭაშვილი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი

აბსტრაქტი

სტატიაში გაანალიზებულია XXI საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებული ახალი თაობის ომის ბუნება და მისი გავლენა საერთაშორისო პოლიტიკის თანამედროვე დღის წესრიგზე. აღნიშნული ფენომენი არსებითად გარდაქმნის სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების ხასიათს და ხშირ შემთხვევაში მათ დილემურ ჩიხში ამყოფებს, სადაც ტრადიციული უსაფრთხოების მექანიზმები აღარ არის საკმარისი. ომი, როგორც სოციალური და პოლიტიკური ფენომენი, ისტორიულად ყოველთვის თან სდევს კაცობრიობის განვითარებას, რის გამოც მისი მეცნიერული კვლევა უწყვეტ და დინამიკურ პროცესს წარმოადგენს. თანამედროვე ტექნოლოგიურმა პროგრესმა, განსაკუთრებით საინფორმაციო და საკომუნიკაციო სფეროში, წარმოშვა ისეთი სტრატეგიები და ოპერატიული მიდგომები, რომლებიც მნიშვნელოვნად ცვლის კონფლიქტების წარმოების ფორმებს და კაცობრიობას სრულიად ახალი ტიპის გამოწვევების წინაშე აყენებს. სწორედ ამიტომ, აღნიშნული საკითხის სიღრმისეული და სისტემური შესწავლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ჰიბრიდული ომი, როგორც ახალი თაობის ომის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინება, განსაკუთრებით აქტუალური გახდა რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის ფაქტობრივად უსისხლო ანექსიის შემდეგ. აღნიშნულმა შემთხვევამ ნათლად აჩვენა, თუ როგორ შეიძლება საინფორმაციო ომის, პროპაგანდის, კიბერსივრცისა და სამხედრო ძალის სინქრონიზებული და კომპლექსური გამოყენება სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. მოქმედებების ზუსტი დროის შერჩევამ, თანმიმდევრულობამ და სხვადასხვა ინსტრუმენტის ინტეგრირებულმა გამოყენებამ რუსეთის მხარეს მისცა შესაძლებლობა მინიმალური პირდაპირი სამხედრო დაპირისპირების პირობებში მიეღწია მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ტერიტორიული შედეგებისთვის.

საქართველოსთვის ჰიბრიდული ომი არ წარმოადგენს მხოლოდ თეორიულ ან გარე მოვლენას, არამედ ის უკვე მრავალი წლის განმავლობაში არის პრაქტიკული რეალობა. შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე ქვეყანა მუდმივად ექვემდებარება ჰიბრიდული ზემოქმედების სხვადასხვა ფორმებს, რაც აისახება როგორც უსაფრთხოების, ისე ეკონომიკურ და შიდაპოლიტიკურ გარემოზე. ოკუპირებული ტერიტორიები, პოლიტიკური პოლარიზაცია და ეკონომიკური გამოწვევები ამ პროცესების პირდაპირი ან ირიბი შედეგებია. შესაბამისად, ჰიბრიდული ომის სიღრმისეული კვლევა და მისი მექანიზმების გააზრება წარმოადგენს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს.

საკვანძო სიტყვები: ჰიბრიდული ომი, ახალი თაობის ომი, საინფორმაციო ომი, პროპაგანდა, დეზინფორმაცია.

The Divergent Perceptibility of the Hybrid Warfare Phenomenon in International Politics

Amiran Bichashvili
Caucasus International University
The Faculty of Social Sciences PHD Student of Political Sciences

Abstract

The article analyzes the nature of the new generation of warfare that emerged at the beginning of the 21st century and examines its impact on the contemporary agenda of international politics. This phenomenon fundamentally transforms the character of relations between states and often places them in a dilemmatic impasse, where traditional security mechanisms are no longer sufficient. War, as a social and political phenomenon, has historically accompanied the development of humanity, which is why its scientific study remains a continuous and dynamic process. Modern technological progress, particularly in the fields of information and communication, has generated strategies and operational approaches that significantly transform the conduct of conflicts and place humanity before entirely new types of challenges. Therefore, the in-depth and systematic study of this issue acquires particular importance.

Hybrid warfare, as one of the most prominent manifestations of new generation warfare, became especially relevant following the de facto bloodless annexation of the Crimean Peninsula by the Russian Federation. This case clearly demonstrated how the synchronized and complex use of information warfare, propaganda, cyberspace, and military force can be employed to achieve strategic objectives. The precise timing, sequencing of actions, and integrated application of various instruments enabled the Russian side to attain significant political and territorial outcomes with minimal direct military confrontation.

For Georgia, hybrid warfare is not merely a theoretical or external phenomenon but has been a practical reality for many years. It can be argued that since the restoration of independence, the country has continuously been subjected to various forms of hybrid influence, affecting both its security environment and its economic and internal political conditions. Occupied territories, political polarization, and economic challenges represent direct or indirect consequences of these processes. Accordingly, the in-depth study of hybrid warfare and the understanding of its mechanisms constitute one of the most important priorities of Georgia's national security policy.

Keywords: Hybrid warfare, New generation warfare, Information warfare, Propaganda, Desinformation.

შესავალი

ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც არსებული ბიპოლარული მსოფლიო წესრიგი შეიცვალა ამერიკული მონოპოლარული ჰეგემონიით, ცივილიზებული სამყარო ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 1990-იანი წლები დაიწყო მაღალი რეზონანსის მქონე სამხედრო ინტერვენციებით, რომელთა შორის იყო პანამის ოპერაცია, პირველი ყურის ომი, მოგადიშოს დესანტი, ლიბერიის შემთხვევა, სერბეთის დაბომბვა და სხვ.[1] ამ პერიოდში რუსეთი წარმოადგენდა ძლიერ დასუსტებულ სახელმწიფოს, რომელიც კორუფციის ჭაობში იყო ჩაფლული, სადაც შიდა სახელმწიფოებრივი პრობლემები კვლავ მძიმედ აწვებოდა ქვეყანას და იგი ფაქტობრივად ვერ უწევდა წინააღმდეგობას ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას, რომელმაც მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ომის ქარცეცხლში გაჰხვია.

ცივი ომის შემდეგ ტექნოლოგიური განვითარების ინდექსმა უმაღლეს ნიშნულს მიაღწია, სადაც ლიდერ სახელმწიფოდ კვლავ ამერიკის შეერთებული შტატები გამოიკვეთა, რაც გასაკვირი ნამდვილად არ არის, რადგან მისი მთლიანი შიდა პროდუქტი (GDP) 1990–2000 წლებში 5.5 ტრილიონიდან 9.8 ტრილიონ დოლარამდე გაიზარდა.[2] აღსანიშნავია, რომ გარკვეული ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა თავდაპირველად სამხედრო სფეროში განხორციელდა, რის შედეგადაც ამერიკული არმია გახდა მსოფლიოში პირველი, რომელმაც მასობრივად გამოიყენა მაღალი სიზუსტის დამრტყმელი იარაღი მიზნების გასანადგურებლად. შემდგომში ტელეფონების, ტელევიზიისა და ინტერნეტის გლობალურმა გავრცელებამ ასევე განაპირობა პროპაგანდის მანქანის ახალი ფორმატის ჩამოყალიბება, რომლის მასობრივი გამოყენების პრაქტიკაც კვლავ ამერიკის შეერთებულ შტატებს მიეწერება.

XXI საუკუნის დასაწყისში რუსეთში შეიცვალა ხელისუფლება და ქვეყნის პრეზიდენტად წარმოგვიდგა უსაფრთხოების სამსახურის ახალგაზრდა კადრი ვლადიმერ პუტინი. მისი პრეზიდენტობის რამდენიმე წლის შემდეგ აშკარა გახდა, რომ რუსეთი უბრუნდებოდა იმპერიალისტურ ამბიციებს და აქტიურად აღადგენდა თავის ფუნქციას, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ბუნებრივი ოპონენტი. ეს გამოვლინდა 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სრულმასშტაბიან სამხედრო კამპანიაში, ასევე სირიაში რუსული სამხედრო ძალების განთავსებასა და ასადის რეჟიმის აქტიურ

[1] "*US Military and Clandestine Operations in Foreign Countries – 1798 present*", https://redirme.com/qpcw5j, (Accessed 22.03.2026)

[2] "*United States boom", 1990* https://redirme.com/kfbtgm, (Accessed 22.03.2026)

მხარდაჭერაში, რამაც ფაქტობრივად ჩაშალა ამერიკული გეგმები ახლო აღმოსავლეთში. რუსეთმა მკაფიოდ დააფიქსირა პოზიცია ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების წინააღმდეგ და საპასუხოდ, უკრაინის მაგალითზე, ჯერ ყირიმის ანექსია განახორციელა, შემდეგ კი დონბასის რეგიონში სეპარატისტული მოძრაობა წაახალისა.

2008 წლის აგვისტოს ომი მნიშვნელოვანი გაკვეთილი აღმოჩნდა რუსეთის „მოძველებული არმიის" პრობლემების გამოვლენის თვალსაზრისით, რასაც მოჰყვა მასშტაბური რეფორმები როგორც სტრუქტურულ, ისე ტექნოლოგიურ დონეზე, რაც მოგვიანებით ნათლად გამოვლინდა უკრაინის წინააღმდეგ დაწყებულ სამხედრო ოპერაციებში.

მოგვიანებით რუსეთმა პასუხი გასცა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ინიცირებულ „გლობალურ ტერორიზმთან ბრძოლის" ტაქტიკას, სადაც ახალი თაობის ომის კონტურები მკაფიოდ გამოიკვეთა. ეს გამოვლინდა ევროპასა და ამერიკაში სახელმწიფო და არასახელმწიფო ქსელებზე განხორციელებული კიბერშეტევებით. რუსეთის პროპაგანდის მანქანა ხელახლა ამოქმედდა და თითქმის მთელ ევროპულ კონტინენტს მოედო, შეღწია როგორც ადგილობრივ მოსახლეობაში, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებში.[3]

აღსანიშნავია, რომ ახალი თაობის ომის ფენომენი, რომელიც შემდგომში ამერიკელმა მკვლევარმა ფრენკ ჰოფმანმა თავის ცნობილ ნაშრომში (*Conflict in the 21st Century: The Rise of Hybrid Wars)* „ჰიბრიდული ომის" სახელით მოიხსენია, სხვადასხვა სახელმწიფოს მკვლევართა და მეცნიერების მიერ იმდენად განსხვავებულად არის აღქმული, რომ დღემდე არ არსებობს ერთიანი, საერთო ფუნდამენტურ გაგებაზე დაფუძნებული განსაზღვრება. სად იწყება და სად მთავრდება ჰიბრიდული ომი, რა მოქმედებები უნდა განახორციელოს ერთმა სახელმწიფომ მეორის წინააღმდეგ (და პირიქით), რათა კონკრეტული მოვლენა კლასიფიცირდეს ჰიბრიდულ ომად სწორედ ეს წარმოადგენს წინამდებარე ნაშრომის კვლევით პრობლემას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირობებში, როდესაც ომსა და მშვიდობას შორის ზღვარი პრაქტიკულად გაქრა და აუცილებელია ინდიკატორების კომპლექსური სისტემის შემუშავება, რათა განვსაზღვროთ, გვაქვს საქმე ჰიბრიდულ ომთან თუ ტრადიციულ სამხედრო კონფლიქტთან.

სტატიის მიზანია ჰიბრიდული ომის ფენომენის საერთო ფუნდამენტური მახასიათებლების დადგენა და იმ საფრთხის განსაზღვრა, რომელსაც იგი უქმნის სუსტი ეკონომიკისა და სამხედრო პოტენციალის მქონე ქვეყნებს. მნიშვნელოვანია ასევე მისი ინიცირების,

[3] T. Helmus, E. Baron, A. Radin *Understanding Russian Propaganda in Eastern Europe* (Santa Monica, California 2018).

განხორციელებისა და შესაძლო შედეგების სპეციფიკური თავისებურებების გამოკვეთა, რაც საფრთხის იდენტიფიცირების პროცესს გაამარტივებს.

საკვლევი კითხვები:

1. რა არის ჰიბრიდული ომი და რა არის მისი ძირითადი მახასიათებლები?
2. რამდენ რესურსს მოითხოვს სრულმასშტაბიანი ჰიბრიდული ომის წარმოება და ვინ არის მისი წარმართვის უნარის მქონე სუბიექტი?

ნაშრომში გამოყენებულია სოციალური კვლევის თვისებრივი მეთოდი. თვისებრივი მეთოდის უპირატესობა მდგომარეობს საკითხის სიღრმისეული და მრავალმხრივი თეორიული შესწავლის შესაძლებლობაში, რაც საშუალებას იძლევა გაანალიზდეს ჰიბრიდული ომის წარმოების მასშტაბები, საშუალებები და საერთო მახასიათებლები. მონაცემთა შეგროვების პროცესში გამოყენებულია სამეცნიერო წყაროების თვისებრივი შინაარსობრივი ანალიზის მეთოდი.

ძირითადი ნაწილი

ჰიბრიდული ომის გაგება ჩრდილოეთში, აღმოსავლეთსა და დასავლეთში

შესავალში როგორც აღინიშნა, ტერმინი „ჰიბრიდული ომი“ შემოიტანა ამერიკელმა სამხედრო ფიგურამ და მკვლევარმა ფრენკ ჰოფმანმა, რომელმაც იგი გამოიყენა თავის ნაშრომში "*Conflict in the 21st Century: The Rise of Hybrid Wars*".[4] აღნიშნული კვლევა წარმოადგენს პასუხს ამერიკის შეერთებული შტატების 2005 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაზე, სადაც ავტორი მიუთითებს, რომ თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარების პირობებში მსოფლიოში მოქმედი ექსტრემისტული ჯგუფებისა და ტერორისტული ორგანიზაციების შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც მათ საშუალებას აძლევს წინააღმდეგობა გაუწიონ ისეთ სახელმწიფოებს, როგორიცაა აშშ და დასავლეთის განვითარებული პოლიარაქიები. მისი მტკიცებით, მსგავსი არასახელმწიფო აქტორები შეეცდებიან დიდი სახელმწიფოების სტრუქტურაში არსებული სუსტი წერტილების აღმოჩენას და მათზე ზემოქმედებით სტრატეგიული გამარჯვების მიღწევას, რაც განხორციელდება კინეტიკური და არაკინეტიკური, ასევე რეგულარული და არარეგულარული საშუალებების კომბინირებული გამოყენებით.

[4] F.G. Hoffman *Conflict in the 21st Century: The Rise of Hybrid Wars* (Potomac Institute for Policy Studies, Arlington, Virginia 2007).

თავის ნაშრომში ფრენკ ჰოფმანს მაგალითად მოჰყავს 2006 წლის შეიარაღებული კონფლიქტი ისრაელსა და ჰეზბოლას შორის, სადაც კარგად მომზადებული და ტექნოლოგიურად განვითარებული ისრაელის თავდაცვის ძალები სერიოზულ წინააღმდეგობას შეხვდა ექსტრემისტული ჯგუფების მხრიდან. აღნიშნულმა ჯგუფებმა კოორდინირებული მოქმედებებითა და არატრადიციული მეთოდების გამოყენებით მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს ისრაელის არმიას.

ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ამერიკის საზღვაო ქვეითთა კორპუსის ექსპედიციურ შესაძლებლობებზე და აღნიშნავს, რომ მომავალი ომებისთვის, რომლებიც მრავალმხრივი საშუალებების კომბინაციით იქნება წარმოებული, აუცილებელია ძალების სპეციალური გადამზადება, რათა სამხედრო ოპერაციების დროს თავიდან იქნას აცილებული მოულოდნელი მარცხი.

რათქმაუნდა, ფრენკ ჰოფმანის ნაშრომს მნიშვნელოვანი სამეცნიერო ღირებულება აქვს, თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი ფაქტობრივად აშშ-ის მთავრობისთვის მომუშავე მკვლევარია. მისი ნარატივი უფრო მეტად უსვამს ხაზს ძლიერი სახელმწიფოების მოწყვლადობას, ვიდრე თავად ამ სახელმწიფოების მიერ სუსტი ქვეყნების წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიულ ქმედებებს. ჰოფმანის ჰიბრიდული ომის თეორია არ ეხება დიდი ძალების მიერ გამოყენებულ მასშტაბურ პროპაგანდისტულ, საინფორმაციო და სამხედრო-ეკონომიკურ შესაძლებლობებს, რომელთა მეშვეობითაც ისინი აქტიურად ახდენენ გავლენას მცირე სახელმწიფოებზე მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში.

კიდევ ერთი ამერიკელი მკვლევარი, რასელ ვ. გლენი, თავის 2009 წლის სტატიაში "*Thoughts on "Hybrid" Conflict*", გარკვეულწილად იზიარებს ჰოფმანისეულ ხედვებს, თუმცა ასევე ეყრდნობა სხვა მეცნიერების თეორიებს და აღნიშნავს, რომ მომავალი ომები საჭიროებს შესაძლებლობათა ბევრად უფრო მაღალი დონის სინერგიას, ვიდრე ეს შესაძლებელია მხოლოდ ბრძოლის ველზე. ამის ილუსტრაციისთვის იგი ქმნის დიაგრამას, სადაც ქვედა საფეხურზე წარმოდგენილია სრული სპექტრის ოპერაციები, შემდეგ დონეზე ერთიანი სახელმწიფოებრივი შესაძლებლობები, ხოლო საბოლოო საფეხურზე კომპლექსური მიდგომები, რომლებიც სცდება სახელმწიფო საზღვრებს და მოქმედებს საერთაშორისო დონეზე.[5]

[5] R.W. Glen *Thoughts on "Hybrid" Conflict* (Small Wars Journal 2009) .

გლენის ხედვები უფრო ახლოს დგას ჰიბრიდული ომის კომპლექსურ გააზრებასთან და ამტკიცებს, რომ სრული სპექტრის სამხედრო ოპერაციები ამ ტიპის კონფლიქტში წარმოადგენს ბოლო, თითქმის იძულებით ნაბიჯს. ეს განპირობებულია იმით, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებისა და გლობალიზაციით განპირობებული მჭიდრო ეკონომიკური და სხვა სახის კავშირების პირობებში, არასამხედრო ზემოქმედების მექანიზმები იმდენად ფართო სპექტრს მოიცავს, რომ შეიარაღებული დაპირისპირება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ხდება.

სრულიად განსხვავებულ და მეტად პირდაპირ ხაზს გვთავაზობს რუსეთის გენერალური შტაბის უფროსი ვალერი გერასიმოვი. თავის სტატიაში "Ценность науки в предвидении" აღნიშნავს, რომ ომის წესები რადიკალურად შეიცვალა და არამხედრო საშუალებების მნიშვნელობა პოლიტიკურ და სტრატეგიულ მიზნების მისაღწევად არა მხოლოდ გაიზარდა, არამედ ხშირად აღემატება სამხედრო შესაძლებლობებს. გერასიმოვი მაგალითად ასახელებს „არაბულ გაზაფხულს", ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში მომხდარ „ფერად რევოლუციებს", რათა აჩვენოს, რომ რამდენიმე თვე ან დღე საკმარისია ეკონომიკურად გაძლიერებულ ქვეყნებში პოლიტიკური წესრიგის დესტაბილიზაციისთვის და სამოქალაქო ომის პროვოცირებისთვის. იგი ასევე აღნიშნავს ხელოვნური ინტელექტისა და რობოტული ტექნოლოგიების მზარდ პოტენციალს და მოუწოდებს სამეცნიერო წრეებს თანამედროვე რუსული არმიის ფორმირებაში ჩართვისკენ.[6]

აზიური მეცნიერების კვლევებს იშვიათად ვხვდებით, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ორი პოლკოვნიკის ციაო ლიანისა და ვანგ სიანგსუის 1999 წლის ნაშრომს "*Unrestricted Warfare*". ეს ნაშრომი წინ უსწრებს ყველა ზემოთ განხილულ კვლევას და შეიძლება ჩაითვალოს ახალი თაობის ომის პირველ თეორიულ კონცეფციად, რომელიც წინასწარმეტყველებდა არასამხედრო შესაძლებლობების მზარდ მნიშვნელობას. ავტორები ამტკიცებენ, რომ ჩინეთს შეუძლია ეკონომიკური ომის წარმოება აშშ-ის წინააღმდეგ, მაგალითად ფასების მანიპულირებით, რაც მნიშვნელოვნად დააზიანებს ამერიკულ ბაზარს. ამასთანავე, შესაძლებელია საინფორმაციო ომის წარმოება მედიის გამოყენებით, მაშინ როდესაც ჩინეთი თავად შეზღუდავს უცხოურ პროპაგანდას საკუთარ ტერიტორიაზე.[7]

---

[6]В. Герасимов, Ценность науки в предвидении, (2013), https://redirme.com/tvdac5, (Accessed 22.03.2026)
[7]Q.Liang, W.Xiangsui *Unrestricted Warfare*: *China's Master Plan to Destroy America* (Shadow Lawn Press 2017).

რეალურად, ჩინელი მკვლევრების ეს მოსაზრებები თანამედროვე პრაქტიკასთან თანხვედრაში მოდის, მაგალითად, დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული ეკონომიკური სანქციები ან რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ 2006 წელს განხორციელებული ეკონომიკური ემბარგო აღნიშნულ საკითხს ეხმიანება. ასევე ხაზგასმულია საინფორმაციო ომის მზარდი მნიშვნელობა, რაც ამ თეორიას დღესაც აქტუალურს ხდის.

ზემოთ განხილული ავტორები თანხმდებიან, რომ ახალი თაობის, ანუ „ჰიბრიდული ომის“ ბუნება მოითხოვს მრავალფეროვანი საშუალებების კომბინირებულ გამოყენებას, თუმცა ჰოფმანი ჰიბრიდულ ომს განიხილავს როგორც სუსტი აქტორების იარაღს ძლიერების წინააღმდეგ, რასაც არ იზიარებს გლენისა და გერასიმოვის მიერ წამოყენებული მოსაზრებები. მათი აზრით, ჰიბრიდული მოქმედებების ინიციატორი არის ძლიერი სახელმწიფო, რადგან ასეთი კომპლექსური ოპერაციებისთვის საჭირო რესურსები მცირე აქტორებს არ გააჩნიათ. ჩინელი მკვლევრები კი აშშ-ს განიხილავენ როგორც მთავარ სამიზნეს, რაც მიუთითებს ორი ზესახელმწიფოს დაპირისპირების პერსპექტივაზე.

აღნიშნული ავტორები სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები არიან და განსხვავებული ხედვები აქვთ, თუმცა მათი ნაშრომები მაინც ასახავს საკუთარი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკურ კურსს და სრულად ნეიტრალურ სამეცნიერო განსაზღვრებებს არ გვთავაზობს. მიუხედავად ამისა, მათი ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ჰიბრიდული ომის ძირითადი ინდიკატორების ჩამოყალიბება:

ჰიბრიდული ომის ინდიკატორები:

1. პროპაგანდა;
2. საინფორმაციო ომი;
3. დეზინფორმაცია;
4. კიბერშეტევა;
5. კიბერსპიონაჟი;
6. ეკონომიკური სანქციები;
7. ფარული ეკონომიკური ომი;
8. სადაზვერვო საქმიანობა;
9. ასიმეტრიული სამხედრო კონფლიქტი;
10. არატრადიციული საბრძოლო ოპერაციები;
11. ტერორიზმი;
12. სეპარატიზმი;

13.მასშტაბური ომი.

აღნიშნული ინდიკატორები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგ კატეგორიებად:

1. საინფორმაციო ომი;
2. კიბერ ომი;
3. ეკონომიკური ომი;
4. ასიმეტრიული მოქმედებები;
5. სრულმასშტაბიანი ომი.

ეს გვაძლევს ჰიბრიდული ომის სტრუქტურულ მოდელს, თუმცა იგი საკმარისი არ არის თითოეული კომპონენტის წილის განსასაზღვრად. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება კონკ-რეტული კომპონენტის გამოყენება საერთოდ საჭირო არ გახდეს, თუ მიზანი სხვა გზით მიიღწევა. მაგალითად, სახელმწიფო A-მ B-ს წინააღმდეგ შეიძლება დაიწყოს საინფორ-მაციო ზემოქმედება და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში გადავიდეს სხვა ეტაპებზე.

ჰიბრიდულ ომში თითოეული კომპონენტის ზუსტი წილის განსაზღვრა რთულია, რადგან ეს დამოკიდებულია სამიზნე ქვეყნის მოწყვლადობაზე. თუმცა, რადგან ჰიბ-რიდული ომის არსი ძირითადად არასამხედრო საშუალებების გამოყენებას ეფუძნება, შესაძლებელია მისი ზოგადი სქემის წარმოდგენა, რომელიც უკეთ ასახავს მის რეალურ ბუნებას:



დიაგრამა N1[8]

დასკვნა

ნაშრომში განხილულია ჰიბრიდული ომის ბუნება, მისი წარმოშობის მიზეზები და კვლევის მიზნად დასახულია ჰიბრიდული ომის ფენომენის საერთო ფუნდამენტური მახასიათებლების დადგენა, ასევე იმ საფრთხის განსაზღვრა, რომელსაც იგი უქმნის სუსტი ეკონომიკისა და სამხედრო პოტენციალის მქონე ქვეყნებს, მათ შორის ჩვენს ქვეყანას. კვლევის ფარგლებში გაანალიზდა ჰიბრიდული ომის შესახებ არაერთი მნიშვნელოვანი

[8] წყარო: „ავტორის კონსტრუქცია, ნაშრომში გამოყენებული სამეცნიერო წყაროების საფუძველზე“

ნაშრომი, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ფრენკ ჰოფმანის, რასელ გლენის, ვალერი გერასიმოვის, ციაო ლიანისა და ვანგ სიანგსუის იდეები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ავტორები განსხვავებული კონტექსტიდან საუბრობენ, არ არის რთული იმ საერთო ფუნდამენტური მახასიათებლების იდენტიფიცირება, რომლებიც ჰიბრიდულ ომს თან ახლავს. შესაბამისად, ჩვენ მოვახდინეთ ამ მოქმედებების კატეგორიზაცია და შევქმენით დიაგრამა, რომელიც ასახავს მათი კომპონენტების გამოყენების ამპლიტუდას.

მიუხედავად იმისა, რომ ფრენკ ჰოფმანი ჰიბრიდულ ომს განიხილავს როგორც მცირე სახელმწიფოების, არასახელმწიფო აქტორების ან ტერორისტული ჯგუფების იარაღს, სხვა ავტორები ამ მიდგომას არ იზიარებენ. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მისი მსჯელობა გარკვეულწილად განპირობებულია აშშ-ის საგარეო პოლიტიკით. სხვა ავტორთა შემთხვევაში კი ნათლად ჩანს, რომ ჰიბრიდული ომის წარმოებისთვის საჭირო მოქმედებები მოითხოვს მნიშვნელოვან ეკონომიკურ რესურსებს, რაც მცირე სახელმწიფოებსა და განსაკუთრებით ტერორისტულ ორგანიზაციებს უბრალოდ არ გააჩნიათ. მსგავსი ჯგუფების საქმიანობა უფრო უნდა განვიხილოთ არა როგორც ჰიბრიდული ომი, არამედ როგორც ასიმეტრიული საბრძოლო ტაქტიკის ცალკეული გამოვლინებები.

ნაშრომის შესავალში დასმული იყო კვლევითი კითხვები, რომელთაც წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე უკვე შეგვიძლია დავუსაბუთოთ პასუხები.

1. რა არის ჰიბრიდული ომი და რა არის მისი ძირითადი მახასიათებლები?

ჰიბრიდული ომი წარმოადგენს ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის წინააღმდეგ განხორციელებულ კომპლექსურ მოქმედებათა ერთობლიობას, რომლის მიზანია მასზე საკუთარი პოლიტიკური ნების თავსმოხვევა. მისი ძირითადი მახასიათებლებია: ფარული ოპერაციები, დივერსიული საქმიანობა, მოსახლეობაზე ზემოქმედების მცდელობა პროპაგანდისა და საინფორმაციო ომის საშუალებით, კიბერსივრცის გამოყენება სახელმწიფო ინსტიტუტებზე შეტევისთვის მათი პარალიზებისა და სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებისთვის, ეთნიკური უმცირესობების გამოყენება სეპარატისტული კერების შექმნის მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით შიდა კონფლიქტების პროვო-ცირება და, საბოლოოდ, ღია სამხედრო ინტერვენცია.

2. რამდენ რესურსს მოითხოვს სრულმასშტაბიანი ჰიბრიდული ომის წარმოება?

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, განსაკუთრებით რუსულ და ჩინურ, ასევე ნაწილობრივ ამერიკულ წყაროებზე, შეიძლება ითქვას, რომ ჰიბრიდულ ომს ძირითადად ზესახელმწიფოები აწარმოებენ. ეს განპირობებულია იმით, რომ იგი მოითხოვს უზარმაზარ ეკონომიკურ რესურსებს, განვითარებულ ტექნოლოგიურ ბაზას და მნიშვნელოვან სამხედრო შესაძლებლობებს. შესაბამისად, ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, პრაქტიკულად შეუძლებელია რუსეთის წინააღმდეგ საინფორმაციო ან კიბერ ომის წარმოება, რომ აღარაფერი ვთქვათ ფართომასშტაბიან სამხედრო მოქმედებებზე, რადგან არ გაგვაჩნია შესაბამისი რესურსები და სტრატეგიული სიღრმე.

იმ პირობებში, როდესაც მცირე ეკონომიკისა და შეზღუდული სამხედრო პოტენციალის მქონე ქვეყნები მუდმივად განიცდიან დიდი ძალების ზემოქმედებას, XXI საუკუნის ახალი თაობის ომის კონცეფციამ ახალი საფრთხეები და გამოწვევები წარმოშვა. ჰიბრიდული ომის ფარული და დივერსიული მეთოდები, რომლებმაც პრაქტიკულად წაშალა ზღვარი ომსა და მშვიდობას შორის, მნიშვნელოვან ზიანს აყენებს საქართველოს და მსგავს მცირე სახელმწიფოებს, განსაკუთრებით კი მათ მოსახლეობას. ეს განპირობებულია იმით, რომ თანამედროვე პირობებში მოწინააღმდეგის მთავარი სამიზნე არა მხოლოდ სამხედრო ძალები, არამედ თავად მოსახლეობაა.

საქართველოს მაგალითზე, რომელიც მუდმივად განიცდის არა მხოლოდ რუსეთის, არამედ დასავლური სახელმწიფოების გავლენას, სადაც მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია ფუნქციონირებს, სადაც თავისუფლად მაუწყებლობს სხვადასხვა უცხოური და ადგილობრივი „პრო-“ მედია საშუალებები და რომელიც სრულად ღიაა ინტერნეტით გავრცელებული მავნე ინფორმაციისთვის, ვხედავთ სახელმწიფოს, რომელიც მუდმივად ცხოვრობს პოლიტიკური დაძაბულობისა და დესტაბილიზაციის დღის წესრიგით. ეს მნიშვნელოვნად აზიანებს ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას.

სასურველია, რომ სახელმწიფო და უსაფრთხოების შესაბამისი უწყებები უფრო აქტიურად ჩაერთონ მსგავსი მავნე ზემოქმედებების პრევენციაში. ეს მოითხოვს არა მხოლოდ სახელმწიფო ინსტიტუტების ინფორმირებას, არამედ ქვეყნის მთელი მოსახლეობის ჩართულობასა და ცნობიერების ამაღლებას.

ბიბლიოგრაფია

Glen R.W. *Thoughts on "Hybrid" Conflict*, Small Wars Journal, (2009).

Helmus T., Baron E., Radin A., *Understanding Russian Propaganda in Eastern Europe* ,Santa Monica, California (2018).

Hoffman F.G. *Conflict in the 21st Century: The Rise of Hybrid Wars*, Potomac Institute for Policy Studies, Arlington, Virginia (2007).

Liang Q., Xiangsui W. *Unrestricted Warfare: China's Master Plan to Destroy America*, Shadow Lawn Press (2017).

Герасимов В., *Ценность науки в предвидении*, (2013), https://redirme.com/cdnajs

US Military and Clandestine Operations in Foreign Countries – 1798 present https://redirme.com/jkx9sq

1990s United States boom, https://redirme.com/km76vx

The Future of Hybrid Warfare, https://redirme.com/dqg2pa

Käihkö I. *The Evolution of Hybrid W olution of Hybrid Warfare: Implications for Str e: Implications for Strategy and the ategy and the Military Profession* (2021).

ჰიბრიდული ომი: თეორიული საფუძვლები, კონცეპტუალური დებატები და მომავლის მიმართულებები თანამედროვე უსაფრთხოების კვლევებში

არჩილ სივსივა
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი

აბსტრაქტი

XXI საუკუნის კონფლიქტების ცვალებად ლანდშაფტში, ჰიბრიდული ომი დომინანტურ და კომპლექსური საფრთხის პარადიგმად იქცა, რომელიც აერთიანებს ჩვეულებრივ სამხედრო ძალას დეზინფორმაციულ კამპანიებთან, კიბერშეტევებთან, ეკონომიკურ ზეწოლასთან და პოლიტიკურ მანიპულაციებთან. ეროვნული უსაფრთხოებისთვის, დემოკრატიული მმართველობისა და ეკონომიკური სტაბილურობისთვის აუცილებელია კრიტიკული ინფორმაციის დაცვა. ეს ნაშრომი იკვლევს ჰიბრიდული ომის თეორიულ საფუძვლებს, კონცეპტუალურ დებატებს და სამომავლო ტრაექტორიებს გლობალური უსაფრთხოების განვითარებად ლანდშაფტში. ინტერდისციპლინარული მიდგომების, მათ შორის სტრატეგიული კვლევების, პოლიტიკური მეცნიერებისა და ინფორმაციის თეორიის საფუძველზე, კვლევა ჰიბრიდულ ომს დინამიურ და ადაპტაციურ ჩარჩოდ წარმოაჩენს, რომელიც აერთიანებს ჩვეულებრივ სამხედრო ძალას არარეგულარულ ტაქტიკასთან, კიბეროპერაციებთან, დეზინფორმაციის კამპანიებთან, ეკონომიკურ იძულებასთან და ფსიქოლოგიურ გავლენასთან. კვლევა აჩვენებს, რომ ჰიბრიდული ომის თეორიული საფუძველი მდგომარეობს ძალაუფლების მრავალი ინსტრუმენტის - სამხედრო და არასამხედრო - ინტეგრაციაში ერთიან სტრატეგიულ ჩარჩოში. ეს მიდგომა ხაზს უსვამს სტრატეგიულ ბუნდოვანებას, სფეროებს შორის კოორდინაციას და ომსა და მშვიდობას შორის საზღვრების განზრახ წაშლას. ასეთი მახასიათებლები ასახავს საერთაშორისო უსაფრთხოების გარემოში უფრო ფართო ტრანსფორმაციებს, რაც განპირობებულია ტექნოლოგიური ცვლილებებით, გლობალიზაციით და კონფლიქტის დინამიკის მზარდი კომპლექსურობით.

საკვანძო სიტყვები: ჰიბრიდული ომი, ეროვნული უსაფრთხოება, კიბერუსაფრთხოება, დეზინფორმაცია.

Hybrid Warfare: Theoretical Foundations, Conceptual Debates, and Future Trajectories in Contemporary Security Studies

Archil Sivsiva
Doctoral Candidate in the PhD Program in Law of
Caucasus International University

Abstract

In the evolving landscape of 21st-century conflicts, hybrid warfare has emerged as a dominant and complex threat paradigm, combining conventional military force with disinformation campaigns, cyberattacks, economic pressure, and political manipulation. Protecting critical information is essential for national security, democratic governance, and economic stability. This paper examines the theoretical foundations, conceptual debates, and future trajectories of hybrid warfare within the evolving landscape of global security. Drawing on interdisciplinary approaches, including strategic studies, political science, and information theory, the study situates hybrid warfare as a dynamic and adaptive framework that integrates conventional military force with irregular tactics, cyber operations, disinformation campaigns, economic coercion, and psychological influence. The study demonstrates that the theoretical basis of hybrid warfare lies in the integration of multiple instruments of power—military and non-military—within a unified strategic framework. This approach emphasizes strategic ambiguity, coordination across domains, and the deliberate blurring of boundaries between war and peace. Such characteristics reflect broader transformations in the international security environment, driven by technological change, globalization, and the increasing complexity of conflict dynamics.

Keywords: Hybrid warfare, National security, Cybersecurity, Disinformation.

შესავალი

ჰიბრიდული ომი თანამედროვე უსაფრთხოების კვლევებში ერთ-ერთ ყველაზე საკამათო და თეორიულად რთულ კონცეფციად იქცა. ტერმინი მოიცავს თეორიულ ჩარჩოს, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს ტრადიციულ ბინარულ განსხვავებებს ომსა და მშვიდობას, კონვენციურ და არატრადიციულ კონფლიქტს, სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორებს შორის. თავისი არსით, ჰიბრიდული ომი თეორიულად განიხილება, როგორც სტრატეგიული მიდგომა, რომელიც განზრახ აერთიანებს ძალაუფლების მრავალ ინსტრუმენტს - სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ინფორმაციულ და კიბერ - პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, სტრატეგიული ბუნდოვანების შენარჩუნებით და კონვენციური სამხედრო ესკალაციის თავიდან აცილებით.

ჰიბრიდული ომის თეორიული მნიშვნელობა სცილდება სამხედრო სტრატეგიას და მოიცავს ფუნდამენტურ კითხვებს კონფლიქტის ბუნების შესახებ ოცდამეერთე საუკუნეში. რადგან ციფრული ტექნოლოგიები ცვლის გლობალური უსაფრთხოების გარემოს და სახელმწიფო საზღვრები სულ უფრო გამჭვირვალე ხდება, ომის ტრადიციული თეორიები არასაკმარისი ჩანს თანამედროვე კონფლიქტის დინამიკის ასახსნელად. ჰიბრიდული ომის თეორია ცდილობს ამ ანალიტიკური ხარვეზის გადალახვას კონცეპტუალური ჩარჩოს შექმნით, რომელიც ითვალისწინებს თანამედროვე კონფლიქტის მრავალგანზომილებიან ბუნებას.

ძირითადი ნაწილი

ეს მიმოხილვა იკვლევს ჰიბრიდული ომის თეორიულ პერსპექტივებს, ფოკუსირებით კონცეპტუალურ დებატებზე, განმარტებით გამოწვევებსა და სტრატეგიულ შედეგებზე. კონკრეტული კონფლიქტების ან პოლიტიკის განხორციელების ანალიზის ნაცვლად, ეს ანალიზი პრიორიტეტს ანიჭებს თეორიულ საფუძვლებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ჰიბრიდულ ომს, როგორც ანალიტიკურ კონცეფციას. მიმოხილვა სტრუქტურირებულია ჰიბრიდული ომის თეორიის კონცეპტუალური ევოლუციის კვალის დასადგენად, ძირითადი თეორიული კომპონენტებისა და მოდელების შესასწავლად, ლიტერატურაში არსებული ძირითადი დებატებისა და კრიტიკის გასაანალიზებლად და კვლევის მომავალი თეორიული მიმართულებების დასადგენად.

ჰიბრიდული ომის თეორიული მნიშვნელობა არა მხოლოდ მის აღწერილობით სარგებლიანობაშია, არამედ კონფლიქტის, შეკავებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების შესახებ ფუნდამენტური ვარაუდების შეცვლის პოტენციალში. ძირითადი თეორიული

წვლილის სინთეზირებით და მუდმივი კონცეპტუალური გამოწვევების იდენტიფიცირებით, ეს მიმოხილვა მიზნად ისახავს თეორიული წინსვლის ხელშეწყობას. ჰიბრიდული ომის გააზრება და ამავდროულად იმ სფეროების ხაზგასმა, რომლებიც შემდგომ სამეცნიერო ყურადღებას საჭიროებს.

ჰიბრიდული ომის თეორიული განვითარება შეიძლება აკადემიური ევოლუციის რამდენიმე განსხვავებულ ფაზაში გავიაროთ. ფრენკ ჰოფმანის ფუნდამენტური წვლილი კონცეფციაში მისი განვითარებადი საფრთხის გარემოს ანალიზიდან გამომდინარეობდა, სადაც მან ჰიბრიდული საფრთხეები თეორიულად ჩამოაყალიბა, როგორც „ნებისმიერი მოწინააღმდეგე, რომელიც ერთდროულად და ადაპტირებულად იყენებს ჩვეულებრივი იარაღის, არარეგულარული ტაქტიკის, ტერორიზმისა და კრიმინალური ქცევის შერწყმულ ნაზავს საბრძოლო სივრცეში თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად“[1]. ამ ფუნდამენტურმა განმარტებამ ჰიბრიდული ომი თეორიულ ჩარჩოდ დაამკვიდრა, რომელიც ხაზს უსვამს მრავალფეროვანი ტაქტიკური მიდგომების განზრახ ინტეგრაციას და არა მათ თანმიმდევრულ გამოყენებას.

ჰიბრიდული ომის თეორიის კონცეპტუალური ევოლუცია ასახავს კონფლიქტის ბუნების შესახებ სტრატეგიული აზროვნების უფრო ფართო ტრანსფორმაციებს. ადრეული თეორიული წვლილი გამოთქვეს სამხედრო სტრატეგებმა და თავდაცვის ანალიტიკოსებმა, რომლებმაც აღიარეს, რომ ომის ტრადიციული კატეგორიები - ჩვეულებრივი vs. არატრადიციული, რეგულარული vs. არარეგულარული - არასაკმარისად ასახავდა კონფლიქტის ახალ დინამიკას. თეორიულმა ჩარჩომ იმპულსი მოიპოვა ნატოს მიერ ჰიბრიდული ომის, როგორც სტრატეგიული კონცეფციის მიღებით, რამაც ის სამხედრო ტაქტიკური თეორიიდან უფრო ფართო უსაფრთხოების პოლიტიკის დისკურსზე აამა-ღლა.[2] ჰიბრიდულ ომსა და მასთან დაკავშირებულ კონცეფციებს შორის თეორიული განსხვავებები ავლენს მნიშვნელოვან ანალიტიკურ საზღვრებს. არარეგულარული ომი, როგორც ეს კლასიკურ სამხედრო ლიტერატურაშია თეორიული, ძირითადად ფოკუსირებულია არატრადიციულ ტაქტიკაზე, რომელსაც სუსტი აქტორები იყენებენ ძლიე-რი მოწინააღმდეგეების წინააღმდეგ. ამის საპირისპიროდ, ნაცრისფერი ზონის კო-ნფლიქტი ხაზს უსვამს აქტივობებს, რომლებიც ჩვეულებრივი ომის ზღურბლს ქვემოთაა, ხოლო რუტინული კონ-

[1] Biscop, S. Hybrid Hysteria Security Policy Brief 64 2015 1-4

[2] cullen, erik reichborn -kjennerud and patrick. what is hybrid warfare?, City: Oslo, Norway, Norwegian Institute of International Affairs (often abbreviated) 2016, 12-18

კურენციის დონეს მაღლა რჩება. არაწრფივი ომი, განსაკუთრებით როგორც ეს თეორიულად არის წარმოდგენილი რუსეთის სამხედრო დოქტრინაში, ხაზს უსვამს ძალაუფლების მრავალი ინსტრუმენტის ერთდროულ გამოყენებას სხვადასხვა სფეროში. ჰიბრიდული ომის თეორია სინთეზირებს ამ დაკავშირებული კონცეფციების ელემენტებს, ამავდროულად ინარჩუნებს თავის გამორჩეულ ფოკუსს მრავალფეროვანი შესაძლებლობების სტრატეგიულ ინტეგრაციაზე.[3]

ჰიბრიდული ომის თეორიული არქიტექტურა ეფუძნება რამდენიმე ფუნდამენტურ კომპონენტს, რომლებიც მას ტრადიციული კონფლიქტის მოდელებისგან განასხვავებს. პირველი კომპონენტი გულისხმობს კინეტიკური და არაკინეტიკური ტაქტიკის თეორიულ ინტეგრაციას ერთიან სტრატეგიულ ჩარჩოში. ტრადიციული ომის თეორია, როგორც წესი, სამხედრო ძალას და ძალაუფლების სხვა ინსტრუმენტებს ცალკეულ ანალიტიკურ კატეგორიებად განიხილავს, მაგრამ ჰიბრიდული ომის თეორია მათ განზრახ შერწყმას განმსაზღვრელ მახასიათებლად მიიჩნევს.[4] თეორიულად, ეს ინტეგრაცია ქმნის სინერგიულ ეფექტებს, რომლებიც აღემატება ინდივიდუალური ტაქტიკური კომპონენტების ჯამს.

სტრატეგიული ბუნდოვანება და დამაჯერებლობის უარყოფა წარმოადგენს მნიშვნელოვან თეორიულ ელემენტებს, რომლებიც განასხვავებს ჰიბრიდულ ომს ჩვეულებრივი კონფლიქტისგან. ჰიბრიდული ომის თეორია ამტკიცებს, რომ ატრიბუციისა და განზრახვის შესახებ გაურკვევლობის შენარჩუნება სტრატეგიულ უპირატესობებს უზრუნველყოფს მოწინააღმდეგის საპასუხო გადაწყვეტილებების გართულებით. ბუნდოვანებაზე ეს თეორიული აქცენტი ასახავს უფრო ფართო კითხვებს ესკალაციის კონტროლისა და სტრატეგიული სტაბილურობის შესახებ თანამედროვე უსაფრთხოების გარემოში.

არასახელმწიფო აქტორების როლი ჰიბრიდული ომის თეორიაში თეორიულად საკამათო რჩება. ზოგიერთი ჩარჩო არასახელმწიფო აქტორებს სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტებად მიიჩნევს, ზოგი კი მათ დამოუკიდებელ სტრატეგიულ აქტორებად მიიჩნევს, რომლებსაც შეუძლიათ ჰიბრიდული ოპერაციების ჩატარება. ეს თეორიული დაძაბულობა ასახავს უფრო ღრმა კითხვებს ჰიბრიდული ომის ოპერაციებში აგენტობის, კონტროლისა და სტრატეგიული თანმიმდევრულობის შესახებ.

[3] Fridman, Ofer. Russian Hybrid Warfare: Resurgence and Politicisation. London, Hurst Publishers, 2018

[4] Hoffman, Frank G.. Conflict in the 21st Century: The Rise of Hybrid Wars. Arlington: Potomac Institute for Policy Studies. 2007

ჰიბრიდული ომის შესახებ თეორიული ლიტერატურა მუდმივი გამოწვევების წინაშე დგას, რომლებიც დაკავშირებულია განმარტების სიზუსტესა და კონცეპტუალურ სიცხადესთან. ფრიდმანის გავლენიანი კრიტიკა ამტკიცებს, რომ ჰიბრიდული ომი განიცდის „კონცეპტუალურ გაჭიმვას“, სადაც ტერმინის თეორიული საზღვრები გა-ფართოვდა და მოიცვა კონფლიქტის პრაქტიკულად ნებისმიერი ფორმა, რომელიც აერთიანებს მრავალ ტაქტიკას. ეს თეორიული არაზუსტობა ძირს უთხრის კონცეფციის ანალიტიკურ სარგებლიანობას და ქმნის დაბნეულობას მისი გამორჩეული მახასიათებლების შესახებ.

კითხვა, წარმოადგენს თუ არა ჰიბრიდული ომი ნამდვილად ახალ ფენომენს თუ უბრალოდ ტრადიციული კონცეფციების ხელახლა შეფუთვას, ფუნდამენტურ თეორიულ დებატებს წარმოადგენს. ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ ომი ყოველთვის „ჰიბრიდული“ იყო იმ გაგებით, რომ წარმატებული სამხედრო კამპანიები მუდმივად აერთიანებდა ძალაუფლების მრავალ ინსტრუმენტს. ეს პერსპექტივა ეჭვქვეშ აყენებს ჰიბრიდული ომის თეორიულ სიახლეს და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, იძლევა თუ არა ის ანალიტიკურ ხედვებს არსებული კონცეპტუალური ჩარჩოების მიღმა.

ზღურბლის ეფექტების შესახებ თეორიული დებატები კიდევ ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ჰიბრიდული ომის თეორიას უჭირს ზუსტად განსაზღვროს, თუ როდის გადადის კონფლიქტები ჩვეულებრივი კონკურენციიდან ჰიბრიდულ ომზე ან ჰიბრიდული ომიდან ჩვეულებრივ კონფლიქტზე. ეს თეორიული ბუნდოვანება ართულებს თანმიმდევრული სტრატეგიული პასუხების შემუშავების მცდელობებს და კითხვებს ბადებს კონცეფციის ოპერატიულ სარგებლიანობასთან დაკავშირებით.

თეორიული ხარვეზები და შეზღუდვები - სახელმწიფოზე ორიენტირებული თეორიული მოდელები დომინირებს ჰიბრიდული ომის ლიტერატურაში, თუმცა ეს აქცენტი მნიშვნელოვან თეორიულ „ბრმა წერტილებს“ ქმნის. არასახელმწიფო აქტორების როლი ჰიბრიდულ ომში თეორიულად განუვითარებელი რჩება, რადგან უმეტესი ჩარჩო მათ სახელმწიფო პოლიტიკის ინსტრუმენტებად მიიჩნევს და არა დამოუკიდებელ სტრატეგიულ აქტორებად. ეს თეორიული შეზღუდვა განსაკუთრებით პრობლემური ხდება კონფლიქტების ანალიზისას, რომლებიც მოიცავს მრავალ არასახელმწიფო აქტორს განსხვავებული მიზნებით.

ჰიბრიდული ომის თავდაცვითი ასპექტების გაგების თეორიული ჩარჩოები მნიშვნელოვნად ჩამორჩება შეტევით მოდელებს. მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურა შეიცავს ჰიბრიდული სტრატეგიების გამოყენების დახვეწილ თეორიულ ანალიზს, ის გვთავაზობს შეზღუდულ თეორიულ ხელმძღვანელობას მდგრადობის, ადაპტაციისა და

თავდაცვითი კონტრზომების გასაგებად. ეს თეორიული ასიმეტრია ასახავს კონცეფციის წარმოშობას საფრთხის შეფასებაში და არა ყოვლისმომცველ სტრატეგიულ ანალიზში.

ტექნოლოგიური ცვლილებების ჰიბრიდული ომის თეორიაში ინტეგრაცია მუდმივ გამოწვევებს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ თეორიული ჩარჩოების უმეტესობა აღიარებს კიბერშესაძლებლობებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მნიშვნელობას, ისინი ცდილობენ თეორიულად ჩამოაყალიბონ, თუ როგორ მოქმედებს სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილება ჰიბრიდული ომის ფუნდამენტურ დინამიკაზე.[5] ეს თეორიული შეზღუდვა სულ უფრო პრობლემური ხდება, რადგან ხელოვნური ინტელექტი, ავტონომიური სისტემები და სხვა ახალი ტექნოლოგიები ცვლის სტრატეგიულ გარემოს.

ჰიბრიდული ომის თეორიული მოდელები ხშირად ავლენენ კულტურულ და გეოგრაფიულ მიკერძოებებს, რაც ზღუდავს მათ უნივერსალურ გამოყენებადობას. დასავლურ აკადემიურ და პოლიტიკურ კონტექსტებში შემუშავებული ჩარჩოები შესაძლოა სათანადოდ არ ასახავდეს ჰიბრიდული ომის დინამიკას სხვადასხვა კულტურულ ან სტრატეგიულ კონტექსტში. ეს თეორიული შეზღუდვა მნიშვნელოვან კითხვებს ბადებს კონცეფციის კულტურათშორისი ვალიდურობისა და ანალიტიკური სარგებლიანობის შესახებ.

კონტრარგუმენტები და ალტერნატიული პერსპექტივები - რამდენიმე თეორიული კონტრარგუმენტი ეჭვქვეშ აყენებს ჰიბრიდული ომის თეორიის საფუძვლად დადებულ ფუნდამენტურ დაშვებებს. ყველაზე მნიშვნელოვანი ამტკიცებს, რომ ჰიბრიდულობა წარმოადგენს ყველა კონფლიქტის თანდაყოლილ მახასიათებელს და არა გამორჩეულ სტრატეგიულ მიდგომას. ეს პერსპექტივა ვარაუდობს, რომ ჰიბრიდული ომის აშკარა სიახლე ასახავს ტრადიციული ომის თეორიის ანალიტიკურ შეზღუდვებს და არა სტრატეგიულ პრაქტიკაში ნამდვილ ინოვაციებს.[6]

ჰიბრიდული ომის სტრატეგიული ეფექტურობის თეორიული კრიტიკა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, რეალურად უზრუნველყოფს თუ არა ინტეგრირებული მიდგომები მნიშვნელოვან უპირატესობებს ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით. ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ ძალაუფლების მრავალი ინსტრუმენტის კოორდინაციის სირთულემ შეიძლება შექმნას სტრატეგიული დაუცველობა, რომელიც ანეიტრალებს პოტენციურ სინერგიულ სარგებელს. ეს თეორიული დებატები ხაზს უსვამს ჰიბრიდული ომის სტრატეგიული ლოგიკის უფრო დახვეწილი ანალიზის საჭიროებას.

---

[5] Bachmann, Sascha-Dominik, and Hakan Gunneriusson. “Hybrid Wars: The 21st-Century's New Threats to Global Peace and Security.” Scientia Militaria 42, no. 1. 2014. 77-98

[6] Biscop, S. Hybrid Hysteria Security Policy Brief 64. 2015, 1-4

ალტერნატიული თეორიული ჩარჩოები თანამედროვე კონფლიქტის დინამიკის ცვლილებაზე მეტად უწყვეტობას უსვამენ ხაზს. ეს პერსპექტივები ამტკიცებენ, რომ ჰიბრიდული ომის აშკარა სიახლეზე ფოკუსირება ჩრდილავს სტრატეგიულ კონკურენციასა და კონფლიქტში უფრო ფუნდამენტურ უწყვეტობას. ეს თეორიული პოზიცია ვარაუდობს, რომ არსებული ანალიტიკური ჩარჩოები საკმარისია თანამედროვე უსაფრთხოების გამოწვევების გასაგებად.

მომავალი თეორიული მიმართულებები ახალი ჩარჩოები და კონცეპტუალური განვითარება – ჰიბრიდული ომის თეორიული ევოლუცია გრძელდება დაკავშირებული კონცეფციების შემუშავებით, რომლებიც განიხილავენ არსებულ ჩარჩოებში აღქმულ შეზღუდვებს. მრავალდომენიანი ომის თეორია წარმოადგენს ერთ-ერთ ასეთ განვითარებას, რომელიც ხაზს უსვამს ერთდროულ ოპერაციებს ხმელეთზე, ზღვაზე, ჰაერში, კოსმოსსა და კიბერსფეროში.[7] ეს თეორიული ჩარჩო განიხილავს ჰიბრიდული ომის ზოგიერთ განმარტებით გამოწვევებს უფრო ზუსტი ანალიტიკური კატეგორიების მიწოდებით და ამავდროულად, ფოკუსირებულია ჯვარედინი ინტეგრაციაზე.

კოგნიტური ომი ჩნდება, როგორც კიდევ ერთი თეორიული განვითარება, რომელიც აფართოებს ჰიბრიდული ომის კონცეფციებს ადამიანის შემეცნებისა და გადაწყვეტილების მიღების სფეროში. კოგნიტური ომის თეორიული ჩარჩოები ხაზს უსვამენ ინდივიდუალურ და კოლექტიურ კოგნიტურ პროცესებზე გავლენის მოხდენის სისტემურ ძალისხმევას და არა მხოლოდ ინფორმაციის გავრცელებას. ეს თეორიული განვითარება ასახავს მზარდ აღიარებას, რომ თანამედროვე კონფლიქტები სულ უფრო მეტად მიზნად ისახავს სტრატეგიული კონკურენციის კოგნიტურ და ფსიქოლოგიურ განზომილებებს.

დასკვნა

ეს თეორიული ანალიზი ავლენს, რომ ჰიბრიდული ომი წარმოადგენს როგორც მნიშვნელოვან კონცეპტუალურ წვლილს უსაფრთხოების კვლევებში, ასევე მუდმივი ანალიტიკური გამოწვევების წყაროს. კონცეფციის თეორიული საფუძვლები ეფუძნება ძალაუფლების მრავალი ინსტრუმენტის ინტეგრაციას ერთიან სტრატეგიულ ჩარჩოებში, ხაზს

[7] cullen, erik reichborn kjennerud and patrick. what is hybrid warfare? City: Oslo, Norway, Norwegian Institute of International Affairs (often abbreviated), 2016, 12-18

უსვამს სტრატეგიულ ბუნდოვანებას და სფეროებს შორის კოორდინაციას. თუმცა, განმარტებითი არაზუსტობა და კონცეპტუალური ბუნდოვანება კვლავ ზღუდავს თეორიის ანალიტიკურ სარგებლიანობას და პოლიტიკურ შესაბამისობას.

თეორიული ლიტერატურა აჩვენებს, რომ ჰიბრიდული ომის მნიშვნელობა სცილდება სამხედრო სტრატეგიას და მოიცავს თანამედროვე კონფლიქტის ბუნების შესახებ ფუნდამენტურ კითხვებს. ძირითადი თეორიული წვლილი მოიცავს ჰოფმანის ჰიბრიდული საფრთხეების ჩარჩოს, რომელმაც შექმნა კონცეპტუალური საფუძველი ინტეგრირებული სტრატეგიული მიდგომების გასაგებად, და ახალ ჩარჩოებს, რომლებიც განიხილავენ ომის მრავალდომენიან და კოგნიტურ განზომილებებს. ეს თეორიული განვითარება ასახავს კონცეფციის მუდმივ ევოლუციას და მის პოტენციალს უსაფრთხოების კვლევების წინსვლისთვის.

ძირითადი თეორიული დებატები ფოკუსირებულია იმაზე, წარმოადგენს თუ არა ჰიბრიდული ომი ნამდვილ კონცეპტუალურ ინოვაციას თუ უბრალოდ ტრადიციული სტრატეგიული კონცეფციების გადაფასებას. განმარტებითი ბუნდოვანებისა და კონცეპტუალური გადაჭიმულობის კრიტიკა ხაზს უსვამს მნიშვნელოვან შეზღუდვებს, რომლებიც ზღუდავს თეორიის ანალიტიკურ სიზუსტეს. თუმცა, ეს დებატები ასევე ავლენს კონცეფციის თეორიულ სიმდიდრეს და მის შესაძლებლობას, წარმოქმნას პროდუქტიული სამეცნიერო დისკუსია კონფლიქტის დინამიკის ცვლილებასთან დაკავშირებით.

მომავალი თეორიული მიმართულებები მიუთითებს ინტერდისციპლინარული ინტეგრაციის ზრდასა და უფრო დახვეწილ ანალიტიკურ ჩარჩოებზე. დაკავშირებული კონცეფციების, როგორიცაა მრავალდომენიანი ომი და კოგნიტური ომი, განვითარება მიუთითებს, რომ ჰიბრიდული ომის თეორია აგრძელებს განვითარებას ტექნოლოგიური ცვლილებებისა და სტრატეგიული ადაპტაციის საპასუხოდ. ეს თეორიული განვითარება გვთავაზობს პერსპექტიულ გზებს არსებული შეზღუდვების გადასაჭრელად, კონცეფციის ანალიტიკური ხედვის შენარჩუნებით.

ჰიბრიდული ომის თეორიული მნიშვნელობა საბოლოო ჯამში მდგომარეობს მის შესაძლებლობაში, ეჭვქვეშ დააყენოს ტრადიციული დაშვებები კონფლიქტის, შეკავებისა და სტრატეგიული კონკურენციის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ განმარტებითი გამოწვევები და კონცეპტუალური შეზღუდვები ზღუდავს მის ამჟამინდელ სარგებლიანობას, თეორიული განვითარების გაგრძელება უსაფრთხოების კვლევებში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანის პოტენციალს გვთავაზობს. კონცეფციის აქცენტი ინტეგრაციაზე, ბუნდოვანებასა და სფეროებს შორის კოორდინაციაზე აგვარებს ტრადიციული ომის თეორიაში არსებულ

მნიშვნელოვან ანალიტიკურ ხარვეზებს და ქმნის ჩარჩოებს თანამედროვე უსაფრთხოების გამოწვევების გასაგებად.

ბიბლიოგრაფია

Arquilla, John, and David Ronfeldt. 2001. "Networks and Netwars: The Future of Terror, Crime, and Militancy." Santa Monica: RAND Corporation.

Bachmann, Sascha-Dominik, and Hakan Gunneriusson. 2014. "“Hybrid Wars: The 21st-Century's New Threats to Global Peace and Security.”." 77-98. Scientia Militaria 42, no. 1.

Biscop, S. 2015. "Hybrid Hysteria." 1-4. Security Policy Brief 64.

cullen, erik reichborn -kjennerud and patrick. 2016. "what is hybrid warfare?" 12-18. City: Oslo, Norway: Norwegian Institute of International Affairs (often abbreviated.

Fridman, Ofer. 2018. "Russian Hybrid Warfare: Resurgence and Politicisation." london : Hurst Publishers.

Hoffman, Frank G. 2007. "Conflict in the 21st Century: The Rise of Hybrid Wars." Arlington: Potomac Institute for Policy Studies.

Hoffman, Frank G. 2009. "Hybrid Threats: Reconceptualizing the Evolving Character of Modern Conflict." 1-8. Strategic Forum 240.

Weissmann, Mikael. 2019. "Hybrid Warfare and Hybrid Threats Today and Tomorrow: Towards an Understanding of the Phenomena." 1-26. Stockholm: Swedish Defence University.

ახალი მსოფლიო წესრიგი: ძალაუფლება და უსაფრთხოება 21-ე საუკუნეში

ლევან ნიკოლეიშვილი
სსიპ დავით აღმაშენებელის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების
მიმართულების პროფესორი,
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

აბსტრაქტი

21-ე საუკუნეში გეოპოლიტიკური გარემო მნიშვნელოვნად შეიცვალა, რაც განპირობებულია ძალაუფლების გადანაწილებით, უსაფრთხოების მრავალფეროვანი გამოწვევებით და საერთაშორისო თანამშრომლობის ახალ ფორმებით. ეს ესე „ახალ მსოფლიო წესრიგს“, რომელიც ახასიათებს მრავალპოლარულ სისტემას, სადაც ტრადიციული ჰეგემონიური სახელმწიფოები, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, კონკურენციას უწევენ სწრაფად მზარდ ახალ მოთამაშეებს, მათ შორის ჩინეთი და ინდოეთი.

ნაშრომი ასევე აფასებს უსაფრთხოების კონცეფციის ტრანსფორმაციას, რომელიც მოიცავს ტრადიციულ სამხედრო საფრთხეებს, კიბერუსაფრთხოებას, ჰიბრიდულ კონფლიქტებს, გლობალურ პანდემიებს და კლიმატის ცვლილების შედეგებს. გარდა ამისა, აღინიშნება საერთაშორისო თანამშრომლობის მზარდი მნიშვნელობა, განსაკუთრებით ისეთი გამოწვევების კუთხით, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, ეკონომიკური ინტეგრაცია და გლობალური ჯანდაცვა.

ესეს შედეგები ხაზს უსვამენ, რომ თანამედროვე გეოპოლიტიკა მოითხოვს მრავალგანზომილებიან ანალიზსა და კოლექტიურ მიდგომას, სადაც ძალაუფლება, უსაფრთხოება და თანამშრომლობა ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ახალი მსოფლიო წესრიგის გააზრება და შესაბამისი პოლიტიკის ჩამოყალიბება აუცილებელია სახელმწიფოთა სტაბილურობისა და გლობალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად

საკვანძო სიტყვები: ახალი მსოფლიო წესრიგი, მრავალპოლარული სისტემა, ჰეგემონიური სახელმწიფოები, უსაფრთხოების ტრანსფორმაცია, კიბერუსაფრთხოება, ჰიბრიდული კონფლიქტები, კლიმატის ცვლილება, საერთაშორისო თანამშრომლობა

New World Order: Power and Security in the 21st Century

Levan Nikoleishvili
Professor of Master's program in Security Studies of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Doctor of Political Science

Abstract

The geopolitical landscape of the 21st century has undergone significant transformation, driven by the redistribution of power, diverse security challenges, and new forms of international cooperation. This essay examines the "New World Order," characterized by a multipolar system in which traditional hegemonic states, such as the United States, face competition from rapidly emerging players, including China and India.

The paper also evaluates the transformation of the security concept, encompassing traditional military threats, cybersecurity, hybrid conflicts, global pandemics, and the consequences of climate change. Furthermore, it highlights the growing importance of international cooperation, particularly in addressing challenges such as climate change, economic integration, and global health.

The findings underscore that contemporary geopolitics requires multidimensional analysis and collective approaches, where power, security, and cooperation are closely interconnected. Understanding the New World Order and shaping appropriate policies are essential for ensuring state stability and global security.

Keywords: *New World Order, multipolar system, hegemonic states, security transformation, cybersecurity, hybrid conflicts, climate change, international cooperation*

შესავალი

21-ე საუკუნეში საერთაშორისო სისტემა მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის, რაც დაკავშირებულია ძალაუფლების გადანაწილებასთან, უსაფრთხოების ახალი გამოწვევების გაჩენასთან და გლობალური თანამშრომლობის ფორმების ცვლილებასთან. თანამედროვე მსოფლიო აღარ არის ერთპოლარული ან მკაცრად დუალისტური, როგორც ეს ცივი ომის პერიოდში იყო; იგი უფრო მრავალპოლარული და კომპლექსური გახდა, სადაც სხვადასხვა სახელმწიფო და არასტატური აქტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

„ახალი მსოფლიო წესრიგი" ასახავს იმ პროცესებს, whereby ტრადიციული ჰეგემონიური ძალები ნაწილობრივ კარგავენ გავლენას, ხოლო ახალი ძალები -განსაკუთრებით ჩინეთი და ინდოეთი - სწრაფად იმტკიცებენ პოზიციებს გლობალურ არენაზე. ამასთანავე, ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ ინარჩუნებს მნიშვნელოვან გავლენას, თუმცა მას უწევს კონკურენცია როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო აქტორებთან.

უსაფრთხოების კონცეფციაც მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ტრადიციული სამხედრო საფრთხეების გარდა, თანამედროვე სამყაროში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კიბერუსაფრთხოება, ტერორიზმი, ჰიბრიდული კონფლიქტები და გლობალური კრიზისები, როგორიც იყო COVID-19 პანდემია. ეს ცვლილებები აჩვენებს, რომ უსაფრთხოება აღარ არის მხოლოდ სახელმწიფოთა სამხედრო შესაძლებლობებზე დამოკიდებული, არამედ მოიცავს ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებსაც.[1]

ამავე დროს, გლობალური გამოწვევები ზრდის საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობას. მიუხედავად სახელმწიფოებს შორის არსებული კონკურენციისა, ისეთი პრობლემები, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, ენერგეტიკული უსაფრთხოება და საერთაშორისო ვაჭრობა, მოითხოვს კოორდინირებულ მოქმედებას. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

წინამდებარე ესეს მიზანია გააანალიზოს 21-ე საუკუნის გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციები, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ძალაუფლების გადანაწილებას, უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევებს და საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობას ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესში.

[1] *M.Kaldor, New and Old Wars: Organized Violence in a Global Era. Stanford University Press. (2012).*

ძირითადი ნაწილი

ძალაუფლება და მისი ტრანსფორმაცია 21-ე საუკუნეში

21-ე საუკუნეში გეოპოლიტიკური ძალაუფლების განაწილება მნიშვნელოვნად შეიცვალა, რაც საერთაშორისო სისტემის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებლად იქცა. თუ XX საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიო ორ პოლუსს შორის იყო გაყოფილი, ხოლო ცივი ომის დასრულების შემდეგ ჩამოყალიბდა ერთპოლარული სისტემა, სადაც დომინანტურ როლს ამერიკის შეერთებული შტატები ასრულებდა, თანამედროვე ეპოქაში აშკარად შეიმჩნევა მრავალპოლარული სისტემის ფორმირება.[2]

ამ პროცესში განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩინეთი, რომლის ეკონომიკურმა და ტექნოლოგიურმა წინსვლამ იგი გლობალურ ძალად აქცია. ჩინეთის ინიციატივები, როგორიცაა „ერთი სარტყელი, ერთი გზა“, მიუთითებს მის ამბიციაზე, გააძლიეროს გავლენა არა მხოლოდ აზიაში, არამედ ევროპასა და აფრიკაშიც. ამასთანავე, ინდოეთი სწრაფად მზარდი ეკონომიკით და დემოგრაფიული რესურსით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აქტორია, რომელიც გლობალურ ძალთა ბალანსზე გავლენას ახდენს.

მნიშვნელოვან როლს ინარჩუნებს რუსეთი, განსაკუთრებით სამხედრო და ენერგეტიკული რესურსების წყალობით. მისი საგარეო პოლიტიკა ხშირად მიმართულია გავლენის სფეროების შენარჩუნებისა და გაფართოებისკენ, რაც აშკარად გამოჩნდა რუსეთ-უკრაინის ომი დროს. აღნიშნულმა კონფლიქტმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა, რომ ტრადიციული ძალაუფლების ელემენტები - ტერიტორია, სამხედრო ძალა და რესურსები - კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

თუმცა თანამედროვე ძალაუფლება მხოლოდ სახელმწიფოებზე აღარ არის დამოკიდებული. გლობალურ პოლიტიკაში სულ უფრო აქტიურად ერთვებიან ტრანსნაციონალური კომპანიები და ტექნოლოგიური გიგანტები, რომლებიც ფლობენ უზარმაზარ ეკონომიკურ და საინფორმაციო რესურსებს. მაგალითად, ისეთი კომპანიები, როგორიცაა Google, Apple და Microsoft, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ არა მხოლოდ ეკონომიკაზე, არამედ ინფორმაციის გავრცელებაზე და საზოგადოებრივ აზრზეც.

ამრიგად, 21-ე საუკუნეში ძალაუფლება უფრო კომპლექსური და მრავალგანზომილებიანი გახდა. იგი მოიცავს არა მხოლოდ სამხედრო და ეკონომიკურ შესაძლებლობებს, არამედ ტექნოლოგიურ განვითარებას, ინფორმაციულ კონტროლს და კულტურულ გავლენასაც.

---

[2] *G. Allison, Destined for War: Can America and China Escape Thucydides's Trap? Boston: Houghton Mifflin Harcourt. (2017).*

სწორედ ამ მრავალფეროვნების გამო თანამედროვე გეოპოლიტიკა ხასიათდება დინამიკურობითა და მუდმივი ცვლილებებით, რაც ახალ გამოწვევებს უქმნის როგორც სახელმწიფოებს, ისე საერთაშორისო სისტემას მთლიანობაში.

უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები 21-ე საუკუნეში

21-ე საუკუნეში უსაფრთხოების ცნება მნიშვნელოვნად გაფართოვდა და მრავალგანზომილებიანი გახდა. თუ ადრე უსაფრთხოება ძირითადად სამხედრო ძალასა და სახელმწიფოების ტერიტორიულ მთლიანობასთან ასოცირდებოდა, დღეს იგი მოიცავს ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ფაქტორებსაც. თანამედროვე სამყაროში საფრთხეები უფრო კომპლექსური და ხშირად არატრადიციული ხასიათისაა, რაც ართულებს მათ პროგნოზირებასა და მართვას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა კვლავ რჩება სამხედრო კონფლიქტები, თუმცა მათი ფორმა შეიცვალა. ამის ნათელი მაგალითია რუსეთ-უკრაინის ომი, რომელმაც აჩვენა, რომ ომი აღარ მიმდინარეობს მხოლოდ ტრადიციული სამხედრო მოქმედებების ფარგლებში. იგი მოიცავს კიბერშეტევებს, დეზინფორმაციის კამპანიებს და ეკონომიკურ სანქციებს, რაც ჰიბრიდული ომის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებლად ითვლება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა კიბერუსაფრთხოება. ციფრული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ შექმნა ახალი საფრთხეები, რომლებიც დაკავშირებულია მონაცემთა დაცვასთან, სახელმწიფო საიდუმლოებების გაჟონვასთან და კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაზიანებასთან. კიბერშეტევები შეიძლება განხორციელდეს როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო აქტორების მიერ, რაც კიდევ უფრო ართულებს მათი წყაროს დადგენას და შესაბამის რეაგირებას.

გლობალური ტერორიზმიც კვლავ სერიოზულ საფრთხედ რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში მისი მასშტაბები გარკვეულწილად შემცირდა, იგი კვლავ ახდენს გავლენას საერთაშორისო უსაფრთხოებაზე და საჭიროებს კოორდინირებულ საერთაშორისო ძალისხმევას. ამასთანავე, რადიკალიზაციის გავრცელება ინტერნეტისა და სოციალური მედიის საშუალებით ახალ გამოწვევებს ქმნის.

უსაფრთხოების ახალი განზომილება გახდა გლობალური ჯანდაცვის კრიზისებიც. COVID-19 პანდემიამ ნათლად აჩვენა, რომ მსოფლიო არ არის მზად მსგავსი მასშტაბის საფრთხეებისთვის. პანდემიამ არა მხოლოდ ჯანდაცვის სისტემები დააზარალა, არამედ გამოიწვია ეკონომიკური კრიზისი, სოციალური დაძაბულობა და საერთაშორისო ურთიერთობების გართულება.

ასევე აღსანიშნავია კლიმატის ცვლილება, როგორც უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ფაქტორი. გარემოსდაცვითი პრობლემები იწვევს რესურსების დეფიციტს, მიგრაციის ზრდას და კონფლიქტების რისკის გაზრდას, რაც მომავალში შეიძლება კიდევ უფრო გამწვავდეს.

ამრიგად, 21-ე საუკუნეში უსაფრთხოება აღარ არის მხოლოდ სამხედრო ძალის საკითხი. იგი მოიცავს მრავალ სფეროს და მოითხოვს ინტეგრირებულ მიდგომას, სადაც სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები და საზოგადოება ერთობლივად უნდა მოქმედებდნენ. სწორედ ამ კომპლექსურობის გამო თანამედროვე უსაფრთხოების უზრუნველყოფა ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევად რჩება გლობალურ დონეზე.

საერთაშორისო თანამშრომლობა და მისი როლი ახალ მსოფლიო წესრიგში

თანამედროვე გეოპოლიტიკურ გარემოში საერთაშორისო თანამშრომლობა სულ უფრო მნიშვნელოვან როლს იძენს. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებს შორის კონკურენცია და ინტერესთა დაპირისპირება კვლავ ძლიერია, გლობალური გამოწვევები ხშირად აჭარბებს ერთი ქვეყნის შესაძლებლობებს და საჭიროებს კოლექტიურ მოქმედებას. სწორედ ამიტომ, 21-ე საუკუნეში თანამშრომლობა იქცა საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთ მთავარ ელემენტად.

მნიშვნელოვან როლს ამ პროცესში ასრულებენ საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელიც ცდილობს მშვიდობის შენარჩუნებასა და კონფლიქტების პრევენციას, და ნატო, რომელიც უზრუნველყოფს კოლექტიურ უსაფრთხოებას თავისი წევრი ქვეყნებისათვის. ასევე იზრდება რეგიონული ორგანიზაციების მნიშვნელობა, რომლებიც კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცეში თანამშრომლობის გაღრმავებას უწყობენ ხელს.

გლობალური თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ საკითხებში, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, ენერგეტიკული უსაფრთხოება და საერთაშორისო ვაჭრობა. მაგალითად, კლიმატის პრობლემები არ ცნობს სახელმწიფო საზღვრებს და მათი გადაჭრა მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით არის შესაძლებელი. ამასთანავე, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება ქვეყნებს შორის ზრდის თანამშრომლობის აუცილებლობას, რადგან გლობალური ბაზარი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულია.[3]

[3] R. O. Keohane, (After Hegemony: Cooperation and Discord in the World Political Economy. Princeton University Press. 1984).
J. J. Mearsheimer. The Great Delusion: Liberal Dreams and International Realities. Yale University Press. , (2019)

თუმცა, საერთაშორისო თანამშრომლობა არ არის გამოწვევების გარეშე. დიდი ძალები ხშირად მოქმედებენ საკუთარი ეროვნული ინტერესების შესაბამისად, რაც ართულებს შეთანხმებების მიღწევას. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები, ჩინეთი და რუსეთი შორის არსებული კონკურენცია ხშირად აფერხებს გლობალურ შეთანხმებებს და ზრდის დაძაბულობას საერთაშორისო სისტემაში.

ამასთანავე, საერთაშორისო ორგანიზაციებსაც უწევთ ადაპტაცია ახალ რეალობებთან. თანამედროვე გამოწვევები - კიბერუსაფრთხოება, ჰიბრიდული ომები და გლობალური კრიზისები - საჭიროებს უფრო მოქნილ და ეფექტურ მექანიზმებს, ვიდრე ეს ტრადიციულ სტრუქტურებს გააჩნიათ.

ამრიგად, მიუხედავად სირთულეებისა, საერთაშორისო თანამშრომლობა რჩება აუცილებელ ინსტრუმენტად გლობალური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. თანამედროვე მსოფლიოში არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია სრულად დამოუკიდებლად გაუმკლავდეს ყველა გამოწვევას, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კოლექტიური მოქმედების მნიშვნელობას.

დასკვნა

21-ე საუკუნის გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციები მკვეთრად ცვლის საერთაშორისო სისტემის ბუნებას და ქმნის ახალ მსოფლიო წესრიგს. ძალაუფლების გადანაწილება მრავალპოლარული სისტემისკენ, უსაფრთხოების მრავალფეროვანი და კომპლექსური გამოწვევები, და საერთაშორისო თანამშრომლობის მზარდი მნიშვნელობა წარმოადგენს ამ პროცესის ძირითად მახასიათებლებს.

თანამედროვე სამყაროში ძალაუფლება აღარ განისაზღვრება მხოლოდ სამხედრო შესაძლებლობებით; იგი მოიცავს ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ და საინფორმაციო რესურსებსაც. ამასთანავე, უსაფრთხოება გახდა ფართო კონცეფცია, რომელიც მოიცავს როგორც ტრადიციულ, ისე არატრადიციულ საფრთხეებს. ამ პირობებში სახელმწიფოებს უწევთ ადაპტაცია სწრაფად ცვალებად გარემოსთან.

მიუხედავად არსებული კონკურენციისა და დაძაბულობისა, საერთაშორისო თანამშრომლობა რჩება კრიტიკულად მნიშვნელოვან ფაქტორად გლობალური სტაბილურობისთვის. ისეთი გამოწვევები, როგორიცაა კლიმატის ცვლილება, პანდემიები და ეკონომიკური კრიზისები, მოითხოვს ერთობლივ ძალისხმევას და კოორდინირებულ მოქმედებას.

საბოლოოდ, ახალი მსოფლიო წესრიგი წარმოადგენს რთულ და მრავალმხრივ პროცესს, სადაც ძალაუფლება, უსაფრთხოება და თანამშრომლობა ერთმანეთთან მჭიდროდ არის

დაკავშირებული. სწორედ ამ ურთიერთქმედების გააზრებაა აუცილებელი თანამედროვე გეოპოლიტიკური რეალობის სწორად შესაფასებლად და ეფექტური პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად.

ბიბლიოგრაფია

Allison, G.Destined for War: Can America and China Escape Thucydides's Trap? Boston: Houghton Mifflin Harcourt. (2017).

Fukuyama, F. The Pandemic and Political Order. Foreign Affairs. (2020).

Ikenberry, G. J. The End of Liberal International Order? International Affairs, 94(1), 7–23. (2018).

Kaldor, M. New and Old Wars: Organized Violence in a Global Era. Stanford University Press. (2012).

Keohane, R. O. After Hegemony: Cooperation and Discord in the World Political Economy. Princeton University Press. (1984).

Mearsheimer, J. J. The Great Delusion: Liberal Dreams and International Realities. Yale University Press. (2019).

Nye, J. S. The Future of Power. PublicAffairs. (2011).

Walt, S. M. The Hell of Good Intentions. Foreign Policy. (2018).

ბიოლოგიური უსაფრთხოების ფაქტორი საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში

მაია კაპანაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი,
ORCID iD: https://orcid.org/0009-0006-1426-4113

ალიკა გუჩუა
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი,
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი,
ORCID iD: https://orcid.org/0000-0003-0347-9574

აბსტრაქტი

21-ე საუკუნე ხასიათდება სწრაფად მზარდი ტენდენციებით და ტექნოლოგიური ცვლილებებით რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე. გლობალიზაციის პროცესმა სახელმწიფოები და მათი უსაფრთხოება მნიშვნელოვნად გადააჯაჭვა ერთმანეთს გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური მიმართულებით. ბიოლოგიურმა უსაფრთხოებამ თანამედროვე მსოფლიოში უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა გეოგრაფიული გავრცელების და მსოფლიო პოლიტიკაზე გავლენის მხრივ. ბიოლოგიური უსაფრთხოება თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში ჩამოყალიბდა როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და სწრაფად მზარდი მნიშვნელობის მქონე მიმართულება, რომელიც სცდება ტრადიციული უსაფრთხოების პარადიგმებს და მოიცავს ჯანდაცვის, ბიოტექნოლოგიის, ეკოლოგიისა და გეოპოლიტიკის გადაკვეთაზე არსებულ კომპლექსურ გამოწვევებს. XXI საუკუნეში, გლობალიზაციის, ინტენსიური მიგრაციული პროცესებისა და ბიოტექნოლოგიური ინოვაციების პარალელურად, ბიოლოგიური საფრთხეები მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც მასშტაბით, ისე ზემოქმედების სიღრმით.

საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა განიცდის ტრანსფორმაციას, რაც გამოწვეულია მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესებით. მსოფლიოში მიმდინარეობს დიდ გეოპოლიტიკურ ძალებს შორის ბრძოლა გავლენის სფეროების გადანაწილებისთვის. ასეთ დროს საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა უფრო მყიფე და არასტაბილურია გლობალური კრიზისების მართვის თუ გამკლავების მიმართულებით. მსოფლიოში ჩნდება ახალი საფრთხეების წყაროები, რაც ცვლის ურთიერთობების ხასიათს არამარტო სახელმწიფოებს შორის არამედ მათ ურთიერთობას არასახელმწიფო აქტორებთან. საერთაშორისო სისტემის მთავარი სუბიექტები ურთიეთდამოკიდებულები არიან ისეთ საფრთხეებთან მიმართებაში როგორიცაა ბიოლოგირი საფრთხეები, რადგან მათი მართვა ძალიან რთული და უზარმაზარ ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს მოითხოვს. შესაბამისად ნაშრომში წარმოდგენილი ის ფაქტორები რომელიც საერთაშორისო უსაფრთხოებაზე ახდენს გავლენას ბიოლოგური უსაფრთხოების კონტექსტში.

ნაშრომის მიზანია ბიოლოგიური უსაფრთხოების როლის სიღრმისეული ანალიზი საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში, მისი ძირითადი კომპონენტების, საფრთხეების ტიპოლოგიისა და გლობალური მმართველობის მექანიზმების შეფასება. კვლევა ეფუძნება ინტერდისციპლინურ მიდგომას და აერთიანებს უსაფრთხოების კვლევების, საერთაშორისო ურთიერთობების, ეპიდემიოლოგიისა და პოლიტიკის ანალიზის ელემენტებს. ნაშრომის კვლევის პროცესში გამოყენებულია პოლიტიკის ანალიზის მეთოდი და კონტენტ ანალიზის მეთოდი. ნაშრომის თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს ბიოუსაფრთხოების თეორია, რეალიზმის თეორია, თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია და სეკიურიტიზაციის თეორია, რომელთა კომპლექსური გამოყენებითაც შესაძლებელი გახდა გაგვეანალიზებინა და გამოგვეტანა გარკვეული დასკვნები.

სტატიაში დასაბუთებულია, რომ ბიოლოგიური უსაფრთხოება წარმოადგენს არა მხოლოდ ჯანდაცვის საკითხს, არამედ გლობალური სტაბილურობის, ეკონომიკური მდგრადობისა და პოლიტიკური უსაფრთხოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ფაქტორს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პანდემიების, ბიოტერორიზმისა და ლაბორატორიული რისკების გავლენას საერთაშორისო სისტემაზე, ასევე სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის აუცილებლობას. კვლევის შედეგად დგინდება, რომ ეფექტიანი ბიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ მრავალდონიანი, კოორდინირებული და პრევენციაზე ორიენტირებული პოლიტიკის მეშვეობით.

საკვანძო სიტყვები: ბიოლოგიური უსაფრთხოება, საერთაშორისო უსაფრთხოება, პანდემია, ბიოუსაფრთხოების მართვა, გეოპოლიტიკა.

The Role of Biological Security in the International Security System

Maia Kapanadze
Faculty of Social Sciences and Humanities,
Caucasus International University,
PhD candidate in Political Science,
ORCID iD: https://orcid.org/0009-0006-1426-4113

Alika Guchua
Associate Professor, Caucasus International University,
Doctor of Political Science,
ORCID iD: https://orcid.org/0000-0003-0347-9574

Abstract

The 21st century is characterized by rapidly growing trends and technological changes that have a significant impact on current events in the world. The process of globalization has significantly interconnected states and their security in geoeconomic and geopolitical directions. Biological security has acquired greater dimensions in the modern world in terms of geographical spread and influence on world politics. Biological security has emerged in the contemporary international security system as one of the most significant and rapidly growing areas, transcending traditional security paradigms and encompassing complex challenges at the intersection of public health, biotechnology, ecology, and geopolitics. In the 21st century, alongside globalization, intensified migration flows, and biotechnological innovations, biological threats have significantly increased both in scale and impact. The international security system is undergoing transformation, which is caused by the global processes taking place in the world. The world is experiencing a struggle between major geopolitical powers for the distribution of spheres of influence. At this time, the international security system is more fragile and unstable in terms of managing or coping with global crises. New sources of threats are emerging in the world, changing the nature of relations not only between states but also their relations with non-state actors. The main actors of the international system are interdependent in relation to threats such as biological threats, because their management is very complex and requires enormous financial and human resources. Accordingly, the paper presents the factors that affect international security in the context of biological security.

The purpose of this study is to provide an in-depth analysis of the role of biological security within the international security system, assessing its key components, threat typologies, and global governance mechanisms. The research adopts an interdisciplinary approach, integrating elements of security studies, international relations, epidemiology, and policy analysis. The research process of the paper uses the method of policy analysis and the method of content analysis. The theoretical framework of the paper is the theory of biosecurity, the theory of realism, the theory of cooperative security and the theory of securitization, the complex application of which made it possible to analyze and draw certain conclusions.

The article demonstrates that biological security is not merely a public health issue but a fundamental factor for global stability, economic resilience, and political security. Particular attention is given to the effects of pandemics, bioterrorism, and laboratory-associated risks on the international system, as well as the necessity for cooperation among states. The findings indicate that effective biological security can only be ensured through a multidimensional, coordinated, and prevention-oriented policy framework.

Keywords: Biological Security, International Security, Pandemics, Biosecurity Governance, Geopolitics.

შესავალი

ბიოლოგიური უსაფრთხოება თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებისა და გლობალური უსაფრთხოების ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. მისი მნიშვნელობა მაღალია როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო უსაფრთხოების თვალსაზრისით, რადგან ბიოლოგიური საფრთხეები იქნება ეს თუ პანდემიები, ბიოტერორიზმი შეუძლიათ გამოწვიონ მასშტაბური ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური დესტაბილიზაცია. ბიოლოგიური უსაფრთხოება არ წარმოადგენს მხოლოდ ჯანდაცვის სფეროს პრობლემას, ის წარმოადგენს გამოწვევას საერთაშორისო სტაბილურობის, გეოპოლიტიკური ძალთა ბალანსისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიმართულებით.

ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით: გლობალური პანდემიების გახშირების საფრთხით, ბიოტექნოლოგიების სწრაფი განვითარებით და გეოპოლიტიკური კონკურენციით სახელმწიფებს შორის. 21-ე საუკუნის მოვლენებმა — COVID-19-ის პანდემიამ, ბიოტერორიზმის საფრთხეებმა და სახელმწიფოთაშორისი ინფორმაციის გაცვლის ნაკლებობამ — აჩვენა, რომ ბიოლოგიური უსაფრთხოება პირდაპირ უკავშირდება საერთაშორისო სისტემის მდგრადობას[1]. სწორედ ამიტომ, ამ თემის კვლევა და ანალიზი წარმოადგენს მნიშვნელოვან საკითხს, რომელის მიზანიცაა არა მხოლოდ პრობლემის წარმოჩენა, არამედ ეფექტური პოლიტიკის განსაზღვრა რომელიც მიმართული იქნა რისკების და საფრთხეების შემცირებაზე.

ნაშრომი სთავაზობს მკითხველს ყოვლისმომცველ ხედვას ბიოლოგიური უსაფრთხოების სფეროს შესახებ, რომელიც მოიცავს როგორც ტერმინოლოგიასა და კლასიფიკაციას, ისე პანდემიების, ბიოლოგიური აგენტების კვლევის რისკებისა და გეოპოლიტიკური კომპონენტების ანალიზს. მკითხველს ეძლევა შესაძლებლობა გააცნობიეროს, თუ როგორ იქმნება ბიოლოგიური საფრთხეების ჰიბრიდული ფორმები და რა გამოწვევებს აჩენს ისინი თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემისთვის.

ნაშრომში გამოყენებულ ლიტერატურაში აღინიშნება რამდენიმე ძირითადი მიმართულება: ზოგი კვლევა იკვლევს ბიოლოგიურ საფრთხეებს მხოლოდ ჯანდაცვის კუთხით (მაგალითად, ეპიდემიების კონტროლი, ვაქცინაციის სტრატეგიები), ზოგი ფოკუსირდება საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოებზე და ინსტიტუციურ მექანიზმებზე (მაგალითად, WHO-ს რეგულაციები, ბიოუსაფრთხოების შეთანხმებები), ხოლო მესამე ჯგუფი აღიარებს ბიოლოგიურ საფრთხეებს როგორც გეოპოლიტიკურ და სტრატეგიულ ფაქტორს. თუმცა,

[1] Margaret Kosal, "How COVID 19 Is Reshaping U.S. National Security Policy." (Politics and the Life Sciences, 2023). pp.76-77.

რთულია იპოვო კვლევები, რომლებიც ინტეგრირებულად აშუქებს როგორც ჯანმრთელობის, ისე გეოპოლიტიკურ და საერთაშორისო უსაფრთხოების ასპექტებს. სწორედ ესეთი ინტეგრირებული კვლევის წარმოჩენა არის ნაშრომის მიზანი. ნაშრომის ძირითადი საკვლევი კითხვა მდგომარეობს შემდეგში: რა გავლენას ახდენს საერთაშორისო სიტემის უსაფრთხოებაზე ბიოლოგიური უსაფრთხოება?

ნაშრომის კვლევის საფუძველზე წარმოდგენილია ჰიპოთეზა, რომ ბიოლოგიური უსაფრთხოება თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში წარმოადგენს არა მხოლოდ ჯანდაცვის, არამედ გეოპოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობის კომპონენტს, რომლის მართვა მოითხოვს კოორდინირებულ, მრავალდონიან და ნდობაზე დაფუძნებულ მიდგომას.

ძირითადი ნაწილი

ბიოლოგიური საფრთხეები და პრაქტიკული კლასიფიკაცია

ბიოლოგიური საფრთხეების ანალიზი მოითხოვს არა მხოლოდ მათ მარტივ დაყოფას, არამედ მრავალდონიან, სისტემურ კლასიფიკაციას, რომელიც ითვალისწინებს წარმოშობას, გავრცელების მექანიზმებს, ზემოქმედების მასშტაბს, მართვის სირთულესა და უსაფრთხოების პოლიტიკაზე გავლენას. თანამედროვე უსაფრთხოების კვლევებში ბიოლოგიური საფრთხეები განიხილება როგორც დინამიკური და ევოლუციური ფენომენი, რომლის კლასიფიკაცია მუდმივად საჭიროებს განახლებას ტექნოლოგიური პროგრესისა და გარემოს ცვლილებების გათვალისწინებით.

ბუნებრივი წარმოშობის საფრთხეები წარმოადგენს ბიოუსაფრთხოების ერთ-ერთ ყველაზე ძველ და ამავე დროს მუდმივად აქტუალურ კომპონენტს. ისინი მოიცავს ეპიდემიებსა და პანდემიებს, რომლებიც წარმოიქმნება ეკოლოგიური, ბიოლოგიური და კლიმატური ფაქტორების კომპლექსური ურთიერთქმედების შედეგად.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ზოონოზურ ინფექციებს, რომლებიც ცხოველებიდან ადამიანებზე გადადის. გლობალური ეკოსისტემების დარღვევა, ტყეების გაჩეხვა, ურბანიზაცია და კლიმატის ცვლილება ზრდის ადამიანის და ველური ბუნების კონტაქტს, რაც აჩქარებს ახალი პათოგენების წარმოშობას. ამასთანავე, მიკროორგანიზმების გენეტიკური მუტაციები და ადაპტაცია ქმნის ახალ შტამებს, რომლებიც ხშირად გამოირჩევა მაღალი გადამდებლობითა და პათოგენურობით[2].

[2] Ryan N. Burnette ed. Applied Biosecurity: Global Health, Biodefense, and Developing Technologies. (Cham, Switzerland: Springer, 2021). P.34.

ბუნებრივი საფრთხეების ძირითადი მახასიათებელია მათი არაპროგნოზირებადობა და გლობალური გავრცელების პოტენციალი. თანამედროვე ტრანსპორტისა და საერთაშორისო მობილობის პირობებში ლოკალური ინფექცია მოკლე დროში შეიძლება გადაიზარდოს გლობალურ პანდემიაში.

ბიოლოგიური საფრთხეების მეორე მნიშვნელოვანი კატეგორია უკავშირდება ტექნოლოგიურ პროგრესს და სამეცნიერო კვლევებს. თანამედროვე ბიოლოგიური ლაბორატორიები მუშაობენ მაღალპათოგენურ აგენტებთან, რაც საჭიროებს უსაფრთხოების მკაცრ სტანდარტებს (biosafety და biosecurity პროტოკოლები).

ლაბორატორიული რისკები შეიძლება წარმოიშვას რამდენიმე ფაქტორის შედეგად:

- ადამიანური შეცდომა;
- ტექნიკური გაუმართაობა;
- არასაკმარისი რეგულაცია ან ზედამხედველობა;
- უსაფრთხოების პროტოკოლების დარღვევა;
- ბუნებრივი კატასტროფა;
- შეიარაღებული კონფლიქტის ან ომის დროს ბიოლოგიური ლაბორატორიის დაზიანება.

განსაკუთრებით მაღალი რისკის შემცველია “dual-use research” (ორმაგი დანიშნულების კვლევა), როდესაც სამეცნიერო ექსპერიმენტები, რომლებიც მიზნად ისახავს დაავადებების შესწავლასა და მკურნალობას, შეიძლება გამოყენებულ იქნას პათოგენების გაძლიერებისთვის ან მოდიფიკაციისთვის[3].

ამ კატეგორიის საფრთხეები რთულად შესაფასებელია, რადგან ისინი ერთდროულად დაკავშირებულია როგორც პროგრესთან, ისე რისკთან. შედეგად, ბიოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკა აქ საჭიროებს ბალანსს ინოვაციასა და კონტროლს შორის.

ბიოტერორიზმის საფრთხე წარმოადგენს უსაფრთხოების ერთ-ერთ ყველაზე სენსიტიურ და რთულ მიმართულებას. ისინი მოიცავს ბიოლოგიური აგენტების მიზანმიმართულ გამოყენებას პოლიტიკური, სამხედრო ან იდეოლოგიური მიზნებისთვის[4].

ბიოტერორიზმის სპეციფიკა მდგომარეობს რამდენიმე ფაქტორში:

- მისი განხორციელება შესაძლებელია მცირე რესურსებით;
- აგენტების გავრცელება ხშირად შეუმჩნეველია;

---

[3] Paula Stamps Duston, Understanding Biological Emergencies: From Bioterrorism to Pandemics. (New York: Routledge, 2025). Pp.58-76.

[4] ვახტანგ მაისაია და ალიკა გუჩუა, „ნატო და არასახელმწიფოებრივი აგრესიული რელიგიური აქტორები: ("ისლამური სახელმწოფო", "ალ კაიდა" და "თალიბანი") - მეოთხე თაობის ომის სტრატეგია და მისი რეგიონული და ეროვნული უსაფრთხოების გეოპოლიტიკური ასპექტები 2010-2019)“, (გამომცემლობა თბილისელები პრინტი, თბილისი 2020). 221-222.

- სიმპტომები შეიძლება გამოვლინდეს დაგვიანებით;
- შედეგები შეიძლება იყოს მასობრივი და ხანგრძლივი.[5]

ბიოლოგიური იარაღი განსხვავდება ტრადიციული იარაღისგან იმით, რომ მისი ეფექტი ხშირად არ არის შესამჩნევი საწყის ეტაპზე და მისი კონტროლი რთულია. ამასთანავე, ბიოლოგიური აგენტები შეიძლება მუტირდეს ან გავრცელდეს არაპროგნოზირებადად, რაც ზრდის გლობალურ რისკებს.

ჰიბრიდული და კომპლექსური ბიოლოგიური საფრთხეები

თანამედროვე უსაფრთხოების გარემოში ზემოხსენებული კატეგორიები იშვიათად არსებობს იზოლირებულად. მათი ურთიერთგადაკვეთა ქმნის ჰიბრიდულ საფრთხეებს, რომლებიც აერთიანებს ბუნებრივ, ტექნოგენურ და გამიზნულად გავრცელების ელემენ-ტებს.

მაგალითად:

- ბუნებრივი პათოგენის ლაბორატორიული მოდიფიკაცია;
- პანდემიის გამოყენება პოლიტიკური ან საინფორმაციო მიზნებისთვის;
- ბიოლოგიური კრიზისის ჰიბრიდულ ომში ინტეგრაცია.

ჰიბრიდული საფრთხეები განსაკუთრებით რთულია მართვის თვალსაზრისით, რადგან ისინი მოითხოვს არა მხოლოდ სამედიცინო, არამედ უსაფრთხოების, ტექნოლოგიურ და გეოპოლიტიკურ ანალიზს[6].

ბიოლოგიური საფრთხეების სისტემური კლასიფიკაცია აუცილებელია ეფექტიანი პოლიტიკის ფორმირებისთვის. იგი საშუალებას იძლევა:

- განისაზღვროს რისკების პრიორიტეტები;
- შეიქმნას მიზნობრივი პრევენციული სტრატეგიები;
- გაძლიერდეს ადრეული აღმოჩენის მექანიზმები;
- ოპტიმალურად გადანაწილდეს რესურსები.[7]

ამასთანავე, კლასიფიკაცია ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას, რადგან ქმნის საერთო ანალიტიკურ ჩარჩოს, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია ინფორმაციის გაცვლა და კოორდინირებული რეაგირება.

პანდემიები როგორც სისტემური შოკი საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის

---

[5] Gregory D. Koblentz, Preventing biological threats: The challenge of strengthening the Biological Weapons Convention. (Strategic Studies Quarterly, 13(1), 2019). Pp. 26–27.

[6] United Nations Office for Disarmament Affairs. The Biological Weapons Convention: A Guide for the Perplexed. (New York: UNODA, 2018). P.14.

[7] David P. Fidler, Biosecurity: Governing Emerging Infectious Diseases. (Durham, NC: Duke University Press, 2010). P. 132.

პანდემიები თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ როგორც ჯანდაცვის კრიზისი, არამედ როგორც სისტემური შოკი, რომელიც ერთდროულად არღვევს გლობალური წესრიგის მრავალ ფუნდამენტურ კომპონენტს. მათი გავლენა სცდება ეპიდემიოლოგიურ ჩარჩოებს და ვრცელდება ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და გეოპოლიტიკურ სფეროებზე, რაც პანდემიებს აქცევს კომპლექსურ, მრავალგანზომილებიან საფრთხედ.

პანდემიური პროცესები მნიშვნელოვან ზეწოლას ახდენს გლობალურ ეკონომიკურ სისტემაზე. საერთაშორისო ვაჭრობის შემცირება, ტრანსპორტისა და ლოგისტიკის შეზღუდვა და წარმოების შეფერხება იწვევს გლობალური მიწოდების ჯაჭვების რღვევას.

თანამედროვე ეკონომიკა ძლიერ არის დამოკიდებული ინტერკონექტირებულობაზე; შესაბამისად, ერთ რეგიონში წარმოების შეჩერება იწვევს დომინოს ეფექტს სხვა რეგიონებში, ამას ემატება:

- მცირე და საშუალო ბიზნესის გაკოტრების ზრდა;
- უმუშევრობის მატება;
- სახელმწიფო ბიუჯეტების გადატვირთვა;
- ფინანსური ბაზრების არასტაბილურობა.

პანდემიები ასევე აჩენს ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემას, რადგან სახელმწიფოები იძულებულნი არიან გადახედონ გლობალიზაციის მოდელს და უფრო მეტად ორიენტირდნენ შიდა რესურსებზე, რაც ამცირებს საერთაშორისო ეკონომიკურ ინტეგრაციას[8].

პანდემიები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სახელმწიფო მმართველობის ფორმებსა და ინსტიტუციურ სტრუქტურებზე. კრიზისის დროს სახელმწიფოები ხშირად მიმართავენ საგანგებო რეჟიმებს, რაც გულისხმობს:

- გადაადგილების შეზღუდვას;
- ეკონომიკური საქმიანობის რეგულაციას;
- ციფრული კონტროლის მექანიზმების გაფართოებას.

ეს პროცესები ქმნის უსაფრთხოება vs თავისუფლების დილემას, სადაც სახელმწიფოები ცდილობენ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვას, თუმცა ხშირად ზღუდავენ ინდივიდუალურ უფლებებს.

[8] Gregory D. Koblentz, Living Weapons: Biological Warfare and International Security. (Ithaca, NY: Cornell University Press, 2009). P.88.

ამასთანავე, პანდემიები აჩენს მართვის ეფექტიანობის პრობლემას. ძლიერი ინსტიტუციური სისტემის მქონე ქვეყნები უკეთ უმკლავდებიან კრიზისს, მაშინ როდესაც სუსტი მმართველობის პირობებში იზრდება ქაოსი, არაეფექტიანობა და პოლიტიკური კრიზისის რისკი.

პანდემიური კრიზისები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სოციალურ სტრუქტურებზე. იზრდება:

- სოციალური უთანასწორობა;
- ფსიქოლოგიური სტრესი და შფოთვა;
- საზოგადოებრივი პოლარიზაცია.

განსაკუთრებით ზარალდებიან მოწყვლადი ჯგუფები, რაც აძლიერებს სოციალური დაყოფის ტენდენციებს.

ამასთანავე, პანდემიები იწვევს ინფორმაციულ კრიზისს — დეზინფორმაციის, კონსპირაციული თეორიებისა და უნდობლობის გავრცელებას. ეს პროცესები ართულებს ეფექტიან კომუნიკაციას ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის და ამცირებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღონისძიებების ეფექტიანობას[9]. საზოგადოების მხრიდან კლებულობს ხელისუფლებისადმი ნდობა, რაც საინფრმაციო ომის და დეზინფორმაციის შედეგად არის გამოწვეული, რასაც ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფოები კარგად იყენებენ.

საერთაშორისო ურთიერთობების ტრანსფორმაცია

პანდემიები მნიშვნელოვნად ცვლის საერთაშორისო სისტემის ფუნქციონირების ლოგიკას. კრიზისის დროს სახელმწიფოები ხშირად მოქმედებენ ნაციონალისტური მიდგომით, რაც გამოიხატება:

- საზღვრების დახურვაში;
- რესურსების ექსპორტის შეზღუდვაში;
- ვაქცინებისა და მედიკამენტების დაგროვებაში.

ეს პროცესები ასუსტებს საერთაშორისო თანამშრომლობას და აძლიერებს გლობალური ფრაგმენტაციის ტენდენციას.

[9] Michael T. Osterholm, and Mark Olshaker. The Big One: How We Must Prepare for Future Deadly Pandemics. (Boston, MA: Little, Brown Spark, 2025). P. 42.

ამასთანავე, პანდემიები აჩენს უსაფრთხოების დილემის ახალ ფორმას, სადაც სახელმწიფოები ერთმანეთს უნდობლობით უყურებენ, განსაკუთრებით ინფორმაციის გამჭვირვალობის საკითხში.

პანდემიური კრიზისების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია ნდობის დეფიციტის გაღრმავება. ეს ეხება ორ დონეს:

- **საერთაშორისო დონე** — სახელმწიფოებს შორის უნდობლობა, ინფორმაციის დამალვა და კოორდინაციის ნაკლებობა;
- **შიდა დონე** — საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის ნდობის შემცირება.

ნდობის ნაკლებობა მნიშვნელოვნად ამცირებს კრიზისზე რეაგირების ეფექტიანობას, რადგან მოსახლეობა ნაკლებად ემორჩილება რეკომენდაციებს, ხოლო სახელმწიფოები ნაკლებად თანამშრომლობენ ერთმანეთთან[10].

პანდემიები ცხადყოფს, რომ თანამედროვე მსოფლიო, მიუხედავად ტექნოლოგიური პროგრესისა, რჩება მოწყვლადი. ისინი წარმოაჩენს **„გლობალური დაუცველობის პარადოქსს“** — რაც უფრო ინტეგრირებულია მსოფლიო, მით უფრო სწრაფად ვრცელდება კრიზისი.

ამავე დროს, პანდემიები ავლენს სისტემურ სისუსტეებს:

- ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის არათანაბარ განვითარებას;
- რესურსების უთანასწორ განაწილებას;
- გლობალური მმართველობის არაეფექტიანობას.

პანდემიები წარმოადგენს სისტემურ შოკს, რომელიც არღვევს საერთაშორისო უსაფრთხოების მრავალ კომპონენტს და ქმნის კომპლექსურ კრიზისულ გარემოს. მათი გავლენა ვრცელდება ეკონომიკაზე, პოლიტიკაზე, სოციალურ სტრუქტურებსა და საერთაშორისო ურთიერთობებზე.

თანამედროვე პირობებში პანდემიების ეფექტიანი მართვა მოითხოვს არა მხოლოდ ჯანდაცვის სისტემების გაძლიერებას, არამედ საერთაშორისო თანამშრომლობას, ნდობის აღდგენას და ინტეგრირებულ უსაფრთხოების პოლიტიკას.

ბიოლოგიური უსაფრთხოება გეოპოლიტიკურ კონტექსტში

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში ბიოლოგიური უსაფრთხოება უკვე აღარ განიხილება მხოლოდ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროს ფარგლებში; იგი თანდათან გარდაიქმნა გეოპოლიტიკური კონკურენციის მნიშვნელოვან

[10] Albert, Craig, Amado Baez, and Joshua Rutland. “Human Security as Biosecurity: Reconceptualizing National Security Threats in the Time of COVID 19.” (Politics and the Life Sciences 40, no. 1., 2021). pp. 83–105.

ელემენტად, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ძალაუფლების განაწილებას, ტექნოლოგიურ უპირატესობასა და სტრატეგიულ ავლენას. ბიოლოგიური საფრთხეების ტრანსნაციონალური ბუნების მიუხედავად, სახელმწიფოები ხშირად აღიქვამენ ბიოუსაფრთხოებას როგორც ეროვნული უსაფრთხოების ნაწილს, რაც განაპირობებს კონკურენტულ, და არა კოლაბორაციულ მიდგომებს.

გეოპოლიტიკურ კონტექსტში ბიოლოგიური უსაფრთხოება სულ უფრო მეტად იძენს სტრატეგიული რესურსის მნიშვნელობას. სახელმწიფოები აქტიურად ინვესტირებენ ბიოტექნოლოგიაში, ეპიდემიოლოგიურ კვლევებში და ლაბორატორიულ ინფრასტრუქტურაში, რათა გაზარდონ საკუთარი შესაძლებლობები როგორც კრიზისების პრევენციის, ისე სწრაფი რეაგირების მიმართულებით.

ამ პროცესში ბიოლოგიური ცოდნა და ტექნოლოგია იქცევა ძალაუფლების ერთ-ერთ ფორმად, რაც შეიძლება განიხილებოდეს „ბიოპოლიტიკური კაპიტალის“ სახით. ქვეყნები, რომლებიც ფლობენ განვითარებულ კვლევით ბაზას და ინოვაციურ შესაძლებლობებს, იღებენ სტრატეგიულ უპირატესობას როგორც ჯანდაცვის, ისე უსაფრთხოების სფეროში.

ბიოტექნოლოგიური პროგრესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა არის „ორმაგი დანიშნულების“ (dual-use) პრობლემა. თანამედროვე სამეცნიერო მიღწევები—როგორიცაა გენური ინჟინერია, სინთეზური ბიოლოგია და მიკროორგანიზმების მოდიფიკაცია—შესაძლებელია გამოყენებულ იქნას როგორც სამედიცინო, ისე პოტენციურად სამხედრო მიზნებისთვის[11].

ეს დილემა ქმნის რთულ ბალანსს ინოვაციასა და უსაფრთხოებას შორის. ერთი მხრივ, კვლევები აუცილებელია დაავადებების პრევენციისა და მკურნალობისთვის; მეორე მხრივ, იგივე ტექნოლოგიები შეიძლება გამოყენებულ იქნას პათოგენების გაძლიერებისთვის ან მათი გავრცელების ოპტიმიზაციისთვის.

ამ ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საერთაშორისო რეგულაციები, ეთიკური სტანდარტები და მონიტორინგის მექანიზმები, თუმცა მათი ეფექტიანობა ხშირად შეზღუდულია პოლიტიკური ინტერესებითა და სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპით[12].

[11] Saud Ali, Alshehri,. AM Al Sulaiman, Azmi Sarfuddin, and Sultan S. Alshehri. “Bio safety and Biosecurity: A Major Global Concern for the Ongoing COVID 19 Pandemic.” (Saudi Journal of Biological Sciences 29, no. 1., 2021). pp. 132–139.

[12] World Health Organization. Biosafety in Microbiological and Biomedical Laboratories: 6th Edition. (Geneva: WHO Press, 2020). P.43.

ბიოლოგიური უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის აუცილებლობის მიუხედავად, რეალურად იზრდება სახელმწიფოებს შორის უნდობლობა. ეს გამოწვეულია რამდენიმე ფაქტორით:

- ბიოლოგიური კვლევების დახურული ხასიათი;
- ინფორმაციის არასრული ან დაგვიანებული გაზიარება;
- სტრატეგიული ინტერესების კონფლიქტი;
- ტექნოლოგიური უპირატესობის შენარჩუნების სურვილი.

შედეგად, ბიოუსაფრთხოების სფეროში იქმნება „ნდობის დეფიციტის პარადოქსი“ რაც უფრო მნიშვნელოვანია თანამშრომლობა, მით უფრო რთულია მისი მიღწევა. უნდობლობა განსაკუთრებით მწვავდება კრიზისულ სიტუაციებში, როდესაც სახელმწიფოები ცდილობენ დაიცვან საკუთარი რესურსები და შეამცირონ დამოკიდებულება გარე აქტორებზე. ეს კი ამცირებს გლობალური რეაგირების ეფექტიანობას.

ბიოლოგიური უსაფრთხოება ძლიერ გავლენას ახდენს გლობალური ძალთა ბალანსზე. განვითარებული ქვეყნები, რომლებსაც აქვთ ძლიერი სამეცნიერო და ტექნოლოგიური ბაზა, ახერხებენ უფრო ეფექტიანად მართონ ბიოლოგიური კრიზისები, რაც აძლიერებს მათ პოზიციებს საერთაშორისო სისტემაში.

მეორე მხრივ, განვითარებადი ქვეყნები ხშირად აწყდებიან რესურსების ნაკლებობას, რაც ზრდის მათ მოწყვლადობას. ეს ქმნის უსაფრთხოების ასიმეტრიას, რომელიც კიდევ უფრო ამძაფრებს გლობალურ უთანასწორობას. ამ კონტექსტში ბიოლოგიური უსაფრთხოება ხდება არა მხოლოდ ჯანმრთელობის, არამედ გლობალური ძალაუფლების გადანაწილების ფაქტორი.

თანამედროვე გეოპოლიტიკურ გარემოში ბიოლოგიური საფრთხეები შეიძლება ინტეგრირდეს ჰიბრიდული კონფლიქტების სტრატეგიებში. ბიოლოგიური კრიზისები შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც:

- დესტაბილიზაციის ინსტრუმენტი;
- ეკონომიკური ზეწოლის საშუალება;
- საინფორმაციო ომის ნაწილი.[13]

ამასთანავე, იზრდება ბიოუსაფრთხოების „მილიტარიზაციის“ ტენდენცია, როდესაც სახელმწიფოები ბიოლოგიურ კვლევებს უსაფრთხოების და თავდაცვის კონტექსტში განიხილავენ.

[13] Frontiers in Public Health Commission. “From Pandemics to Preparedness: Harnessing AI, CRISPR, and Synthetic Biology to Counter Biosecurity Threats.” (Frontiers in Public Health, 2025). P.53.

ზემოხსენებული პროცესების შედეგად, გლობალური ბიოუსაფრთხოების სისტემა ხასიათდება მზარდი მოწყვლადობით. ძირითადი პრობლემებია:

- თანამშრომლობის ნაკლებობა;
- ინფორმაციის არასრულყოფილი გაცვლა;
- რეგულაციების არათანაბარი განხორციელება;
- პოლიტიკური ინტერესების დომინირება[14].

ეს ფაქტორები მნიშვნელოვნად ამცირებს საერთაშორისო სისტემის უნარს ეფექტიანად უპასუხოს ბიოლოგიურ საფრთხეებს. ბიოლოგიური უსაფრთხოება გეოპოლიტიკურ კონტექსტში წარმოადგენს კომპლექსურ და წინააღმდეგობრივ პროცესს, სადაც თანამშრომლობა და კონკურენცია ერთმანეთთან მჭიდროდ არის გადაჯაჭვული. მიუხედავად იმისა, რომ ბიოლოგიური საფრთხეები გლობალურ თანამშრომლობას მოითხოვს, რეალურად სახელმწიფოები ხშირად მოქმედებენ კონკურენტულ გარემოში, რაც ზრდის უნდობლობას და ამცირებს სისტემის ეფექტიანობას. შედეგად, ბიოუსაფრთხოება გარდაიქმნება არა მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვის ინსტრუმენტად, არამედ გეოპოლიტიკური ძალაუფლების მნიშვნელოვან კომპონენტად, რომლის მართვაც მოითხოვს ახალ, უფრო ინტეგრირებულ და ნდობაზე დაფუძნებულ საერთაშორისო მიდგომებს.

საერთაშორისო სისტემის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ეროვნული დონეზე განხორციელებულ პოლიტიკაზე. ძლიერი ჯანდაცვის სისტემა, განვითარებული ლაბორატორიული ინფრასტრუქტურა და ეფექტიანი მართვის მექანიზმები წარმოადგენს ბიოუსაფრთხოების საფუძველს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს:

- ადრეული აღმოჩენის სისტემებს;
- სწრაფ რეაგირების შესაძლებლობებს;
- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას;
- კრიზისების მართვის სტრატეგიულ გეგმებს.

ქვეყნები, რომლებიც ახორციელებენ პრევენციაზე ორიენტირებულ პოლიტიკას, უკეთ ახერხებენ ბიოლოგიური საფრთხეების მართვას და მინიმუმამდე დაჰყავთ მათი შედეგები. შესაბამისად პრაგმატული პოლიტიკის შედეგად და პანდემიების მართვის ოპტიმალური მექანიზმებით შესაძლებელია საფრთხეების მნიშვნელოვნად შემცირება, ასევე მათი უფრო ეფექტურად მართვა.

[14] Rebecca Katz. "Biological Threats and Global Decision Making." (One Health–One Security White Paper. PMC 2020).

დასკვნა

თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემა დგას ფუნდამენტური ტრანსფორმაციის წინაშე, სადაც ბიოლოგიური უსაფრთხოება უკვე აღარ წარმოადგენს მხოლოდ ჯანდაცვის სექტორის პრობლემას, არამედ გარდაიქმნა გლობალური სტაბილურობის, პოლიტიკური უსაფრთხოებისა და ეკონომიკური მდგრადობის ერთ-ერთ ცენტრალურ განმსაზღვრელ ფაქტორად. ნაშრომში ჩატარებულმა ანალიზმა ნათლად აჩვენა, რომ ბიოლოგიური საფრთხეები ხასიათდება ტრანსნაციონალური ბუნებით, დინამიკურობითა და კომპლექსურობით, რაც მნიშვნელოვნად ართულებს მათ პროგნოზირებასა და მართვას.

კვლევის ფარგლებში განხილულმა ბიოლოგიური საფრთხეების კლასიფიკაციამ ბუნებრივი, ტექნოგენური და ხელოვნურად გავრცელებული, რომ თანამედროვე გარემოში ეს კატეგორიები ერთმანეთთან მჭიდროდ არის გადაჯაჭვული და ქმნის ჰიბრიდულ რისკებს, რომლებიც სცდება ტრადიციული უსაფრთხოების ჩარჩოებს. პანდემიების ანალიზმა ცხადყო, რომ ისინი ფუნქციონირებს როგორც სისტემური შოკები, რომლებიც ერთდროულად აზიანებს ეკონომიკურ სტრუქტურებს, ამცირებს პოლიტიკური სისტემების მდგრადობას და აძლიერებს სოციალურ უთანასწორობასა და პოლარიზაციას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა გამოიკვეთა ბიოლოგიური უსაფრთხოების გეოპოლიტიკურ განზომილებაში, სადაც ბიოტექნოლოგიური პროგრესი და „ორმაგი დანიშნულების“ დილემა ქმნის ახალ ტიპის კონკურენციას სახელმწიფოებს შორის. აღნიშნულმა პროცესებმა გააძლიერა უნდობლობა საერთაშორისო სისტემაში და შეასუსტა თანამშრომლობის მექანიზმები, რაც თავის მხრივ ზრდის გლობალური ბიოუსაფრთხოების სისტემის მოწყვლადობას.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ არსებული საერთაშორისო ინსტიტუციური ჩარჩო ვერ პასუხობს სრულად თანამედროვე გამოწვევებს, რაც განპირობებულია ნდობის დეფიციტით, პოლიტიკური ინტერესების დომინირებითა და რეგულაციების არასაკმარისი ეფექტიანობით. ამ პირობებში ბიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა შეუძლებელია მხოლოდ ეროვნული პოლიტიკის ფარგლებში და მოითხოვს კოორდინირებულ, მრავალდონიან და ინტეგრირებულ მიდგომას. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნაშრომში წარმოდგენილი ჰიპოთეზა დადასტურებულია და საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ბიოლოგიური უსაფრთხოება უნდა განიხილებოდეს როგორც გლობალური საჯარო სიკეთე, რომლის დაცვა ეფუძნება კოლექტიურ პასუხისმგებლობას, საერთაშორისო თანამშრომლობასა და ცოდნაზე დაფუძნებულ პოლიტიკას. მომავალი უსაფრთხოების

არქიტექტურა დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად შეძლებს საერთაშორისო საზოგადოება ბიოლოგიური საფრთხეების მართვას არა კონკურენციის, არამედ თანამშრომლობის პრინციპზე დაყრდნობით.

ბიბლიოგრაფია

მაისაია, ვახტანგ, გუჩუა, ალიკა. „ნატო და არასახელმწიფოებრივი აგრესიული რელიგიური აქტორები: ("ისლამური სახელმწოფო", "ალ კაიდა" და "თალიბანი") - მეოთხე თაობის ომის სტრატეგია და მისი რეგიონული და ეროვნული უსაფრთხოების გეოპოლიტიკური ასპექტები 2010-2019)“, (გამომცემლობა თბილისელები პრინტი, თბილისი 2020).

Albert, Craig, Amado Baez, and Joshua Rutland.. “Human Security as Biosecurity: Reconceptualizing National Security Threats in the Time of COVID-19.” (*Politics and the Life Sciences* 40, no. 1: 2021).

Alshehri, Saud Ali, AM Al-Sulaiman, Sarfuddin Azmi, and Sultan S. Alshehri. “Bio-safety and Biosecurity: A Major Global Concern for the Ongoing COVID-19 Pandemic.” (*Saudi Journal of Biological Sciences* 29, no. 1: 2021).

Burnette, Ryan N., ed. *Applied Biosecurity: Global Health, Biodefense, and Developing Technologies*. (Cham, Switzerland: Springer, 2021).

Duston, Paula Stamps. *Understanding Biological Emergencies: From Bioterrorism to Pandemics*. (New York: Routledge, 2025).

Fidler, David P. *Biosecurity: Governing Emerging Infectious Diseases*. (Durham, NC: Duke University Press, 2010).

Frontiers in Public Health Commission. “From Pandemics to Preparedness: Harnessing AI, CRISPR, and Synthetic Biology to Counter Biosecurity Threats.” (*Frontiers in Public Health*, 2025).

Katz, Rebecca. “Biological Threats and Global Decision Making.” (*One Health–One Security White Paper*. *PMC*, 2020).

Koblentz, Gregory D. *Living Weapons: Biological Warfare and International Security*. (Ithaca, NY: Cornell University Press, 2009).

Koblentz, Gregory. D. Preventing biological threats: The challenge of strengthening the Biological Weapons Convention. (Strategic Studies Quarterly, 13(1), 2019).

Kosal, Margaret. “How COVID-19 Is Reshaping U.S. National Security Policy.” (*Politics and the Life Sciences*. 2023).

Osterholm, Michael T. and Mark Olshaker. *The Big One: How We Must Prepare for Future Deadly Pandemics*. (Boston, MA: Little, Brown Spark, 2025).

United Nations Office for Disarmament Affairs. *The Biological Weapons Convention: A Guide for the Perplexed*. (New York: UNODA, 2018).

World Health Organization. *Biosafety in Microbiological and Biomedical Laboratories: 6th Edition*. (Geneva: WHO Press, 2020).

ერაყის ომი 2003 წელს და მისი გავლენა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე

ნინო გაბინაშვილი
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის თავდაცვა და უსაფრთხოების
მიმართულების ასისტენტ-პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ისტორიის დოქტორანტი

ვიცე-პოლკოვნიკი ომარ თურმანიძე
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის თავდაცვა და უსაფრთხოების მიმართულების უფროსი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი

აბსტრაქტი

ახლო აღმოსავლეთი წარმოადგენს რეგიონს, რომლის ფარგლებშიც განვითარებული მოვლენები წარსულშიც და თანამედროვე პერიოდშიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიო გეოპოლიტიკურ პროცესებზე. ამ რეგიონში ერთ სახელმწიფოში წარმოშობილი კრიზისი ან პოლიტიკური ცვლილება იშვიათად რჩება მხოლოდ ერთი ქვეყნის საზღვრებში, ეს არის რეგიონი მყიფე საზღვრებით. XXI საუკუნემ სერიოზული ცვლილებები მოუტანა რეგიონს. ნიუ-იორკსა და ვაშიგტონში 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების შემდეგ, რომლის შთამაგონებლები და შემსრულებლები წარმოშობით ახლო აღმოსაველითდან იყვნენ, ამერიკამ თავის მოკავშირეებთან ერთად ანტიტერორისტული ოპერაცია წამოიწყო ავღანეთში. 2003 წელს ამერიკის ხელმძღვანელობით შექმნილი კოალიციის მიერ ერაყში დაწყებულმა ომმა დიდი გავლენა მოახდინა მსოფილიო გეოპილიტიკასა და რეგიონის პოლიტიკურ გეოგრაფიაზე. როგორ განვითარდა მოვლენები ერაყში 2003 წლის ომის შემდეგ? რეჟიმი დაემხო, სადამ ჰუსეინის 2006 წელს შიიტურმა სასამართლომ გასაამართლა (თავად სუნიტი იყო) და სიკვდილით დასაჯა. მოიტანა თუ არა ავტორიტატული რეჟიმის დასრულებამ მშვიდობა ერაყში და ზოგადად რეგიონში? ჩვენი კვლევის მიზანს სწორედ ერაყში განვითარებულ მოვლენები წარმოადგენს, სადამ ჰუსეინის სიკვდილით დასჯის შემდეგ მისმა ადვოკატმა ტელეკომპანია „ალ ჯაზირას“ საშუალებით გაავრცელა ყოფილი პრეზიდენტის წერილი ერაყელი ხალხის მიმართ. საინტერესოა, იქცა თუ არა ეს უკანასკნელი მიმართვა შემდგომში განვითარებული მოვლენების ერთ-ერთ მაპროვოცირებელ ფაქტორად და რა გავლენა მოახდინა მან ერაყის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე?

საკვანძო სიტყვები: სადამ ჰუსეინი, ერაყი, ირანი, 2003 წლის ერაყის ომი, ახლო აღმოსავლეთი, სადამ ჰუსეინის ბოლო წერილი.

The Iraq War in 2003 and its Impact on Political and Social Life in the Middle East

Nino Gabinashvili
Assistant Professor of Defence and Security Program of Baccalaureate of
LEPL –David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
PhD Student in History at the Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Lieutenant Colonel Omar Turmanidze
Head of the Defense and Security Program of Baccalaureate of
LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
PhD Student in Political Science at the Caucasus International University

Abstract

The Middle East represents a region in which developments, both in the past and in the contemporary period, have had a significant impact on global geopolitical processes. In this region, a crisis or political change emerging in one state rarely remains confined within the borders of a single country. It is a region characterized by fragile borders and complex political dynamics. The twenty-first century brought significant changes to the Middle East. Following the terrorist attacks carried out on September 11,2001, in New York and Washington, whose organizers and perpetrators originated from the Middle East, the United States, together with its allies, launched an anti-terrorist operation in Afghanistan. The war in Iraq, initiated in 2003 by a coalition led by the United States, had a profound impact on global geopolitics and the political geography of the region. How did events develop in Iraq after the 2003 war? The regime collapsed, and the country's former president, Saddam Hussein, was tried by a Shiite court in 2006 (despite being a Sunni himself) and sentenced to death. Did the end of the authoritarian regime bring peace to Iraq and the region as a whole? The aim of this research is to analyze the developments that unfolded in Iraq after these events. Following the execution of Saddam Hussein, his lawyer disseminated the former president's letter addressed to the Iraqi people through the television network Al Jazeera. It is therefore interesting to examine whether this final message later became one of the factors provoking subsequent developments and what impact it had on Iraq's political and social life.

Keywords: Saddam Hussein, Iraq, Iran, Iraq War, Middle East, Saddam Hussein's last letter.

შესავალი

1958 წლამდე ერაყი იყო პროდასავლური რეჟიმის მქონე სახელმწიფო, სადაც მიუხედავად ერაყის მრავალეთნიკურობის და მრავალკონფესიურობის მშვიდობა სუფევდა. 1958 წელს ერაყის არმიის ოფიცრების მიერ განხორციელდა მეფე ფაისალ II-ის მკვლელობა, თუმცა რევოლუციის შემდეგ კიდევ რამდენიმე გადატრიალება მოხდა, ხელისუფლებაში ბაასის პარტიის წარმოამდგენლები მოვიდნენ.

ბაასის პარტია დაფუძნდა 1947 წლის 7 აპრილს სირიელი ფილოსოფოსის, სოციოლოგის და არაბი ნაციონალისტის მიშელ აფლაქის (1910-1989)[1] და სირიელი პოლიტიკოსის სალაჰ ად-დინ ალ-ბიტარის (1912-1980) მიერ. ისინი ერთმანეთს შეხვდნენ 1929 წელს სორბონის უნივერსიტეტში (პარიზში), სადაც ორივე დაინტერესდა დასავლური ლიტერატურით, ფილოსოფიით, განსაკუთრებით მარქსიზმით და სოციალიზმით.[2]

ბაასი - ნიშნავს არაბულ რენესანსა და აღორძინებას. პარტიის საფუძველი იყო არაბთა *ერთობა, სოციალიზმი და არაბული სამყაროს მოდერნიზება.* მოდერნიზება გულისხმობდა არაბული ქვეყნების დახმარებას, თავი დაეღწიათ სიღარიბისა და ჩამორჩენილობისათვის. პარტიას უნდა აღმოეფხვრა პრობლემები მთელს არაბულ რეგიონში და არ უნდა შემოფარგლულიყო კონკრეტული ერთი ქვეყნით. პარტიის სლოგანი იყო: ***„ერთიანი არაბი ერი, მარადიული მისიით“.*** ბაასისტებს უნდა ებრძოლათ არაბი ერის თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის. მათ მიაჩნდათ, რომ არაბულ-ეროვნული აღორძინება, სოციალიზმის შენება რევოლუციის და ბრძოლის გარეშე შეუძლებელი იყო. სწორედ ბაასის პარტია გახდა სადამ ჰუსეინის რეჟიმის მთავარი საყრდენი.[3]

ძირითადი ნაწილი

---

[1] დაიბადა დამასკოში, ბერძენი ორთოდოქსი ქრისტიანის ოჯახში. მისი მამა - იოსები იყო მარცვლეულით მოვაჭრე, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო 1928 წელს ნაციონალური ბლოკის ჩამოყალიბებაში. ბლოკის მიზანი იყო ფრანგული მმართველობისაგან განთავისუფლება. ხოლო მიშელი კი გახდა აქტიური წევრი არაბული წრეების პარიზში. აფლაქმა თავდაპირველი განათლება მიიღო ვესტერნიზებულ სკოლაში სირიაში საფრანგეთის მანდატის დროს. 1929 წელს მან დატოვა სირია და წავიდა პარიზში და სორბონაში სწავლობდა ისტორიასა და ლიტერატურას. სწავლის პერიოდში აფლაქზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ჰენრი ბერგსონის შრომებმა. მან დააარსა არაბ სტუდენტთა კავშირი სორბონაში და გაეცნო კარლ მარქსის შრომებს. სირიაში დაბრუნდა 1932 წელს.

[2] დამასკოში დაბრუნების შემდეგ (1932 წწ.), მათ დაიწყეს მუშაობა მასწავლებლად პრესტიჟულ საშუალო სკოლაში (აფლაქი ასწავლიდა ისტორიას, ხოლო ალ-ბიტარი - მათემატიკას და ფიზიკას) და მოღვაწეობდნენ კომუნისტურ ჟურნალებში. თუმცა 1936 წელს მათ უარი თქვეს ე.წ. კომუნისტურ პოლიტიკაზე. 1942 წელს ორივემ - აფლაქმა და ალ-ბიტარმაც უარი თქვეს მასწავლებლის თანამდებობაზე და გადაწყვიტეს პოლიტიკაში ჩართვა.

[3] Nino Gabinashvili,**The political ideology of Saddam Hussein.** International collection of the papers of the scientific-practical conference, ''South Caucasus and Black Sea Security: Strategic Implications for NATO and Partners''. Gori, 2025 DouthCaucasusAndBlackSeaSecurity_2025.pdf

1979 წელს ერაყის პრეზიდენტი გახდა სადამ ჰუსეინი, რომელიც იყო იმავდროულად პრემიერ-მინისტრი, რევოლუციური ხელმძღვანელობის საბჭოს თავმჯდომარე და პარტიის გენერალური მდივანი. ამგვარად, სადამ ჰუსეინმა თავის ხელში მოაქცია აბსოლუტური ხელისუფლება ქვეყანაში. სადამ ჰუსეინის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა იყო განეხორციელებინა სრული იდეოლოგიურ-პოლიტიკური და ადმინისტრაციული კონტროლი სახელმწიფოზე. ხელმძღვანელ თანამდებობებზე ნიშნავდა მხოლოდ ბაასის პარტიისა და მისი პირადი ერთგულების საფუძველზე შერჩეულ კანდიდატებს, როგორც პოლიტიკურ ასევე სამხედრო თანამდებობაზე კადრების დაწინაურება ხორციელდებოდა პარტიული პრინციპით შერჩევის საფუძველზე.

სადამ ჰუსეინის მმართველობის პირველ წლებშივე ნავთობზე ფასების მატების წყალობით ქვეყანაში შესამჩნევი იყო სწრაფი ეკონომიკური ზრდა. ხორციელდებოდა მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები, ვითარდებოდა ინფრასტრუქტურა, ასევე უმჯობესდებოდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება და ჯანდაცვის სერვისები.[4]

1979 წელს ირანში განხორციელებულმა ისლამურმა რევოლუციამ, რომელიც თავის მხრივ საფრთხეს წარმოადგენდა ირანის მეზობელი ქვეყნების პოლიტიკური რეჟიმების სტაბილიზაციას, ძალიან მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ერაყზე. ოპოზიციაში მყოფმა შიიტურმა დაჯგუფებებმა/თემმა წამოიწყეს ანტისამთავრობო დემონსტაციები და გამოსვლები, რომესაც სათავეში ედგა პოლიტიკური პარტია - *ად-და'ვა* („მოწოდების პარტია"). ერაყის მთავრობამ გადაწყვიტა ქვეყნიდან გაესახლებინა შიიტები და გაემკაცრებინა პოლიტიკა რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებით. ფაქტობრივად შემოიღო და დააკანონა ყველა შეზღუდვა მათი მისამართით. ერაყის მთავრობამ ირანის ლიდერი - აიათოლა ხომეინი დაადანაშაულა ექსპანსიის განხორციელების მცდელობაში არამხოლოდ ერაყის, არამედ მთელი სპარსეთის ყურის ქვეყნების ტერიტორიაზე. [5] ირანის ქალაქ ყუმში შედგა შეხვედრა ერაყის პარტის - ად-და'ვას (მოწოდების პარტია) ლიდერების, სადაც გადაწყდა მოეწოდებინათ ერაყის მოსახლეობისათვის აჯანყებულიყვნენ და დაემხოთ ბაასისტური მთავრობა ძირგამომთხრელი საქმიანობის, საბოტაჟის და ტერორის გზით.

ისლამური რევოლუციის გარიჟრაჟზე, 1980 წელს, სადამ ჰუსეინმა წამოიწყო ომი ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან. ომის წამოწყების საბაბი გახდა ირანის რევოლუციური მთავრობის უარი შეესრულებინა 1975 წლის ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილი იყო

[4] რ.გაჩეჩილაძე, ახლო აღმოსავლეთი-სივცრე, ხალხი და პოლიტიკა, თბ, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა 2011

[5] ნ.გელოვანი, თანამედროვე არაბული ქვეყნები, თბ. 2008

ირანის მხრიდან შაჰ ფეჰლევისა და ერაყის მხრიდან სადამ ჰუსეინის მიერ. ხელშეკრულება ითვალისწინებდა ერაყისათვის სასაზღვრო ტერიტორიების გადაცემას. 1980 წლის 17 სექტემბერს ერაყის მთავრობამ გამოაცხადა სუვერენიტეტის აღდგენის შესახებ ერთ-ერთ ნავთობით მდიდარ რეგიონზე შატ ალ-'არაბის რაიონზე. ტერიტორიული პრობლემის პარალელურად სახელდებოდა რეალური მიზეზიც მათი დაპირისპირებისა, ეს იყო - ორი ქვეყნის ლიდერთა მისწრაფება სპარსეთის ყურის რეგიონში ჰეგემონიისათვის.[6] ამ ომში ჰუსეინს დახმარებას უწევდა აშშ, რადგან არ სურდა ახლად შექმნილი ირანის ისლამური რესკუპლიკის რეგიონში ლიდერობა. თუმცა, ეს დამოკიდებულება ორ ქვეყანას შორის მალე შეიცვალა.

1990 წლის აგვისტოში, მაშინ როდესაც ირან-ირან ერაყის ომი უკვე დასრულებული იყო, ერაყი თავს დაესხა მეზობელ სახელმწიფოს - ქუვეითს და იგი თავის პროვინციად გამოაცხადა. (მე-19 პროვინცია). შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით, ერაყის იმჟამინდელი მთავრობა სადამ ჰუსეინის მეთაურობით, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მხრიდან დიპლომატიურ და ეკონომიკურ იზოლაციაში მოექცა. უფრო მეტიც, გადაწყდა სამხედრო ძალით ქუვეითის განთავისუფლება. აშშ-ის ხელმძღვანელობით, მოკავშირეთა ძალებმა მიიღეს გაეროს მანდატი სამხედრო ძალის გამოყენებაზე. დაიგეგმა და 1991 წლის თებერვალში მოკავშირეთა არმიამ შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით განახორციელეს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ყველაზე დიდი ოპერაცია კოდური სახელწოდებით - **„უდაბნოს ქარიშხალი.** რომელიც ექვსი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა. მოკავშირეთა ძალებმა, შეძლეს სწრაფად გამოეყვანათ მწყობრიდან ერაყის სამხედრო ძალები, გაანთავისუფლეს ქუვეითი, თუმცა მათ უარი თქვეს საბრძოლო მოქმედებები გაეგრძელებინათ ერაყის ტერიტორიაზე, რადგან აშშ-ის მაშინდელი ხელისუფლება დარწმუნებული იყო, სადამის დასუსტებული რეჟიმი ისედაც დაეცემოდა. ამავდროვლად დასავლეთის პოლიტიკოსები თვლიდნენ, რომ სადამის რეჟიმის დაცემას შეეძლო გამოეწვია ერაყის დაშლა, რაც გამოიწვევდა სპარსეთის ყურეში ძალთა ბალანსის ცვლილებას. 1991 წლის 28 თებერვალს ერაყმა კაპიტულაცია გამოაცხადა, რასაც შედეგად მოჰყვა გაეროს სანქციების გამკაცრება. იმავე წლის მარტში აჯანყება წამოიწყეს შიიტურმა დაჯგუფებებმა და დაიკავეს ვრცელი ტერიტორია ბასრიდან ჰილამდე. (ეს არის ქალაქები, რომლებიც განლაგებულია ბაღდადის სამხრეთით 100 კილომეტრში). ერაყის სამხრეთ ნაწილში

[6] იქვე., ნ.გელოვანი, 2008

შეიქმნა „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნის საშიშროება. ერაყის ლიდემა - სადამ ჰუსეინმა გადაწყვიტა უმოწყალოდ ჩაეხშო შიიტების აჯანყება. იმავე პერიოდში ასევე მოხდა ქურთების აჯანყება, ქურთები სარგებლობდნენ შეერთებული შტატების მხარდაჭერით, რასაც მოჰყვა კიდეც ამერიკის არმიის შესვლა ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში და იქ „უსაფრთხოების ზონის“ შექმნა.[7]

ერაყმა 1994 წელს ერაყმა სცნო ქუვეითის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. 1995 და 1998 წელს შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა სარაკეტო იერიშები მიიტანა ერაყზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების დარღვევის გამო. რასაც შედეგად მოჰყვა საკმაოდ დიდი მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში და გამოიწვია უკიდურესად უარყოფითი რეაქცია მთელ მსოფლიოში. მოჰყვა ვითარების გართულება ქვეყნის შიგნითაც, ეს კი საფუძველი გახდა თურქების კვლავ აჯანყების, რომლებიც მოითხოვდნენ საკუთარი სახელმწიფოს შექმნას. ბაასის პარტიის მოწინააღმდეგეები მოითხოვდნენ ქვეყნის დემოკრატიზაციას და სადამ ჰუსეინის რეჟიმის შეცვლას. არსებული სიტუაციის ფონზე, ქვეყანაში სიტუაციის კონტროლს სადამ ჰუსეინი ახერხებდა მხოლოდ მკაცრი და უმოწყალო რეპრესიული ზომების გატარებით.[9]

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა 2022 წელს დაასახელა შეერთებული შტატების მტრები, აქ გამოიკვეთა ის ქვეყნები, სადაც მისთვის მიწოდებული სადაზვერვო ინფორმაციის თანახმად ტარდებოდა მუშაობა მასობრივი გაადგურების იარაღის საწარმებლად, ეს ქვეყნები ასევე დადანაშაულებული იყო საერთაშორისო ტერორიზმის დაფინანსებაში. „ბოროტების ღერძად“ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დაასახელა ერაყი, ჩრდილოეთ კორეა და ირანი. არადა, ერაყი და ირანი ერთმანეთთან არც თანამშრომლობდნენ და ვერც ,,ღერძს'' (ანუ ალიანსს) შექმნიდნენ.[10] გაეროს ინსპექციამ 2002 წელს ვერ დაადასტურა ერაყში მასაობრივი განადგურების იარაღის საცავების არსებობა.

აშშ-ისა და დიდი ბრიტანეტის მთავრობები არ ენდნენ გაეროს დასკვნას. შეერთებულ შტატებში წარმართულმა პროპაგანდამ აშშ-ის მოქალაქეთა უმრავლესობა დაარწმუნა, რომ საერთაშორისო ტერორისტული აქტები, მათშორის 9/11-ის ტერორისტული აქტი ერაყში მზადდებოდა. სინამდვილეში კი ტერორისტები რომლებმაც 9/11

---

[7] ნ. გელოვანი, გ. ალასანია, გ.სანიკიძე, თანამედროვე არაბული ქვეყნები - ერაყი/ავტორიტარიზმიდან საპარლამენტო *ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIXს.-XXI ს.-ის დასაწყისი).* თბ. ილიას უნივერსიტეტი, 2011.

[8] იქვე.,

[9] იქვე. ნ. გელოვანი 2008

[10] იქვე. რ.გაჩეჩილაძე, 2011

განახორციელეს საუდის არაბეთიდან და ეგვიპტიდან იყვნენ. ანტიერაყულ კოალიციაში შევიდა 30-ზე მეტი სახელმწიფო.[11]

2003 წლის 20 მარტს ამერიკულ-ბრიტანულმა კოალიციამ დაიწყეს სამხედრო მოქმედებების წარმოება ერაყში. დაამარცხეს ერაყის სამხედრო არმია და ოპერაციის დაწყებიდან სამი კვირის თავზე ქვეყანაში დააწესეს სამხედრო კონტროლი.

ომის პარალელურად მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის აშშ-სა და დიდ ბრიტანეტშიც, ტარდებოდა ომის საწინააღმდეგო აქციები და დემონსტრაციები. პარადოქსია, სადამ ჰუსეინის წასვლა ერაყელების უმრავლესობას თითქოს არ დაამწუხრებდა, თუმცა ფაქტრობრივად მხარში ამოუდგა პაციფისტურად განწყობილი მასა.

არაბული ქვეყნების ანტიამერიკული დამოკიდებულება, გარკვად ახსნილი და განმარტებული აქვს ცნობილ პალესტინელ მწერალს ნასერ ად-დინ ნაშიშიბამ ისრაელის გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში. ვფიქრობ, ეს კარგად გამოხატავს 2003 წლის მოვლენებისადმი ორგვარ დამოკიდებუელაბს.

„არაბები მხარს უჭერენ სადამ ჰუსეინს არა იმის გამო, რომ მათ დესპოტური მმართველობები უყვართ, არამედ იმის გამო, რომ მან ხალხს სიამაყის გრძნობა შესძინა ამერიკასთან [კონფრონტაციაში] არაბული ინტერესების დაცვისთვის... არაბ ხალხებს უნდათ დემოკრატია, მათ უნდათ მოდერნიზაცია, მაგრამ არ უნდა ველოდოთ, რომ ისინი თავიანთ საზოგადეობებს 24 საათის განმავლობაში გარდაქმნიან და ისიც ფრთოსანი რაკეტებით დაბომბვის ქვეშ... სადამ ჰუსეინისნაირი ხალხი ხარობს პალესტინელთა გაჭირვებაზე, ისინი აგრეთვე იყენებენ განუვითარებლობის პრობლემას, მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის არსებულ დიდ განსხვავებას, მთელი ახლო აღმოსავლეთის განვითარების საჭიროებას. თქვენ რომ ამ პრობლემების, ამ გაჭირვების მოსპობა შეგეძლოთ, მაშინ თქვენ აღმოფხვრიდით სადამისნაირი ხალხის ხელმძვანელობაში მოსვლის საშუალებასაც“[12]

ერაყის კამპანიის კოალიციამ ერაყში, თავდაპირველად, საკუთარი, დროებითი ადმინისტრაცია შექმნა. მთელი ქვეყნის მასშტაბით აიკრძალა სადამ ჰუსეინის ბაასის პარტია, ხოლო ამ პოლიტიკური პარტიის წევრები დაითხოვეს საჯარო სამსახურებიდან. (ბაასის პარტიის წევრი და მიმდევარი კი, იმდროისთვის მილიონზე მეტი ადამიანი იყო, ეს ბუნებრიციც იყო, რადგან სადამის დროს მხოლოდ პარტიის წევრობა იძლეოდა სამსახურში წინსვლის საშუალებას) ესენი იყვნენ: პროფკავშირის წარმომადგენლები, აკადემიური სივრცის წარმომადგენლები - პროფესორები, ექიმები, მასწავლებლები, მოსამართლეები.

[11] იქვე., რ.გაჩეჩილაძე, 2011

[12] Abu Toamech,khaled. Sadam gave Arabs sense of pride, says palestinian historian. JP, March 23, 2003

უმრავლესობა მათგანის უმუშევრად დატოვებამ საფუძველი ჩაუყარა მასობრივ სოციალურ პროტესტს. შეიძლება ამას აშკარად ვერ გამოხატავდნენ, მაგრამ საზოგადოებაში სერიოზული საპროტესტო, წინააღმდეგობრივი მუხტი გააჩინა.

ჰუსეინი 2003 წლის 13 დეკემბერს მშობლიურ ქალაქ თიქრითთან ახლოს აიყვანეს. ხანგძლივი სასამართლო პროცესების შემდეგ, 2006 წლის 30 დეკემბერს, ის სიკვდილით დასჯეს. სიკვდილით დასჯის შემდეგ მისმა ადვოკატმა ტელეკომპანია „ალ ჯაზირას“ საშუალებით გაავრცელა ყოფილი პრეზიდენტის წერილი ერაყელი ხალხის მიმართ. წერილის არაბულიდან თარგმანი წარმოდგენილია ქვემოთ.

ნათქვამია: „არაფერი დაგვემართება, გარდა იმისა, რაც ღმერთმა განსაზღვრა ჩვენთვის“.

დიად ერაყელ ხალხს,

ჩვენი შეიარაღებული ძალების მამაც მებრძოლებს,

კეთილშობილ ერაყელ ქალებს,

ჩვენი დიდებული ერის შვილებს,

მორწმუნე და მამაც წინააღდეგობის მებრძოლებს,

ისეთი ვიყავი, როგორსაც წარსულში მიცნობდით, და ყოვლისშემძლე ალაჰმა ინება, რომ მე კვლავ ჯიჰადის ბრძოლის ველზე ვიყო.

ჯიჰადისა და ბრძოლის ველზე ჩვენ იმავე სულისკვეთებით ვართ, როგორც რევოლუციამდე ვიყავით, მაგრამ უფრო მძიმე და სასტიკი განსაცდელის წინაშე.

ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ეს მძიმე სიტუაცია, რომელშიც ყველანი ვართ და რომელიც ჩვენს დიდ ერაყს დაატყდა თავს, ახალი გაკვეთილი და ახალი განსაცდელია. მისი მეშვეობით თითოეული ადამიანი გაიგებს თავისი ქმედებების ნამდვილ ბუნებას, რითაც პასუხისმგებელი იქნება ალაჰისა და ხალხის წინაშე აწმყოში და მაშინაც, როდესაც ეს დრო ისტორიის დიდებულ თავად იქცევა. ეს, უპირველეს ყოვლისა, არის საფუძველი, რომელზეც მომავალი წარმატებები აშენდება. ნებისმიერი ქმედება ან მცდელობა, იქნება ეს ამ სიტუაციაში თუ სხვაში, რომელიც არ ასახავს ღვთის ნებას, არის სიმხდალე და სამარცხვინო.

სამარცხვინოა, უცხო ძალებზე დამოკიდებულება საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. ყოვლისშემძლე ალაჰმა ბრძანა „რაც შეეხება ნაგავს, ის ქრება, ხოლო ის, რაც კაცობრიობას სარგებელს მოუტანს, დედამიწაზე რჩება“.

ერაყელი ხალხი მიცნობს, მიცნობს ჩემი გულწრფელობით, პატიოსნებით, სუფთა ხელებით, ხალხზე ზრუნვით, სიბრძნით, სამართლიანობითა და სიმტკიცით საქმეების გადაწყვეტაში;

ხალხის და სახელმწიფოს ქონების დაცვის სურვილით, ჩემი გული ღიაა მთელი ერისთვის, არ გამირჩევია ჩემი ხალხის შვილები ერთმანეთისგან, გარდა გაწეული შრომის გულწრფელობისა, კომპეტენციისა და პატრიოტიზმისა.

ერაყელებო... ჩვენო თანამემამულენო, და ჩვენი ერის ყოველი ღირსეული კაცისა და ქალის თანამოძმეებო...

თქვენ იცნობთ თქვენს ძმას და ლიდერს ისე, როგორც მას საკუთარი ოჯახი იცნობს; მას თავი არასოდეს დაუხრია უსამართლო მჩაგვრელთა წინაშე; და დარჩა მახვილად და სიმბოლოდ იმისა, რაც გულწრფელ ადამიანებს უყვართ და მჩაგვრელებს აღიზიანებთ.

განა ეს არ არის ის პოზიცია, რომელსაც თქვენი ძმისგან, თქვენი შვილისგან და თქვენი ლიდერისგან ისურვებდით?

ასეთი უნდა იყო სადამ ჰუსეინის პოზიცია და ასეთი უნდა იყოს მისი ქმედებები.

ასევე ასეთი უნდა იყოს იმ ადამიანის პოზიციაც, ვინც თქვენს ხელმძღვანელობას იკისრებს და ვინც ერის სიმბოლოდ იქცევა — ყოვლადძლიერი ალაჰის შემდეგ.

აი, მე წარმოვადგენ ჩემს თავს მსხვერპლად. თუ მოწყალე ალაჰს ასე სურს, იგი ამ სულს აღამაღლებს იქ, სადაც უბრძანებს მართალთა და მოწამეთა შორის.

მან შეგვქმნა ჩვენ და მასთანვე დავბრუნდებით.

მშვენიერია მოთმინება და მას მივმართავ დახმარებისთვის უსამართლობის წინააღმდეგ.

ძმებო, დიდებულო ერაყელო ხალხო, მოგიწოდებთ ღირსეულად ატაროთ რწმენა, რომ ხართ ცივილიზაციის უძველესი კერა, თქვენი მიწა არის სამშობლო აბრამიისა და სხვა წინასწარმეტყველთა. შეინარჩუნეთ ის ღირებულებები რამაც გვაქცია ესეოდენ დიდ ერად!

ყველა სირთულის და ქარიშხლის მიუხედავად, რომელმაც ერაყზე გადაიარა ღმერთს არ სურდა ჩემი სიკვდილი. თუკი ახლა ასე ინება, დაე იყოს ასე. მე წავალ მოწამეობრივ გზაზე მშვიდი სულით და მოთმინებით.

ერაყელებო, მოთმინება გვმართებს და ღმერთს შევთხოვოთ დახმარება უსამართლოთა წინააღმდეგ. ღმერთის დიდების ჩრდილქვეშ გახსოვდეთ, რომ მან თქვენი მრავალფეროვნება თქვენთვის მაგალითად აქცია სიყვარულში, მიტევებაში, შემწყნარებლობასა და ძმურ თანაცხოვრებაში.

რწმენის, სიყვარულისა და მშვიდობის საფუძველზე ავაშენეთ ჩვენი ქვეყანა, უთანხმოების გარეშე და ახლო წარსულში პატივისცენითა და უსაფრთხოდ ვცხოვრობდით, განსაკუთრებით ჩვენი დიდებული რევოლუციის შემდეგ.[13]

ჩვენი ქვეყნის მტრებმა ირანმა და ნატომ დაინახეს, რომ ჩვენი ერთიანობა სიონისტებს გზას უღობავდა და ხელს უშლიდა ჩვენსავე დასამონებლად.. ამიტომ მათ დათესეს ჩვენს შორის საძულველი და განხეთქილება.

ძმებო, მებრძოლებო,

გთხოვთ, ნუ გექნებათ სიძულვილი, რადგან სიძულვილი ადამიანს არ აძლევს შესაძლებლობას იყოს სამართლიანი. სიძულვილი ცვლის თვალთახედვას, ახშობს აზროვნებას და გვაშორებს სწორ არჩევანთან, გვაბრკოლებს, რომ გავაცნობიეროთ შეცდომები.

მოგიწოდებთ, ძმებსა და დებს, ერაყის მებრძლებს: **არ უნდა გაბრაზდეთ იმ ხალხზე, ვინც დაგვესხა თავს**. განასხვავეთ ხელისუფლება და ხალხი. სიძულვილის ობიექტი იყოს მოქმედება, არა ადამიანი. ვინც გავნებთ, შეეწინააღდეგეთ, მაგრამ არ გძულდეთ პიროვნულად.

მტკიცე გადაწყვეტილებები აუცილებელია, როცა ვითარება მოითხოვს, მაგრამ ყოველი მოქმედება უნდა იყოს კანონის საფუძველზე, სამართლიანი და მიუკერძოებელი - არა სიძულვილის ან უკანონო ამბიციების გამო.

დამოუკიდებელი, ერთგული და გულწრფელი ხალხის სახელით გთხოვთ იყავით ერთიანი, სიყვარულით, როგორც თქვენს ერის, ასევე კაცობრიობას მიმართ.

ალაჰი უდიდესია და გაუმარჯოს ჩვენს დიდებულ, მამაც ხალხს! გაუმარჯოს ერაყს! გაუმარჯოს ერაყს! გაუმარჯოს პალესტინას! გაუმარჯოს ჯიჰადს და მოჯაჰედებს!

ალაჰი უდიდესია! დამარცხებულები შერცხვენილ იყვნენ![14]

სადამ ჰუსეინი პრეზიდენტი,

შეიარეღებული ძალების მთავარსარდალი,

წერილის შინაარსი მკვეთრად ნაციონალისტურ ხასიათს ატარებს და წარმოადგენს ერთგვარ მოწოდებასა და სამოქმედო გზავნილს ჰუსეინის მხარდამჭერებისთვის.

ეს მიმართვა გახდა სიმბოლო წინააღმდეგობისა და პოლიტიკური მობილიზაციისთვის, განსაკუთრებით იმ სუნიტური საზოგადოების ნაწილში, რომელიც ახალ ხელისუფლებას სკეპტიკურად უყურებდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სადამ ჰუსეინი სიკვდილით დასაჯეს

[13] იგულისხმება 1968 წლის რევოლუცია

[14] სადამ ჰუსეინის უკანასკნელი წერილი/გზავნილი. https://shr.ge/TcPfVZ

2006 წლის 30 დეკემბერს. მიუხედავად იმისა, რომ მისი რეჟიმის დამხობიდან უკვე ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა, ერაყში და ზოგადად რეგიონში მშვიდობა კვლავ რთულად მისაღწევ რეალობად რჩება.

ბაღდადის უბნები თანდათან შიიტურ და სუნიტურ სექტარულ ზონებად ჩამოყალიბდა. ჯერ კიდევ სადამ ჰუსეინის სასამართლო განხილვებისას, (სუნიტი ჰუსეინი შიიტებმა გაასამართლეს) ბაღდადიდან 125 კილომეტრით დაშორებულ სამარაში სუნიტებმა ტერაქტი მოაწყეს. ააფეთქეს ალ-ასკარის მეჩეთი, შიიტებისთვის ერთ-ერთი წმინდა ადგილი.[15]

ამის შემდეგ ყოვედღიურ მოვლენებად იქცა: სუნიტი ამბოხებულები, ტერორიზმი, ადამიანების გატაცება. სხვადასხვა ცნობით გარდაცვილილები ათი ათასობით არიან. როცა ძალადობამ პიკს მიაღწია, ამერიკამ დამატებით 30000 სამხედრო შეიყვანა 2007 წელს.

ერაყის ახალი ხელისუფლება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ამერიკული სამხედრო ძალების მხარდაჭერაზე. 2011 წლისთვის ერაყის მთავრობამ მეტ-ნაკლებად შეძლო ქვეყნის ტერიტორიის მართვა, თუმცა სექტარული ძალადობა და ტერორისტული აქტები კვლავაც გრძელდებოდა. სწორედ ამავე წელს დასრულდა აშშ-ის სამხედრო მისია ერაყში.

თუმცა მიღწეული შედარებითი სტაბილურობა ხანგრძლივი არ აღმოჩნდა. 2014 წელს „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერმა აბუ ბაქრ ალ-ბაღდადიმ სირიისა და ერაყის ტერიტორიებზე ხალიფატის შექმნა და ე.წ. მსოფლიო ჯიჰადი გამოაცხადა. აღნიშნულ ორგანიზაციასთან საბრძოლველად ჩამოყალიბდა საერთაშორისო კოალიცია.

ხანგრძლივი სამხედრო ოპერაციების შემდეგ, 2017 წელს ერაყის ხელისუფლებამ ოფიციალურად გამოაცხადა „ისლამური სახელმწიფოს“ სამხედრო დამარცხება. მიუხედავად ამისა, 2014–2017 წლებში მიმდინარე ბრძოლებმა ქვეყნის მოსახლეობას მძიმე დანაკარგი მოუტანა. სხვადასხვა წყაროს მიხედვით, ამ პერიოდში დაღუპული ერაყელი მოქალაქეების რაოდენობა დაახლოებით 120 000-დან 200 000-მდე მერყეობს.

დასკვნა

XX საუკუნის ერთ ერთი გავლენიანი ფიგურა ნამდვილად იყო სადამ ჰუსეინი. იგი მართლაც ახორციელბდა ტერორს საკუთარი მოსახლეობის მიმართ (განსაკუთრებით,

[15] ალ-ასკარი დაარსდა 944 წელს, ეს მეჩეთი ერთ-ერთი ყველაზე წმინდა ადგილია შიიტი მუსლიმებისთვის, რადგან იქ დაკრძალულნი არიან შიიტთა მნიშვნელოვანი იმამები.

შიიტების და ქურთების მიმართ). მაგრამ საერთაშორისო (მათ შორის ,,ალ-კაიდას") ტერორისტები ერაყში ვერ გაიჭაჭანებდნენ. 2003 წლიდან კი ერაყში ტერორიზმა თავი აიშვა და მისი შეკავება დემოკრატიული გზით შეუძლებელი გახდა. მეორე მხრივ, პარადოქსია, მაგრმ ამერიკამ ხელი შეუწყო ირანის ისლამური (შიიტური) რეჟიმის ფაქტობრივ გაძლიერებას, ვინაიდან პოლიტიკურ არენას ჩამოაშორა თეირანის მთავარი მტერი სადამ ჰუსეინი. გარდა ამისა, ერაყის პოლიტიკაში გადამწყვეტი გახდა ადგილობრივი შიიტი აიათოლების ავტორიტეტი, რომლებსაც კონტაქტი აქვთ ირანის სულიერ ლიდერებთან.[16]

ჰუსეინის სიკვდილით დასჯიდან ორი ათეული წელი გავიდა, მის უკანაკსნელ წერილში გაჟღერებული მოწოდებები კვლავ აქტუალურია. ირანი, ნატო და ისრაელი კვლავ ერაყის მტერია. დღესაც, ერაყი მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებს აწყდება. კორუფცია, უმუშევრობა და პოლიტიკური არასტაბილურობა კვლავ რჩება ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად.

ბიბლიოგრაფია

გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი-სივცრე,ხალხი და პოლიტიკა, თბ, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა 2011

გელოვანი ნ. თანამედროვე არაბული ქვეყნები, თბ. 2008

გელოვანი ნ. თანამედროვე არაბული ქვეყნები - ერაყი/ავტორიტარიზმიდან საპარლამენტო რესპუბლიკამდე;

სანიკიძე,გიორგი, ალასანია, გიული, გელოვანი, ნანი, *ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIXს.-XXI ს.-ის დასაწყისი).* თბ.,ილიას უნივერსიტეტი, 2011.

სადამ ჰუსეინის უკანასკნელი წერილი; https://shr.ge/TcPfVZ გადამოწმებულია 15.04.2026

Gabinashvili N, The political ideology of Saddam Hussein. International collection of the papers of the scientific-practical conference, ''South Caucasus and Black Sea Security:Strategic Implications for NATO and Partners''. Gori, 2025

Roggio, Bill (29 June 2014). „ISIS announces formation of Caliphate, rebrands as 'Islamic State'". Long War Journal.

Withnall, Adam (29 June 2014). „Iraq crisis: Isis changes name and declares its territories a new Islamic state with 'restoration of caliphate' in Middle East". The Independent. London.

[16] იქვე. რ. გაჩეჩილაძე, 2011

საქართველოს „რეალ-პოლიტიკა“ მიმდინარე გეოპოლიტიკური პროცესების ფონზე

კონსტანტინე ჟღენტი
ჰარვარდის უნივერსიტეტის კენედის
სკოლის მიწვეული მკვლევარი,
თბილისის შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი,
ისტორიის მეცნიერების კანდიდატი

აბსტრაქტი

სტატიის მიზანი, პირველ რიგში იმის შეხსენებაა, რომ საერთაშორისო პოლიტიკა, რეალობას ანუ უკვე ყველასათვის ცნობილ „რეალპოლიტიკას“ ეფუძნება და საერთაშორისო პოლიტიკაში, ე.წ. „თამაშის წესებს“ ის სახელმწიფოები ადგენენ, ვისაც ამგვარი პოლიტიკის, ანუ როგორც მას აშშ-ში თავის დროზე უწოდეს, „ძალის პოლიტიკის“ გატარების შესაძლებლობა აქვთ.

საუბარია ე.წ. „სუპერ“ ან „ზე სახელმწიფოებზე. როგორებიც არიან აშშ, ჩინეთი და რუსეთი.

სტატიის მიზანია ასევე, იმ მავნე ილუზიის კრიტიკა, რომელიც „ლიბერალ-გლობალისტებმა“ მოიგონეს და რომლის მიხედვითაც, გასული საუკუნის ბოლოს, „ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ მთელ მსოფლიოს მათი სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური დღის წესრიგით უნდა ეცხოვრა. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მათი ამ მიდგომების პარალელურად, იმავე დროს, შეიქმნა ე.წ. „ცივილიზაციათა შეჯახების“ თეორია, რომელიც ამტკიცებდა, რომ მსოფლიოში არსებობს ქვეყ-ნების საკმაოდ დიდი ჯგუფი, რომელიც მათი ცივილიზაციური განსხვავებიდან გამომდინარე, არასოდეს იცხოვრებს „ლიბერალ-გლობალისტების“ მიერ დადგენილი წესებით.

ასევე, სტატიის მიზანია წარმოაჩინოს „გლობალური ომის პარტიის“(„დიფ-სთეითის“) როლი „რეალპოლიტიკაში“ სტატიის კიდევ ერთი მიზანია, იმის ჩვენება თუ რა იწვევს საერთაშორისო ურთიერთობებში, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჩამოყალიბებული „საერთაშორისო წესრი-გის“ მოშლას, რასაც მოყვება რეგიონული კონფლიქტების და ომებისა წარმოშობა და შედეგად „სა-ერთაშორისო წესრიგის“ ახალი სისტემების შექმნა.

სტატიის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, პატარა ქვეყნების, კერძოდ კი საქართველოს, როგორც მცირე და ეკონომიკურად თუ სამხედრო-პოლიტიკურად სუსტი სახელმწიფოს, ადგილის და შესაძ-ლებლობების ჩვენება, „რეალპოლიტიკაზე“ დამყარებულ საერთაშორისო სისტემაში.

და ბოლოს, სტატიის მიზანია აჩვენოს, საქართველოსთვის, „ნეიტრალური“, მრავალ-ვექტორუ-ლი პოლიტიკის უპირატესობები არსებულ პირობებში და პერსპექტივაში.

საკვანძო სიტყვები: *რეალპოლიტიკა, ძალის პოლიტიკა, ზესახელმწიფოები, აშშ, ჩინეთი, რუსეთი, ლიბერალ-გლობალიზმი, ცივილიზაციათა შეჯახება, ღრმა სახელმწიფო, საქართველო;*

Georgia's Realpolitik Amid Current Geopolitical Processes

Konstantine Zhghenti
Invited Researcher at Harvard University's Kennedy School,
Associate Professor at the International Black Sea University in Tbilisi,
Candidate of Historical Sciences

Abstract

The primary aim of this article is to underscore that international politics is fundamentally rooted in reality - commonly referred to as *Realpolitik* - and that the so-called "rules of the game" in global affairs are determined by those states that possess the capacity to pursue what has historically been termed in the United States as "power politics." The discussion focuses on the role of "superstates," such as the United States, China, and Russia.

Another objective of the article is to critique the harmful illusion propagated by *liberal globalists*, who argued that, following the end of the Cold War, the entire world should live under their socio-economic and political agenda. This illusion persisted despite the simultaneous emergence of the "Clash of Civilizations" theory, which asserted that a significant group of countries, due to civilizational differences, would never conform to the rules imposed by liberal globalists.

The article also seeks to highlight the role of the so-called *Global War Party* (the "Deep State") within the framework of Realpolitik.

A further objective is to examine the causes behind the breakdown of established "international orders" in global relations, which often lead to regional conflicts and wars, and ultimately result in the creation of new systems of international order.

One of the central aims of the article is to analyze the position and capabilities of small states - specifically Georgia - as a minor and economically as well as militarily weak actor within the Realpolitik-based international system.

Finally, the article emphasizes the advantages of a "neutral," multi-vector foreign policy for Georgia, both under current conditions and in the long-term perspective.

Keywords: Realpolitik, Power Politics, Superstates, United States, China, Russia, Liberal Globalism, Clash of Civilizations, Deep State, Georgia

შესავალი

მსოფლიოში ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით უკრაინაში დაწყებული ომის შემდგომ, განვითარებულმა მოვლენებმა, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში ძირითად როლს „რეალ-პოლიტიკა“ ასრულებს და ე.წ. საერთაშორისო „თამაშის წესებს“, ამ პოლიტიკის გამტარებელი „ზესახელმწიფოები“ წერენ.

თუმცა ამის აშკარა ნიშნები, ჯერ კიდევ „ცივი ომის“ პირობითი დასრულების შემდეგ, მალევე გამოჩნდა, როდესაც ნათელი გახდა, რომ მსოფლიო უფრო „ჰანტინგტონისეული“ „ცივილიზაციათა შეჯახებისაკენ[1] იხრებოდა, ვიდრე ფუკუიამას „ისტორიის დასასრულისკენ“.[2] უკვე ნათლად იკვეთებოდა, რომ არც რუსეთი, არც ჩინეთი და არც ისლამური სამყაროს უდიდესი ნაწილი, არაფერი რომ არ ვთქვათ აზიისა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებზე, არ აპირებენ, სოციალისტურ ბანაკთან დაპირისპირებაში „გამარჯვებული“, კოლექტიური „დასავლეთის“ მიერ აღიარებული სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური, ლიბერალ-დემოკრატიული და „გლობალისტური“ პრინციპებით ცხოვრებას.

ისტორიული თვალსაზრისით, მეტად მცირე ხნის განმავლობაში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, კი სცადა, ამ პრინციპებზე დამყარებული საკუთარი ნება მოეხვია თავს, თითქოს „ერთ-პოლუსიანი“ მსოფლიოსთვის, მაგრამ გამართლდა, ასევე ამერიკელი, ცნობილი პოლიტიკოსისა და დიპლომატის ჰენრი კისინჯერის, ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს დაწერილი წინასწარმეტყველება, სხვა ორმა „ზესახელმწიფომ“ რუსეთმა და ჩინეთმა, აიძულეს აშშ ეღიარებინა „მულტი ანუ მრავალ-პოლარული მსოფლიო წესრიგის“ არსებობის რეალობა.[3]

ეს განსაკუთრებით რუსეთს ეხება, რომელმაც 21-ე საუკუნის დასაწყისში, დაიწყო, მისი ხედვით, საკუთარი უსაფრთხოების „უზრუნველყოფაზე“ ზრუნვა, „დასავლეთთან“ და პირველ რიგში „ნატო“- სთან გამწვავებული ურთიერთობების პირობებში. ამ ურთიერთობების გამწვავება კი, რუსეთის აზრით, გამოიწვია „ნატო“-ს სურვილმა, დაახლოებოდა რისეთის საზღვრებს, საკუთარი „ტერიტორიის“ გაფართოვებით, თავის რიგებში ახალი, პოსტ-საბჭოთა ქვეყნების მიღებით. კერძოდ უკრაინის და საქართველოსი. ამით, რუსეთის მტკიცებით, ის საფრთხეს უქმნიდა რუსეთის უსაფრთხოებას.

შედეგად, რუსეთმა გადაწყვიტა, მისი აზრით, მოწინააღმდეგეების მიერ შექმნილი „გორდიას ნასკვი“, ერთი დარტყმით გადაეჭრა და დაიწყო ე.წ. „შეზღუდული სამხედრო

[1] Samuel P. Hantington, “The Clash of Civilizations and the remaking of World Order”, Simon and Schuster, 1996.
[2] Francis Fukuyama, „The end of History and the last man“, Free Press, 1992.
[3] Henry Kissinger, “Diplomacy”, Simon and Schuster, 1994.

ოპერაცია“, პრაქტიკულად კი ომი უკრაინაში, რომელიც აგერ უკვე ოთხ წელიწადზე მეტ ხანს გრძელდება. პუტინის ამ ქმედებამ სათავე დაუდო, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების და გაერო-ს შექმნის შემდეგ ჩამოყალიბებული სისტემის რღვევას, რომელიც მეტნაკლებად, მაგრამ ძირითადად მაინც ემყარებოდა საერთაშორისო სამართლის იმ პრინციპს, რომელიც აღიარებდა სახელმწიფოების ტერიტორიულ მთლიანობას და მათ შიდა საქმეებში ჩაურევლობას.

ომმა გამოიწვია „ევრო-ატლანტიკური გაერთიანების“ კერძოდ, ნატო-ს და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მობილიზება უკრაინის მხარდასაჭერად და რუსეთის წინააღმდეგ. თუმცა მსოფლიოს ერთ-ერთმა „ზე სახელმწიფომ“ ჩინეთმა, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა, დიდმა და გავლენიანმა სახელმწიფოებმა, ამჯობინეს ერთგვარი დისტანცირება ამ სამხედრო კონფლიქტისგან და მოლოდინის რეჟიმში დარჩენა.

ამ მოვლენების პარალელურად, აშშ-ში მოხდა ხელისუფლების ცვლილება რომელმაც, მსოფლიო პოლიტიკაში ამ სახელმწიფოს ადგილიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, დამატებითი იმპულსი შესძინა საერთაშორისო არენაზე მიმდინარე ზემოხსენებულ დაპირისპირებას.

დონალდ ტრამპის პოლიტიკამ, კიდევ ერთი ბიძგი მისცა, საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დამყარებული, ძველი სისტემის რღვევას. ნათელი გახდა, რომ მსოფლიო რადიკალური და მწვავე ცვლილებების პროცესის დაწყების წინაშე იდგა.

თუ „ზესახელმწიფოებს“, ეს ცვლილებები მსოფლიოში მათი მომავალი ადგილის და როლის, ასევე ერთმანეთთან ურთიერთობების გადაფასების წინაშე აყენებდა. სხვა, განსაკუთრებით პატარა, ეკონომიკურად და სამხედრო-პოლიტიკურად პატარა ქვეყნებს, მშვიდობიანი და სტაბილური განვითარების, რიგ შემთხვევებში კი საერთოდ გადარჩენის საფრთხეს უქმნიდა.

დღის წესრიგში დადგა, საერთაშორისო ურთიერთობებში, მსოფლიოში არსებული სამხედრო-პოლიტიკური თუ პოლიტიკური გაერთიანებების და წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების მომავალი ადგილისა და მნიშვნელობის საკითხებიც.

და ბოლოს, მეტად დიდ მნიშვნელობას იძენდა, თუ როგორი რეაქცია ექნებოდა ამ ცვლილებებზე მსოფლიოს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსზე დაფუძნებულ ე.წ. „გლობალური ომის პარტიას“ და სხვა და სხვა სახელმწიფოებში არსებულ ე.წ. „დიფ სთეითებს“ ანუ ჩრდილოვანი მართველობის სისტემებს. ჩაუდგებოდნენ ისინი სათავეში ძველ საერთაშორისო წესრიგში მოსალოდნელ ცვლილებებს, თუ დაელოდებოდნენ, ამ ცვლილებების შედეგად წარმოქმნილ ახალ „ჰეგემონებს“, მათთან ურთიერთობების დასალაგებლად?

ძირითადი ნაწილი

როდესაც მსოფლიოში ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით კი უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში ისმის ლოგიკური კითხვა - არის ეს მოვლენები ისტორიის ლოგიკურად განვითარების პროცესის ბუნებრივი, თუ მსოფლიოში არსებული გარკვეული ძალების მიზანმიმართული პოლიტიკის ან შეცდომის შედეგი? შეიძლებოდა თუ არა ამ ყველაფრის თავიდან აცილება?

ჩვენი აზრით, ეს პირველ რიგში „ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ, კოლექტიურ დასავლეთში და მათ მიმდევრებში შექმნილი ილუზიების შედეგია, როგორც ახალი საერთაშორისო წესრიგის მომავალთან, ისე ამ წესრიგში (თუ უწესრიგობაში?) რუსეთის როლთან დაკავშირებით.

პირველ რიგში ილუზია აღმოჩნდა ლიბერალ-გლობალისტების ის მოლოდინი, რომ მთელმა მსოფლიომ ლიბერალ-დემოკრატიული წესებით უნდა იცხოვროს, ერთ-პოლუსიან მსოფლიოში ამერიკის შეერთებული შტატების „წინამძღოლობით“.

რაც შეეხება რუსეთს, საერთაშორისო ურთიერთობების ყველა გლობალური ცვლილების შემდეგ „რუსეთის მომავალი“ მნიშვნელოვან საკითხად იქცევა ხოლმე. ეს განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როცა ბევრი პოლიტიკოსის და ანალიტიკოსის რწმენით, ცივი ომი ახალი ცივი ომის სახით ბრუნდება.

ძველი“ ცივი ომის დასრულების და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დასავლეთის ქვეყნების უმეტესობას გაუჩნდა მოლოდინი, რომ რუსეთში დაიწყებოდა ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმები და რუსეთს, მსოფლიო თანამეგობრობასთან ერთად, ახალი, უფრო უსაფრთხო და თანამშრომლობაზე დაფუძნებული მსოფლიო წესრიგის შექმნის სურვილი გაუჩნდებოდა. დღეს, დასავლეთისა და ახლო სამეზობლოს, ძირითადად კი საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიული პოლიტიკის ფონზე, ეს მოლოდინები პრაქტიკულად აღარ არსებობს.

“ცივი ომის“ შემდეგ საერთაშორისო თანამეგობრობის მთავარი მიზანი, როგორც აღვნიშნეთ, იყო, მათი აზრით, ახალი, უსაფრთხო და სამართლიანი მსოფლიო წესრიგის შექმნა, რომელიც თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისა და ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებზე იქნებოდა დაფუძნებული. თუმცა პრობლემა ის იყო, რომ მსოფლიოს ბევრი ქვეყანა, მათ შორის, უდიდესი ძალაუფლების მქონე ქვეყნები და, პირველ რიგში, რუსეთი მხოლოდ სლოგანების დეკლარირებით შემოიფარგლნენ, რეალურად კი სრულიად საპირისპირო პოლიტიკას აწარმოებდნენ.

ჩვენი აზრით, იმ დროს დასავლეთისთვის, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებული შტატებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ ეს მიზნები ეღიარებინა რუსეთს - ერთ-ერთ ყველაზე დიდ და ძლევამოსილ სახელმწიფოს და იმ ძალების ყოფილ ლიდერს, რო-მელთა მთავრობები და რეჟიმები ზემოაღნიშნული პრინციპებისგან შორს იდგნენ. ყოვე-ლივე ამას ასრულება არ ეწერა.

იმ დროისთვის, რუსეთს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ეკონომიკური და პო-ლიტიკური თვალსაზრისით, ის ჯერ არ იყო მზად ზესახელმწიფოს სტატუსის აღსად-გენად, და რომ ქვეყანას გარდამავალი პერიოდი, დიპლომატიის ენაზე - სტრატეგიული პაუზა სჭირდებოდა. თუმცა ამავდროულად, რუსეთი აქტიურად მიყვებოდა ე.წ. „პრიმაკო-ვის დოქტრინას“, რომლის მიზანი იყო ახლო სამეზობლოში პოლიტიკური და ეთნიკური კონფლიქტების გაღვივება, რათა ახლად დამოუკიდებელი ყოფილი საბჭოთა რესპუბლი-კებისთვის არ მიეცა სწრაფი და წარმატებული განვითარების შესაძლებლობა და არ მიეცა შესაძლებლობა გაეზარდა მანძილი მათსა და მათ ყოფილ „პატრონს“ შორის.

როდესაც რუსეთი ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნაში და საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ამერიკის შეერთებულ შტატებთან პარტნიორობის პირობას დებდა, მას რეალურად სულ სხვა მიზანი ამოძრავებდა. რუსეთის მიზანი ახალი ხედვებისა და მისწრაფებების თავის სასარგებლოდ გამოყენება იყო: პირველად ჩეჩნეთში, ხოლო შემდეგ - პოსტ-საბჭოთა სივრცეში, მათ შორის, მოსაზღვრე რეგიონებში. ისეთებში როგორც საქარ-თველო და უკრაინაა.

მსოფლიომ და, განსაკუთრებით, ცივი ომის მთავარმა გამარჯვებულმა - ამერიკის შეერ-თებულმა შტატებმა, რომელიც თავისი გამარჯვებით ტკბებოდა, სამწუხაროდ, მხოლოდ 11 სექტემბრის უპრეცედენტო ტერორისტული აქტის შემდეგ გაიღვიძა. სწორედ ამ აქტმა მიაპყრო მსოფლიოს, მათ შორის, სამხედრო ძალების ყურადღება ტერორიზმის პრობლე-მისკენ. მალევე, ენერგო რესურსებზე ფასების არნახული ზრდის და „სახელმწიფო კაპიტა-ლიზმის“ ე.წ. პრინციპების სწრაფი განვითარების გამო, რუსეთმა უზარმაზარი კაპიტალი დააგროვა და როგორც ახლო სამეზობლოში, ისე საერთაშორისო არენაზე იმპერიული „კუნთების თამაში“ განაახლა. ამ ორმა მოვლენამ საშიშ ტენდენციას ჩაუყარა საფუძველი: აშკარა იყო, რომ მთავარ კითხვებზე პასუხის გაცემის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ორმაგ სტანდარტებზე დაფუძნებული მიდგომის დაძლევა და 21-ე საუკუნის ყველაზე საშიში ფე-ნომენის წინააღმდეგ ძალების რეალურად გაერთიანება.

საერთაშორისო თანამეგობრობა უამრავ პრობლემას აირიდებდა თავიდან, „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ მას რომ სწორი სახელი დაერქმია მიმდინარე გეოპოლიტიკური და რეგიონული პროცესებისთვის.

აშშ სახელმწიფო მდივნის მოადგილის სტროუბ ტელბოტის წიგნი[4] მკაფიოდ მიუთითებს იმ პოლიტიკურ მსხვერპლზე, რომელიც კლინტონის ადმინისტრაციამ გაიღო ელცინის რუსეთის „დემოკრატიზაციისა“ და საერთაშორისო სისტემაში რუსეთის ჩართვის მიზნით. საინტერესოა, რა მიიღეს მათ საპასუხოდ? საერთაშორისო სისტემაში ჩართული რუსეთი, თუ ძლიერი და აგრესიული ზესახელმწიფო, რომელმაც ისარგებლა შესვენებით და ახალი გამოწვევები შეუქმნა ახალ წესრიგს?

აშკარა იყო, რომ ე.წ. „ახლო სამეზობლო“ რუსეთის ექსპანსიური პოლიტიკის პირველი სამიზნე გახდებოდა, მაგრამ დასავლეთმა და მისმა ლიდერმა - ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ეს არ ან ვერ გააცნობიერა.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სათანადოდ ვერ შეაფასა რუსეთის მხრიდან სამართლიანი მსოფლიო წესრიგის შექმნაში მონაწილეობის მზაობა. მიუხედავად იმისა, რომ, კლინტონის ადმინისტრაციისგან განსხვავებით, ჯორჯ ბუში უმცროსის ადმინისტრაციას სამხრეთ კავკასიისთვის „რუსეთის უკანა ეზო“ არ უწოდებია, აშშ მას მაინც თვლიდა ტერიტორიად, სადაც რუსეთს ერთგვარი მოქმედების თავისუფლება ჰქონდა. რასაკვირველია, ეს არ გულისხმობდა იმგვარ ქმედებებს, რაც რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ 2008 წლის აგვისტოში ჩაიდინა, ან დღესაც სჩადის (მაგალითად, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში სამხედრო ბაზების მშენებლობა). ეს არ გულისხმობდა არც ომის დაწყებას უკრაინაში.

ჯორჯ ბუში უმცროსის ადმინისტრაცია შეეცადა გაეძლიერებინა თავისი გავლენა სამხრეთ კავკასიაში - ენერგორესურსების ტრანზიტის თვალსაზრისით მნიშვნელოვან რეგიონში, რომელიც, ამავე დროს, ახლო აღმოსავლეთის უშუალო სიახლოვეს მდებარეობს. მაგრამ ამერიკელებმა ეს რუსეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული მეთოდების გამოყენებით, კერძოდ, მათი აზრით, რეგიონის ქვეყნების უსაფრთხოების გაძლიერებისა და დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობის გზით სცადეს.

ანალოგიურად განვითარდა მოვლენები უკრაინაშიც (თუ გავითვალისწინებთ ე.წ. „ფერადი რევოლუციების“ მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერას), მაგრამ

[4] Strobe Talbot, “The Russia Hand, random House, New York, 2002.

ყოველივე ეს ხდებოდა პოლიტიკური, ფინანსური ან ტექნიკური დახმარების, და არა სეპარატიზმის გაღვივების, უნდობლობის დათესვის, სუვერენული ქვეყნების შიდა საქმეებში ჩარევის გარეშე.

დღეს სავსებით ცხადია, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ რუსეთის მიმართ დასავლეთის ზედმეტად ლიბერალურმა პოზიციამ პრობლემატური გახადა საერთაშორისო უსაფრთხოების ახალი ტიპის სისტემის შექმნა, რამაც, ბუნებრივია, გამორიცხა რეგიონული უსაფრთხოების სისტემის შექმნა, მათ შორის, სამხრეთ კავკასიაში.[5]

აშკარა იყო, რუსეთი ყველა მეთოდს მიმართავდა ზესახელმწიფოს სტატუსის დასაბრუნებლად და ცივი ომის წაგებისთვის სამაგიეროს გადასახდელად. ეს დადასტურდა კიდეც, როდესაც 21-ე საუკუნეში, რუსეთმა ორი ომი გააჩაღა, ჯერ საქართველოში, შემდეგ კი უკრაინაში.

ამჟამად ბევრს დავობენ იმაზე, წავიდოდა თუ არა რუსეთი იმავე გზით, უკვე ერთგვარად ყბადაღებულ, ნატო-ს ბუქარესტის სამიტზე (2008 წლის 2-4 აპრილი), ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს უკრაინისა და საქართველოსთვის, მასში შესაძლებელი გაწევრიანების დაპირება რომ არ მიეცათ, მაგრამ რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა, ხომ ჯერ კიდევ 2007 წლის მიუნჰენის ტრადიციულ, უსაფრთხოების კონფერენციაზე განაცხადა, რომ რუსეთი არა მხოლოდ არ დაუშვებს მის საზღვრებთან ნატოს მოახლოებას, არამედ მწვავედ გააკრიტიკა „ერთ-პოლუსიანი“ მსოფლიო წესრიგის შექმნის გეგმები.

დღეს აშკარაა, რომ პუტინის ამ „გაფრთხილების“ უგულებელყოფა, დასავლეთის მხრიდან დიდი შეცდომა იყო.

აშშ-ში ადმინისტრაციის ცვლილებამ და დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტებამ, დამატებითი, ძლიერი იმპულსი შესძინა უკრაინის ომით გამოწვეულ პრობლემებს საერთაშორისო ურთიერთობებში, განსაკუთრებით „ევრო-ატლანტიკური“ ერთიანობის მომავლის და შეცვლილ მსოფლიო წესრიგში აშშ-ს როლის თვალსაზრისით.

ტრამპის მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა არა მხოლოდ უკრაინის ომის, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში არსებული კონფლიქტების მიმართულებით (რომელთა შესახებ მან განაცხადა, რომ 8 ომი დაასრულა, თუმცა იქ რეალურად მხოლოდ ცეცხლის შეწყვეტის დროებითი რეჟიმი მოქმედებს!), მის მიერ, ისრაელთან ერთად, ირანის წინააღმდეგ განხორციელებულმა სამხედრო ოპერაციებმა, მისმა აშკარა დაპირისპირებამ ნატო-ელ და ზოგადად ევროპელ, შეიძლება ითქვას უკვე ყოფილ, მოკავშირეებთან და ზოგადად

[5] Konstantine Zhgenti „Russia's Foreign Policy in the 21-st Century“, Nova Science Publishers, New York, 2019.

მთელმა მისმა საგარეო პოლიტიკამ, ნათლად აჩვენა რომ ძველი, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ჩამოყალიბებული საერთაშორისო სისტემა აღარ მოქმედებს და ვეღარ აღდგება.

ტრამპის მმართველობის დასაწყისიდანვე, გამოჩნდა ისიც, რომ ე.წ. „დიფ სთეით"-თან ბრძოლას, ტრამპი მხოლოდ განცხადებების საფუძველზე აწარმოებს, სინამდვილეში კი მასთან და სამხედრო სამრეწველო კომპლექსზე დამყარებულ „გლობალურ ომის პარტიას-თან", მუდმივ თანამშრომლობაში იმყოფება.

ამავე დროს გაურკვეველია საერთაშორისო სისტემის მომავალი კონფიგურაცია. თუმცა, ჩვენი აზრით ერთი რამ ნათელია ერთი - ეს კონფიგურაცია უეჭველად „რეალპოლიტიკის" პრინციპებზე იქნება დაფუძნებული.

ეჭვგარეშეა, რომ *რეალპოლიტიკის* პრინციპების განხორციელებისას, ყველა ქვეყანას გა-აჩნია თავისი, მნიშვნელოვანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი პრიორიტეტები. ბუნებრივია, რომ პატარა და სუსტ, თანაც ტერიტორიულად მნიშვნელოვან გეოგრაფიულ ადგილზე მდებარე ქვეყნებთან შედარებით, ძლიერ სახელმწიფოებს მეტი ბერკეტი აქვთ იმისათვის, რომ შესაბამისი არჩევანი გააკეთონ.

ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა, ერთი შეხედვით, კარგად ნაცნობია, მაგრამ თანა-მედ-როვე საერთაშორისო პოლიტიკაში ჩვენ ხშირად ვხვდებით მაგალითებს, როდესაც პატარა და ეკონომიკურად ან სამხედრო თვალსაზრისით სუსტი ქვეყნების მთავრობებს, ავიწყდე-ბათ ეს ჭეშმარიტება და ჰგონიათ, რომ „ოცნება ახდა". ახლად დამოუკიდებელი საქართვე-ლოს ბოლო პერიოდის ისტორია სავსეა მსგავსი მაგალითებით. მსგავსი მიდგომები მრავ-ლად არსებობს საქართველოს დამოუკიდებლობის მთელი ისტორიის მანძილზე და ისინი ძირითადად აისახება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკაში ისეთი წამყვანი სახელმწიფოების მი-მართ, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები და განსაკუთრებით რუსეთი.

ეს არის საქართველოს პოლიტიკა ამ ქვეყნებთან მიმართებაში და არა პირიქით, ვინაი-დან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ძლიერ სახელმწიფოებს ბევრად მეტი რესურსი და საშუა-ლება აქვთ ისეთი პოლიტიკის გასატარებლად, რომელიც მათ ინტერესებს ემსახურება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, *რეალპოლიტიკის* განსახორციელებლად.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ საქართველოს არ შესწევდა ძალა, განეხორციელებინა *რე-ალპოლიტიკის* ფუნდამენტური პრინციპები, ანუ გაეტარებინა უფრო პრაგმატული პოლი-ტიკა მსოფლიოს ორივე წამყვან სახელმწიფოსთან, განსაკუთრებით კი რუსეთთან მიმარ-თებაში, რაც მას თავიდან ააცილებდა ბევრ დამღუპველ მოვლენას უახლეს ისტორიაში, ან მომავალში არ შეუძლია სწორი, რეალისტური პოლიტიკის გატარება რეგიონსა და საერთა-შორისო არენაზე? სრულიადაც არა.

საქართველოს უსაფრთხო, მშვიდობიანი და წარმატებული განვითარებისათვის **მთავარ** საგარეო საფრთხეს რუსეთის მიერ მისი ტერიტორიების ოკუპაცია და როგორც ხისტი (განგრძობადი ბორდერიზაცია, მოქალაქეების მძევლად აყვანა, სმხედრო პროვოკაციები ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ), ისე რბილი ძალის („კიბერ-შეტევები", საინფორმაციო ომი) გამოყენებით, ქვეყნის შიგნით დესტაბილიზაციის შენარჩუნება წარმოადგენს.

თუმცა უეჭველად გასათვალისწინებელია, რომ ამგვარი საფრთხე შეიძლება მომდინარეობდეს უცხოეთის სხვა ქვეყნებიდან ან ორგანიზაციებიდან, რომელთაც არ აწყობთ ჩვენი ქვეყნის რწმენაზე, ღირებულებებსა და ტრადიციებზე დამყარებული, მშვიდობისა და განვითარებისაკენ მიმართული პოლიტიკა.

მეორე ადგილზე დგას ის საფრთხეები რომელიც ქვეყანას ემუქრება რეგიონში შესაძლებელი კონფლიქტების, ჩვენს ტერიტორიაზე შესაძლებელი გავრცელებით.

მესამე საფრთხედ შეიძლება განვიხილოთ მსოფლიოს წამყვანი ძალების და ძალის ცენტრების (რუსეთი-აშშ, რუსეთი-„ნატო") და მეზობელი დიდი სახელმწიფოების (რუსეთი-თურქეთი-ირანი) ინტერესთა დაპირისპირების შესაძლებელი გამწვავებები როგორც მთლიანად რეგიონში, ისე ცალკე საქართველოსთან მიმართებაში.

არსებობს „რეალპოლიტიკის" პრინციპებთან უშუალოდ დაკავშირებული რამდენიმე უეჭველი რეალობა, რომლებიც საქართველოს მთავრობამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს წარმატებული საგარეო პოლიტიკის დაგეგმვისა და დიპლომატიის საშუალებით განხორციელებისათვის.

პირველი და ალბათ ყველაზე ნათელი და მნიშვნელოვანი ამგვარი რეალობა არის ის, რომ რუსეთი, მისი დაშლის ან სახელმწიფო წყობის ძირეული ცვლილების გარეშე (რაც ხილულ მომავალში მოსალოდნელი არ არის!), არ წაიღებს უკან აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას. ამის ძირითადი მიზეზი არის ის რომ რუსეთი არ დათმობს სამხედრო ბაზებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რაც არა მხოლოდ რეგიონის არამედ უფრო ფართე სივრცის კონტროლისთვის ჭირდება.

მეორე ნათელი და მნიშვნელოვანი რეალობაა ის, რომ თავის მიერ გაცხადებული ინტერესების დასაცავად ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე (ნატო-ს და ევროკავშირის წევრი, ბალტიის ქვეყნების გარდა), რუსეთი ყოველ წუთს მზად არის ღიად გამოიყენოს სამხედრო ძალა, ხოლო სხვა არავინ, აშშ-ს და ნატო-ს სახელმწიფოების ჩათვლით ამას არ გააკეთებს!

მესამე მნიშვნელობით რეალობა არის ის, რომ რუსეთისთვის პოსტ-საბჭოთა ქვეყნების, მათ შორის საქართველოს გაწევრიანება ნატო-ში სრულიად მიუღებელია და ის ყველა

ძალას იხმარს რომ ამას ხელი შეუშალოს. თუ აღნიშნულს დავუმატებთ არა ნაკლებ მნიშვნელოვან გარემოებას, რომ ისევ და ისევ „რეალპოლიტიკის“ პრინციპებიდან გამომდინარე, თვით ნატო-ში საკმაოდ არის სახელმწიფოები, რომლებიც საქართველოს ინტერესების დაკმაყოფილების საპირწონედ არავითარ შემთხვევაში არ დაუპირისპირდებიან რუსეთს, ხოლო გადაწყვეტილებები ამ ორგანიზაციაში საყოველთაოდ ცნობილია რომ მხოლოდ კონსენსუსით მიიღება, ხილულ მომავალში საქართველოს ნატო-ში სრულყოფილი გაწევრიანების ალბათობა არ არსებობს (სხვა საკითხია თვითონ „ნატო“ იარსებებს თუ არა და რა სახით?!).

მეოთხე რეალობა ეხება საქართველოს გაწევრიანებას ევროკავშირში, რაც „ნატო“-ში გაწევრიანებასთან შედარებით რუსეთისთვის ალბათ ნაკლებად გამაღიზიანებელია, მაგრამ აქაც თავის უარყოფით როლს თამაშობს ისევ ორგანიზაციაში ახალი ქვეყნების მიღებისას მოქმედი კონსენსუსის პრინციპი და ევროკავშირის ბევრი ქვეყნის უარყოფითი პოზიცია გაფართოებასთან მიმართებაში, რის შეცვლაც, ხილულ მომავალში, ასევე ნაკლებად მოსალოდნელია.

არსებულ და საკმაოდ პროგნოზირებად რეალობაში, მაქსიმუმი რაზეც წამსვლელი არიან ზემოხსენებული საერთაშორისო ორგანიზაციები, არის ახალი ფორმატების ძიება (მაგალითად როგორიცაა „ასპირანტი ქვეყნის“ სტატუსი და ა.შ.), სრულფასოვნად მიღების გარეშე, ამ ორგანიზაციებთან საქართველოს მაქსიმალურად დაახლოვებისათვის. ამგვა- რი პოლიტიკით, რომლის ნაწილიც არის საქართველოს მხარდამჭერი და რუსეთის საწინააღმდეგო რიტორიკა (მაგალითად, რომ „არც ერთ ქვეყანას, მათ შორის რუსეთს არა აქვს უფლება აუკრძალოს მათ გაფართოვება“), ამ ორგანიზაციების წევრი სახელმწიფოები რეალურად თან ცდილობენ „შეინარჩუნონ სახე“ რუსეთთან მიმართებაში და თან „მაქსიმალურად ახლოს იყოლიონ“ საქართველო. მაგრამ საქართველო, და ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ისეთი მთავრობით, როგორიც მათ სურთ!?

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ძალიან მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომ ჩვენს ქვეყანაში დამოუკიდებლობის პირველი წლებიდანვე არსებული, პრაქტიკულად მუდმივი დაძაბულობა და არასტაბილური საშინაო სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ორივე ხსენებულ ორგანიზაციას, უფრო საბაბად, ვიდრე მიზეზად გამოიყენოს ხსენებული გარემო-ება ამ ორგანიზაციებში საქართველოს გაწევრიანების ვადის მაქსიმალურად გახანგრძლივებისთვის. თუმცა სამართლიანი არ ვიქნებით, რომ არ აღვნიშნოთ, ამ ორგანიზაციებში საკმაოდ არიან სახელმწიფოები, რომელთა გაწევრიანებაც მთლიანად პოლიტიკური მიზანშეწონილობით მოხდა.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, და უნდა გავიმეოროთ, მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ფონზე, ჩვენი აზრით, საქართველოსათვის ყველაზე შესაფერი და მომგებიანი, იქნება „ნეიტრალიტეტის“ პრინციპებზე დამყარებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარება.

ჩვენი ქვეყნისათვის, „ნეიტრალური“, მრავალ-ვექტორული პოლიტიკის უპირატესობები არსებულ პირობებში და პერსპექტივაში, ჩვენი აზრით ნათელია.

ეს არის, პირველ რიგში შესაძლებლობა, ქვეყანა და მთელი რეგიონი, მსოფლიოს წამყვანი, ან რეგიონის დიდი და ძლიერი სახელმწიფოების, ისტორიული, ინტერესთა დაპირისპირების ადგილიდან გადაიქცეს ურთიერთთანამშრომლობის და საერთო ინტერესების განხორციელების ადგილად. ეს პირველ რიგში ეხება ურთიერთსასარგებლო ეკონომიკურ და სავაჭრო თანამშრომლობას, რის შემადგენელი ნაწილიც არის, უკვე მოქმედი, რეგიონზე გამავალი, სავაჭრო-სატრანზიტო მარშრუტები.

ამ მარშრუტებით, რომელთაც ემატება პერსპექტიული პროექტები, უკვე არიან დაინტერესებული მსოფლიოს დიდი სახელმწიფოები, რომელთაც კარგად ესმით, რომ ვერანაირი ეკონომიკური და ბიზნეს პროექტები, წარმატებით ვერ განხორციელდება კონფლიქტებითა და ომებით საშიშ რეგიონებში. შესაბამისად რეგიონის უსაფრთხოება და იქ სტაბილური მშვიდობა, რაც „ნეიტრალიტეტით“ ყველაზე უფრო მიიღწევა, არა მხოლოდ რეგიონის ქვეყნების, არამედ მათ ინტერესებშია.

შესაბამისად სახეზეა, ძალიან მაღალი ალბათობით, „რეალპოლიტიკის“და „ნეიტრალიტეტის“ საფუძველზე, საქართველოს, და როგორც რეგიონის, ასევე მსოფლიოს დიდი და ძლიერი სახელმწიფოების ინტერესთა თანხვედრის და ურთიერთთანამშრომლობის შესაძლებლობა.

ბიბლიოგრაფია

Hantington, Samuel P.“The Clash of Civilizations and the remaking of World Order”, Simon and Schuster, 1996.

Fukuyama, Francis, „The end of History and the last man“, Free Press, 1992.

Kissinger, Henry,“Diplomacy”, Simon and Schuster, 1994.

Strobe Talbot, “The Russia Hand, random House, New York, 2002

Zhgenti, Konstantine, „Russia’s Foreign Policy in the 21-st Century“’, Nova Science Publishers, New York, 2019

ციფრული უსაფრთხოების გავლენა ძალაუფლებისთვის ბრძოლაში

თორნიკე ზედელაშვილი
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
https://orcid.org/0000-0003-2630-1779

აბსტრაქტი

ციფრული უსაფრთხოება XXI საუკუნეში იქცა ძალაუფლებისთვის ბრძოლის ახალ ღერძად, სადაც სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები და არასახელმწიფო აქტორები იყენებენ კიბერსივრცეს როგორც სტრატეგიულ იარაღს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო უპირატესობის მისაღწევად. ძალაუფლების კლასიკური გაგება *(სამხედრო ძალა, ეკონომიკური რესურსები და დიპლომატიური გავლენა)* აღარ არის საკმარისი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში. ციფრული ინფრასტრუქტურის კონტროლი, მონაცემთა უსაფრთხოება და კიბერ შესაძლებლობები იქცა ისეთივე მნიშვნელოვან ფაქტორებად, როგორც ტრადიციული სამხედრო და ეკონომიკური რესურსები.

ბირთვულ ეპოქაში ძალაუფლების ბალანსი ეფუძნებოდა „შიშის ბალანსს“, სადაც ურთიერთდამღუპველი შედეგის შიში აჩერებდა სახელმწიფოებს. ციფრულ ეპოქაში მსგავსი ლოგიკა მოქმედებს, თუმცა განსხვავებით: კიბერ იარაღი უხილავია, მისი გამოყენება შეიძლება ანონიმურად და შედეგები ხშირად თანდათანობით და რთულად დასადგენია. ეს ქმნის ძალაუფლებისთვის ბრძოლის ახალ წესებს, სადაც გამჭვირვალობა და დამაჯერებლობა ნაკლებად არის უზრუნველყოფილი.

აშშ - ჩინეთის ტექნოლოგიური კონკურენცია ცხადყოფს, რომ ციფრული ინფრასტრუქტურის კონტროლი პირდაპირ განსაზღვრავს გლობალურ ძალაუფლების დინამიკას. ჩინეთის ინვესტიციები 5G ტექნოლოგიებში და აშშ-ის მცდელობა მისი შეზღუდვისა, წარმოადგენს ციფრული უსაფრთხოების გავლენის ნათელ მაგალითს. რუსეთის კიბერ ოპერაციები, რომლებიც მიმართულია დასავლეთის პოლიტიკური პროცესების წინააღმდეგ, აჩვენებს, რომ კიბერსივრცე შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც პოლიტიკური იარაღი, ყველაზე კარგი მაგალითი ამ შემთხვევაში რუსეთ-უკრაინის ომია, სადაც ციფრული ტექნოლოგიების დიდი სპერქტს იყენებენ, ასევე აშშ-ისა და ირანის ისლამური სახელმწიფოს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ერთმანეთის წინააღმდეგ, სადაც აქტიურად არის ჩართული ისრაელი და ასევე გაერთიანებული საამიროების ქვეყნები. ევროკავშირი კი ცდილობს ერთიანი სტრატეგიით შეინარჩუნოს ძალაუფლების პოზიციები, თუმცა მისი წევრი სახელმწიფოების განსხვავებული ინტერესები ამ პროცესს ართულებს.

მცირე სახელმწიფოებსაც აქვთ შესაძლებლობა გავლენის მოხდენის, რადგან კიბერ შესაძლებლობები არ მოითხოვს ისეთივე მასშტაბურ რესურსებს, როგორც ბირთვული იარაღი. ეს ქმნის უფრო მრავალფეროვან ძალაუფლების რუკას.

ჩვენი ჰიპოთეზა ამტკიცებს, რომ ციფრული უსაფრთხოება XXI საუკუნეში იქცა ძალაუფლებისთვის ბრძოლის ახალ განზომილებად. მისი გავლენა ვლინდება როგორც გლობალურ, ასევე რეგიონულ დონეზე, და ძალაუფლების გადანაწილება სულ უფრო მეტად დამოკიდებულია ციფრული ინფრასტრუქტურის კონტროლზე.

საკვანძო სიტყვები: ძალაუფლება, უსაფრთხოება, კიბერსივრცე, ინფრასტრუქტურა, მონაცემები, ტექნოლოგია, კონკურენცია, სტრატეგია, გავლენა, გეოპოლიტიკა.

The Impact of Digital Security on the Struggle for Power

Thornike Zedelashvili
Doctor of Political Sciences
https://orcid.org/0000-0003-2630-1779

Abstract

Digital security has become a new axis of power struggles in the 21st century, where states, international organizations, and non-state actors use cyberspace as a strategic weapon to achieve political, economic, and military advantage. The classical understanding of power (military force, economic resources, and diplomatic influence) is no longer sufficient in modern international relations. Control over digital infrastructure, data security, and cyber capabilities has become as significant as traditional military and economic resources.

In the nuclear era, the balance of power was based on the "balance of fear," where the threat of mutual destruction restrained states. In the digital era, a similar logic applies, but with differences: cyber weapons are invisible, can be used anonymously, and their effects are often gradual and difficult to trace. This creates new rules for the struggle for power, where transparency and credibility are less assured.

The technological competition between the United States and China demonstrates that control over digital infrastructure directly shapes global power dynamics. China's investments in 5G technologies and the U.S. efforts to restrict them are clear examples of the influence of digital security. Russia's cyber operations targeting Western political processes show that cyberspace can be used as a political weapon. The Russia–Ukraine war is the best example, where a wide spectrum of digital technologies is employed. Similarly, the U.S. and Iran's use of digital technologies against each other, with active involvement from Israel and the United Arab Emirates, highlights the geopolitical dimension of cyber tools. The European Union, meanwhile, seeks to maintain its power position through a unified strategy, though differing interests among member states complicate this process.

Smaller states also have the ability to exert influence, since cyber capabilities do not require the same scale of resources as nuclear weapons. This creates a more diverse map of power.

Our hypothesis asserts that digital security has become a new dimension of the struggle for power in the 21st century. Its impact is evident both globally and regionally, and the redistribution of power increasingly depends on control over digital infrastructure.

Keywords: power, security, cyberspace, infrastructure, data, technology, competition, strategy, influence, geopolitics

შესავალი

ტექნოლოგიების განვითარებამ ძალაუფლებისთვის ბრძოლის კლასიკური პარადიგმები მნიშვნელოვნად შეცვალა. თუ XX საუკუნეში სამხედრო ძალა და ეკონომიკური რესურსები იყო მთავარი ფაქტორი, XXI საუკუნეში კიბერსივრცე იქცა ისეთივე მნიშვნელოვან ასპარეზად, სადაც სახელმწიფოები და სხვა აქტორები ცდილობენ უპირატესობის მოპოვებას.

2025 წელს კიბერსაფრთხეები უპრეცედენტო დონეს მიაღწია: *Thales - ის* ანგარიშის მიხედვით, მხოლოდ ერთ წელიწადში 48,172 ახალი მოწყვლადობა გამოვლინდა, რაც 18 პროცენტით მეტია 2024 წელთან შედარებით.[1] ეს ციფრი ცხადყოფს, რომ ციფრული უსაფრთხოება აღარ არის მხოლოდ ტექნიკური საკითხი; ის პირდაპირ უკავშირდება პოლიტიკურ სტრატეგიებს, საერთაშორისო ნორმებს და ძალაუფლების გადანაწილებას.

Infosecurity Magazine - ის მონაცემებით, 2025 წელს ათი ყველაზე მასშტაბური კიბერ შეტევა მოიცავდა როგორც ორგანიზებულ *ransomware* ჯგუფებს, ასევე ახალგაზრდა ჰაკერების ჯგუფებს, რომლებმაც მოახერხეს გლობალური ბრენდების სისტემებში შეღწევა და პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდების ჯაჭვის გამოყენება.[2] ეს ფაქტი ადასტურებს, რომ ძალაუფლებისთვის ბრძოლა სულ უფრო მეტად ხდება მონაცემთა და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის კონტროლზე.

აშშ - ჩინეთის ტექნოლოგიური დაპირისპირება კიდევ უფრო გამძაფრდა. მონაცემები იქცა ახალი ბრძოლის ველად, სადაც ორივე მხარე ცდილობს სტრატეგიული უპირატესობის მოპოვებას. ჰარვარდის პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ „ტექნოლოგიური განცალკევება“ და მონაცემთა უსაფრთხოების სეკურიტიზაცია ქმნის უფრო პარანოიდულ გლობალურ გარემოს. ეს დაპირისპირება არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ გეოპოლიტიკურ შედეგებსაც იწვევს.

რუსეთის კიბეროპერაციები კვლავ აქტიურად გამოიყენება ძალაუფლების ინსტრუმენტად. *CISA-ს* 2025 წლის დეკემბრის ანგარიშში აღწერილია პრორუსული ჰაქტივისტების მიერ განხორციელებული შეტევები აშშ-ისა და გლობალური კრიტიკული ინფრასტრუქტურის წინააღმდეგ.[3] ეს მაგალითი ცხადყოფს, რომ კიბერ შესაძლებლობები პირდაპირ უკავშირდება საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებს.

---

[1]Thales group, "How business leaders must respond to new security attacks - and how cyber threat intelligence can help", p. 1, 2026. https://redirme.com/2buxtj

[2]K.Poireault, "Top 10 Cyber-Attacks of 2025", p. 1, 2025. https://redirme.com/3drvme

[3] CISA, "Pro-Russia Hacktivists Conduct Opportunistic Attacks Against US and Global Critical Infrastructure", p. 1, 2025. https://redirme.com/f7kev9

ევროკავშირმა 2025 წელს წარმოადგინა ახალი *EU Cybersecurity Strategy,* რომელიც მიზნად ისახავს კიბერსაფრთხეების წინააღმდეგ მდგრადობის გაძლიერებას და მოქალაქეებისთვის უსაფრთხო ციფრული გარემოს შექმნას.[4] სტრატეგია ხაზს უსვამს, რომ *კიბერთავდასხმების რაოდენობა და სირთულე იზრდება,* და ევროკავშირი ცდილობს ჩამოაყალიბოს გლობალური ნორმები და სტანდარტები.

ძირითადი ნაწილი

ციფრული ეპოქა და ძალაუფლებისთვის ბრძოლა

ციფრული უსაფრთხოების გავლენა ძალაუფლებისთვის ბრძოლაში დღეს უკვე აღიქმება როგორც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი საერთაშორისო ურთიერთობებში. ძალაუფლების კლასიკური გაგება, რომელიც ეფუძნებოდა სამხედრო ძალას, ეკონომიკურ რესურსებს და დიპლომატიურ გავლენას, თანდათანობით იცვლება. თანამედროვე ეპოქაში მონაცემთა ნაკადების კონტროლი, კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა და კიბერ შესაძლებლობების განვითარება იქცა ისეთივე მნიშვნელოვან ინსტრუმენტებად, როგორც ტრადიციული სამხედრო იარაღი. ეს ცვლილება განსაკუთრებით თვალსაჩინოა ბოლო წლების მაგალითებით, სადაც კიბერ შეტევები არა მხოლოდ ტექნიკურ პრობლემებს ქმნიან, არამედ პირდაპირ გავლენას ახდენენ პოლიტიკურ პროცესებზე და ძალაუფლების გადანაწილებაზე.

ციფრული უსაფრთხოება ქმნის ახალ „გეოპოლიტიკურ რუკას“. თუ ადრე ძალაუფლებისთვის ბრძოლა ძირითადად სამხედრო ბაზების განლაგებაზე იყო დამოკიდებული, დღეს ის დამოკიდებულია მონაცემთა ცენტრების, ინტერნეტ კაბელების და სატელიტური სისტემების კონტროლზე. ეს ნიშნავს, რომ ძალაუფლებისთვის ბრძოლა უფრო *„ინფრასტრუქტურული“* გახდა და მისი შედეგები ხშირად უხილავია ფართო საზოგადოებისთვის. მაგალითად, როდესაც ერთი ქვეყანა ახერხებს სხვა ქვეყნის სატელეკომუნიკაციო ქსელების კონტროლს, ეს პირდაპირ განსაზღვრავს მის პოლიტიკურ გავლენას.

ციფრული უსაფრთხოების გავლენა ძალაუფლებისთვის ბრძოლაში განსაკუთრებით თვალსაჩინოა მაშინ, როდესაც ვაკვირდებით მცირე სახელმწიფოების შესაძლებლობებს. ისტორიულად, მცირე სახელმწიფოებს ნაკლები რესურსი ჰქონდათ სამხედრო და ეკონომიკურ ასპარეზზე, რის გამოც მათი გავლენა საერთაშორისო პოლიტიკაში შეზღუდული იყო. თუმცა ციფრული ეპოქა ამ რეალობას ცვლის. კიბერ შესაძლებლობები არ მოითხოვს

[4]European Commission, "EU Cybersecurity Strategy", p. 1, 2025. https://redirme.com/wp4d2k

ისეთივე მასშტაბურ ფინანსურ და ტექნოლოგიურ რესურსებს, როგორც ბირთვული იარაღი. მაგალითად, ესტონეთი, რომელიც მოსახლეობისა და ეკონომიკური მოცულობის მიხედვით მცირე სახელმწიფოა, დღეს აღიარებულია როგორც ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე ქვეყანა კიბერუსაფრთხოების სფეროში. მისი გამოცდილება 2007 წლის მასშტაბური კიბერშეტევის შემდეგ, როდესაც რუსეთთან დაძაბულობამ გამოიწვია ქვეყნის კრიტიკული ინფრასტრუქტურის პარალიზება, იქცა მაგალითად იმისა, თუ როგორ შეიძლება მცირე სახელმწიფოს სწრაფად მოახდინოს ადაპტაცია და შექმნას ძლიერი კიბერთავდაცვის სისტემა. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხში ნატო-ს წვლილი ძალიან დიდია, ეს შემთხვევა ადასტურებს, რომ ძალაუფლებისთვის ბრძოლაში მცირე სახელმწიფოებსაც აქვთ შესაძლებლობა მნიშვნელოვანი როლის შესრულების.

მონაცემთა კონტროლი თანამედროვე ძალაუფლებისთვის ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი ასპექტია. თუ ადრე სამხედრო ბაზების განლაგება განსაზღვრავდა სახელმწიფოს გავლენას, დღეს ეს ფუნქცია მონაცემთა ცენტრებს და სატელეკომუნიკაციო ქსელებს ეკისრებათ. *RAND Corporation-ის* ანგარიშში ხაზგასმულია, რომ მონაცემთა ნაკადების კონტროლი იქცა ისეთივე სტრატეგიულ აქტივად, როგორც ენერგეტიკული რესურსები.[5] მაგალითად, ჩინეთის მიერ *Digital Silk Road-ის* პროექტის განვითარება მიზნად ისახავს არა მხოლოდ ინფრასტრუქტურის გაფართოებას, არამედ მონაცემთა ნაკადების გლობალურ კონტროლს. ეს პროექტი ქმნის ახალ რეალობას, სადაც მონაცემთა გზები ისეთივე მნიშვნელობას იძენს, როგორც ტრადიციული სავაჭრო მარშრუტები.

რუსეთის კიბეროპერაციები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მონაცემთა კონტროლი და კიბერ შესაძლებლობები პირდაპირ უკავშირდება ძალაუფლებისთვის ბრძოლას. რუსეთი ყოველდღიურ რეჟიმში აწარმოებს ციფრულშეტევებს უკრაინაზე, სხვადასხვა ევროპულ ქვეყნებზე, აშშ-ზე. რუსეთთან დაახლოვებული ჰაქტივისტური დაჯგუფებები, რომლებიც სხვადასხვა გზით ფინანსდებიან რუსეთიდან აქტიურ რეჟიმში არიან ჩართული კიბერომში. უკრაინაში 2016 წლიდან მოყოლებული დღემდე უფრო და უფრო იზრდება ციფრული ზეწოლა რუსეთის მხრიდან. 2017 წელს ისეთი მასირებული ციფრული თავდასხმა განახორციელა რუსეთმა უკრაინის ენერგორესურსებზე, რომ როგორც აეროპორტების სისტემებს ასევე რკინიგზას და ელექტრო ენერგიას შეექმნა დიდი პრობლემები. ასევე მაგალითისთვის საქართველოზე მასშტაბური კიბერშეტევაც შეგვიძლია გავიხსენოთ 2019 წელს,

[5]R. I. Arciniegas, A.Najera, A.Smidt, R.Wang, M. H. Park, V, H, Soest, D. Gill, "Expanding U.S. Net Available Power Capacity by 2030", 2025. https://redirme.com/btdrm2

როდესაც ბევრი მედიასაშუალების სისტემებსა და ვებ-გვერდებს პრობლემები შეექმნა, დაიკარგა ბევრი მასალა, ვებ-გვერდები მუშაობდა შეფერხებით და სხვ.

როდესაც ვსაუბრობთ ციფრულ ეპოქაზე და ტექნოლოგიების განვითარებაზე, აუცილებლად უნდა განვიხილოთ ხელოვნური ინტელექტი ციფრული უსაფრთხოების კონტექსტში, რომელიც იქცა ისეთივე გარდამტეხ ფაქტორად, როგორც ბირთვული იარაღი იყო XX საუკუნეში. მისი გამოყენება კიბერთავდაცვისა და თავდასხმის სფეროში ქმნის ახალ რეალობას, სადაც ძალაუფლებისთვის ბრძოლა აღარ არის მხოლოდ ადამიანური რესურსების და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის საკითხი, არამედ ალგორითმების, მონაცემთა ანალიზისა და ავტომატიზებული გადაწყვეტილებების. ხელოვნური ინტელექტი უკვე გამოიყენება როგორც თავდაცვითი, ასევე შეტევითი ოპერაციების გასაძლიერებლად და მისი როლი მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება.

კიდევ ერთხელ უნდა ვახსენოთ აშშ და ჩინეთის დაპირისპირება და ამ შემთხვევაში უნდა განვიხილოთ ხელოვნური ინტელექტის კონტექსტში. აშშ - ჩინეთის დაპირისპირება ხელოვნური ინტელექტის სფეროში ცხადყოფს, რომ ეს ტექნოლოგია იქცა გლობალური ძალაუფლებისთვის ბრძოლის მთავარ ასპარეზად. ჩინეთი ცდილობს შექმნას საკუთარი სტანდარტები და ალგორითმები, რომლებიც გამოიყენება როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო სფეროში, მის ხელოვნური ინტელექტის სტრატეგიაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ჩინეთი 2030 წლისთვის უნდა იყოს ნომერ პირველი ქვეყანა ტექნოლოგიური მიმართულებით, ეს ამბიცია არ არის აზრს მოკლებული, რადგან იგი უკვე რამდენიმე თვით ჩამორჩება აშშ-ის და ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მალე შეიძლება ჩინეთა საგრძნობლად გადაასწორს აშშ-ის. ალბათ ირანზე აშშ-ის მხრიდან თავდასხმები, ვენესუელაზე და სხვა მეზობელ ქვეყნებზე პოლიტიკური ზეწოლა ზუსტად ამაზე პასუ-ხია. აშშ ყველანაირად ცდილობს, რომ ჩინეთის პროგრესი ტექნოლოგიური და ეკონომიკური მიმართულებით შეაჩეროს, შესაბამისად ძალ-ღონეს არ იშურებს. აშშ კი ცდილობს შეინარჩუნოს ლიდერობა, განსაკუთრებით ხელოვნური ინტელექტის სამხედრო გამოყენებაში, სადაც ალგორითმები გამოიყენება კიბერთავდასხმების პროგნოზირებისთვის და რეაგირების ავტომატიზაციისთვის. ეს დაპირისპირება არა მხოლოდ ტექნოლოგიურ, არამედ გეოპოლიტიკურ შედეგებზეც აისახება, რადგან ხელოვნური ინტელექტის სტანდარტები განსაზღვრავს, თუ როგორ იმუშავებს გლობალური ციფრული ინფრასტრუქტურა.

რუსეთის კიბეროპერაციებში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება უკვე თვალსაჩინოა. როგორც უკვე აღვნიშნეთ პრორუსული ჰაქტივისტები ახორციელებენ კიბერთავდასხმებს

როგორც ევროპულ ქვეყნებზე, ასევე უკრაინაზე და აშშ-ზე. ამ ყველაფერს კი ახორციელებენ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით. ეს კი ბევრად უფრო მეტ ზარალს გულისხმობს, ვიდრე ჩვეულებრივი ციფრული შეტევების დროს. ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ ხელოვნური ინტელექტი იქცა არა მხოლოდ თავდაცვითი, არამედ შეტევითი ოპერაციების ინსტრუმენტად, რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის კიბერშესაძლებლობების ეფექტიანობას.

ევროკავშირის ახალი სტრატეგია ასევე მოიცავს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას. იგი ხაზს უსვამს, რომ ხელოვნური ინტელექტი უნდა იქცეს თავდაცვითი სისტემების განუყოფელ ნაწილად, რათა შესაძლებელი გახდეს კიბერსაფრთხეების სწრაფი იდენტიფიკაცია და რეაგირება. ევროკავშირი ცდილობს შექმნას ისეთი სტანდარტები, რომლებიც უზრუნველყოფს ხელოვნური ინტელექტის უსაფრთხო და ეთიკურ გამოყენებას, თუმცა ამ პროცესში კვლავ არსებობს პოლიტიკური და ეკონომიკური წინააღმდეგობები.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ციფრული უსაფრთხოების სფეროში ქმნის ახალ პარალელებს ისტორიულ მოდელებთან. თუ ბირთვული იარაღი იყო *„შიშის ბალანსის“* მთავარი ფაქტორი, დღეს ხელოვნური ინტელექტი ქმნის *„ალგორითმების ბალანსს“,* სადაც სახელმწიფოები ცდილობენ ერთმანეთის შესაძლებლობების პროგნოზირებას და კონტროლს. ეს ბალანსი უფრო რთულია, რადგან ალგორითმები სწრაფად იცვლება და მათი შესაძლებლობები ხშირად გაურკვეველია.

მცირე სახელმწიფოებისთვის ხელოვნური ინტელექტი შეიძლება იქცეს ძალაუფლების ახალ წყაროდ. მაგალითად, ისრაელი და ესტონეთი უკვე იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს კიბერთავდაცვის სისტემებში, რაც მათ საშუალებას აძლევს მნიშვნელოვნად გააძლიერონ საკუთარი უსაფრთხოება და გავლენა საერთაშორისო ასპარეზზე. ასევე ისრაელს აქვს ხელოვნურ ინეტელქტზე მომუშავე სარაკეტო თავდაცვითი ინფრასტრუქტურა, ყველასთვის ცნობილი „რკინის გუმბათი“, რომელიც ისრაელის ცის უსაფრთხოებაზე ზრუნავს. ირანის ისლამური სახელმწიფოს მხრიდან მასირებული სარაკეტო იერიშების შედეგად, ცნობილია, რომ სხვადასხვა რაკეტების ჩამოდგება ვერ მოხერხდა, მაგრამ მიუხედავად ამისა შეგვიძლია ვთქვათ, რომ „რკინის გუმბათი“ არის ტექნოლოგია, რომელიც მაღალი სიზუსტით ასრულებს თავის მოვალეობას. ეს შემთხვევები ადასტურებს, რომ ხელოვნური ინტელექტი არა მხოლოდ დიდ სახელმწიფოებს, არამედ მცირე ქვეყნებსაც აძლევს შესაძლებლობას უსაფრთოხების ტექნოლოგიების დანერგვის და ჩაბმას ძალაუფლებისთვის ბრძოლაში.

დასკვნა

ციფრული უსაფრთხოების გავლენა ძალაუფლებისთვის ბრძოლაში XXI საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან თემად იქცა. ჰიპოთეზა, რომელიც დასაწყისში ჩამოვაყალიბეთ, ამტკიცებდა, რომ ციფრული უსაფრთხოება დღეს უკვე წარმოადგენს ძალაუფლებისთვის ბრძოლის ახალ ღერძს, სადაც სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები და არასახელმწიფო აქტორები იყენებენ კიბერსივრცეს როგორც სტრატეგიულ იარაღს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო უპირატესობის მისაღწევად. ახლა, როდესაც გავიარეთ ისტორიული საკითხები და პარალელები გავავლეთ, თანამედროვე მაგალითები და ხელოვნური ინტელექტის როლი, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს ჰიპოთეზა სრულად დასტურდება.

ციფრული უსაფრთხოება აღარ არის მხოლოდ ტექნიკური საკითხი. ის იქცა პოლიტიკურ და სტრატეგიულ განზომილებად, სადაც მონაცემთა ნაკადების კონტროლი, კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვა და კიბერშესაძლებლობების განვითარება პირდაპირ განსაზღვრავს ძალაუფლების გადანაწილებას. თუ XX საუკუნეში სამხედრო ბაზების რაოდენობა და ბირთვული იარაღის არსებობა იყო მთავარი ფაქტორი, XXI საუკუნეში ეს ფუნქცია მონაცემთა ცენტრებს, სატელეკომუნიკაციო ქსელებს და ალგორითმებს ეკისრებათ. სწორედ აქ ჩანს ჰიპოთეზის სისწორე: ციფრული უსაფრთხოება იქცა ძალაუფლებისთვის ბრძოლის ახალ ღერძად.

ხელოვნური ინტელექტის როლი კიდევ უფრო ამძაფრებს სიტუაციას, მისი გამოყენება თავდაცვითი და შეტევითი ოპერაციების გასაძლიერებლად ქმნის ახალ რეალობას, სადაც ძალაუფლებისთვის ბრძოლა აღარ არის მხოლოდ ადამიანური რესურსების და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის საკითხი, არამედ ალგორითმების, მონაცემთა ანალიზისა და ავტომატიზებული გადაწყვეტილებების. ხელოვნური ინტელექტი იქცა ისეთივე გარდამტეხ ფაქტორად, როგორც ბირთვული იარაღი იყო XX საუკუნეში.

ბიბლიოგრაფია

Thales group, "How business leaders must respond to new security attacks - and how cyber threat intelligence can help", p. 1, 2026. https://redirme.com/46dtcu გადამოწმებულია 11.04.2026

Poireault K., "Top 10 Cyber-Attacks of 2025", p. 1, 2025. https://redirme.com/je7cry

CISA, "Pro-Russia Hacktivists Conduct Opportunistic Attacks Against US and Global Critical Infrastructure", p. 1, 2025. https://redirme.com/6ryk4m გადამოწმებულია 11.04.2026

European Commission, "EU Cybersecurity Strategy", p. 1, 2025. https://redirme.com/26q3ev

ამერიკის შეერთებული შტატების დიდი სტრატეგია დონალდ ტრამპის მეორე პრეზიდენტობის პერიოდში

ლევან გეგეშიძე
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების
მიმართულების პროფესორი

აბსტრაქტი

წინამდებარე მიმოხილვითი სტატია შეისწავლის აშშ-ის დიდ სტრატეგიას დონალდ ტრამპის მეორე პრეზიდენტობის პერიოდში. იგი ეყრდნობა, ერთი მხრივ, 2024 წლის ბოლოდან დღემდე გამოქვეყნებულ სამეცნიერო და ანალიტიკურ ნაშრომებს, ხოლო, მეორე მხრივ, ისეთ პირველად დოკუმენტებს, როგორიცაა: 2025 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია და 2026 წლის ეროვნული თავდაცვის სტრატეგია. მისი ძირითადი ამოცანაა აჩვენოს, რა დოქტრინულ საფუძველზე ყალიბდება ტრამპის მეორე ადმინისტრაციის დიდი სტრატეგია, როგორ განიმარტება მისი მიზნები, გზები და საშუალებები. ასევე რა ფუნქცია აქვს შეიარაღებულ ძალებს ამერიკის სტრატეგიულ ხედვაში. სტატიაში ნაჩვენებია, რომ დ. ტრამპის დიდი სტრატეგია მართალია უპირისპირდება ლიბერალური ჰეგემონიის პარადიგმას, მაგრამ არ აკმაყოფილებს კლასიკური იზოლაციონიზმის მოთხოვნებს. იგი შეიძლება დახასიათდეს როგორც ჰიბრიდული მოდელი, რომელიც აერთიანებს შერჩევით ჩართულობას, გეოეკონომიკურ კონკურენციას, დასავლეთ ნახევარსფეროზე აქცენტის გადატანას ისე, რომ ჩინეთი კვლავ რჩება მთავარ მოწინააღმდეგედ. ლიტერატურის მიმოხილვა აჩვენებს ამერიკის პოლიტიკისა და სტრატეგიის იერარქიულ, გარდამავალ და ინტერესებზე ორიენტირებულ ორგანიზებას. სტატია ასკვნის, რომ ტრამპის დიდი სტრატეგიის მთავარი თავისებურებები მდგომარეობს გლობალური ჩართულობის საფუძვლიან გადალაგებაში, ახალი პრიორიტეტების ჩამოყალიბებაში და არა მსოფლიო პოლიტიკიდან უკანდახევაში.

ასევე დ. ტრამპის დიდ სტრატეგიაში გამოიკვეთა სამხედრო პრიმატისა და პოპულისტური ნაციონალიზმის სინთეზის მცდელობა. მაგრამ ეს მიდგომა თავის თავში ატარებს წინააღმდეგობას, რადგან გლობალური სამხედრო უპირატესობის შენარჩუნება ძლიერ ინსტიტუციურ სახელმწიფოს მოითხოვს, მაშინ როდესაც პოპულისტური ნაციონალიზმი ამ საფუძვლების შესუსტების რისკს შეიცავს.

საკვანძო სიტყვები: დიდი სტრატეგია; ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია; ეროვნული თავდაცვის სტრატეგია; გეოეკონომიკა; სამხედრო შეკავება; დასავლეთ ნახევარსფერო.

The Grand Strategy of the United States During Donald Trump's Second Presidency

Levan Gegeshidze
Professor of Bachelor's Program in Defense and Security of
LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Abstract

This review article examines U.S. grand strategy during Donald Trump's second presidency. It draws, on the one hand, on scholarly and analytical works published from late 2024 to the present and, on the other hand, on primary documents such as the 2025 *National Security Strategy* and the 2026 *National Defense Strategy*. Its main objective is to demonstrate the doctrinal foundations on which the grand strategy of the second Trump administration is built, how its ends, ways, and means are interpreted, and what role the armed forces occupy within America's broader strategic vision.

The article shows that although Donald Trump's grand strategy stands in opposition to the paradigm of liberal hegemony, it does not satisfy the criteria of classical isolationism. Rather, it may be described as a hybrid model that combines selective engagement, geoeconomic competition, and a strategic reorientation toward the Western Hemisphere, while China continues to remain the principal rival. The review of the literature reveals a hierarchical, transitional, and interest-driven organization of American policy and strategy. The article concludes that the defining features of Trump's grand strategy lie not in a withdrawal from world politics, but in a fundamental reordering of global engagement and in the formulation of new strategic priorities.

At the same time, Trump's grand strategy also reveals an attempt to synthesize military primacy with populist nationalism. Yet this approach contains an inherent contradiction, since the preservation of global military superiority requires a strong institutional state, whereas populist nationalism carries the risk of weakening precisely those institutional foundations.

Keywords: grand strategy; National Security Strategy; National Defense Strategy; geoeconomics; military deterrence; Western Hemisphere.

შესავალი

წინამდებარე მიმოხილვითი სტატია შეისწავლის ამერიკის დიდი სტრატეგიის შესახებ არსებულ ლიტერატურას. იგი მოიცავს 2024 წლის ბოლოდან დღემდე პერიოდს, რაც ემთხვევა დ. ტრამპის მეორედ გაპრეზიდენტების ვადას. სტატია აქცენტს აკეთებს როგორც აკადემიურ ნაშრომებზე, ასევე ანალიტიკური ორგანიზაციების კვლევებზე. მასში განხილულია ისეთი პირველადი წყაროები როგორიცაა აშშ-ის 2025 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია და 2026 წლის თავდაცვის სტრატეგია.

ტრამპის 2.0 დიდი სტრატეგიის შესწავლა აქტუალურია ვინაიდან 2025 წლის შემდეგ საქმე გვაქვს ამერიკის საგარეო, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვან ცვლილებებთან. მისი პოლიტიკა არ თავსდება არც იზოლაციონიზმის და არც ლიბერალური ჰეგემონიის ჩარჩოებში. აკადემიური ლიტერატურა ტრამპის დიდ სტრატეგიას აღწერს, როგროც „შერჩევითი ჩართულობის“,[1] გეოეკონომიკის, დასავლეთ ნახევარსფეროსთვის უპირატესობის მინიჭების და ამერიკის სტატუსის აღდგენის სინთეზურ ნაზავს,[2] რომელიც უპირისპირდება ცივი ომის მერე შექმნილ ლიბერალ-ინსტიტუციონალიზმის პარადიგმას.

ვენესუელას პრეზიდენტის დაპატიმრებამ და ირანის წინააღმდეგ მიმდინარე ომმა კიდევ უფრო დიდი ინტერესი გააჩინა ტრამპის საგარეო პოლიტიკისა და დიდი სტრატეგიის მიმართ. პრეზიდენტი, რომელიც ომების დამთავრების დაპირებით მოვიდა, ჩართული აღმოჩნდა ირანის წინააღმდეგ „სტრატეგიული დაბომბვის“ კამპანიაში, რომლის პოლიტიკური მიზნები ბუნდოვანია, მაგრამ ცხადად არის არტიკულირებული სამხედრო მიზნები, თეირანის ბირთვული და სამხედრო შესაძლებლობის განადგურება.

ნაშრომში დასმულია შემდეგი საძიებო კითხვები:

1. რა დოქტრინულ საფუძველზე დგას ტრამპის დიდი სტრატეგია?
2. როგორ აფასებენ სხვადასხვა ავტორები და ინსტიტუტები ტრამპის დიდი სტრატეგიის მიზნებს და რა როლი აქვს მასში ამერიკის შეიარაღებულ ძალებს?

მეთოდოლოგია

სტატიისთვის წყაროების მოძიება განხორციელდა Google Scholar-ის მეშვეობით, სადაც შესაბამისი მასალა შეირჩა ისეთი საძიებო სიტყვების საფუძველ-ზე, როგორიცაა: „ტრამპის

[1] Stevan Nedeljković, and Dragan Živojinović. 2025. “Donald Trump 2.0: Main Challenges, Strategic Options, and the “New” Grand Strategy of the United States”. The Review of International Affairs LXXVI (1193): 7–35. https://doi.org/10.18485/iipe_ria. 2025.76.1193.1

[2] LE.Wehner, „The narration of status in far-right populist foreign policy“: the United States of Trump 2.0. J Int Relat Dev (Ljubl). 2026;29(1):4. doi: 10.1057/s41268-026-00370-3. Epub 2026 Feb 3. PMID: 41647310; PMCID: PMC12867758.

დიდი სტრატეგია“ და „ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია“. შერჩევის ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენდა შინაარსობრივი შესაბამისობა. უპირატესობა მიენიჭა იმ ტექსტებს, რომლებიც უშუალოდ განიხილავდნენ ტრამპის დიდი სტრატეგიის დოქტრინულ საფუძვლებს, პრიორიტეტებს, სამხედრო ძალის როლს, მოკავშირეებთან ურთიერთობასა და გეოეკონომიკურ განზომილებას.

ამგვარი მიდგომა მიზანშეწონილია, რადგან სტატიის ანალიტიკური ამოცანა მდგომარეობს არა ყველა ხელმისაწვდომი ტექსტის მექანიკურ თავმოყრაში, არამედ იმ ნაშრომების კრიტიკულ განხილვაში, რომლებიც ყველაზე მკაფიოდ ასახავენ ტრამპის დიდი სტრატეგიის ძირითადი დებატების შინაარსს.

ძირითადი ნაწილი

ამერიკის 2025 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფოს სუვერენიტეტის განხორციელებას იმიგრაციის სფეროში. აშშ-ი მიზნად ისახავს სრული კონტროლის განხორციელებას, როგორც საზღვრებზე, ასევე ტრანსპორტირების ხაზებზე, რათა მთლიანობაში მართოს იმიგრაციის პროცესი. ამასთან იგი მხარს უჭერს ისეთ საერთაშორისო წესრიგს, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ იმიგრაციის „მოწესრიგებული მართვით“, არამედ სადაც სუვერენული სახელმწიფოები ერთობლივად მუშაობენ იმიგრაციის პროცესების შესაჩერებლად და იტოვებენ უფლებას თავად განსაზღვრონ, თუ ვინ მიიღონ და ვინ არა მათ ტერიტორიაზე.[3]

ვ. ფელბაბ-ბრაუნის აზრით, 2025 წლის ტრამპის სტრატეგია დასავლეთ ნახევარსფეროს აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ცენტრში აბრუნებს და მონროს დოქტრინის ტრამპისეულ ვერსიას აყალიბებს, რომელიც რეგიონში ამერიკის დომინირებაზე აცხადებს პრეტენზიას. სტრატეგია დასავლეთ ნახევარსფეროში სამ გამოწვევას გამოყოფს: იმიგრაციას, ნარკოტრაფიკს და ჩინეთის გავლენას რეგიონში.[4] ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია ამ სამ საკითხს მკაცრი სეკურიტიზაციის ლოგიკით განიხილავს. ასევე ნარკოკარტელების წინააღმდეგ ბრძოლა, ნაცვლად სამართალდამცავი უწყებებისა, შეიარაღებული ძალების ფუნქცია ხდება.

ვ. ფელბაბ-ბრაუნის აზრით ვინაიდან დოკუმენტში ხაზგასმულია ლათინურ ამერიკაში ჩინეთის ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული ინტერესების შეკავება, ამით ტრამპის

[3] The White House, *National Security Strategy of the United States of America* (Washington, DC: The White House, November 2025), 3–5, accessed March 28, 2026

[4] Vanda Felbab-Brown, “A ‘Trump Corollary’ to the Monroe Doctrine,” in “Breaking down Trump’s 2025 National Security Strategy,” *Brookings*, December 8, 2025, https://redirme.com/6dghrf გადამოწმებულია 15.04.2026

ადმინისტრაცია არ აღიარებს ადგილობრივი ქვეყნების პოლიტიკური და სტრატეგიული არჩევანის ავტონომიას.[5]

ტრამპის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს სამხედრო უპირატესობისა და ეფექტიანი სტრატეგიული შეკავების უზრუნველყოფა. ეს მიზანი ეფუძნება, როგორც ძლიერი და ტექნოლოგიურად განვითარებული შეირაღებული ძალების არსებობას, ასევე სანდო ბირთვული შეკავებისა და თანამედროვე ანტი სარაკეტო სისტემების განვითარებას, რაც აშშ-ს საშუალებას აძლევს დაიცვას საკუთარი ინტერესები, შეაკავოს მოწინააღმდეგე და საჭიროების შემთხვევაში სწრაფად და გადამწყვეტად გამოიყენოს ძალა.[6]

პრეზიდენტ ტრამპის დიდი სტრატეგიის ბირთვს წარმოადგენს სამი პრინციპი, რომელიც გულისხმობს: ეროვნულ ინტერესებზე ფოკუსირებას, ძალის მეშვეობით მშვიდობის მიღწევას და მოქნილ რეალიზმს. სტრატეგიის თანახმად ეროვნულ ინტერესებზე ფოკუსირების პრინციპი გულისხმობს კრიტიკას „პოსტ-ცივი ომის“ მერე ჩამოყალიბებული სტრატეგიული პრაქტიკის მიმართ, რა დროსაც ამერიკის ეროვნული ინტერსები განიმარტებოდა ფართოდ და თითქმის ყველა საგარეო პოლიტიკის საკითხს მოიცავდა,[7] რაც მას უკარგავდა ანალიტიკურ სიზუსტეს და ოპერატიულ ღირებულებას. იმ შემთხვევაში, როცა ეროვნული ინტერესები მოიცავს თითქმის ყველაფერს, იგი წყვეტს რეალური სტრატეგიული ორიენტირის ფუნქციის შესრულებას. ამიტომ ტრამპის ადმინისტრაცია მოითხოვს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის კონცენტრირებას სასიცოცხლო და ძირითად ინტერესებზე.

„მშვიდობა ძალის მეშვეობით“ წარმოადგენს სტრატეგიულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც მშვიდობის შენარჩუნების უმთავრესი წინაპირობა არის ისეთი კომპლექსური ძალის (ეკონიმიკური, ტექნოლოგიური, სამხედრო) ფლობა, რომელიც მოწინააღმდეგეს ეფექტიანად შეაკავებს.[8] შესაბამისად, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია ამტკიცებს, რომ აშშ-ის უსაფრთხოება და განვითარება დამოკიდებულია არა მარტო შეირაღებულ ძალებზე და მის მზადყოფნაზე, არამედ ეროვნული ძალის ყველა კომპონენტის შენარჩუნებასა და გაძლიერებაზე.

---

[5] Ibid. Vanda Felbab-Brown, 2025

[6] The White House, *National Security Strategy of the United States of America* (Washington, DC: The White House, November 2025), 3–5, accessed March 28, 2026

[7] Ibid.

[8] The White House, *National Security Strategy of the United States of America* (Washington, DC: The White House, November 2025), 3–5, accessed March 28, 2026

რაც შეეხება „მოქნილ რეალიზმს“, იგი წარმოადგენს ისეთ პრინციპს, რომელიც უარყოფს საგარეო პოლიტიკაში დემოკრატიისა და სხვა სოციალური ცვლილებების თავზე მოხვევას ისეთი ქვეყნებისთვის, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ამერიკული საზოგადოებისაგან ისტორიული და კულტურული ტრადიციებით.[9] იგი ეფუძნება დაშვებას, რომ საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოები ფუნქციონირებენ განსხვავებული ისტორიული, კულტურული და ინსტიტუციური პირობების ფარგლებში, რის გამოც ერთიანი პოლიტიკური პროექტის უნივერსალიზაცია რთული და კონტრპროდუქტიულია. „მოქნილი რეალიზმი“ ამყარებს დიფერენცირებულ, ინტერესებზე დაფუძნებულ მიდგომას, რა დროსაც აშშ-ი მზად არის ითანამშრომლოს განსხვავებული პოლიტიკური და სოციალური სისტემების მქონე სახელწიფოებთან, თუ ეს ემსახურება მის სტრატეგიულ ინტერსებს. ხოლო ღირებულებითი ერთიანობა განიხილება მხოლოდ თანამოაზრე პარტნიორებთან ურთიერთობებში,[10] ანუ იქ, სადაც ორგანულად შესაძლებელია მაინც ხდება ნორმატიული ზემოქმედება.

პეტერ დომბროვსკი სტატიაში „ტრამპი, პროექტი 2025 და ამერიკის დიდი სტრატეგია“ ამტკიცებს, რომ ვისაც სურს გაიგოს ტრამპის 2.0 დიდი სტრატეგია, უნდა გაეცნოს პროექტ 2025-ს, რომელიც არის „ჰერითიჯ ფაუნდეიშენის“ დოკუმენტი კონსერვატიული პოლიტიკის შესახებ.[11] მისი აზრით ტრამპი მთლიანად ანტი სისტემური არაა. თავდაცვისა და ჩინეთის საკითხებში იგი ხშირად აგრძელებს იმავე პოლიტიკას, რასაც წინა ადმინისტრაციები ახორციელებდნენ. სტატიის მთავარი მიგნება არის ის, რომ შესაძლოა ტრამპის დიდი სტრატეგია წარმოადგენდეს ორი, ერთი შეხედვით შეუთავსებელი შეხედულებების სინთეზის მცდელობას. კერძოდ, სამხედრო პრიმატისა და პოპულისტური ნაციონალიზმის ნაზავს.[12] სამხედრო პრიმატში მოაიზრება ძლიერ არმია, ბირთული მოდერნიზაცია, მოკავშირეებზე ტვირთის გადანაწილება, ტექნოლოგიური და სამრეწველო შესაძლებლობების გაძლიერება. ხოლო პოპულისტურ ნაციონალიზმში მოიაზრება ტარიფები, მულტილატერალური ინსტიტუტებისადმი უნდობლობა, სახელმწიფოს ტექნოკრატი ბიუროკრატიისადმი ზიზღი, ვაჭრობის, როგორც ნულოვანი ჯამის თამაშის აღქმა და ა.შ.[13] ავტორის

[9] Ibid. The White House, 2025
[10] Ibid.
[11] Peter Dombrowski (2024) Trump, Project 2025 and American Grand Strategy, Survival, 66:6, 17-32, DOI: 10.1080/00396338.2024.2432191
[12] Peter Dombrowski (2024) Trump, Project 2025 and American Grand Strategy, Survival, 66:6, 17-32, DOI: 10.1080/00396338.2024.2432191
[13] Ibid. Peter Dombrowski (2024)

აზრით, ამ ორი შეხედულების სინთეზი, თავის თავში მოიცავს წინააღმდეგობას. გლობალური სამხედრო უპირატესობის შენარჩუნებას ესაჭიროება ძლიერი, ტექნოკრატი და ადმინისტრაციულად გამართული სახელმწიფო. ტრამპის პოპულიზმი კი ამ ინსტიტუციურ საფუძვლებს ასუსტებს.

პ. დომბროვსკის მიხედვით ტრამპის დიდი სტრატეგია რამდენიმე მნიშვნელოვანი ელემენტისგან შედგება. პირველი ელემენტი არის ჩინეთი, როგორც ცენტრალური საფრთხე. პროექტ-2025-ში ჩინეთი ყველა სხვა გეოპოლიტიკურ ლიდერზე უფრო ხშირად არის ნახსენები. აშშ-ს მთავარი მოწინააღმდეგე არის არა რუსეთი, არამედ ჩინეთი, როგორც ეკონომიკურად, ტექნოლოგიურად და სამხედრო თვალსაზრისით ყველაზე ძლიერი სახელმწიფო ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ.[14]

ბრუკინგის ინსტიტუტის მკვლევარის სკოტ რ. ანდერსონის აზრით, 2025 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე გამოიხატება იმაში, რომ აშშ-ს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებიდან გაქრა დიდი ძალების კონკურენციის კონცეპტი, რომელიც მანამდე მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენდა, როგორც დ. ტრამპის პირველი ადმინისტრაციის (2017), ასევე ჯ. ბაიდენის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიისთვის (2022). 2025 წლის დოკუმენტში ტერმინი „დიდი ძალების კონკურენცია“ საერთოდ აღარ გვხდება, ხოლო ჩინეთი 29 გვერდიან დოკუმენტში მხოლოდ მე-19 გვერდზეა მოხსენიებული.[15]

ს. ანდერსონის მოსაზრება ჩინეთთან დაკავშირებით აშკარად ეწინააღმდეგება ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ ს. დომბროვსკის თეზას, რომლიც ჩინეთს თანამედროვე ამერიკული დიდი სტრატეგიის მთავარ პრიორიტეტად განიხილავს. მათ შორის წინააღმდეგობა ასახავს არა მხოლოდ ჩინეთის მნიშვენლობის განსხვავებულ აღქმას, არამედ თავად ამერიკის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების კონკურენტულ ინტერპრეტაციებსაც.

პ. ბაევის შეფასებით ტრამპის ადმინისტრაციის 2025 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია რუსეთის მიმართ ორაზროვან, მაგრამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან სიგნალს აგზავნის. ერთის მხრივ, დოკუმენტი გვერდს უვლის უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიაზე პასუხისმგებლობის საკითხს და არ იშურებს კრიტიკას ევროპელი პარტნიორების მისამართით. ამ უკანასკნელთ, ის მშვიდობის ხელისშემშლელ მხარედ წარმოაჩენს. მეორეს

[14] Ibid. Peter Dombrowski (2024)

[15] Scott R. Anderson et al., “Breaking down Trump’s 2025 National Security Strategy,” *Brookings*, December 8, 2025, https://redirme.com/6dghrf გადამოწმებულია 15.04.2026

მხრივ კი რუსეთს აღარ განიხილავს აშშ-ს თანასწორ, გლობალურ ძალად.[16] ამდენად პ. ბაევის აზრით, ახალი სტრატეგია რუსეთს ნაწილობრივ ათავისუფლებს პოლიტიკური პასუხისმგებლობიდან, მაგრამ ამავე დროს ამცირებს მის სტატუსს და მას მხოლოდ საფრთხის შემქმნელ სამხედრო აქტორად წარმოაჩენს და არა სრულფასოვან გლობალურ მეტოქედ.

ჰ. ბადავის აზრით, ტრამპის დიდი სტრატეგია არ უნდა გავიგოთ როგორც რამდენიმე ცალკეული პრინციპის (ამერიკა უპირველს ყოვლისა, მშვიდობა ძალის მეშვეობით და ა.შ.) ერთობლიობა, არამედ საქმე გვაქვს უფრო ღრმა სტრატეგიულ გარდატეხასთან. აშშ-ი პოსტ-ცივი ომის უნივერსალური და ჰეგემონიური თვით გაგებიდან გადადის პოსტ-ჰეგემონურ არქიტექტურაზე, რომელის ბირთვს ქმნის დასავლეთ ჰემისფეროს პრიმატი, ინტერსების მკაფიო იერარქია, ეკონიმიკური და ინდუსტრიული ძლიერების პრიორიტეტი და შერჩევითი ჩართულობა.[17] ავტორი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ დასვლეთ ნახევარსფერო განიხილება ამერიკისთვის ყველაზე მნიშვნელოვან სივრცედ, ხოლო სხვა რეგიონებში ჩარევა ხდება უკვე პრიორიტეტების მიხედვით. თუმცა ამ შემთხვევაში მოკავშირეებმა მნიშვნელოვნად უნდა გაიზიარონ ჩარევასთან დაკავშირებული ტვირთის წილი.

ჰ. ბადავის აზრით, ტრამპის დიდი სტრატგიის კონცეპტუალური სიახლე არის ის, რომ ჰეგემონური ამბიციების ნაცვლად შემოაქვს სამსაფეხურიანი ინტერსთა იერარქიის ერთ-გვარი მოდელი, სადაც სასიცოცხლო ინტერესები (ქვეყნის დაცვა, საზღვრები, ჰემისფერუ-ლი დომინირება) უპირობოდ პრიორიტეტულია. იერარქიულად შემდეგი არის კრიტიკუ-ლი ინტერსები (ეკონომიკური და ტექნოლოგიური უპირატესობა, მიწოდების ჯაჭვი, ჩინეთთან კონკურენიციის მართვა), რომელიც შედეგებზეა ორიეტირებული. შესაბამისად მისი მნიშვნელობა განისაზღვრება იმით, თუ რამდენად ახერხებს აშშ-ი გრძელვადიანი კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნებას, განსაკუთრებით ჩინეთ-თან მიმართბაში. ხოლო, ბოლო ეს არის ღირებულებეზე დაფუძნებული ინტერსები (დემოკრატიის გავრცე-ლება, ჰუმანიტარული ინტერვენციები და ა.შ.), რომელიც პერიფერიულ კატეგორიაში გა-დადის.[18]

ჰ. ბადავი ტრამპის სტრატგიას უფრო აღიქვამს, როგორც გეოეკონომიკურ პროექტს, რომლის მიხედვით ამერიკის ძალა მოდის ინდუსტრიული ბაზიდან, ტექნოლოგიური

[16] Pavel K. Baev, "Russia Is Absolved but Diminished," in "Breaking down Trump's 2025 National Security Strategy," Brookings, December 8, 2025, accessed April 3, 2026, https://redirme.com/geb36n გადამოწმებულია 15.04.2026
[17] Habib Al Badawi, "American Grand Strategy in the Post-Hegemonic Era: From Universal Order to Hemispheric Primacy," The Indian Strategic Studies Forum (ISSF), December 2025, accessed March 29, 2026, https://surl.li/dqnqow
[18]Ibid.

სტანდარტებიდან და ეკონომიკური დინამიზმიდან და არა უნივერსალური ნორმების ექსპორტიდან. ამ ლოგიკით მოკავშირეებთან ურთიერთობაც ცვალებად ხასიათს იძენს. ალიანსი ნაკლებად ეფუძნება ღირებულებით ერთიანობას და მეტ აქცენტს აკეთებს ტვირთის განაწილებასა და ამერიკის პრიორიტეტებთან შესაბამისობაზე.[19]

ჰ. ბადავის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ტრამპის დიდი სტრატეგია შინაარსობრივად საკმაოდ თანმიმდევრულია, იმპლიმენტაციის პროცესში ის შეიძლება მნიშვნლოვან შიდა წინააღმდეგობებს წააწყდეს, კერძოდ შეკავების სტრატგიასა და შეკუმშვის სტრატეგიას შორის დაპირისპირება გაიზარდოს. გლობალური სამხედრო ყოფნის შემცირებამ, მოკავშირეებზე გაზრდილი ტვირთის გადატანასთან ერთად, შესაძლოა შექმნას ძალის ვაკუუმი, რაც ამერიკის ოპონენტებს უფრო თავისუფალი მოქმედების საშუალებას მისცემს და შეასუსტებს შეკავების სტრატგიის ეფექტს. ასევე ეროვნული უსაფრთხოების სტრატგიის მიერ დეკლარირებული სუვერენიტეტის პატივისცემა და ჩაურევლობა უპირისპირდება დასავლეთ ნახევარსფეროში აშშ-ს მიერ ბოლო დროს განხორციელბულ პოლიტიკას. კიდევ ერთი პრობლემა, რასაც ავტორი ეხება, უკავშირდბა მოკავშირეების საკითხს. თუ ალიანსები მხოლოდ ხარჯ-სარგებლის და ტვირთის გადანაწილების პრინციპზე აშენდება, შეიძლება ვერ უზრუნველყოს ის ღირებულებითი და ფსიქოლოგიური ერთიანობა, რომელიც კოალიციის მდგრადობას ესაჭიროება.[20]

აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაზე დაყრდნობით 2026 წელს ომის დეპარტამენტმა გამოსცა ეროვნული თავადაცვის სტრატეგია, რომელშიც ასახულია აშშ-ს მიერ ძალის გამოყენების პრიორიტეტები. სტრატეგიისა და საერთაშორისო კვლევების ცენტრის მკვლევარების მარკ კანსიანისა და კრის პარკის სტატიის „2026 წლის თავდაცვის სტრატეგია ციფრებში“ - თანახმად, თავდაცვის სტრატეგიაში მნიშვნელოვნად არის ასახული პოლიტიკური იდეები და იმეორებს 2025 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის პოლიტიკურ ნარატივს.[21] დოკუმენტი პირდაპირ ეუბნება შეირაღებულ ძალებს, რომ მათი ერთადერთი ამოცანა ომში გამარჯვებაა და არა „ერების მშენებლობა“. რითაც წინა ადმინისტრაციების მიერ ძალის გამოყენების მიზნების რევიზია ხდება. ამავე დროს ავტორები ხაზს უსვამენ, რომ სტრატეგია სრულად არ წყვეტს კავშირს წინა დოკუმენტებთან. ისეთი საკითხები როგორიცაა: ჩინეთის შეკავება, ბირთვული მოდერნიზაცია, ინდუსტრიული

[19] Ibid. Habib Al Badawi, 2026

[20] Ibid.

[21] Mark F.Cancian, Chris H. Park. “The 2026 National Defense Strategy by the Numbers: Radical Changes, Moderate Changes, and Some Continuities.” *Center for Strategic and International Studies*. January 27, 2026. https://redirme.com/79ktk7 გადამოწმებულია 15.04.2026

ბაზის გაძლიერება, ახლო აღმოსავლეთისა და ტერორიზმის მიმართ ყურადღება კვლავ შენარჩუნებულია.[22] დოკუმენტის მთავარი სიახლე არის ამერიკის სამხედრო პრიორიტეტების მკვეთრი გადალაგება. უპირატესი ხდება ქვეყნის და დასავლეთ ნახევარსფეროს დაცვა, ხოლო ევროპის უსაფრთხოება უპირველს ყოვლის თავად ევროპელების პასუხისმგებლობაა და ამერიკას მხოლოდ დამხმარე ფუნქცია აკისრია.

სატორუ მორი სტატიაში „ტრამპის მეორე ადმინისტრაციის საგარეო ჩართულობა და მისი გეოსტრატეგია ოთხი რეგიონის მიმართ", ამტკიცებს, რომ საქმე გვაქვს ლიბერალური ინტერნაციონალიზმის უარყოფასთან და უფრო იერარქიულ, ინტერსსა და ძალაზე დაფუძნებულ საერთაშორისო წესრიგზე გადასვლასთან. ავტორის აზრით, ტრამპის ადმინისტრაცია ცდილობს დაშორდეს ტრადიციულ ამერიკულ საგარეო პოლიტიკურ მოდელს, რომელიც ეყრდნობოდა ალიანსებს, ვაჭრობის ლიბერალიზაციას და ღირებულებებზე დაფუძნებულ დიპლომატიას. ს. მორი არ ამტკიცებს, რომ აშშ-ს ყველა გლობალური ალიანსი დაიშლება. იგი ფიქრობს, რომ ზოგი რეგიონი უფრო მეტად დაზარალდება ამ გეოსტრატეგიის შედეგად, ზოგის მნიშვნელობა კი უფრო მეტად შეიძლება გაიზარდოს.[23]

ს. მორის აზრით, ამჟამად ტრამპის ადმინისტრაციის ჩინეთისადმი მიდგომა ემყარება არა ერთგვაროვან სტრატეგიულ ხედვას, არამედ ადმინისტრაციის შიგნით არსებული ორი განსხვავებული ფრთის ნაწილობრივ ერთნაირი საფრთხის აღქმას. ერთი მხრივ, ე.წ „პრიორიტეტიზაციის" მომხრე „კონსერვატორი რეალისტები" ჩინეთს აღიქვამენ, როგორც აღმავალ გეოპოლიტიკურ და სამხედრო ძალას და რომელიც მათი შეფასებით, ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონში ჰეგემონობის მიღწევას ცდილობს. სწორედ ამიტომ ისინი, მხარს უჭერენ ამ რეგიონში ამერიკის რესურსების კონცენტრირებას, ალიანსების გაძლიერებას, ტაივანის ასიმეტრიული თავდაცვის ხელშეწყობას და ა.შ.[24] მეორეს მხრივ, აშშ-ს საგრეო პოლიტიკაში შეზღუდული ჩართულობის მომხრე, „კონსერვატორი ნაციონალისტები" ჩინეთს უფრო ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ საფრთხედ განიხილავენ. მათი აზრით ჩინეთი არ არის ამერიკისთვის საშიში სამხედრო-სტრატეგიული თავლსაზრისით, მაგრამ მათთვის ჩინეთი „მტაცებელია", რომელიც ამერიკულ სისტემაში აღწევს უსამართლო სავ-

[22] Ibid. Mark F.Cancian, Chris H. Park. 2026.

[23] Satoru Mori, "The Second Trump Administration's Foreign Engagement and Its Geostrategy Toward the Four Regions," *Asia-Pacific Review* 32, no. 1 (2025): 54–79, https://doi.org/10.1080/13439006.2025.2513207, accessed April 2, 2026.

[24] Satoru Mori, "The Second Trump Administration's Foreign Engagement and Its Geostrategy Toward the Four Regions," *Asia-Pacific Review* 32, no. 1 (2025): 54–79, https://doi.org/10.1080/13439006.2025.2513207, accessed April 2, 2026.

აჭრო პრაქტიკების, ტექნოლოგიების მითვისების, მონაცემთა ბაზებში შეღწევისა და საინ-ფორმაციო ზემოქმედების გზით.[25] ამდენად, ჩინეთთან ურთიერთობა იქცა იმ იშვიათ საკითხად, სადაც ადმინისტრაციის ორივე ფრთა თანხმდება საფრთხის წყაროზე, თუმცა მისი ბუნების განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვათავაზობს. შესაბამისად, ანტი ჩინური კონსენსუსი ტრამპის გარემოცვაში ფორმირდება, როგორც გეოპოლიტიკური შეკავების, ასევე ეკონომიკურ-ტექნოლოგიური უპირატესობის შენარჩუნებისა და გაზრდის აუცილებლობაზე დამყარებული პოლიტიკური და სტრატეგიული მიმართულება.

დასკვნა

ზემოთ განხილული ლიტერატურის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დონალდ ტრამპის მეორე პრეზიდენტობის პერიოდში ამერიკის დიდი სტრატეგია ჩამოყალიბდა, როგორც პოსტ-ცივი ომის ლიბერალურ-ჰეგემონიური პარადიგმისაგან მნიშვნელოვანი გადახრა, რომელიც ემყარება ეროვნული ინტერესების პრიმატს, დასვლეთ ნახევარსფეროს პრიორეტიზაციას, გეოეკონომიკურ კონკურენციას და სამხედრო ძალის შერჩევით გამოყენების ლოგიკას. განხილული ავტორები სახვადასხვა აქცენტს სვამენ, თუმცა საერთო სურათი აჩვენებს, რომ ტრამპის ახალი დიდი სტრატეგია არ გულისხმობს ამერიკის სრულ უკანდახევას მსოფლიო პოლიტიკიდან, არამედ უფრო ძალაზე დაფუძნებულ შერჩევით ჩართულობას. ამერიკის დიდ სტრატეგიაში საზღვრების კონტროლი, ჩინეთთან კონკურენცია, მოკავშირეებზე ტვირთის გადანაწილება და ეროვნული ეკონომიკური ბაზის გაძლიერება ცენტრალურ მნიშვნელობას იძენს. ამავდროულად, ლიტერატურა ცხადყოფს, რომ ეს სტრატეგია შინაგანად წინააღმდეგობრივიც არის, ვინაიდან სამხედრო პრიმატი, გეოეკონომიკური ამბიციები და ჩინეთთან კონკურენცია მოითხოვს ინსტიტუციურ საფუძვლებსა და მყარ სამხედრო- პოლიტიკურ ალიანსებს, რომელთა შესუსტების რისკს თავად ტრამპის პოპულისტური და ნაციონალისტური მიდგომა ქმნის.

ამდენად, ტრამპის დიდი სტრატეგიის წარმატება დამოკიდებული იქნება, არა მარტო მის კონცეპტუალურ თანამიმდევრულობაზე, არამედ იმაზეც, რამდენად შეძლებს იმპლემენტაციის საფეხურზე შეკავების, ძალის განაწილების, ალიანსების მენეჯმენტის, ინდუსტრიულ-ტექნოლოგიური მობილიზაციისა და სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის დაბალანსებულ შეთანხმებას.

[25] Ibid. Satoru Mori,2025

წარმატებული დიდი სტრატეგი მოითხოვს, რომ პოლიტიკური და სამხედრო პრიორიტეტები გამყარდეს რეალური საბიუჯეტო, სამრეწველო, დიპლომატიური და საინფორმაციო მექანიზმებით. წინააღმდეგ შემთხვევაში კონცეფცია დარჩება რიტორიკად, ხოლო სტრატეგიული ქმედებები არათანმიმდევრულ და ურთიერთგამომრიცხავ ინიციატივებად.

ბიბლიოგრაფია

Cancian, Mark F., and Chris H. Park. "The 2026 National Defense Strategy by the Numbers: Radical Changes, Moderate Changes, and Some Continuities." *Center for Strategic and International Studies*. January 27, 2026. Accessed April 1, 2026. https://redirme.com/79ktk7 გადამოწმებულია 15.04.2026

Habib Al Badawi, "American Grand Strategy in the Post-Hegemonic Era: From Universal Order to Hemispheric Primacy," The Indian Strategic Studies Forum (ISSF), December 2025, accessed March 29, 2026, https://redirme.com/4m39pn გადამოწმებულია 15.04.2026

Nedeljković, Stevan, and Dragan Živojinović. 2025. "Donald Trump 2.0: Main Challenges, Strategic Options, and the "New" Grand Strategy of the United States". The Review of International Affairs LXXVI (1193): 7–35. https://doi.org/10.18485/iipe_ria. 2025.76.1193.1

Pavel K. Baev, "Russia Is Absolved but Diminished," in "Breaking down Trump's 2025 National Security Strategy," Brookings, December 8, 2025, accessed April 3, 2026, https://redirme.com/kjmnr2 გადამოწმებულია 15.04.2026

Peter Dombrowski (2024) Trump, Project 2025 and American Grand Strategy, Survival, 66:6, 17-32, DOI: 10.1080/00396338.2024.2432191

Satoru Mori, "The Second Trump Administration's Foreign Engagement and Its Geostrategy Toward the Four Regions," *Asia-Pacific Review* 32, no. 1 (2025): 54–79, https://doi.org/10.1080/13439006.2025.2513207, accessed April 2, 2026.

Scott R. Anderson et al., "Breaking down Trump's 2025 National Security Strategy," Brookings, December 8, 2025, accessed April 3, 2026, https://redirme.com/4cp9np გადამოწმებულია 15.04.2026

The White House, *National Security Strategy of the United States of America* (Washington, DC: The White House, November 2025), 3–5, accessed March 28, 2026

United States Department of Defense. *National Defense Strategy*. Washington, DC: Department of Defense, January 23, 2026. Accessed April 3, 2026. https://redirme.com/dnenhy გადამოწმებულია 15.04.2026

Vanda Felbab-Brown, "A 'Trump Corollary' to the Monroe Doctrine," in "Breaking down Trump's 2025 National Security Strategy," *Brookings*, December 8, 2025, https://redirme.com/kzkrgm გადამოწმებულია 15.04.2026

Wehner LE. The narration of status in far-right populist foreign policy: the United States of Trump 2.0. J Int Relat Dev (Ljubl). 2026;29(1):4. doi: 10.1057/s41268-026-00370-3. Epub 2026 Feb 3. PMID: 41647310; PMCID: PMC12867758.

ხელოვნური ინტელექტი თანამედროვე სამხედრო სტრატეგიებისა და დოქტრინების ტრანსფორმაციაში: გეოპოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტები

ლევან ჭოლიკიძე
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის ინფორმატიკის მიმართულების
ასოცირებული პროფესორი,
ინფორმატიკის ინჟინერიის აკადემიური დოქტორი

ქეთევან კვესელავა
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი,
ინფორმატიკის ინჟინერიის აკადემიური დოქტორი

აბსტრაქტი

21-ე საუკუნეში სამხედრო ძალაუფლების სტრუქტურა სულ უფრო მეტად განისაზღვრება არა მხოლოდ ტრადიციული შეიარაღების მოცულობით, არამედ მონაცემთა დამუშავების სიჩქარით, ალგორითმული ანალიზის ხარისხითა და ციფრული ეკოსისტემების მდგრადობით. ამ კონტექსტში ხელოვნური ინტელექტი იქცა ისეთ ტექნოლოგიურ ძალად, რომელიც თანაბრად მოქმედებს სამხედრო დაგეგმვაზე, ოპერატიულ მართვაზე, სადაზვერვო საქმიანობაზე, კიბერუსაფრთხოებაზე და საერთაშორისო უსაფრთხოების სამართლებრივ წესრიგზე. წარმოდგენილი სტატიის მიზანია გააანალიზოს, თუ როგორ გარდაქმნის ხელოვნური ინტელექტი თანამედროვე სამხედრო სტრატეგიებსა და დოქტრინებს, რა გეოპოლიტიკურ შედეგებს წარმოშობს ეს პროცესი და როგორ ეჯახება იგი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და პასუხისმგებლიანი მმართველობის მოთხოვნებს.

კვლევა ეფუძნება თეორიულ-ანალიტიკურ მიდგომას, შემთხვევის კვლევას და შედარებითი პოლიტიკის ელემენტებს. ნაშრომში გამოყენებულია ღია, საჯაროდ ხელმისაწვდომი ოფიციალური და აკადემიური წყაროები: აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის ხელოვნური ინტელექტის სტრატეგია, NATO-ს 2021 და 2024 წლების სტრატეგიული დოკუმენტები, გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის AI სტრატეგია, უკრაინის თავდაცვის სამინისტროს ღია მასალები DELTA-ს სისტემის შესახებ, აგრეთვე ICRC-ისა და UNODA-ის სამართლებრივი და ნორმატიული პოზიციები. ანალიზი აჩვენებს, რომ ხელოვნური ინტელექტის სამხედრო ინტეგრაცია მხოლოდ ტექნიკური მოდერნიზაციის პროცესი არ არის; იგი ცვლის გადაწყვეტილების მიღების ციკლს, ზრდის მრავალდომენური ოპერაციების ეფექტიანობას, ამყარებს ინტერპერატიულობას მოკავშირეთა შორის და ამავე დროს წარმოშობს ახალ ფორმებს ესკალაციის, შეცდომის, გაუმჭვირვალობისა და პასუხისმგებლობის დეფიციტის სახით.

სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რუსეთ–უკრაინის ომს, როგორც იმ კონფლიქტს, სადაც ხელოვნური ინტელექტი პრაქტიკულად ინტეგრირებულია სადაზვერვო მონაცემთა დამუშავებაში, ციფრულ ბრძოლის ველზე ცნობიერებაში, დრონული ოპერაციების მხარდაჭერასა და მიზნების ავტომატურ იდენტიფიკაციაში. უკრაინის DELTA-ს სისტემის საჯარო აღწერილობა მიუთითებს, რომ თანამედროვე ბრძოლის ველი სულ უფრო მეტად ემყარება ერთიან მონაცემობრივ

სივრცეს, რაც ამცირებს რეაგირების დროს და აჩქარებს ბრძანება–კონტროლის პროცესს. ამავდროულად, NATO-სა და UK-ს სტრატეგიები ცხადყოფს, რომ პასუხისმგებლიანი გამოყენება, გამჭვირვალობა, მიკერძოების შემცირება, კონტროლირებადობა და სამართლებრივ ჩარჩოებთან შესაბამისობა სამხედრო AI-ის ცენტრალურ ნორმატიულ მოთხოვნებად ყალიბდება.

კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ხელოვნური ინტელექტი თანამედროვე გეოპოლიტიკაში წარმოადგენს ძალაუფლების, უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ერთდროულად გადამწყვეტ ფაქტორს. ერთ მხარეს იგი ზრდის სამხედრო უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობას; მეორე მხარეს კი აჩენს აუცილებლობას, რომ სახელმწიფოებმა და ალიანსებმა ჩამოაყალიბონ ადამიანის რეალური კონტროლის, სამართლებრივი ანგარიშვალდებულებისა და საერთაშორისო რეგულირების უფრო მკაფიო სტანდარტები. სწორედ ამ ორმაგ ბუნებაში ჩანს ხელოვნური ინტელექტის ძირითადი პარადოქსი: ტექნოლოგიური ეფექტიანობა ვერ იქნება სტრატეგიულად მდგრადი, თუ მას არ ახლავს სამართლებრივი ლეგიტიმაცია და ეთიკური კონტროლი.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი; სამხედრო სტრატეგია; სამხედრო დოქტრინა; გეოპოლიტიკა; ავტონომიური სისტემები; საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი; კიბერუსაფრთხოება; DELTA; NATO; პასუხისმგებლიანი მმართველობა

Artificial Intelligence in the Transformation of Contemporary Military Strategies and Doctrines: Geopolitical and Legal Aspects

Levan Cholikidze
Associate Professor of Bachelor's Program in Informatics of
LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Doctor of Computer Science

Qetevan Kveselava
Chief Scientist in the Scientific Research Center of
LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Professor of Technical University of Georgia,
Academic Doctor of Informatics Engineering

Abstract

In the twenty-first century, military power is increasingly shaped not only by the volume of conventional armaments, but also by the speed of data processing, the quality of algorithmic analysis, and the resilience of digital ecosystems. In this context, artificial intelligence has become a transformative technological force affecting military planning, operational command, intelligence, cybersecurity, and the legal architecture of international security. The purpose of this article is to analyse how artificial intelligence transforms contemporary military strategies and doctrines, what geopolitical consequences emerge from this process, and how these developments intersect with international humanitarian law and the requirements of responsible governance.

The study relies on a theoretical-analytical approach, case-study analysis, and selected elements of comparative policy research. It draws on open-access official and academic sources, including the U.S. Department of Defense AI strategy, NATO's 2021 and 2024 strategic documents, the United Kingdom's Defence AI Strategy, open materials from the Ministry of Defence of Ukraine on the DELTA system, as well as the normative and legal positions of the ICRC and the United Nations Office for Disarmament Affairs. The analysis demonstrates that military AI integration is not merely a technical modernization process; it transforms decision cycles, increases the effectiveness of multi-domain operations, strengthens interoperability among allies, and simultaneously creates new forms of escalation risk, opacity, error, and accountability deficits.

Special attention is devoted to the Russia–Ukraine war as a conflict in which artificial intelligence has been integrated into intelligence processing, digital battlefield awareness, drone-enabled operations, and automated target identification. Public descriptions of Ukraine's DELTA ecosystem indicate that the contemporary battlespace is increasingly built around an integrated data environment that reduces reaction time and accelerates command-and-control processes. At the same time, NATO and the UK have made clear that responsible use, transparency, bias mitigation, governability, and compliance with legal norms are becoming central requirements for military AI.

The findings confirm that artificial intelligence has become a decisive factor of power, security, and cooperation in contemporary geopolitics. On the one hand, it enhances the ability of states and alliances to obtain military advantage; on the other hand, it creates the need for clearer standards of meaningful human control, legal accountability, and international regulation. This dual character reveals the central paradox of military AI: technological efficiency cannot remain strategically sustainable unless it is accompanied by legal legitimacy and ethical restraint.

Keywords: artificial intelligence; military strategy; military doctrine; geopolitics; autonomous systems; international humanitarian law; cybersecurity; DELTA; NATO; responsible governance

შესავალი

თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების გარემო ტექნოლოგიური გარდაქმნების ეპოქაში შევიდა. სამხედრო ძალის მნიშვნელობა კვლავაც უკავშირდება რესურსს, შეიარაღებასა და სამხედრო ორგანიზებას, თუმცა ოცდამეერთე საუკუნეში ამ კლასიკურ კომპონენტებს დაემატა მონაცემთა მასივები, გამოთვლითი ინფრასტრუქტურა, პროგრამული მოდელები და ალგორითმული გადაწყვეტილების მხარდაჭერის სისტე-მები. ამ ცვლილებათა ფონზე ხელოვნური ინტელექტი გადაიქცა არა მხოლოდ ინოვაციურ ტექნოლოგიად, არამედ სტრატეგიულ ფაქტორად, რომელიც ცვლის ომის წარმოების ფორმებს, სამხედრო დოქტრინებსა და გეოპოლიტიკურ კონკურენციას.

ხელოვნური ინტელექტის სამხედრო გამოყენება მრავალგანზომილებიან მოვლენად გვევლინება. იგი ერთდროულად გამოიყენება სადაზვერვო ინფორმაციის კლასიფიკაციასა და ანალიზში, ვიზუალური მონაცემების დამუშავებაში, სამიზნეების აღმოჩენასა და პრიორიტეტიზაციაში, კიბერუსაფრთხოებაში, გადაწყვეტილების მიღების მხარდაჭერაში, უპილოტო სისტემების ნავიგაციასა და უფრო ფართოდ — ბრძანება–კონტროლის ციფრულ ეკოსისტემებში. ამის შედეგად იცვლება არა მხოლოდ სამხედრო ინსტრუმენტები, არამედ დროის ფაქტორიც: გადაწყვეტილების მიღების ციკლი მცირდება, რეაგირების სისწრაფე იზრდება, ხოლო ბრძოლის ველი უფრო მეტად გადაიქცევა ქსე-ლურ, მონაცემებზე დაფუძნებულ გარემოდ.

ამავე დროს, სამხედრო AI-ის ინტეგრაცია არ არის ნეიტრალური პროცესი. ტექნოლოგიური უპირატესობისკენ სწრაფვა ზრდის სახელმწიფოებს შორის კონკურენციას, განსაკუთრებით იმ კონტექსტში, სადაც AI უკავშირდება როგორც თავდაცვის, ისე სამოქალაქო სექტორის ორმაგი დანიშნულების ინფრასტრუქტურას. NATO აღნიშნავს, რომ AI უკვე იქცა ზოგადი დანიშნულების ტექნოლოგიად, რომლის სწრაფად განვითარებამ და ფართო ხელმისაწვდომობამ მთლიანად შეცვალა თავდაცვის სფეროს მოთხოვნები.[1] ანალოგიურად, აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტი ჯერ კიდევ 2019 წელს ხაზს უსვამდა, რომ AI-ის ეფექტიანი დანერგვა მოითხოვს არა მხოლოდ ტექნიკურ პილოტირებას, არამედ მასშტაბირებას, სახელმწიფო ინსტიტუტების გარდაქმნას და აკადემიასთან, კერძო სექტორსა და მოკავშირეებთან ინტენსიურ თანამშრომლობას.[2]

[1] NATO. Summary of NATO's revised artificial intelligence (AI) strategy. (2024, July 10). https://redirme.com/rb3ahf
[2] U.S. Department of Defense. (2019, February 12). Summary of the 2018 Department of Defense artificial intelligence strategy. https://redirme.com/bwfec3

წინამდებარე სტატიის ძირითადი კვლევითი კითხვა არის შემდეგი: როგორ გარდაქმნის ხელოვნური ინტელექტი თანამედროვე სამხედრო სტრატეგიებსა და დოქტრინებს, და როგორ აისახება ეს პროცესი გეოპოლიტიკურ ძალაუფლებრივ ურთიერთობებსა და სამართლებრივ ნორმებზე? კვლევის მიზანია ამ პროცესის სამმაგი — სამხედრო-ოპერატიული, გეოპოლიტიკური და სამართლებრივი — განზომილების გამოკვეთა. ამ მიზნით სტატია აერთიანებს კონცეპტუალურ ანალიზს, ოფიციალური სტრატეგიული დოკუმენტების შედარებით წაკითხვას და რუსეთ–უკრაინის ომის შემთხვევის განხილვას.

სტატიის ძირითადი თეზისი მდგომარეობს იმაში, რომ ხელოვნური ინტელექტი თანამედროვე სამხედრო გარემოში ცვლის არა მხოლოდ საშუალებებს, არამედ თვით სტრატეგიულ ლოგიკასაც. იგი ამცირებს დროით შუალედს დაკვირვებასა და მოქმედებას შორის, აძლიერებს მრავალდომენურ ოპერაციებს, ზრდის მოკავშირეთა ინტერპერატიულობას და ამავე დროს აჩენს ისეთ რისკებს, როგორებიცაა გაუმჭვირვალობა, ალგორითმული მიკერძოება, პასუხისმგებლობის დიფუზია და ავტონომიური ესკალაცია. სწორედ ამიტომ სამხედრო AI-ის შეფასება შეუძლებელია მხოლოდ ტექნოლოგიური ეფექტიანობის პრიზმაში; აუცილებელია მისი განხილვა გეოპოლიტიკური კონკურენციისა და სამართლებრივი შეზღუდვების ერთიან ჩარჩოში.

კვლევის მეთოდოლოგია და კონცეპტუალური ჩარჩო

ნაშრომი ეფუძნება ხარისხობრივ, დოკუმენტურ და ანალიტიკურ მეთოდოლოგიას. გამოყენებული მასალა მოიცავს სამ ძირითად წყაროთა ჯგუფს. პირველი ჯგუფი შედგება ოფიციალური სტრატეგიული დოკუმენტებისგან: აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის AI სტრატეგიის რეზიუმე, NATO-ს 2021 და 2024 წლების სტრატეგიული ტექსტები, გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის AI სტრატეგია და უკრაინის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური ცნობები. მეორე ჯგუფს შეადგენს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ნორმატიული მმართველობის წყაროები, მათ შორის ICRC-ის დოკუმენტები და UNODA-ის მასალები. მესამე ჯგუფი მოიცავს აკადემიურ ლიტერატურას, რომელიც ეხება AI-ის სამხედრო სტრატეგიას, გეოპოლიტიკას, arms control-სა და ძალის გამოყენების გადაწყვეტილებით პროცესზე მისი გავლენის პრობლემას.

კონცეპტუალური თვალსაზრისით ნაშრომი მიიჩნევს, რომ სამხედრო AI უნდა განვიხილოთ როგორც „ზოგადი დანიშნულების სტრატეგიული ტექნოლოგია“. NATO-ის 2024 წლის სტრატეგია პირდაპირ მიუთითებს, რომ ხელოვნური ინტელექტი უკვე ზოგადი და-

ნიშნულების ტექნოლოგიად იქცა, განსაკუთრებით გენერაციული AI-ის სწრაფი გავრცელების პირობებში.[3] ამგვარი ტექნოლოგიები არ შემოიფარგლება ერთი პლატფორმით; ისინი გავლენას ახდენს ორგანიზაციულ კულტურაზე, მონაცემთა არქიტექტურაზე, ოპერაციულ ინტერპერატიულობაზე, იურიდიულ პასუხისმგებლობასა და საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმებზე.

ნაშრომში გამოყენებულია სამი ანალიტიკური კატეგორია. პირველი კატეგორიაა „სამხედრო-ოპერატიული ტრანსფორმაცია“, რომელიც მოიცავს ISR-ის, ბრძანება–კონტროლის, მრავალდომენური ოპერაციებისა და გადაწყვეტილების მიღების ციკლის ცვლილებებს. მეორე კატეგორიაა „გეოპოლიტიკური კონკურენცია და თანამშრომლობა“, რაც გულისხმობს AI-ის გამოყენებას როგორც ძალაუფლების, ალიანსური ინტეგრაციისა და ტექნოლოგიური სუვერენიტეტის ინსტრუმენტს. მესამე კატეგორიაა „სამართლებრივი და ეთიკური შეზღუდვები“, რომლის ცენტრში დგას ადამიანის კონტროლი, ანგარიშვალდებულება, განასხვავებლობისა და პროპორციულობის პრინციპები, და საერთაშორისო ნორმების ადაპტაცია.

ამ მეთოდოლოგიური ჩარჩოს უპირატესობა ის არის, რომ იგი იძლევა შესაძლებლობას AI განხილულ იქნას არა როგორც იზოლირებული ტექნიკური სისტემა, არამედ როგორც სამხედრო ორგანიზაციის, სახელმწიფოსა და საერთაშორისო წესრიგის გადაკვეთის წერტილი. შესაბამისად, სტატიის ანალიზი მიმართულია არა მხოლოდ იმის დასადგენად, თუ რას „შეუძლია“ ხელოვნურ ინტელექტს, არამედ იმის გასარკვევადაც, თუ რა ფასად და რა ნორმატიული პირობებით შეიძლება მისი ინტეგრაცია თანამედროვე სამხედრო გარემოში.



სურათი 1. *ხელოვნური ინტელექტის სამხედრო ზემოქმედების სამი დონე.*[4]

[3] Ibid. NATO. 2024

[4]დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ NATO-ის, აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის, გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროსა და უკრაინის თავდაცვის სამინისტროს ღია წყაროების საფუძველზე.

ხელოვნური ინტელექტი, როგორც სამხედრო-სტრატეგიული გარდატეხის ფაქტორი

ისტორიულად სამხედრო დოქტრინები ყოველთვის იცვლებოდა ტექნოლოგიური ინოვაციების გავლენით. ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელებამ გარდაქმნა ტაქტიკური წყობა; მექანიზებულმა ომმა ოპერატიული მანევრის ახალი შესაძლებლობები წარმოშვა; ბირთვულმა ეპოქამ კი შეკავების და სტრატეგიული სტაბილურობის სრულიად განსხვავებული პარადიგმა შექმნა. ხელოვნური ინტელექტის მნიშვნელობა სწორედ ამ ისტორიულ რიგში უნდა გავიგოთ, თუმცა მისი სპეციფიკა ის არის, რომ იგი მოქმედებს არა მხოლოდ იარაღზე, არამედ ინფორმაციის ციკლზე — შეგროვებიდან ანალიზამდე და იქიდან გადაწყვეტილებასა და შესრულებამდე.

აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტი პირდაპირ მიუთითებდა, რომ AI-ის დანერგვა მოითხოვს შესაბამისი გამოყენების შემთხვევების სწრაფ იდენტიფიცირებას, საპილოტე გადაწყვეტების მასშტაბირებასა და მოკავშირეებთან, აკადემიასთან და კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობას.[5] ამ ხედვაში AI არ არის ერთჯერადი ინოვაცია; იგი წარმოადგენს ორგანიზაციული გარდაქმნის პროგრამას. გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის AI სტრატეგიაც ანალოგიურად უსვამს ხაზს, რომ თავდაცვის სისტემა უნდა გადაიქცეს „AI-ready“ ორგანიზაციად, რომელიც ერთდროულად ქმნის ტექნიკურ შესაძლებლობებს, ავითარებს კადრებს, აძლიერებს ეკოსისტემურ პარტნიორობებს და საერთაშორისო დონეზე ფორმირებს პასუხისმგებლიანი განვითარების წესებს (UK Ministry of Defence, 2022).

სამხედრო დონეზე AI-ის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეფექტი არის ISR-ის გაძლიერება. დიდი მოცულობის სენსორული, ვიზუალური და სატელიტური მონაცემების კლასიფიკაცია ტრადიციული ანალიტიკური საშუალებებით ხშირად მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე სწრაფად ცვალებად საბრძოლო გარემოს სჭირდება. მანქანური სწავლების მოდელები შესაძლებელს ხდის ობიექტების ამოცნობას, ანომალიების გამოვლენას, მოძრაობის ნიმუშების იდენტიფიცირებასა და სამიზნეების უფრო სწრაფ პრიორიტეტიზაციას. ეს, თავის მხრივ, ცვლის დაზვერვის როლს: ინფორმაცია აღარ არის მხოლოდ „მოსაპოვებელი“ რესურსი; იგი იქცევა უწყვეტად დამუშავებად და ოპერატიულად გამოსაყენებელ მონაცემობრივ ნაკადად.

AI ასევე მოქმედებს სამხედრო ორგანიზაციის დროით ლოგიკაზე. სამხედრო თეორიაში ხშირად ხაზგასმულია დაკვირვება–ორიენტაცია–გადაწყვეტილება–მოქმედების (OODA)

[5] Ibid. U.S. Department of Defense. (2019, February 12).

ციკლის სიჩქარის მნიშვნელობა. როდესაც ამ პროცესში ინტეგრირდება ალგორითმული ანალიზი, გადაწყვეტილების წინმსწრები ფაზები მნიშვნელოვნად ჩქარდება. ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანი ქრება პროცესიდან, მაგრამ მის როლს უფრო მეტად ზედამხედველობითი, დამადასტურებელი და პოლიტიკური ხასიათი ეძლევა. სწორედ აქ იბადება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოქტრინალური ცვლილება: თანამედროვე სამხედრო ორგანიზაცია გადადის მონაცემებზე დაფუძნებული, მრავალსენსორული და ნაწილობრივ ავტომატიზებული ბრძანება–კონტროლის მოდელისკენ.

ამ გარდაქმნას თან ახლავს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი — მრავალდომენური ოპერაციები. NATO-ის 2021 წლის სტრატეგია ხაზს უსვამს, რომ ალიანსი მიზნად ისახავს AI-ის ინტეგრირებას ინტერპერატიულ და პასუხისმგებლიან ფორმაში, რათა იგი გამოიყენოს მის სამ ძირითად ამოცანაში სხვადასხვა ორგანიზაციულ და ოპერაციულ დონეზე[6] პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ ხელოვნური ინტელექტი ეხმარება საჰაერო, სახმელეთო, საზღვაო, კიბერ და ინფორმაციულ სივრცეებში მიმდინარე მოქმედებების სინქრონიზაციას. ამგვარად, სამხედრო AI მხოლოდ „ჭკვიანი იარაღის" იდეამდე არ დაიყვანება; იგი წარმოადგენს ინტეგრირებული საბრძოლო ეკოსისტემის შემკვრელ კომპონენტს.

თუმცა ამ სტრატეგიულ გარდატეხას აშკარა შეზღუდვებიც ახლავს. ოპერაციული სიჩქარის ზრდა, მონაცემთა ცენტრალიზაცია და ალგორითმული რეკომენდაციები ერთდროულად წარმოშობს დამოკიდებულებას გამოთვლით ინფრასტრუქტურაზე, მონაცემთა ხარისხზე და სისტემური შეცდომებისადმი მგრძნობელობაზე. სწორედ ამიტომ NATO-სა და UK-ის დოკუმენტებში ერთ-ერთი მთავარი ხაზია არა მხოლოდ დანერგვა, არამედ governability, traceability, bias mitigation და reliability.[7] სხვა სიტყვებით, თანამედროვე სამხედრო დოქტრინა იძულებულია ტექნოლოგიურ ეფექტიანობასთან ერთად საკუთარ შიგნით ჩასვას კონტროლისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმები.

გეოპოლიტიკური განზომილება: ძალაუფლება, ალიანსები და თანამშრომლობა

ხელოვნური ინტელექტი სამხედრო სფეროში მხოლოდ ინსტრუმენტული მნიშვნელობის მატარებელი არ არის; იგი გეოპოლიტიკური ძალაუფლების ნაწილად იქცა. თანამედროვე მსოფლიო წესრიგში ტექნოლოგიური უპირატესობა უფრო და უფრო განსაზღვრავს სამხედრო, ეკონომიკურ და დიპლომატიურ გავლენას. ერთ-ერთ უახლეს ანალიტიკურ შეფასებაში ხაზგასმულია, რომ AI უკვე წარმოადგენს გეოპოლიტიკური და ეკონომიკური დომინირების კრიტიკულ აქტივს და რომ სწორედ აშშ–ჩინეთის ტექნოლოგიური

[6]NATO. Summary of the NATO artificial intelligence strategy. (2021, October 22). https://redirme.com/wggcum
[7]bid. NATO. 2024

მეტოქეობა აჩენს როგორც ინოვაციურ სტიმულებს, ისე გლობალური თანამშრომლობის ფრაგმენტაციის საფრთხეს.[8] ამავე მიმართულებით Horowitz (2018) კიდევ უფრო ადრე ამტკიცებდა, რომ AI საერთაშორისო კონკურენციისა და ძალთა ბალანსის ერთ-ერთ უმთავრეს ველად გარდაიქმნებოდა.

გეოპოლიტიკურ დონეზე AI-ის მნიშვნელობა რამდენიმე ფაქტორში ვლინდება. პირველი არის მონაცემთა და გამოთვლითი რესურსების კონცენტრაცია. ხელოვნური ინტელექტის ეფექტიანი სამხედრო გამოყენება მოითხოვს არა მხოლოდ ალგორითმებს, არამედ მონაცემთა მდიდარ ბაზებს, კომპიუტერულ სიმძლავრეს, შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფას და კადრებს. ეს მოთხოვნები უპირატესობას ანიჭებს იმ სახელმწიფოებსა და ალიანსებს, რომლებიც ფლობენ განვითარებულ ციფრულ ინფრასტრუქტურასა და კვლევით ეკოსისტემებს. მეორე ფაქტორია ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიები: სამხედრო AI მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა სამოქალაქო სექტორში შექმნილ ინოვაციებს, რის გამოც სტრატეგიული კონკურენცია ხშირად გადადის ნახევარგამტარებზე, cloud ინფრასტრუქტურაზე, მონაცემთა პოლიტიკასა და სტანდარტიზაციაზე.

მესამე ფაქტორია ალიანსური თანამშრომლობა. NATO-ს 2021 წლის სტრატეგია და 2024 წლის განახლებული ვერსია ერთდროულად ხაზს უსვამს ორ მიზანს: AI-ის სწრაფ ინტეგრაციას და მისი პასუხისმგებლიანი გამოყენების საერთო პრინციპებზე შეთანხ-მებას.[9] ამგვარად, AI ალიანსისთვის არის როგორც შესაძლებლობა, ისე მმართველობითი გამოწვევა. შესაძლებლობა იმიტომ, რომ იგი ზრდის ინტერპერატიულობას, მონაცემთა გაზიარების ღირებულებას და საერთო ტექნოლოგიური საფუძვლის არსებობას; გამოწვევა იმიტომ, რომ მოკავშირეებს სჭირდებათ საერთო სტანდარტები სამართლებრივობის, პასუხისმგებლობის, განმარტებადობის, საიმედოობის, კონტროლირებადობისა და მიკერძოების შემცირების მიმართულებით.[10]

აქედან გამომდინარე, ხელოვნური ინტელექტი ერთდროულად აძლიერებს კონკურენციას და თანამშრომლობას. კონკურენცია იზრდება იქ, სადაც სახელმწიფოები ცდილობენ ტექნოლოგიური უპირატესობის მონოპოლიზაციას, მონაცემთა სუვერენიტეტის განმტკიცებასა და სამხედრო-სამრეწველო ინოვაციების სწრაფ კომერციალიზაციას. თანამშრომ-

[8] Li, J. Governing high-risk technologies in a fragmented world: Geopolitical tensions, regulatory gaps, and institutional barriers to global cooperation. Fudan Journal of the Humanities and Social Sciences. (2025). https://doi.org/10.1007/s40647-025-00445-4
[9] Ibid. NATO. (2021, October 22); NATO. (2024, July 10)
[10] Ibid. NATO. (2024, July 10)

ლობა კი აუცილებელი ხდება იქ, სადაც საჭიროა ალიანსური ინტერპერატიულობა, საერთო ნორმები, სტანდარტიზებული მმართველობა და ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების უსაფრთხო გამოყენება.

ამ პარადოქსს კარგად ასახავს NATO-ს პოზიცია: ერთი მხრივ, ალიანსი მიზნად ისახავს AI-ის სწრაფ გამოყენებას ოპერატიულ და ორგანიზაციულ დონეზე; მეორე მხრივ, იგი ცდილობს პასუხისმგებლიანი გამოყენების პრინციპები აქციოს საერთო მინიმუმად.[11] მსგავსი ლოგიკა ჩანს ბრიტანულ სტრატეგიაშიც, რომელიც AI-ს უკავშირებს როგორც თავდაცვით უპირატესობას, ასევე საერთაშორისო თანამშრომლობასა და დემოკრატიული ღირებულებების დაცვას.[12] აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე გეოპოლიტიკაში ხელოვნური ინტელექტი ფუნქციონირებს როგორც „ორმაგი ვექტორი“ — იგი ერთდროულად წარმოშობს ძალაუფლების ახალ იერარქიებს და აიძულებს სახელმწიფოებს, განავითარონ თანამშრომლობის ახალი მოდელები.

ამავე დროს, თანამშრომლობის პოტენციალი შეზღუდულია უნდობლობითა და ნორმატიული ფრაგმენტაციით. თუ დიდი სახელმწიფოები AI-ს პირველ რიგში სტრატეგიული უპირატესობის წყაროდ აღიქვამენ, მაშინ გლობალური წესების ჩამოყალიბება რთულდება. სწორედ ამ გარემოებას უსვამს ხაზს თანამედროვე კვლევა მაღალი რისკის ტექნოლოგიების მმართველობაზე, სადაც აშშ–ჩინეთის კონკურენცია წარმოჩენილია როგორც გლობალური რეგულაციური ბზარების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.[13] ამიტომ სამხედრო AI-ის გეოპოლიტიკური ანალიზი აუცილებლად უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ მისი შესაძლებლობების შეფასებას, არამედ იმ ინსტიტუციური პირობების გააზრებასაც, რომლებიც ან უწყობს ხელს, ან აფერხებს საერთო წესების შემუშავებას.

ცხრილი1. *სამხედრო AI-ის სტრატეგიული მიდგომების შედარებითი მიმოხილვა.*[14]

აქტორი	**სტრატეგიული აქცენტი**	**მმართველობის პრინციპი**	**გეოპოლიტიკური მნიშვნელობა**
აშშ DoD	მასშტაბირება, გამოყენების შემთხვევები, თანამშრომლობა აკადემიასა და ინდუსტრიასთან	ინსტიტუციური ადაპტაცია და enterprise-level დანერგვა	ტექნოლოგიური უპირატესობა და მოკავშირეებთან კოორდინაცია

[11] Ibid. NATO. (2021, October 22); NATO. (2024, July 10)
[12] UK Ministry of Defence. Defence artificial intelligence strategy. (2022). https://redirme.com/fgd6qg
[13] Ibid. Li, J. (2025).
[14] ცხრილი შედგენილია NATO (2021, 2024), U.S. Department of Defense (2019), UK Ministry of Defence (2022) და Ministry of Defence of Ukraine (2025, 2026b) საფუძველზე.

აქტორი	სტრატეგიული აქცენტი	მმართველობის პრინციპი	გეოპოლიტიკური მნიშვნელობა
NATO	ინტერპერატიულობა, მრავალდონიანი ინტეგრაცია, AI use cases	Lawfulness, accountability, explainability, reliability, governability, bias mitigation	ალიანსური სტანდარტიზაცია და პასუხისმგებლიანი თანამშრომლობა
UK MoD	AI-ready ორგანიზაცია, ეკოსისტემური პარტნიორობა, საერთაშორისო shaping	Trustworthiness და დემოკრატიულ ღირებულებებთან თავსებადობა	ეროვნული უპირატესობა მოკავშირეობრივ ჩარჩოში
უკრაინა	რეალურ დროში ბრძოლის ველის ცნობიერება, DELTA, დრონული AI	კიბერუსაფრთხოების ვალიდაცია და ბრძოლის ველზე მონაცემების გამოყენება	ომში მიღებული მონაცემები როგორც სტრატეგიული რესურსი

რუსეთ–უკრაინის ომი, როგორც ემპირიული შემთხვევა

რუსეთ–უკრაინის ომი თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიების პრაქტიკული ტესტირების ერთ-ერთ ყველაზე მკაფიო სივრცედ იქცა. ამ კონფლიქტში ერთმანეთთან გადაიკვეთა დრონული ომი, კიბერუსაფრთხოება, რეალურ დროში მონაცემთა დამუშავება, ქსელური კოორდინაცია და ინფორმაციული ოპერაციები. სწორედ ამიტომ იგი ხშირად განიხილება, როგორც შემთხვევა, სადაც შესაძლებელია დავაკვირდეთ, თუ როგორ მუშაობს ხელოვნური ინტელექტი არა თეორიულ პროექტებში, არამედ მაღალი ინტენსივობის რეალურ საბრძოლო გარემოში.

უკრაინის თავდაცვის სამინისტროს მიხედვით, DELTA წარმოადგენს საბრძოლო ციფრულ ეკოსისტემას, რომელიც უზრუნველყოფს რეალურ დროში ბრძოლის ველზე ცნობიერებას, ეხმარება ოპერატიულ დაგეგმვას და ამარტივებს ინფორმაციის გაზიარებას ქვედანაყოფებსა და უფრო მაღალ დონეებს შორის.[15] იმავე ოფიციალურ ცნობაში მითითებულია, რომ სისტემა მხარდაჭერილია AI პლატფორმით, რომელიც რეალურ დროში ახდენს მოწინააღმდეგის ტექნიკის ავტომატურ აღმოჩენას და ყოველდღიურად 2,000-ზე მეტი სამიზნის მიმართულებით ოპერაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს. სხვა ღია წყარო მიუთითებს, რომ DELTA-ს ეკოსისტემა მოიცავს ვიდეოსტრიმინგს, ოპერატიული დაგეგმვისა და დაზვერვის ინსტრუმენტებს, მობილურ აპლიკაციას და გადაწყვეტილების მიღების სიჩქარის ზრდას ყველა დონეზე.[16]

[15] Ministry of Defence of Ukraine. The DELTA combat system has been deployed across all levels of Defence Forces of Ukraine. (2025, August 6). https://redirme.com/h6zbph

[16] Ministry of Defence of Ukraine. Independent assessment confirms DELTA remains compliant with all cybersecurity standards after scaling. (2026, March 9). https://redirme.com/vbp5yq

ამ სისტემის მნიშვნელობა მხოლოდ ტექნიკურ შესაძლებლობებში არ მდგომარეობს. DELTA ფაქტობრივად გვიჩვენებს, როგორ გარდაიქმნება ბრძოლის ველი ერთიან მონაცემობრივ სივრცედ. ინფორმაციის ფრაგმენტული, პლატფორმაზე მიბმული გამოყენების ნაცვლად, უკრაინული მოდელი ეფუძნება მრავალწყაროიანი მონაცემების გაერთიანებას და ოპერატიულად ხელმისაწვდომ საერთო სურათს. ეს გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ კონტექსტში, სადაც დრონების, სენსორების, სახმელეთო პლატფორმებისა და დაზვერვის სხვადასხვა არხების რაოდენობა მკვეთრად იზრდება. ასეთ პირობებში მონაცემთა დამუშავების სიჩქარე ისეთივე სტრატეგიულ აქტივად იქცევა, როგორც ცეცხლის სიმძლავრე.

2026 წლის მარტში უკრაინის თავდაცვის სამინისტრომ დამატებით განაცხადა, რომ ქვეყანა გახდა პირველი, რომელმაც საერთაშორისო პარტნიორებს გაუხსნა რეალური საბრძოლო მონაცემების გამოყენების შესაძლებლობა უპილოტო და სხვა საბრძოლო სისტემების AI მოდელების გასაწვრთნელად. ოფიციალური ცნობით, ეს მონაცემები მოიცავს მილიონობით ანოტირებულ კადრს ათიათასობით საბრძოლო გაფრენიდან და უკვე გამოიყენება DELTA-ში ნერვული ქსელების მოსამზადებლად, რომლებიც ავტომატურად ცნობენ სახმელეთო და საჰაერო სამიზნეებს.[17] ეს ფაქტი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ორი მიზეზით. პირველი — იგი აჩვენებს, რომ თანამედროვე ომში ხარისხიანი მონაცემთა ნაკრებები იქცა სტრატეგიულ რესურსად. მეორე — იგი მიუთითებს, რომ სამხედრო AI-ის განვითარება სულ უფრო მეტად ეყრდნობა სახელმწიფოსა და პარტნიორულ ეკოსისტემებს შორის მონაცემთა კონტროლირებად გაცვლას.

რუსეთ–უკრაინის ომი ასევე გვიჩვენებს, რომ AI-ის სამხედრო მნიშვნელობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკური სამიზნეების აღმოჩენით. იგი ინტეგრირდება კიბერუსაფრთხოების პრაქტიკებშიც, სადაც საჭიროა ანომალიების გამოვლენა, ქსელური მოვლენების კლასიფიკაცია და სწრაფი რეაგირება. გარდა ამისა, ომის ინფორმაციულ სივრცეში ფართოდ გამოიყენება ავტომატიზებული ან ნახევრად ავტომატიზებული ანალიტიკური საშუალებები, რომლებიც აფასებს სოციალური მედიის ნაკადებს, დეზინფორმაციის გავრცელების დინამიკას და ციფრულ ნარატივებს. შესაბამისად, თანამედროვე ომი ერთდროულად ფიზიკურ, ციფრულ და კოგნიტურ სივრცეებში მიმდინარეობს.

AI-ის როლის შეფასებისას მნიშვნელოვანია სიფრთხილეც. ომის პირობებში ოფიციალური მონაცემები ხშირად პოლიტიკური კომუნიკაციის ნაწილიც არის; ამიტომ ასეთი

[17] Ministry of Defence of Ukraine. Ukraine is the first country in the world to open real battlefield data to partners for AI model training. (2026, March 12). https://redirme.com/hb49gr

წყაროები უნდა განვიხილოთ როგორც სამხედრო პრაქტიკის ინდიკატორები და არა როგორც სრულად ნეიტრალური სტატისტიკა. მიუხედავად ამისა, უკრაინის ღია ინსტიტუციური დისკურსი საკმარის საფუძველს იძლევა დასკვნისთვის, რომ თანამედროვე ბრძოლის ველზე AI უკვე აღარ არის პერიფერიული ტექნოლოგია. იგი გადაიქცა ინტეგრირებული მართვის, დაზვერვისა და ოპერატიული კოორდინაციის მნიშვნელოვან კომპონენტად. სწორედ ამაში მდგომარეობს რუსეთ–უკრაინის ომის მთავარი ანალიტიკური მნიშვნელობა: იგი გვიჩვენებს, რომ ხელოვნური ინტელექტი მომავლის ომის დაპირება კი არა, უკვე მიმდინარე სამხედრო ტრანსფორმაციის რეალური ინსტრუმენტია.



სურათი 2. *სამხედრო AI-ის სტრატეგიული ინსტიტუციონალიზაციის ქრონოლოგია.*[18]

სამართლებრივი და ეთიკური ასპექტები:
ადამიანის კონტროლი, პასუხისმგებლობა და მმართველობა

ხელოვნური ინტელექტის სამხედრო ინტეგრაცია ყველაზე მწვავედ სამართლებრივ და ეთიკურ სფეროებში იჩენს თავს. ტექნოლოგია შეიძლება ზრდიდეს სიზუსტეს, ამცირებდეს რეაგირების დროს და აუმჯობესებდეს ოპერატიულ კოორდინაციას, მაგრამ ამავე დროს სწორედ იგი აჩენს ფუნდამენტურ კითხვას: რამდენად შეიძლება ძალის გამოყენების პროცესში ადამიანის გადაწყვეტილება ჩანაცვლდეს ან განიდგინოს ალგორითმული მექანიზმებით?

UNODA-ის თანახმად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა არაერთხელ დაახასიათა ავტონომიური სასიკვდილო იარაღის სისტემები, როგორც პოლიტიკურად მიუღებელი და მორალურად მიუღებელი მოვლენა, და 2023 წლის „New Agenda for Peace“-ში სახელმწიფოებს მოუწოდა, 2026 წლამდე შეიმუშაონ იურიდიულად

[18] ქრონოლოგია შედგენილია ღია ოფიციალური დოკუმენტების საფუძველზე და ასახავს ინსტიტუციური ფორმალიზაციის მნიშვნელოვან ეტაპებს.

სავალდებულო ინსტრუმენტი ისეთი სისტემების აკრძალვისთვის, რომლებიც ფუნქციონირებენ ადამიანის კონტროლის ან ზედამხედველობის გარეშე და ვერ იქნებოდა გამოყენებული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნების შესაბამისად; სხვა სისტემებისთვის კი შემუშავდეს რეგულირების რეჟიმი (UNODA, n.d.). ეს მიდგომა ნიშანდობლივია, რადგან იგი ტექნოლოგიურ ნეიტრალიტეტს არ უარყოფს, მაგრამ ხაზს უსვამს ადამიანის მატერიალურ კონტროლს, როგორც ნორმატიულ ზღვარს.

ICRC-ის 2025 წლის პოზიციური დოკუმენტი ამ ხაზს სამართლებრივი სიღრმით ავითარებს. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი სრულად ვრცელდება ავტონომიურ იარაღის სისტემებზეც, მიუხედავად იმისა, რომ არსებული წესები ტექნოლოგიურად ნეიტრალურია და პირდაპირ არ ასახელებს კონკრეტულად AWS-ს.[19] სწორედ ამ ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის გამო საკითხი არ არის მხოლოდ ის, „არსებობს თუ არა" შესაბამისი სამართალი; პრობლემა არის ის, თუ რა პირობებით და რა ხარისხის კონტროლით შეიძლება ასეთი სისტემების გამოყენება განასხვავებლობის, პროპორციულობისა და თავდასხმაში სიფრთხილის პრინციპების დაცვით.

Neil Davison-ის სამართლებრივი ანალიზი ავტონომიურ იარაღზე ხაზს უსვამს, რომ ასეთი სისტემები შეიძლება განისაზღვროს როგორც იარაღი, რომელსაც კრიტიკულ ფუნქციებში — სამიზნის ძიება, ამოცნობა, არჩევა და შეტევა — გააჩნია ავტონომია ადამიანის პირდაპირი ჩარევის გარეშე.[20] სწორედ ამ კრიტიკულ ფუნქციებში ავტონომიის ზრდა წარმოშობს ორი სახის პრობლემას. პირველი არის შესაბამისობის პრობლემა: შეუძლია თუ არა სისტემას საკმარისად საიმედოდ გაარჩიოს კომბატანტი და არაკომბატანტი, შეაფასოს სამხედრო უპირატესობა და მოსალოდნელი ზიანი, ან შეცვალოს ქცევა რთულ და მოულოდნელ გარემოში? მეორე არის პასუხისმგებლობის პრობლემა: თუ ზიანი გამოწვეული იქნება პროგრამული მოდელის, მონაცემთა, ოპერატორის ან ბრძანების ჯაჭვის სხვა ელემენტის გამო, ვის უნდა დაეკისროს იურიდიული პასუხისმგებლობა?

ICRC-ის ძველი და ახალი დოკუმენტები ხაზს უსვამს „meaningful human control"-ის ან მასთან ახლოს მდგომი იდეების მნიშვნელობას.[21] თუმცა ამ ცნების პრაქტიკული შინაარსი კვლავ სადავოა. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ადამიანი „არსებობს ჯაჭვში", ყოველთვის არ ნიშნავს ეფექტიან ან მატერიალურ კონტროლს. თუ ოპერატორის ჩარევა ფორმალურია,

[19] International Committee of the Red Cross. Autonomous weapon systems and international humanitarian law: Selected issues. (2025). https://redirme.com/r42zaz

[20] Davison, N. A legal perspective: Autonomous weapon systems under international humanitarian law. United Nations Office for Disarmament Affairs. (2017). https://redirme.com/m7zhuc

[21] Ibid, Davison, 2017; International Committee of the Red Cross. (2025).

დრო შეზღუდულია, სისტემის შიდა ლოგიკა გაუმჭვირვალეა და შედეგების განმარტება შეუძლებელია, მაშინ პასუხისმგებლობა შეიძლება რეალურად გაიფანტოს. სწორედ ამიტომ NATO-მ პასუხისმგებლიანი გამოყენების პრინციპებში გამოკვეთა სამართლებრივობა, პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება, განმარტებადობა და მიკვლევადობა, საიმედოობა, კონტროლირებადობა და მიკერძოების შემცირება.[22] ეს პრინციპები იურიდიულ ნორმებს ვერ ანაცვლებს, მაგრამ ქმნის მმართველობით მინიმუმს, რომელიც სამხედრო ინსტიტუტებს საშუალებას აძლევს ტექნოლოგიური დანერგვა დაუკავშირონ ზედამხედველობის პრაქტიკებს.

ეთიკური ასპექტიც ამავე პრობლემის გაგრძელებაა. Erskine და Miller (2024) მიუთითებენ, რომ AI-ის მზარდმა შეღწევამ ძალის გამოყენების სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებებში შეიძლება შეცვალოს არა მხოლოდ ბრძოლის ველის ტაქტიკა, არამედ პოლიტიკური შეკავებისა და ძალის გამოყენების წინარე შეზღუდვების სისტემა. სხვა სიტყვებით, თუ პოლიტიკურ და სამხედრო ლიდერებს ექნებათ შთაბეჭდილება, რომ ალგორითმული გადაწყვეტილების მხარდაჭერა ამცირებს გაურკვევლობას ან ზრდის კონტროლს, ეს შეიძლება გავლენას ახდენდეს უკვე ძალის გამოყენების დაწყების დონის შეფასებაზეც. შესაბამისად, სამართლებრივი დებატები არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ თავდასხმის ჩატარების წესებით; მათ უნდა მოიცვან ის სტრუქტურული ზეწოლებიც, რომლებიც ტექნოლოგიამ შეიძლება მოახდინოს სტრატეგიულ და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე.

ამრიგად, სამხედრო AI-ის სამართლებრივი და ეთიკური პრობლემატიკა შეიძლება დავიყვანოთ სამ მთავარ მოთხოვნამდე. პირველი არის ადამიანის რეალური, არა მხოლოდ ნომინალური კონტროლი კრიტიკულ ფუნქციებზე. მეორე არის სისტემური ანგარიშვალდებულება — ტექნიკური, ინსტიტუციური და სამართლებრივი. მესამე კი არის საერთაშორისო ნორმების შემდგომი დაზუსტება, რათა ტექნოლოგიურმა სისწრაფემ სამართლებრივი ვაკუუმი არ წარმოშვას. სწორედ ამ სამ მოთხოვნაზე იქნება დამოკიდებული, შეძლებს თუ არა საერთაშორისო საზოგადოება სამხედრო AI-ის მართვას ისე, რომ ეფექტიანობა არ გადაიქცეს ნორმატიულ დესტაბილიზაციად.

ცხრილი 2. *სამართლებრივი და ეთიკური გამოწვევების ანალიტიკური მატრიცა.*[23]

[22] Ibid. NATO (2024)

[23] ცხრილი შედგენილია UNODA-ის, ICRC-ის, Davison (2017), NATO (2024) და Erskine & Miller (2024) ანალიტიკური ხაზების სინთეზის საფუძველზე.

საკითხი	ძირითადი რისკი	ნორმატიული პასუხი	რეკომენდებული პრაქტიკა
ადამიანის კონტროლი	ნომინალური ჩარევა მატერიალური კონტროლის გარეშე	Meaningful human control; governability	ჰუმანური დამტკიცების კრიტიკული წერტილები
განასხვავებლობა და პროპორციულობა	სამიზნეების არასწორი კლასიფიკაცია და ზედმეტი ზიანი	IHL-ის ტექნოლოგიურად ნეიტრალური წესები	წინასწარი იურიდიული შემოწმება და test environments
ანგარიშვალდებულება	პასუხისმგებლობის დიფუზია პროგრამისტს, ოპერატორსა და მეთაურს შორის	Accountability და traceability	audit trail, logs, human review
მონაცემთა მიკერძოება	ალგორითმული შეცდომა და დისკრიმინაციული შედეგები	Bias mitigation	მონაცემთა ვალიდაცია და განმეორებითი ტესტირება
ესკალაცია	სწრაფი ავტომატიზებული რეაგირება სტრატეგიული კონტროლის შემცირებით	პოლიტიკურ-სტრატეგიული ზედამხედველობა	წინასწარ განსაზღვრული escalation brakes

რეკომენდაციები

წარმოდგენილი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხელოვნური ინტელექტის სამხედრო ინტეგრაციის შეფასება მხოლოდ შესაძლებლობებისა და საფრთხეების ჩამოთვლით ვერ ამოიწურება. საჭიროა ისეთი ჩარჩო, რომელიც სამხედრო ეფექტიანობას, ინსტიტუციურ მმართველობასა და საერთაშორისო ნორმებს ერთიანად განიხილავს. ამ კონტექსტში შესაძლებელია რამდენიმე ძირითადი დასკვნითი დებულებისა და რეკომენდაციის ფორმულირება.

პირველი, სახელმწიფოებმა და სამხედრო ალიანსებმა AI უნდა განიხილონ როგორც ორგანიზაციული ტრანსფორმაციის პროექტი და არა მხოლოდ როგორც ტექნოლოგიის შესყიდვა. აშშ-ისა და გაერთიანებული სამეფოს სტრატეგიები ნათლად აჩვენებს, რომ წარმატებული სამხედრო AI საჭიროებს მონაცემთა ინფრასტრუქტურას, კადრებს, სამოქალაქო-სამხედრო პარტნიორობას, გამოცდას და მასშტაბირებას.[24] აქედან გამომდინარე, მხოლოდ ახალი პლატფორმების შეძენა საკმარისი არ არის; აუცილებელია ინსტიტუციური ადაპტაცია.

მეორე, მოკავშირეთა შორის თანამშრომლობა უნდა გაძლიერდეს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ, არამედ ნორმატიულ დონეზეც. NATO-ს პასუხისმგებლიანი გამოყენების პრინციპები მნიშვნელოვანი საწყისი ნაბიჯია, მაგრამ მათი ღირებულება რეალურად მაშინ

[24] Ibid. U.S. Department of Defense, 2019; UK Ministry of Defence, 2022

გაიზრდება, როცა ისინი გადაიქცევა შეფასების ინსტრუმენტებად, დოქტრინალურ სახელმძღვანელოებად და შესყიდვის სტანდარტებად.[25] ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებიც ალიანსურ გარემოში მოქმედებენ და სურთ ინტერპერატიულობა სამართლებრივი გაურკვევლობის გარეშე.

მესამე, საჭიროა სამხედრო AI-ისთვის განსხვავებული რისკის კატეგორიების შემუშავება. ყველა AI სისტემა ერთნაირ საფრთხეს არ შეიცავს. დაზვერვის მონაცემთა კლასიფიკაციის, ლოგისტიკური ოპტიმიზაციის, კიბერუსაფრთხოების ან სამიზნეთა ვიზუალური გამოვლენის სისტემები განსხვავებულ სამართლებრივ და ეთიკურ პრობლემებს წარმოშობს, ვიდრე ის სისტემები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია შეტევით ძალის გამოყენებასთან. ამიტომ რეგულაციაც განსხვავებული უნდა იყოს — ზოგ შემთხვევაში governance-by-design საკმარისი იქნება, ხოლო სხვა შემთხვევებში საჭიროა მკაცრი შეზღუდვები ან აკრძალვები.

მეოთხე, საერთაშორისო დონეზე უნდა გაღრმავდეს მუშაობა ისეთი სავალდებულო ან ნახევრად სავალდებულო ჩარჩოების მიმართულებით, რომლებიც მინიმუმ განსაზღვრავს ადამიანის მატერიალური კონტროლის, audit trail-ის, სამართლებრივი შემოწმებისა და post-deployment ანგარიშვალდებულების მოთხოვნებს. UNODA-ისა და ICRC-ის მიმდინარე დისკუსიები აჩვენებს, რომ ნორმატიული კონსოლიდაცია უკვე დაიწყო, თუმცა მისი ტემპი აშკარად ჩამორჩება ტექნოლოგიურ წინსვლას.[26]

მეხუთე, თანამედროვე სამხედრო განათლებაში აუცილებელია AI literacy-ის გაძლიერება. თუ სამხედრო მეთაურები, იურისტები, დაზვერვის სპეციალისტები და პოლიტიკის შემმუშავებლები ვერ გაიაზრებენ სისტემების შეზღუდვებს, მონაცემთა ხარისხის პრობლემებს, მოდელურ მიკერძოებას ან გაუმჭვირვალობის რისკებს, მაშინ AI უფრო მეტად გახდება ინსტიტუციური შეცდომის წყარო, ვიდრე სტრატეგიული უპირატესობის. შესაბამისად, მომზადება უნდა მოიცავდეს როგორც ტექნიკურ საფუძვლებს, ისე სამართლებრივ-ეთიკურ კომპონენტებს.

საბოლოოდ, სამხედრო AI-ის დისკუსია უნდა გამოვიდეს ტექნოლოგიური აღტაცებისა და აპოკალიფსური პესიმიზმის მიღმა. პრაქტიკული გამოცდილება, განსაკუთრებით უკრაინის მაგალითი, ცხადყოფს, რომ AI უკვე ქმნის რეალურ სამხედრო ღირებულებას. მაგრამ იგივე გამოცდილება გვახსენებს, რომ მონაცემები, ქსელები, ავტომატიზაცია და

[25] Ibid. NATO, 2024

[26] United Nations Office for Disarmament Affairs. (n.d.). Lethal autonomous weapon systems. https://redirme.com/d5hmxd; Ibid. International Committee of the Red Cross. (2025).

ალგორითმული რეკომენდაციები ყოველთვის მუშაობს ადამიანური, ინსტიტუციური და პოლიტიკური ჩარჩოების შიგნით. ამიტომ მთავარი კითხვა აღარ არის, „დაინერგება თუ არა“ AI სამხედრო სფეროში; მთავარი კითხვა არის, შეძლებენ თუ არა სახელმწიფოები მის მართვას ისე, რომ ტექნოლოგიური უპირატესობა არ გადაიზარდოს სამართლებრივ და სტრატეგიულ არასტაბილურობაში.

დასკვნა

წინამდებარე კვლევამ აჩვენა, რომ ხელოვნური ინტელექტი თანამედროვე სამხედრო სტრატეგიებისა და დოქტრინების ტრანსფორმაციის ცენტრალური ფაქტორია. მისი გავლენა სცდება იარაღის სისტემების ტექნიკურ გაუმჯობესებას და ეხება ინფორმაციის დამუშავების რეჟიმს, ბრძანება–კონტროლის არქიტექტურას, მრავალდომენური ოპერაციების ლოგიკას, გეოპოლიტიკურ კონკურენციასა და საერთაშორისო სამართლებრივ წესრიგს. ამ თვალსაზრისით სამხედრო AI უნდა შეფასდეს როგორც სტრატეგიული ტექნოლოგია, რომელიც ერთდროულად ცვლის შესაძლებლობებს, ინსტიტუციებსა და ნორმებს.

სტატიამ დაადასტურა, რომ აშშ-ის, NATO-სა და გაერთიანებული სამეფოს სტრატეგიებში AI აღიქმება როგორც სამხედრო უპირატესობის, ორგანიზაციული ადაპტაციისა და პარტნიორული თანამშრომლობის საფუძველი. ამავე დროს, უკრაინის DELTA-ს შემთხვევა მიუთითებს, რომ რეალურ ომში მონაცემთა ეკოსისტემები, ავტომატური აღმოჩენის მოდელები და ციფრული ბრძოლის ველის ცნობიერება უკვე განსაზღვრავს ოპერაციული ეფექტიანობის ახალ სტანდარტებს. შესაბამისად, თანამედროვე სამხედრო ძალა სულ უფრო მეტად იზომება არა მხოლოდ პლატფორმების რაოდენობით, არამედ მონაცემთა ხარისხით, ალგორითმული სისწრაფითა და ქსელური ინტეგრაციით.

თუმცა კვლევამ ასევე გამოკვეთა სამხედრო AI-ის არსებითი შეზღუდვები. სამართლებრივი და ეთიკური პრობლემები — განსაკუთრებით ადამიანის მატერიალური კონტროლი, პასუხისმგებლობის განსაზღვრა, განასხვავებლობისა და პროპორციულობის დაცვა, სისტემების განმარტებადობა და კონტროლირებადობა — მიუთითებს, რომ ტექნოლოგიური ეფექტიანობა თავისთავად საკმარისი არ არის. თუ ალგორითმული სისტემები ვერ იქნება ჩართული მკაფიო ნორმატიული და ინსტიტუციური ჩარჩოების ფარგლებში, ისინი შესაძლოა თავად გადაიქცეს სტრატეგიული რისკის წყაროდ.

საბოლოო დასკვნა ის არის, რომ ხელოვნური ინტელექტი თანამედროვე გეოპოლიტიკაში ერთდროულად წარმოადგენს ძალაუფლების რესურსს, უსაფრთხოების გამოწვევას

და თანამშრომლობის ახალ სივრცეს. სწორედ ამ სამმაგ ბუნებაში მდგომარეობს მისი მნიშვნელობაც. სამხედრო სფეროში AI-ის პასუხისმგებლიანი ინტეგრაცია მოითხოვს ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად საერთაშორისო წესების, ინსტიტუციური კონტროლისა და სამართლებრივი ლეგიტიმაციის გაძლიერებას. მხოლოდ ამ პირობებში გახდება შესაძლებელი, რომ ხელოვნურმა ინტელექტმა თანამედროვე თავდაცვა გააძლიეროს ისე, რომ არ დაასუსტოს ის ნორმატიული საფუძვლები, რომლებზეც საერთაშორისო უსაფრთხოება დგას.

ბიბლიოგრაფია

Allen, G. C., & Chan, T. (2017). Artificial intelligence and national security. Belfer Center for Science and International Affairs, Harvard Kennedy School. https://redirme.com/gjd6ps

Davison, N. A legal perspective: Autonomous weapon systems under international humanitarian law. United Nations Office for Disarmament Affairs. (2017). https://redirme.com/m7zhuc

Erskine, T., & Miller, S. E. (2024). AI and the decision to go to war: Future risks and opportunities. Australian Journal of International Affairs, 78(2), 135–147. https://doi.org/10.1080/10357718.2024.2349598

Horowitz, M. C. (2018). Artificial intelligence, international competition, and the balance of power. Texas National Security Review, 1(3), 37–57. https://doi.org/10.26153/tsw/2922

International Committee of the Red Cross. Autonomous weapon systems and international humanitarian law: Selected issues. (2025). https://redirme.com/r42zaz

Li, J. Governing high-risk technologies in a fragmented world: Geopolitical tensions, regulatory gaps, and institutional barriers to global cooperation. Fudan Journal of the Humanities and Social Sciences. (2025). https://doi.org/10.1007/s40647-025-00445-4

Ministry of Defence of Ukraine. The DELTA combat system has been deployed across all levels of Defence Forces of Ukraine. (2025, August 6). https://redirme.com/h6zbph

Ministry of Defence of Ukraine. Independent assessment confirms DELTA remains compliant with all cybersecurity standards after scaling. (2026, March 9). https://redirme.com/vbp5yq

Ministry of Defence of Ukraine. Ukraine is the first country in the world to open real battlefield data to partners for AI model training. (2026, March 12). https://redirme.com/hb49gr

NATO. Summary of the NATO artificial intelligence strategy. (2021, October 22). https://redirme.com/wggcum

NATO. Summary of NATO's revised artificial intelligence (AI) strategy. (2024, July 10). https://redirme.com/rb3ahf

Osimen, G. U., Newo, O., & Fulani, O. (2024). Artificial intelligence and arms control in modern warfare. Cogent Social Sciences, 10(1). https://doi.org/10.1080/23311886.2024.2407514

Payne, K. (2024). The geopolitics of AI. RUSI Journal, 169(5), 54–55. https://doi.org/10.1080/03071847.2024.2413274

U.S. Department of Defense. Summary of the 2018 Department of Defense artificial intelligence strategy. (2019, February 12). https://redirme.com/bwfec3

UK Ministry of Defence. Defence artificial intelligence strategy. (2022). https://redirme.com/fgd6qg

United Nations Office for Disarmament Affairs. (n.d.). Lethal autonomous weapon systems. https://redirme.com/d5hmxd

ენერგეტიკული დამოუკიდებლობა და მდგრადი განვითარება - საქართველოს ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის შეფასება

რუსუდან დალაქიშვილი
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების
ასოცირებული პროფესორი,
ეკონომიკის დოქტორი

აბსტრაქტი

ნაშრომი შეისწავლის საქართველოს ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის როლს ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობისა და მდგრადი განვითარების მიღწევის პროცესში. კვლევა ეფუძნება ემპირიულ ანალიზს, რომელიც მოიცავს ეროვნული ენერგეტიკული სტატისტიკის, ინფრასტრუქტურული მონაცემების, სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკისა და საკანონმდებლო-ნორმატიული ჩარჩოს შეფასებას. მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოს მდიდარი ჰიდრორესურსები ქმნის მნიშვნელოვან საფუძველს არა მხოლოდ შიდა ენერგომოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებისთვის, არამედ ელექტროენერგიის ექსპორტის ზრდისთვისაც.

კვლევა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ბუნებრივ ჰიდროლოგიურ უპირატესობებზე, მათ შორის მდინარეთა სიმრავლეზე, მყინვარებითა და ნალექებით განპირობებულ მდგრად წყლის რესურსებზე და რელიეფის თავისებურებებზე, რომლებიც ხელსაყრელ პირობებს ქმნის ჰიდროენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. ანალიზი აჩვენებს, რომ ქვეყნის ტექნიკური ჰიდროპოტენციალი მნიშვნელოვნად აღემატება მიმდინარე ენერგომოხმარებას, ხოლო მისი ეკონომიკურად და ეკოლოგიურად მიზანშეწონილი ათვისება უზრუნველყოფს ენერგეტიკული თვითკმარობის მიღწევას.

ნაშრომში განხილულია ასევე ჰიდროენერგეტიკის განვითარების ეკონომიკური, პოლიტიკური და გარემოსდაცვითი ასპექტები. კერძოდ, შეფასებულია ენერგოიმპორტის შემცირების, საექსპორტო შემოსავლების ზრდისა და დასაქმების შესაძლებლობების გაფართოების პერსპექტივები. ამასთან, ყურადღება ეთმობა საქართველოს ინტეგრაციას ევროპულ ენერგეტიკულ სივრცეში, რაც ერთდროულად ქმნის როგორც ახალ შესაძლებლობებს, ისე დამატებით რეგულაციურ და გარემოსდაცვით მოთხოვნებს ჰიდროენერგეტიკული პროექტებისთვის.

კვლევა ასევე გამოყოფს ძირითად გამოწვევებს, რომლებიც უკავშირდება ჰიდროსექტორის განვითარებას, მათ შორის სოციალურ წინააღმდეგობებს, კლიმატის ცვლილების გავლენას, ინფრასტრუქტურის მოძველებასა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების საჭიროებას. ხაზგასმულია, რომ ჰიდროენერგეტიკული პროექტების წარმატებული განხორციელება საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ ეფექტიანობას, ეკოლოგიურ პასუხისმგებლობასა და საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას.

საბოლოოდ, ნაშრომი ასაბუთებს, რომ ჰიდროენერგეტიკა წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ რესურსსა და კონკურენტულ უპირატესობას. მისი ეფექტიანი, მდგრადი და დაბალანსებული განვითარება შეიძლება იქცეს ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობის, ეკონომიკური სტაბილურობისა და რეგიონული ენერგეტიკული ჰაბის სტატუსის განმტკიცების საფუძვლად.

საკვანძო სიტყვები: ჰიდროენერგეტიკა, ენერგეტიკული დამოუკიდებლობა, მდგრადი განვითარება, საქართველო, განახლებადი ენერგია, კლიმატური პოლიტიკა.

Energy Independence and Sustainable Development - Assessment of Georgia's Hydropower Potential

Rusudan Dalakishvili
Associate Professor of Bachelor's program in Management of
LEPL David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia
Doctor of Economics

Abstract

This paper examines the role of Georgia's hydropower potential in the process of achieving the country's energy independence and sustainable development. The study is based on an empirical analysis that includes the assessment of national energy statistics, infrastructure data, state energy policy, and the legislative and regulatory framework. The findings indicate that Georgia's rich hydropower resources provide a significant foundation not only for fully meeting domestic energy demand but also for increasing electricity exports.

The research places particular emphasis on Georgia's natural hydrological advantages, including the abundance of rivers, stable water resources driven by glaciers and precipitation, and the country's distinctive topographical features, all of which create favorable conditions for the development of hydropower infrastructure. The analysis shows that the country's technical hydropower potential significantly exceeds current energy consumption, while its economically and environmentally sound utilization can ensure full energy self-sufficiency.

The paper also discusses the economic, political, and environmental aspects of hydropower development. In particular, it evaluates the prospects for reducing energy imports, increasing export revenues, and expanding employment opportunities. At the same time, attention is given to Georgia's integration into the European energy space, which simultaneously creates new opportunities and imposes additional regulatory and environmental requirements on hydropower projects.

The study further identifies key challenges associated with the development of the hydropower sector, including social resistance, the impacts of climate change, aging infrastructure, and the need to improve the investment environment. It emphasizes that the successful implementation of hydropower projects requires a comprehensive approach that combines economic efficiency, environmental responsibility, and consideration of public interests.

Ultimately, the paper argues that hydropower represents one of Georgia's main strategic resources and competitive advantages. Its effective, sustainable, and balanced development can serve as a foundation for strengthening the country's energy independence, economic stability, and its position as a regional energy hub.

Keywords: hydropower, energy independence, sustainable development, Georgia, renewable energy, climate policy.

შესავალი

თანამედროვე ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ენერგეტიკული დამოუკიდებლობა - ქვეყნის შესაძლებლობა, დააკმაყოფილოს საკუთარი ენერგომოთხოვნა იმპორტზე დამოკიდებულების გარეშე.[1] საქართველოს შემთხვევაში ეს საკითხი განსაკუთრებულ სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს: ქვეყანა, ისტორიული ენერგეტიკული დამოკიდებულებიდან ენერგოდამოუკიდებელ, ექსპორტზე ორიენტირებულ სახელმწიფოდ გარდაქმნის პროცესშია.

საქართველოს კავკასიური ჰიდროლოგიური სისტემა უნიკალური ბუნებრივი კაპიტალია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ 2023 წელს ჩატარებული კვლევების მიხედვით, ქვეყანაში 26 ათასზე მეტი მდინარეა, 800 ზე მეტი ტბა, 51 წყალსაცავი, 700 მდე მყინვარი, უამრავი წყარო და ჭაობია. მრავლადაა მიწისქვეშა მდინარეები და კარსტული წყაროები, ძირითადად დასავლეთ საქართველოში. წყლის რესურსის საერთო მოცულობა 100 კუბური კილომეტრია. ქვეყანაში მიწისქვეშა წყლების საექსპლუატაციო მარაგი 226 კუბური მეტრია წამში. სამხრეთკავკასიის ჰიდროენერგორესურსების 70% საქართველოს ტერიტორიაზეა. ასათვისებელია ეკონომიკური ჰიდროენერგორესურსების 90%. მისი რაციონალურად ათვისების შემთხვევაში, მოხდება ქვეყნის ელექტროენერგიით სრულად უზრუნველყოფა და შესაძლებელია ექსპორტის მოცულობამ 10-12 მილიარდ კილოვატ საათსაც მიაღწიოს, ანუ სამჯერ უფრო მეტს, ვიდრე ენგურჰესი გამოიმუშავებს წლიურად (4.43 მილიარდი კილოვატ საათი).[2] გლობალური ენერგეტიკული გარდამავლობის კონტექსტში, სადაც ნახშირბადის ემისიების შემცირება პარიზის შეთანხმების ვალდებულებებს წარმოადგენს, [3] ჰიდროენერგეტიკა განახლებადი ენერგიების ლიდერად განიხილება. IEA-ს (2023) ანგარიშის მიხედვით, ჰიდროენერგია, გლობალური განახლებადი ელექტრო გამომუშავების 40 %-ს შეადგენს. ამ კონტექსტში საქართველოს ჰიდრო პოტენციალი ეროვნული ენერგეტიკული დამოუკიდებლობისა და კლიმატური ვალდებულებების ერთდროული განხორციელების გზას წარმოადგენს.

---

[1] Daniel Yergin, „The Quest: Energy, Security, and the Remaking of the Modern World“. Penguin Press September 20, 2011

[2] საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ი.ჟორდანიას სახ. საქართველოს საწარმოო ძალებისაა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის 2023 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშის ფორმები, https://gtu.ge/Research/pdf/report/self-eva/file12.pdf#:

[3] United Nations Framework Convention on Climate Change. UNFCCC, 2015

ძირითადი ნაწილი

ენერგეტიკული დამოუკიდებლობა კონცეფციაა, რომელიც მოიცავს ფიზიკურ და ეკონომიკურ ხელმისაწვდომობას, სანდოობასა და ეკოლოგიურ მდგრადობას. კამილ კაიგუსუზიენერგეტიკულ დამოუკიდებლობას განვითარებად ქვეყნებში მდგრადი ზრდის წინაპირობად განიხილავს:[4] ენერგოიმპორტის ხარჯები ეკონომიკური განვითარების ინვესტიციებს ამცირებს, ხოლო ადგილობრივი განახლებადი ენერგიის განვითარება, ამ ენერგეტიკულ სიღარიბეს სტრუქტურულად წყვეტს. საქართველოს შემთხვევაში ეს არგუმენტი განსაკუთრებით ძლიერია: ქვეყანა ყოველწლიურად ასობით მილიონ დოლარს ხარჯავს ენერგოიმპორტზე, მაშინ, როცა ადგილობრივი ჰიდრო პოტენციალი გამოუყენებელია.

IEA-ს ანგარიშის თანახმად, ჰიდროენერგეტიკა გლობალურ ელექტრო სისტემაში, ყველაზე დიდი განახლებადი ენერგიის წყაროა. განვითარებადი ქვეყნების ჰიდრო პოტენციალის 80 % ზე მეტი, ჯერ კიდევ აუთვისებელია.[5]

რაც შეეხება საქართველოში არსებულ მდგომარეობას, ჰიდროლოგიური სიმდიდრე კავკასიის მთიანი ლანდშაფტის პირდაპირი შედეგია. კავკასიის ქედზე კონდენსირებული ნალექები, მყინვარებიდან წამოსული ნადნობი წყლები, და ქვეყნის რელიეფის დახრა, ჰიდრავლიკური ენერგიის განსაკუთრებულ კომბინაციას ქმნის.[6] ძირითადი სამდინარო სისტემები - მტკვრის, რიონის და ენგურის აუზები - ქვეყნის ჰიდროპოტენციალის ძირითად კომპონენტებს წარმოადგენს.

საქართველოს ტექნიკური ჰიდრო პოტენციალი 80 ტერა-ვატ საათს შეადგენს წელიწადში (80 ტრილიონი ვატ საათი წელიწადში; შედარებისთვის, საქართველოს წლიური ელ.ენერგიის მოხმარება დაახლოებით 13-14 ტერა-ვატ საათია), რაც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ საქართველო, სამხრეთ კავკასიაში ყველაზე ჰიდრომდიდარ ქვეყნად დასახელდეს. ეკონომიკურად ეფექტიანი პოტენციალი 40-50 ტერა-ვატ საათს შეადგენს[7], ეკოლოგიურად მისაღები პოტენციალი დაახლოებით 25-30 ტერა-ვატ საათია.

---

[4] Kamil, Kaygusuz, 2012. "Energy for sustainable development: A case of developing countries," Renewable and Sustainable Energy Reviews, Elsevier, vol. 16(2),
2012, გვ.1118-1120)

[5] International Energy Agency, 2023, გვ. 10-15

[6] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2022

2023-2024 წლის მონაცემებით, საქართველოში 80-ზე მეტი ჰიდროელექტროსადგური ოპერირებს სხვადასხვა სიმძლავრით. ყველაზე მსხვილია: ენგურჰესი (1,300 მეგავატი); ვარდნილიჰესი (220 მეგავატი); ჟინვალჰესი (130 მეგავატი); ლაჯანურჰესი (112 მეგავატი) ისინი ქვეყნის მთლიანი ელექტროსიმძლავრის დაახლოვებით 3,500 მეგავატ- ს შეადგენს.[8]

ცხრილი 1: საქართველოს უმსხვილესი ჰიდროელექტროსადგურები (2023) [9]

სადგური	სიმძლავრე	წელი	მდინარე / რეგიონი
ენგური HES	1,300 MW	1978	ენგური, სამეგრელო-ზემო სვანეთი
ვარდნილი I-IV	220 MW	1969-87	ვარდნილი, სვანეთი
ჟინვალი HES	130 MW	1986	არაგვი, მცხეთა-მთიანეთი
ლაჯანური HES	112 MW	1958	ხობისწყალი, სამეგრელო
ნამახვანი HES (მშენებ.)	333 MW	2024+	რიონი, რაჭა-ლეჩხუმი

საქართველოს 2021-2030 წლების ეროვნული ენერგეტიკული და კლიმატური გეგმა 4500 მეგავატამდე ჰიდროსიმძლავრის მიღებას ისახავს მიზნად (Government of Georgia, 2019). ამ გეგმის შესრულება ქვეყანას ჰიდრო ექსპორტიდან წლიური 700-900 მლნ დოლარის სავალუტო შემოსავლის მიღების საშუალებას მისცემს.[10]

ექსპორტის ძირითადი სამიზნე ბაზრებია: თურქეთი (ამჟამად საქართველოს ენერგოექსპორტის 70-80%), სომხეთი და BSEC (ბისეკის პროექტის) ფარგლებში ევროკავშირი (პაპავა, 2021, გვ 153-157). განსაკუთრებით საგულისხმოა ევროპის მწვანე ენერგიის ბაზარი, რომელიც მნიშვნელოვან სტრატეგიულ შესაძლებლობას წარმოადგენს, ვინაიდან ნახშირბადის ლიცენზიის ზრდის ფონზე, ევროპა სულ უფრო ძვირადღირებულ ფოსილურ საწვავის (fossil fuel - ნავთობი, ბუნებრივი გაზი, ქვანახშირი) ელექტროენერგიას ყიდულობს.

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი სტრატეგიული დოკუმენტია 2019 წელს მიღებული ეროვნული ენერგეტიკული და კლიმატური გეგმა 2021-2030. რომე-

[9] *Georgian National Energy and Water Supply Regulatory Commission (2023, pp. 28-34)*
[10] World Bank, 2023, pp. 34-38

ლიც სამ ძირითად მიზანზეა ორიენტირებული: ენერგეტიკული შიდა ბაზრის სტაბილიზაცია; განახლებადი ენერგიის წილის 70 % მდე გაზრდა და ენერგეტიკული ექსპორტის გამრავალფეროვნება.

ენერგეტიკის სფეროს მარეგულირებელია საქართველოს ეროვნული ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისია (GNERC). ამ ორგანიზაციის 2023 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოში 38 ელექტროგადამამუშავებელი ლიცენზიის მქონე კომპანია ოპერირებს, საიდანაც 31 ჰიდროსადგურებს ფლობს.

2014 წელს გაფორმებული ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულება ენერგეტიკული სექტორის ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციას ავალდებულებს. Energy Community - ის წევრობა , რომელიც 2016 წელს ამოქმედდა, ქვეყანას ევროპული ენერგეტიკული სამართლის ეტაპობრივ გადმოტანას სთხოვს რაც ჰიდროსექტორზე ორმაგ გავლენას ახდენს: ერთის მხრივ, ევროპული ბაზრის ხელმისაწვდომობა ჰიდროექსპორტის ეკონომიკურ სტიმულს ქმნის, ხოლო მეორეს მხრივ ევროპული გარემოსდაცვითი სტანდარტები (Water Framework Directive) ახალი ჰიდროპროექტების სტანდარტებს ამკაცრებს.

Asian Development Bank-ის (ADB, 2022) შეფასებით, საქართველოს ჰიდროსექ-ტორში 2030 წლამდე 4-6 მლრდ. დოლარის ინვესტიციაა საჭირო.

ჰიდრო სექტორის სრული განვითარება, ეკონომიკური სარგებლის ოთხ კატეგორიას მოიცავს. პირველი: ენერგოიმპორტის შემცირება - 2022 წელს საქართველომ ელ.ენერგიის იმპორტზე დაახლოვებით 180 მლნ დოლარი დახარჯა; მეორე: ექსპორტის შემოსავლები 700-900 მლნ. დოლარი წელიწადში; მესამე: 50,000-80,000 სამუშაო ადგილი - განსაკუთრებულად, ეკონომიკურად ჩამორჩენილ მთიან რეგიონებში; მეოთხე: ენერგეტიკული სტაბილიზაცია, რაც უცხოურ საინვესტიციო გარემოს აუმჯობესებს.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ენერგოსექტორის განვითარებას საქართველოში აქვს პერსპექტივა, რისთვისაც საჭიროა: ახალი ჰიდროპროექტებისთვის ხელშეწყობა - ყველა ახალი ჰიდროპროექტისთვის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება ევროპული სტანდარტების (Water Framework Directive) მიხედვით; GNERC -ის ინსტიტუციური გაძლიერება, რაც გულისხმობს მარეგულირებლის ბიუჯეტის, კვალიფიციური კადრებისა და ოპერაციული დამოუკიდებლობის გაზრდა; ძველი ჰესების ტექნიკური აუდიტი და რეაბილიტაცია; კანონმდებლობის სრულყოფა, ევროპული სტანდარტების საკანონმდებლო ბაზის უზრუნველყოფა; რეგიონული ჰიდრო თანამშრომლობა სომხეთთან, თურქეთთან, აზერბაიჯანთან და ა.შ

დასკვნა

როგორც ნაშრომში ჩატარებული ანალიზი ცხადყოფს, საქართველოს ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი წარმოადგენს ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობისა და მდგრადი განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს. არსებული შეფასებების მიხედვით, ქვეყნის ტექნიკური ჰიდროპოტენციალი (დაახლოებით 80 ტერა-ვატსაათი წელიწადში) მნიშვნელოვნად აღემატება საქართველოს მიმდინარე ენერგომოხმარებას, ხოლო მისი ეკონომიკურად და ეკოლოგიურად მიზანშეწონილი ათვისება (25-30 ტერა-ვატსაათი) სრულიად საკმარისია ენერგეტიკული თვითკმარობის უზრუნველსაყოფად და დამატებითი საექსპორტო რესურსის შესაქმნელად.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ამ პოტენციალის გამოყენება ჯერ კიდევ შეზღუდულია და დაახლოებით 25-30%-ის ფარგლებში მერყეობს, რაც განპირობებულია რიგი ფაქტორებით, მათ შორის ინსტიტუციური სისუსტეებით, ფინანსური რესურსების ნაკლებობით, საინვესტიციო რისკებითა და გარემოსდაცვითი რეგულაციების სირთულით. ამასთან, ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი ჰიდროენერგეტიკის სექტორისთვის ორმაგ როლს ასრულებს: ერთი მხრივ, ქმნის ახალ ეკონომიკურ შესაძლებლობებს და ზრდის ექსპორტის პოტენციალს, ხოლო მეორე მხრივ, აყენებს უფრო მკაცრ გარემოსდაცვით და ტექნიკურ სტანდარტებს, რაც ზრდის პროექტების განხორციელების სირთულეს.

განსაკუთრებით საყურადღებოა ჰიდროსექტორის წინაშე მდგარი თანამედროვე გამოწვევები. კლიმატის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჰიდროლოგიურ რეჟიმებზე და ზრდის წყალმომარაგების არასტაბილურობის რისკს; სოციალური წინააღმდეგობები, როგორიც იყო ნამახვანჰესის პროექტის გარშემო განვითარებული პროცესები, მიუთითებს საზოგადოების ჩართულობისა და კომუნიკაციის გაუმჯობესების აუცილებლობაზე; ხოლო არსებული ინფრასტრუქტურის ნაწილის მოძველება საჭიროებს რეაბილიტაციასა და ტექნოლოგიურ განახლებას.

ამ კონტექსტში, ჰიდროენერგეტიკის მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელია კომპლექსური და გრძელვადიანი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც მოიცავს ინსტიტუციური ჩარჩოს გაძლიერებას, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას, საერთაშორისო პარტნიორობის გაღრმავებას და გარემოსდაცვითი სტანდარტების მკაცრ დაცვას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების აქტიურ ჩართულობასა და გამჭვირვალე გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, რაც ხელს შეუწყობს სოციალური კონფლიქტების შემცირებას და პროექტების წარმატებით განხორციელებას.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ჰიდროენერგეტიკული რესურსები წარმოადგენს არა მხოლოდ ენერგეტიკული სექტორის განვითარების საფუძველს, არამედ ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერების, ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფისა და რეგიონული ენერგეტიკული ჰაბის ფუნქციის დამკვიდრების მნიშვნელოვან წინაპირობას. მათი ეფექტიანი, დაბალანსებული და პასუხისმგებლიანი გამოყენება იქნება საქართველოს მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა.

ბიბლიოგრაფია

თვალჭრელიძე, სილაგაძე ჟ. „ახალი ეკონომისტი“ #1-2, 2019;

პაპავა ვ. ჟ ეკონომიკა 21-ე საუკუნე. კონფერენციის მასალები, ს„სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის თავისებურებებიპანდემიის პირობებში“ 2021

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მასალები 2022, 2024, 2025

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი

Kaygusuz, Kamil, 2012. "Energy for sustainable development: A case of developing countries," Renewable and Sustainable Energy Reviews, Elsevier, vol. 16(2),

Yergin Daniel. The Quest: Energy, Security, and the Remaking of the Modern World. Penguin Press September 20, 2011

https://gtu.ge/Research/pdf/report/self-eva/file12.pdf#: გადამოწმებულია 31.03.2026

ალგორითმული ომის ეპოქა: ხელოვნური ინტელექტის გავლენა კიბეროპერაციებსა და საერთაშორისო შეკავების პოლიტიკაზე

სოფიკო ცხელიშვილი
გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის
კადეტთა სამხედრო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის
წამყვანი მასწავლებელი

თათია მარდალეიშვილი
გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის
კადეტთა სამხედრო სკოლის
ინგლისური ენის მენტორი მასწავლებელი
ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი

აბსტრაქტი

ოცდამეერთე საუკუნის გეოპოლიტიკური ლანდშაფტი ფუნდამენტურ ტრანსფორმაციას განიცდის, რაც პირდაპირ უკავშირდება ხელოვნური ინტელექტის (AI) სამხედრო და უსაფრთხოების სფეროებში ინტეგრაციას. ნაშრომი მიზნად ისახავს ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული კიბეროპერაციების გავლენის კომპლექსურ ანალიზს გლობალური სტაბილურობის, სტრატეგიული შეკავებისა და ეთიკური ნორმების კონტექსტში. კვლევის ფარგლებში განხილულია რვა წამყვანი აკადემიური წყაროს სინთეზი, რაც საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს ტექნოლოგიური პროგრესით გამოწვეული ახალი სტრატეგიული დილემები, რომლებიც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო წესრიგის მდგრადობას.

ნაშრომის ცენტრალურ თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს „შესაძლებლობა/მოწყვლადობის პარადოქსი“, რომლის თანახმადაც სახელმწიფოების მიერ მოპოვებული ალგორითმული უპირატესობა პარალელურად ზრდის მათ დამოკიდებულებას ციფრულ ინფრასტრუქტურაზე, რაც ახალ სტრატეგიულ დაუცველობას წარმოშობს. ხელოვნური ინტელექტის ავტონომიურობა და გადაწყვეტილების მიღების ჰიპერ-სისწრაფე რადიკალურად ცვლის „უსაფრთხოების დილემას“. კვლევა აჩვენებს, რომ ალგორითმული ინტერაქციების გაუმჭვირვალობამ შესაძლოა გამოიწვიოს გაუთვალისწინებელი შეიარაღებული ესკალაცია, სადაც მანქანური ლოგიკის შეცდომა ხდება კინეტიკური კონფლიქტის ტრიგერი. ამავდროულად, განხილულია „ნორმატიული დუმილის“ ფენომენი საერთაშორისო სამართალში, რაც სახელმწიფოებს აძლევს საშუალებას გამოიყენონ ხელოვნური ინტელექტი სუბვერსიული კიბეროპერაციებისა და ინფორმაციული მანიპულაციებისთვის ყოველგვარი ფორმალური სანქციების შიშის გარეშე, რაც კიდევ უფრო ამწვავებს გლობალურ უნდობლობას.

ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა „ეთიკა დიზაინით“ (Ethics by Design) პრინციპის იმპერატიულობას. ავტონომიური სისტემების დანერგვა არ უნდა ნიშნავდეს მორალური პასუხისმგებლობის სრულ დელეგირებას ალგორითმებზე. პირიქით, აუცილებელია „ადამიანის ჩართულობის“ (Human-in-the-loop) მექანიზმების შენარჩუნება მორალური ანგარიშ–ვალდებულების უზრუნველსაყოფად. მანქანური სწავლების მოდელების ტექნიკური სიმყიფე და მონაცემთა მანიპულაციისადმი მგრძნობელობა მოითხოვს ვალიდაციისა და ვერიფიკაციის მკაცრი სტანდარტების დაწესებას ეროვნული უსაფრთხოების დონეზე, რათა თავიდან იქნას აცილებული კატასტროფული ტექნიკური შეცდომები კრიტიკულ სიტუაციებში.

დასკვნის სახით, ნაშრომი გვთავაზობს სტრატეგიულ ხედვას, რომლის მიხედვითაც გლობალური მშვიდობის შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული „ალგორითმული წითელი ხაზებისა“ და გამჭვირვალობის ნორმების შემუშავების გზით. ხელოვნური

ინტელექტი არ ცვლის ომის ბუნებას, თუმცა ფუნდამენტურად გარდაქმნის მის ხასიათს, რაც აიძულებს თანამედროვე სახელმწიფოებს, გადავიდნენ აგრესიული ტექნოლოგიური პოზიციონირებიდან სისტემური მდგრადობისა და მორალური პასუხისმგებლობის პარადიგმაზე. კვლევა ადასტურებს, რომ ტექნოლოგიური ავტონომია მხოლოდ მკაცრი ეთიკური მმართველობის პირობებში შეიძლება იქცეს უსაფრთხოების გარანტად. წინამდებარე ანალიზი ხაზს უსვამს აუცილებლობას, რომ სამხედრო დოქტრინები ადაპტირდეს ხელოვნური ინტელექტის ეპოქის გამოწვევებთან, რათა ტექნოლოგიურმა რევოლუციამ არ დაარღვიოს გლობალური სტაბილურობის ისედაც მყიფე ბალანსი.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნური ინტელექტი, კიბეროპერაციები, შესაძლებლობა/მოწყვლადობის პარადოქსი, ესკალაცია, ეთიკა დიზაინით.

The Era of Algorithmic Warfare: The Impact of Artificial Intelligence on Cyber Operations and Strategic Deterrence Policy

Sopiko Tskhelishvili
Leading teacher of Georgian language and literature of
General Giorgi Kvinitadze Cadet Military School,

Tatia Mardaleichvili
English Language Mentor Teacher of
General Giorgi Kvinitadze Cadet Military School,
Academic Doctor of Philology

Abstract

The geopolitical landscape of the twenty-first century is undergoing a fundamental transformation, directly linked to the integration of Artificial Intelligence (AI) into the military and security domains. This paper aims to provide a complex analysis of the impact of AI-driven cyber operations within the context of global stability, strategic deterrence, and ethical norms. The study synthesizes eight leading academic sources to identify new strategic dilemmas caused by technological progress that threaten the sustainability of the international order.

The central theoretical framework of the research is the "capability/vulnerability paradox," which suggests that the algorithmic advantage gained by states simultaneously increases their dependence on digital infrastructure, thereby creating new strategic vulnerabilities. The autonomy of artificial intelligence and the hyper-speed of decision-making are radically altering the "security dilemma." The research demonstrates that the opacity of algorithmic interactions may lead to unintended armed escalation, where a machine-logic error becomes a trigger for kinetic conflict. Concurrently, the paper examines the phenomenon of "normative silence" in international law, which allows states to utilize AI for subversive cyber operations and information warfare without fear of formal sanctions, further exacerbating global mistrust.

Particular attention is devoted to the imperativeness of the "Ethics by Design" principle. The implementation of autonomous systems must not imply the total delegation of moral responsibility to algorithms. On the contrary, maintaining "Human-in-the-loop" mechanisms is essential to ensure moral accountability. The technical brittleness of machine learning models and their sensitivity to data manipulation necessitate the establishment of rigorous validation and verification standards at the national security level to prevent catastrophic technical errors in critical situations.

In conclusion, the paper offers a strategic vision suggesting that the maintenance of global peace is only possible through the development of internationally agreed-upon "algorithmic red lines" and transparency norms. Artificial intelligence does not change the nature of war, but it fundamentally transforms its character, forcing modern states to shift from aggressive technological positioning toward a paradigm of systemic resilience and moral responsibility. The study confirms that technological autonomy can only serve as a guarantor of security under conditions of strict ethical governance. This analysis emphasizes the necessity for military doctrines to adapt to the challenges of the AI era so that the technological revolution does not disrupt the already fragile balance of global stability.

Keywords: Artificial Intelligence, Cyber Operations, Capability/Vulnerability Paradox, Escalation, Ethics by Design.

შესავალი

ოცდამეერთე საუკუნის გეოპოლიტიკური ლანდშაფტი ფუნდამენტურ ცვლილებებს განიცდის, რაც პირდაპირ კავშირშია ციფრული ტექნოლოგიების, კერძოდ კი ხელოვნური ინტელექტის (AI) სამხედრო სფეროში ინტეგრაციასთან. თანამედროვე სახელმწიფოთა უსაფრთხოება აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ტრადიციული სახმელეთო ან საჰაერო თავდაცვით; დღეს ძალაუფლების მთავარი წყარო ალგორითმულ უპირატესობასა და მონაცემთა მართვის სისწრაფეში მდგომარეობს. ხელოვნური ინტელექტი განიხილება როგორც „ორმაგი დანიშნულების" ტექნოლოგია, რომელიც ერთდროულად გამოიყენება სამოქალაქო პროგრესისთვის და სახელმწიფოებს შორის დაპირისპირების ახალი მექანიზმების შესაქმნელად (Hoadley & Lucas, 2018).[1] ამ კონტექსტში, სამხედრო შესაძლებლობების ევოლუცია აღარ მიჰყვება წრფივ გზას, არამედ ქმნის დინამიკურ სისტემებს, სადაც გადაწყვეტილების მიღების პროცესი ადამიანურ შესაძლებლობებს სცდება. როდესაც ვსაუბრობთ ავტონომიურ სისტემებზე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მათი ინტელექტი და დამოუკიდებლობის ხარისხი პირდაპირ გავლენას ახდენს გლობალური სტაბილურობის შენარჩუნებაზე. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ ასეთი ტექნოლოგიების დანერგვა NSID (ეროვნული უსაფრთხოება, დაზვერვა და თავდაცვა) ოპერაციებში მოითხოვს არა მხოლოდ ტექნიკურ სრულყოფას, არამედ მყარი ეთიკური ჩარჩოების არსებობას, რათა თავიდან იქნას აცილებული გაუთვალისწინებელი შედეგები და მორალური დილემები[2]. შესაბამისად, ხელოვნური ინტელექტის როლი კიბეროპერაციებში დღეს წარმოადგენს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ ინოვაციას, არამედ გლობალური უსაფრთხოების ახალ პარადიგმას, რომელიც აიძულებს სახელმწიფოებს გადახედონ შეკავების კლასიკურ თეორიებს.

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიულ ჭრილში, ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია თავდაცვით მექანიზმებში წარმოშობს ე.წ. „შესაძლებლობა/მოწყვლადობის პარადოქსს". ეს კონცეფცია გულისხმობს, რომ რაც უფრო მეტად ხდება სახელმწიფო დამოკიდებული მაღალტექნოლოგიურ და ციფრულ რესურსებზე სამხედრო უპირატესობის მოსაპოვებლად, მით უფრო იზრდება მისი სტრატეგიული დაუცველობა იმავე რესურსების

[1]D. S. Hoadley, N. J. Lucas, *Artificial intelligence and national security* (CRS Report No. R45178). Congressional Research Service. (2018). https://redirme.com/ftneym

[2] J. R. Shook, T. Solymosi, J.Giordano, Ethical constraints and contexts of artificial intelligent systems in national security, intelligence, and defense/military operations. In Y. R. Masakowski (Ed.), *Artificial intelligence and global security: Future trends, threats and considerations* (pp. 137–152). Emerald Publishing Limited. (2020). https://doi.org/10.1108/978-1-78973-811-720201008

წინააღმდეგ მიმართული კიბეროპერაციების მიმართ[3] . ალგორითმული გადაწყვეტილებების სისწრაფე მკვეთრად ამცირებს კრიზისების მართვისთვის საჭირო დროს, რაც ზრდის გაუთვალისწინებელი ესკალაციის საფრთხეს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთის შესაძლებლობებს ბუნდოვნად აღიქვამენ. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მოლოდინი კიბერ-უსაფრთხოების გლობალური დილემის გამწვავების შესახებ, ემპირიული კვლევები აჩვენებს, რომ სახელმწიფოები ხშირად იჩენენ თავშეკავებას და ცდილობენ, კიბერ-კონფლიქტები კინეტიკურ დაპირისპირებაში არ გადაიზარდოს.[4] ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კრიზისული ქცევის მოდელირებას, რადგან ისტორიული გამოცდილება მოწმობს, რომ ძალადობრივი ტრიგერით დაწყებული ინციდენტები უფრო მეტად მიდრეკილია მასშტაბური ომისკენ, ვიდრე მხოლოდ ინფორმაციული ან პოლიტიკური აქტები. [5] შესაბამისად, ხელოვნური ინტელექტი არა მხოლოდ აჩქარებს სამხედრო მოქმედებებს, არამედ აიძულებს მკვლევარებს, ხელახლა შეაფასონ, თუ სად გადის ზღვარი ლეგიტიმურ თავდაცვასა და აგრესიულ ესკალაციას შორის.

აკადემიურ დებატებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ნორმატიულ ჩარჩოებს, რაც გულისხმობს „ეთიკის დიზაინით“ (Ethics by Design) პრინციპის დანერგვას ტექნოლოგიურ განვითარებაში. წინასწარ განსაზღვრული ალგორითმული წესები გადამწყვეტია ავტონომიური სისტემების ქცევის პროგნოზირებისთვის, რადგან მათი გადაწყვეტილებები ხშირად გაუმჭვირვალეა და ე.წ. „შავ ყუთს“ (black box) წარმოადგენს. იმის გამო, რომ საერთაშორისო სამართალი ჯერჯერობით არ გვთავაზობს მკაფიო რეგულაციებს მშვიდობიან პერიოდში წარმოებული კიბერ-დაზვერვისა და ჯაშუშობის შესახებ, სახელმწიფოები ხშირად იყენებენ ამ სამართლებრივ ვაკუუმს საკუთარი სტრატეგიული მიზნების მისაღწევად[6]. ეს ბუნდოვანება კიდევ უფრო ართულებს პასუხისმგებლობის საკითხს: ვინ არის რეალურად ანგარიშვალდებული, როდესაც ავტონომიური სისტემა არასწორ სამხედრო ან ეთიკურ არჩევანს აკეთებს, პროგრამისტი, ოპერატორი თუ თავად სახელმწიფო? კიბერ-უსაფრთხოების ეფექტური მართვა მოითხოვს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ მზაობას საფრთხეების პროგნოზირებისთვის, არამედ იმის

[3] J.Schneider, The capability/vulnerability paradox and military revolutions: Implications for computing, cyber, and the onset of war. *Journal of Strategic Studies*, *42* (6), (2019). 841–863. https://doi.org/10.1080/01402390.2019.1627209

[4] C. E. Beckerman, Is there a cyber security dilemma? *Journal of Cybersecurity*, *8*(1), tyac012. (2022). https://doi.org/10.1093/cybsec/tyac012

[5] P.James, What do we know about crisis, escalation and war? A visual assessment of the International Crisis Behavior Project. *Conflict Management and Peace Science*, *36*(1), 1–17. (2018). https://doi.org/10.1177/0738894218793135

[6] D. Broeders, Cyber intelligence and international security: Breaking the legal and diplomatic silence? *Intelligence and National Security*, *39*(7), 1213–1229. (2024). https://doi.org/10.1080/02684527.2024.2398077

აღიარებასაც, რომ მანქანური სწავლება ვერასოდეს ჩაანაცვლებს ადამიანურ მორალურ პასუხისმგებლობას კრიტიკულ სიტუაციებში.[7] შესაბამისად, თანამედროვე გეოპოლიტიკაში AI აღარ აღიქმება მხოლოდ როგორც იარაღი, არამედ როგორც კომპლექსური სოციო-ტექნიკური სისტემა, რომლის მართვაც გლობალურ კონსენსუსს საჭიროებს.

გლობალური უსაფრთხოების ტრანსფორმაციის პროცესში, ხელოვნური ინტელექტის ფაქტორი გადამწყვეტ როლს თამაშობს სახელმწიფოების მიერ ძალის დემონსტრირებისა და სტრატეგიული თავშეკავების მექანიზმებში. ამ კონტექსტში, სამხედრო უწყებებისთვის კრიტიკულ გამოწვევად რჩება ე.წ. „ტექნიკური ვალის" (technical debt) დაგროვება, რაც გულისხმობს სისტემების ნაჩქარევ დანერგვას მათი უსაფრთხოების ფუნდამენტური შესწავლის გარეშე, რაც ზრდის კატასტროფული შეცდომების რისკს. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული შეიარაღების უკონტროლო რბოლა ციფრულ სივრცეში, აუცილებელია საერთაშორისო დონეზე ისეთი ნორმების შემუშავება, რომლებიც დაარეგულირებს ავტონომიური სისტემების ქცევას და უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას ჰუმანიტარული სამართლის პრინციპებთან. საბოლოო ჯამში, ხელოვნური ინტელექტი არ ცვლის ომის ფუნდამენტურ ბუნებას, თუმცა რადიკალურად ცვლის მის ხასიათს, სიჩქარესა და მასშტაბებს, რაც აიძულებს თანამედროვე ლიდერებს, მართვის პროცესში დააბალანსონ ალგორითმული ეფექტურობა და ადამიანური პასუხისმგებლობა[8]. წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს სწორედ ამ კომპლექსური ურთიერთმიმართებების ანალიზს და იმ სტრატეგიული გზების ძიებას, რომლებიც ხელს შეუწყობს გლობალური სტაბილურობის შენარჩუნებას ტექნოლოგიური რევოლუციის პირობებში.

ძირითადი ნაწილი

ხელოვნური ინტელექტი და შესაძლებლობა/მოწყვლადობის პარადოქსი

სახელმწიფოების მიერ სამხედრო ოპერაციებში ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია ქმნის სტრატეგიულ მოცემულობას, რომელიც აკადემიურ ლიტერატურაში „შესაძლებლობა/მოწყვლადობის პარადოქსის" სახელით არის ცნობილი. მოცემული თეორიის თანახმად, ტექნოლოგიური რევოლუცია, რომელიც ერთი მხრივ ზრდის სახელმწიფოს საბრძოლო პოტენციალს, მეორე მხრივ აჩენს კრიტიკულ დამოკიდებულებას ციფრულ ინფრასტრუქტურაზე, რაც მოწინააღმდეგეს აძლევს მოწყვლადი წერტილების ექსპლუატაციის შესაძლებლობას. ავტონომიური სისტემების ეფექტურობა პირდაპირკავშირშია მონაცემთა

[7] J.Jacobs, S.Romanosky, I.Adjerid, W.Baker, Improving vulnerability remediation through better exploit prediction. *Journal of Cybersecurity*, *6*(1), tyaa015. (2020). https://doi.org/10.1093/cybsec/tyaa015
[8] Ibid. J. R.Shook, T.Solymosi, J.Giordano, (2020).

უწყვეტ ნაკადთან და ალგორითმულ სიზუსტესთან, თუმცა სწორედ ეს დამოკიდებულება ხდის მაღალტექნოლოგიურ არმიებს განსაკუთრებულად მგრძნობიარეს კიბერ-დივერსიების მიმართ. ამ პირობებში, სახელმწიფოებს უჩნდებათ სტიმული ე.წ. „პრევენციული დარტყმისთვის", რათა მწყობრიდან გამოიყვანონ მოწინააღმდეგის ციფრული მართვის ცენტრები მანამ, სანამ ისინი სრულად ამოქმედდებიან. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ხელოვნური ინტელექტი აღიქმება როგორც „ოვნი-გამოყენებადი" (omni-use) ტექნოლოგია, რომლის გავლენაც ვრცელდება ლოგისტიკიდან დაზვერვამდე, რაც ნიშნავს, რომ ნებისმიერი სისტემური ხარვეზი შეიძლება გადაიზარდოს ეროვნული მასშტაბის კატასტროფაში. ამდენად, სამხედრო უპირატესობის მოპოვების მცდელობა ავტომატურად ზრდის უსაფრთხოების რისკებს, რადგან ტექნოლოგიური სირთულე ხშირად აჭარბებს მისი ეფექტური კონტროლისა და დაცვის მექანიზმებს.[9]

ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია კიბეროპერაციებში ფუნდამენტურად ცვლის „უსაფრთხოების დილემის" კლასიკურ გაგებას, რადგან ალგორითმული სისტემების ავტონომიურობა ზრდის გაუთვალისწინებელი ესკალაციის რისკს. როდესაც სახელმწიფოები იყენებენ AI-ს კიბერ-თავდაცვისა და თავდასხმისთვის, იქმნება სიტუაცია, სადაც თავდაცვითი მიზნით გადადგმული ნაბიჯები მოწინააღმდეგის მიერ აღიქმება როგორც პირდაპირი აგრესია, რაც „შეკავების" ტრადიციულ მექანიზმებს ნაკლებეფექტურს ხდის. ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება გადაწყვეტილების მიღების სისწრაფეს: ავტონომიური სისტემები მოქმედებენ მილიწამებში, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს ადამიანური დიპლომატიის ჩართულობას კრიზისის მწვავე ფაზაში და ზრდის შემთხვევითი კონფლიქტის ალბათობას . მიუხედავად ტექნოლოგიური წინსვლისა, მანქანური სწავლების მოდელები კვლავ ინარჩუნებენ „მოწყვლადობის მაღალ ხარისხს" მანიპულაციური მონაცემების მიმართ, რაც იმას ნიშნავს, რომ არასწორმა პროგნოზმა შეიძლება სახელმწიფოს უბიძგოს ნაადრევი სამხედრო პასუხისკენ[10]. საერთაშორისო უსაფრთხოების კონტექსტში, ეს დინამიკა ქმნის „არაპროგნოზირებად ინტერაქციებს" სახელმწიფოებს შორის, სადაც კიბერ-ინციდენტები შესაძლოა გადაიზარდოს კინეტიკურ ომში არა წინასწარი განზრახვით, არამედ ალგორითმული შეცდომების კასკადური ეფექტის გამო. შესაბამისად, ხელოვნური ინტელექტის როლი კიბეროპერაციებში მოითხოვს ახლებურ ნორმატიულ მიდგომას, რათა ტექნოლოგიური სისწრაფე არ გახდეს გლობალური დესტაბილიზაციის მთავარი კატალიზატორი.

[9] Ibid. J. R.Shook, Solymosi, J. Giordano, (2020).
[10] Ibid. J. Jacobs, S. Romanosky, I.Adjerid, W.Baker, (2020).

გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურაში ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია რადიკალურად ცვლის დაზვერვისა და ფარული მოქმედებების (covert action) ტრადიციულ გაგებას, რაც სახელმწიფოებს შორის „ციფრული ჯაშუშობის“ უპრეცედენტო მასშტაბებს განაპირობებს. თანამედროვე პირობებში, კიბერ-დაზვერვა აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ინფორმაციის შეგროვებით; იგი გარდაიქმნა სტრატეგიული ზეგავლენის ინსტრუმენტად, რომელიც იყენებს საერთაშორისო სამართლის „დიპლომატიურ დუმილს“ და მოქმედებს ე.წ. ნაცრისფერ ზონებში, სადაც ზღვარი ლეგიტიმურ სახელმწიფო საქმიანობასა და აგრესიულ ჩარევას შორის მაქსიმალურად ბუნდოვანია. ავტონომიური ალგორითმების გამოყენება სახელმწიფოებს აძლევს შესაძლებლობას, განახორციელონ ინფორმაციული მანიპულაციები და სოციალური დესტაბილიზაცია იმგვარი სისწრაფით, რომელიც აღემატება ადამიანური რეაგირების შესაძლებლობებს, რაც თავის მხრივ ქმნის „სუბვერსიულ ტრილემას“ — ბალანსს ოპერაციის სისწრაფეს, ეფექტურობასა და ფარულობას შორის. მიუხედავად იმისა, რომ AI ზრდის ოპერაციულ შესაძლებლობებს, იგი პარალელურად აძლიერებს „ტექნოლოგიური ანამნეზის“ რისკს, როდესაც სისტემის მიერ გენერირებული გადაწყვეტილებები მოკლებულია მორალურ კონტექსტს და ეყრდნობა მხოლოდ მშრალ მონაცემებს, რაც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო ნორმების სტაბილურობას. ამ ფონზე, კიბერსივრცეში ძალთა ბალანსის შენარჩუნება მოითხოვს არა მხოლოდ თავდაცვითი ბარიერების გაძლიერებას, არამედ იმის გააზრებასაც, რომ ხელოვნური ინტელექტით აღჭურვილი დაზვერვა ხშირად ხდება „უსაფრთხოების დილემის“ მთავარი მამოძრავებელი, რადგან მოწინააღმდეგის მიერ ნებისმიერი შეღწევა აღიქმება როგორც ეგზისტენციალური საფრთხე. შესაბამისად, ავტონომიური სისტემების მიერ წარმოებული კიბეროპერაციები საჭიროებს მკაცრ ნორმატიულ ჩარჩოებს, რათა თავიდან იქნას აცილებული შეიარაღებული კონფლიქტის პროვოცირება გაუთვალისწინებელი ალგორითმული ინტერაქციების შედეგად.[11]

კიბერ-თავდაცვის სტრატეგიულ გაძლიერებაში მანქანური სწავლების ალგორითმები ცენტრალურ ადგილს იკავებს, რადგან ისინი გვთავაზობენ საფრთხეების პროგნოზირების რადიკალურად ახალ შესაძლებლობებს, თუმცა პარალელურად წარმოშობენ ტექნიკური მართვის კომპლექსურ გამოწვევებს. თანამედროვე კვლევები მოწმობს, რომ ML მოდელებს შეუძლიათ 90%-ზე მაღალი სიზუსტით მოახდინონ სახელმწიფო დონეზე ორგანიზებული კიბერ-შეტევების იდენტიფიცირება, მაგრამ ამავე დროს, მონაცემთა შიდა მიკერძოება

[11] Ibid. D. S. Hoadley, N. J. Lucas, (2018).

ხშირად იწვევს ე.წ. „ცრუ განგაშის“ (false positives) ზრდას, რაც ავტომატიზებულ რეაგირებას არაპროგნოზირებადს ხდის. ავტონომიური თავდაცვითი სისტემების ეფექტურობა პირდაპირკავშირშია მათ უნართან, მოერგონ მუდმივად ცვალებად ციფრულ გარემოს, თუმცა გადაწყვეტილების მიღების პროცესში „ადამიანის ჩართულობის“ (human-in-the-loop) დონის შემცირება ზრდის კატასტროფული ტექნიკური შეცდომების ალბათობას, რაც ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში დაუშვებელია. ამ პირობებში, კიბერ-ესკალაციის თავიდან ასაცილებლად კრიტიკულად მნიშვნელოვანი ხდება კრიზისული ქცევის მოდელირება და იმის გააზრება, რომ ნებისმიერი ალგორითმული რეაგირება მოწინააღმდეგის მიერ შესაძლოა აღქმული იყოს როგორც მიზანმიმართული სამხედრო პროვოკაცია. იმის გამო, რომ მაღალტექნოლოგიური სახელმწიფოები სულ უფრო მეტად ხდებიან დამოკიდებულნი ამ ავტომატიზებულ სისტემებზე, იქმნება სტრატეგიული დაუცველობის ახალი ფორმა, სადაც ალგორითმული მანიპულაცია შეიძლება გახდეს უფრო დამანგრეველი, ვიდრე ტრადიციული ფიზიკური შეტევა[12] . შესაბამისად, ხელოვნური ინტელექტის დანერგვა კიბერ-თავდაცვაში მოითხოვს არა მხოლოდ პროგრამულ სრულყოფას, არამედ მუდმივ მონიტორინგს, რათა ტექნოლოგიურმა უპირატესობამ არ წარმოშვას მართვის დაკარგვის ეგზისტენციალური რისკები.

ავტონომიური სისტემების დანერგვა სამხედრო-სტრატეგიულ დონეზე წარმოშობს პასუხისმგებლობისა და „მორალური აგენტობის“ ახალ განზომილებას, რაც პირდაპირ აისახება საერთაშორისო უსაფრთხოების სტაბილურობაზე. როდესაც გადაწყვეტილების მიღების პროცესი დელეგირებულია ალგორითმებზე, იქმნება ე.წ. „პასუხისმგებლობის ვაკუუმი“, სადაც რთული ხდება იმის დადგენა, თუ ვინ არის მორალურად ან სამართლებრივად ანგარიშვალდებული სისტემის მიერ დაშვებულ შეცდომებზე. აკადემიური დისკურსი ხაზს უსვამს, რომ ხელოვნური ინტელექტის მქონე იარაღი არ უნდა განიხილებოდეს როგორც იზოლირებული მექანიზმი, არამედ როგორც „სოციო-ტექნიკური ქსელის“ ნაწილი, სადაც ადამიანური ზედამხედველობა მუდმივად უნდა ინარჩუნებდეს კრიტიკულ როლს ამ კონტექსტში, „ეთიკა დიზაინით“ (Ethics by Design) ხდება არა მხოლოდ თეორიული მოთხოვნა, არამედ პრაქტიკული აუცილებლობა, რათა თავიდან იქნას აცილებული ავტონომიური სისტემების „ფსიქოპათიური“ ქცევა, რაც შეიძლება გამოიხატოს საერთაშორისო ჰუმანიტარული ნორმების იგნორირებით. უფრო მეტიც, არსებობს საფრთხე, რომ სახელმწი-

[12]Ibid. J. Schneider, (2019).

ფოებმა AI-ს გამოყენება აღიქვან როგორც კინეტიკური ომის დაბალი რისკის მქონე ალტერ-ნატივა, რაც სინამდვილეში ამცირებს კონფლიქტის დაწყების ფსიქოლოგიურ ბარიერს და ზრდის ფართომასშტაბიანი დაპირისპირების ალბათობას.[13] შესაბამისად, ტექნოლოგიური ავტონომია არ ნიშნავს პოლიტიკურ თავისუფლებას; პირიქით, იგი აორმაგებს სახელმწი-ფოს ვალდებულებას, შეიმუშაოს გამჭვირვალე ალგორითმული მართვის მოდელები, რათა თავიდან აიცილოს შეიარაღებული ესკალაცია გაუთვალისწინებელი ტექნიკური ინტერაქ-ციების გამო.

კიდევ ერთი კრიტიკული გამოწვევა, რომელიც ხელოვნური ინტელექტის გეოპოლიტი-კურ ტრანსფორმაციას ახლავს, არის „ციფრული შეიარაღების რბოლა“ და მასთან დაკავში-რებული სტრატეგიული არაპროგნოზირებადობა. სახელმწიფოები, რომლებიც ცდილობენ მოიპოვონ „ალგორითმული უპირატესობა“, ხშირად აიგნორებენ უსაფრთხოების ფუნდა-მენტურ ტესტირებას, რაც ქმნის საფრთხეს, რომ კიბერსივრცეში დაპირისპირება კონტრო-ლიდან გამოვიდეს. ისტორიული მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ კრიზისული ქცევა რადიკალურად იცვლება, როდესაც მხარეები ერთმანეთის წინააღმდეგ იყენებენ ავტონო-მიურ კიბერ-ინსტრუმენტებს, რადგან ასეთ დროს „პირველი დარტყმის“ უპირატესობა გადამწყვეტი ხდება და მოწინააღმდეგეს დიპლომატიური მანევრისთვის დროს აღარ უტოვებს. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ კიბერ-დაზვერვის ოპერაციები, რომლებიც ტრა-დიციულად საერთაშორისო სამართლის მიღმა რჩებოდა, AI-ს ეპოქაში იძენს ისეთ მასშტა-ბებსა და დამანგრეველ ძალას, რომ მათი იგნორირება სამართლებრივ ჭრილში უკვე შეუძ-ლებელია. სტრატეგიული სტაბილურობის შენარჩუნება მოითხოვს ისეთი მექანიზმების შექმნას, რომლებიც საშუალებას მოგვცემს განვასხვავოთ ლეგიტიმური დაზვერვა აგრესი-ული კიბერ-შეტევისგან, რათა თავიდან ავიცილოთ ე.წ. „მოწყვლადობის პარადოქსით“ გა-მოწვეული კატასტროფული სცენარები. მანქანური სწავლების გამოყენება საფრთხეების პროგნოზირებისთვის შესაძლოა იყოს ეფექტური თავდაცვის საშუალება, თუმცა თუ ეს სი-სტემები არ იქნება დაზღვეული მონაცემთა მანიპულაციისგან, მათმა მცდარმა დასკვნებმა შესაძლოა გამოიწვიოს დაუგეგმავი სამხედრო პასუხი და გლობალური დესტაბილი-ზაცია.[14] ამდენად, ხელოვნური ინტელექტის გავლენა უსაფრთხოებაზე არის მულტიფაქ-ტორული პროცესი, სადაც ტექნიკური სრულყოფილება, ეთიკური პასუხისმგებლობა და საერთაშორისო ნორმები ერთმანეთთან მჭიდროდ არის გადაჯაჭვული.

[13] Ibid. C. E. Beckerman, (2022).
[14] Ibid. J.Jacobs, S.Romanosky, I.Adjerid, W.Baker, (2020).

სტრატეგიული შეკავების ტრანსფორმაცია და ესკალაციის რისკები ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში

ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურაში ფუნდამენტურად ცვლის სტრატეგიული შეკავების (Deterrence) კლასიკურ პარადიგმას, რადგან ალგორითმული სისტემების ავტონომიურობა და სისწრაფე ზრდის გაუთვალისწინებელი ესკალაციის ალბათობას. თანამედროვე გეოპოლიტიკურ პირობებში, შეკავების ეფექტურობა აღარ არის დამოკიდებული მხოლოდ ფიზიკურ ძლიერებაზე, არამედ იმ „ალგორითმულ ნდობაზე", რომელიც სახელმწიფოებს შორის ინფორმაციულ დუმილსა და კიბერ-აქტივობებს არეგულირებს. ამ კონტექსტში, „კიბერ-უსაფრთხოების დილემა" წარმოიშობა მაშინ, როდესაც ერთი სახელმწიფოს მიერ თავდაცვითი მიზნით დანერგილი AI-ალგორითმები მოწინააღმდეგის მიერ აღიქმება როგორც შეტევისთვის მზადება, რაც აიძულებს მას განახორციელოს პრევენციული კიბერ-ჩარევა[15]. ავტონომიური სისტემების მიერ გადაწყვეტილების მიღების სისწრაფე მკვეთრად ამცირებს კრიზისული კომუნიკაციის დროს, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს დიპ-ლომატიურ მანევრებს და ქმნის ე.წ. „ბრძოლის ველის სინგულარობის" საფრთხეს, სადაც მანქანური ინტერაქციები ადამიანურ კონტროლს სცილდება. მეცნიერული ანალიზი ცხადყოფს, რომ ავტონომიური კიბერ-იარაღის გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს „ესკალაციის კატალიზატორის" ეფექტი, როდესაც ალგორითმული შეცდომა ან არასწორი იდენტიფიკაცია ხდება ფართომასშტაბიანი კინეტიკური კონფლიქტის ტრიგერი. ამავდროულად, სახელმწიფოების მცდელობა, მოიპოვონ უპირატესობა ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით, ხშირად აძლიერებს საერთაშორისო სისტემის დესტაბილიზაციას, რადგან ავტონომიური სისტემების ქცევა კრიზისულ სიტუაციებში რჩება რადიკალურად არაპროგნოზირებადი და მოკლებული მორალურ-სამართლებრივ კონტექსტს. შესაბამისად, სტრატეგიული სტაბილურობის შენარჩუნება მოითხოვს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ სრულყოფას, არამედ საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული „ციფრული წითელი ხაზების" არსებობას, რათა თავიდან იქნას აცილებული კატასტროფული სამხედრო შეცდომები.

ხელოვნური ინტელექტის მქონე ავტონომიური სისტემების დანერგვა სამხედრო ოპერაციებში წარმოშობს ე.წ. „პასუხისმგებლობის ვაკუუმს", რაც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის კონტექსტში მორალური ანგარიშვალდებულების ეგზისტენციალურ კრიზისს იწვევს. აკადემიური დისკურსი ხაზს უსვამს, რომ ავტონომიურობა არ ნიშნავს სრულ და-

[15] Ibiod. C. E. Beckerman, (2022).

მოუკიდებლობას მორალური ნორმებისგან; პირიქით, სისტემები უნდა ფუნქციონირებდნენ „სოციო-ტექნიკური ეთოსის“ ფარგლებში, სადაც ალგორითმული გადაწყვეტილება ყოველთვის ექვემდებარება წინასწარ განსაზღვრულ ეთიკურ ჩარჩოებს ამასთანავე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში „ადამიანის ჩართულობის“ შემცირება კრიტიკულ საფრთხეს უქმნის სამხედრო ოპერაციების ლეგიტიმაციას, რადგან მანქანური ლოგიკა მოკლებულია უნარს, ადეკვატურად შეაფასოს კონტექსტუალური მორალური ნიუანსები კრიზისის დროს. სტრატეგიული თვალსაზრისით, არსებობს საფრთხე, რომ სახელმწიფოებმა ავტონომიური კიბერ-იარაღი აღიქვან როგორც „კონფლიქტის დეესკალაციის“ მარტივი საშუალება, თუმცა რეალობა აჩვენებს, რომ ალგორითმული ინტერაქციების არაპროგნოზირებადობა ხშირად პირიქით, ესკალაციის კატალიზატორად გვევლინება. კრიზისული ქცევის მოდელირება ცხადყოფს, რომ როდესაც მოწინააღმდეგე მხარეები ვერ ახდენენ ავტონომიური აქტების სწორ იდენტიფიცირებას, იზრდება შემთხვევითი ომის რისკი, რაც აიძულებს ლიდერებს, გადახედონ ტექნოლოგიური ავტონომიის ზღვარს. საბოლოო ჯამში, ეთიკური მართვის მექანიზმების გარეშე, ხელოვნური ინტელექტის დანერგვა კიბერთავდაცვაში შესაძლოა იქცეს არა უსაფრთხოების გარანტად, არამედ სტრატეგიული არაპროგნოზირებადობისა და მორალური დეგრადაციის მთავარ წყაროდ.

ავტონომიური სისტემების ფუნქციონირების ერთ-ერთი ყველაზე რთული ასპექტი მათი ქცევის ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესია, რადგან ხელოვნური ინტელექტი ხშირად ავლენს ე.წ. „აღმოცენებად ქცევას“ (Emergent Behavior), რაც წინასწარ განსაზღვრული ალგორითმული ჩარჩოებიდან გადახრას გულისხმობს. სამხედრო ოპერაციების კონტექსტში, ეს ფენომენი ქმნის სტრატეგიულ გაურკვევლობას, რადგან სისტემამ შესაძლოა მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ლოგიკურად გამართლებულია მონაცემთა ანალიზით, თუმცა რადიკალურად ეწინააღმდეგება ადამიანურ სამხედრო დოქტრინას ან ეთიკურ სტანდარტებს. მეცნიერული კვლევები მიუთითებს, რომ მანქანური სწავლების მოდელების „სიმყიფე“ (brittleness) განსაკუთრებით ვლინდება არასტრუქტურირებულ საბრძოლო გარემოში, სადაც მცირე მანიპულაციამაც კი შესაძლოა გამოიწვიოს კატასტროფული შეცდომა სამიზნის იდენტიფიცირების პროცესში. ამ რისკების დასაზღვევად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია კიბერ-თავდაცვის სისტემების მუდმივი აუდიტი, რადგან ალგორითმული მიკერძოება და ტექნიკური ხარვეზები პირდაპირპროპორციულად ზრდის სახელმწიფოს სტრატეგიულ მოწყვლადობას[16]. უფრო მეტიც, საერთაშორისო უსაფრთხოების სტაბილურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებენ სახელმწიფოები

[16] Ibid. J.Jacobs, S. Romanosky, I. Adjerid, W.Baker, (2020).

შეთანხმდნენ „გამჭვირვალობის სტანდარტებზე“, რათა თავიდან იქნას აცილებული შეიარაღებული ესკალაცია, რომელიც გამოწვეულია არა პოლიტიკური ნებით, არამედ ავტონომიური სისტემების არაპროგნოზირებადი და გაუმჭვირვალე ევოლუციით. შესაბამისად, ტექნიკური სრულყოფილება ვერ იქნება უსაფრთხოების გარანტი, თუ მას არ ახლავს მყარი ინსტიტუციური ზედამხედველობა და ალგორითმული ანგარიშვალდებულების მკაფიო მექანიზმები.

ეთიკური მმართველობა და საერთაშორისო სამართლებრივი რეაგირება კიბერ-დაზვერვის ეპოქაში

ხელოვნური ინტელექტის გავლენა გლობალურ უსაფრთხოებაზე წარმოშობს კომპლექსურ სამართლებრივ ვაკუუმს, სადაც ტრადიციული საერთაშორისო ნორმები ხშირად უძლურია ავტონომიური კიბერ-აქტივობების რეგულირების პროცესში. აკადემიური ანალიზი ცხადყოფს, რომ მშვიდობიან პერიოდში წარმოებული კიბერ-დაზვერვა და ჯაშუშობა კვლავ რჩება „სამართლებრივი რეგულირების მიღმა“, რაც სახელმწიფოებს აძლევს საშუალებას, გამოიყენონ AI-ს შესაძლებლობები სტრატეგიული უპირატესობის მოსაპოვებლად ყოველგვარი ფორმალური სანქციების შიშის გარეშე. ამ პირობებში, „ეთიკა დიზაინით“ (Ethics by Design) ხდება გადამწყვეტი მექანიზმი, რომელიც გულისხმობს მორალური და სამართლებრივი პრინციპების ინტეგრირებას უშუალოდ ალგორითმულ სტრუქტურაში, რათა თავიდან იქნას აცილებული ავტონომიური სისტემების მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის უგულებელყოფა.[17] სტრატეგიული სტაბილურობის შენარჩუნება მოითხოვს სახელმწიფოებს შორის შეთანხმებას „პასუხისმგებლიანი ქცევის“ ნორმებზე, რადგან AI-ზე დაფუძნებული კიბერ-იარაღის გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი კასკადური ეფექტები, რომლებიც საფრთხეს შეუქმნის გლობალურ მშვიდობას.[18] ამავდროულად, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ავტონომიური სისტემების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში „ადამიანის ჩართულობის“ (Human-in-the-loop) შენარჩუნება არის ერთადერთი გზა მორალური ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, რადგან მანქანური ლოგიკა ვერასოდეს სრულად ვერ ჩაანაცვლებს ადამიანურ ეთიკურ მსჯელობას კრიტიკულ სიტუაციებში. შესაბამისად, საერთაშორისო საზოგადოება დგება აუცილებ-

[17] R.Iphofen, M.Kritikos, (2019). Regulating artificial intelligence and robotics: Ethics by design in a digital society. *Contemporary Social Science*, *14*(2), 170–184. https://doi.org/10.1080/21582041.2018.1563803
[18] M.Taddeo, L.Floridi, Regulating the ethical design and use of artificial intelligence. *Nature*, *556*(7699), 9–11. (2018).

ლობის წინაშე, შეიმუშაოს ახალი ტიპის „ციფრული კონვენციები“, რომლებიც დაარეგულირებს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას როგორც თავდაცვით, ისე სადაზვერვო ოპერაციებში.

ავტონომიური სისტემების მიერ წარმოებული კიბერ-დაზვერვის პროცესი ფუნდამენტურად ცვლის „საგარეო ჩარევის“ ტრადიციულ გაგებას, რადგან ხელოვნური ინტელექტი იძლევა შესაძლებლობას, ინფორმაციული ოპერაციები განხორციელდეს სოციალური ინჟინერიის უპრეცედენტო მასშტაბებით. აკადემიური დისკურსი მიუთითებს, რომ AI-ზე დაფუძნებული სუბვერსიული მოქმედებები ხშირად მიზნად ისახავს სამიზნე სახელმწიფოს პოლიტიკური სტაბილურობის შერყევას, რაც საერთაშორისო სამართლის „ნორმატიულ დუმილთან“ კომბინაციაში ქმნის დაუსჯელობის განცდას აგრესორი მხარისთვის. ამ პირობებში, „ეთიკა დიზაინით“ (Ethics by Design) პრინციპის იგნორირება ზრდის ე.წ. „ალგორითმული ანამნეზის“ რისკს, როდესაც სისტემა იღებს გადაწყვეტილებებს მხოლოდ მშრალ მონაცემებზე დაყრდნობით, ყოველგვარი მორალური კონტექსტისა და ჰუმანიტარული შედეგების გათვალისწინების გარეშე . სტრატეგიული თვალსაზრისით, მსგავსი ავტონომიური აქტივობები მჭიდროდ უკავშირდება „მოწყვლადობის პარადოქსს“, რადგან რაც უფრო მეტად არის სახელმწიფო ინტეგრირებული გლობალურ ციფრულ ქსელში, მით უფრო დაუცველი ხდება იგი ხელოვნური ინტელექტის მიერ მართული კოორდინირებული კიბერ-შეტევების წინაშე . შესაბამისად, ავტონომიურობის ზრდა არ ნიშნავს პასუხისმგებლობის გაქრობას; პირიქით, იგი აძლიერებს „ადამიანის ჩართულობის“ (Human-in-the-loop) შენარჩუნების იმპერატივს, რათა თავიდან იქნას აცილებული კატასტროფული ესკალაცია, რომელიც შესაძლოა გამოიწვიოს მანქანური ლოგიკის შეცდომამ კრიტიკული გადაწყვეტილების მიღების მომენტში.

ამავდროულად, ხელოვნური ინტელექტის გავლენა სამხედრო-სტრატეგიულ სტაბილურობაზე მოითხოვს „კიბერ-უსაფრთხოების დილემის“ ხელახალ შეფასებას, რადგან ალგორითმული სისტემების სისწრაფე ამცირებს კრიზისის მართვისთვის საჭირო დროს და ზრდის ნაადრევი სამხედრო პასუხის რისკს. ემპირიული კვლევები ცხადყოფს, რომ მიუხედავად ტექნოლოგიური პროგრესისა, სახელმწიფოები ხშირად ავლენენ სტრატეგიულ თავშეკავებას, რათა კიბერ-ინციდენტები არ გადაიზარდოს ფართომასშტაბიან ომში, თუმცა AI-ის მიერ გენერირებული „ცრუ განგაშის“ (false positives) ალბათობა კვლავ რჩება ესკალაციის

მთავარ რისკ-ფაქტორად[19]. კრიზისული ქცევის მოდელირება ცხადყოფს, რომ ძალადობრივი ტრიგერით დაწყებული კონფლიქტები უფრო მეტად მიდრეკილია უკონტროლო განვითარებისკენ, რაც აიძულებს სახელმწიფოებს, შეიმუშაონ საერთაშორისო დონეზე აღიარებული „ალგორითმული წითელი ხაზები“. ამ პროცესში კრიტიკულად მნიშვნელოვანია მანქანური სწავლების მოდელების ტექნიკური ვალიდაცია, რათა თავიდან იქნას აცილებული სისტემების „სიმყიფე“ (brittleness) და მათი მანიპულირება მოწინააღმდეგის მიერ, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს სტრატეგიული მართვის დაკარგვა. საბოლოო ჯამში, ხელოვნური ინტელექტის სამხედრო გამოყენება უნდა დაექვემდებაროს მკაცრ ნორმატიულ კონტროლს, რათა ტექნოლოგიურმა უპირატესობამ არ დაარღვიოს გლობალური უსაფრთხოების ისედაც მყიფე ბალანსი და არ წარმოშვას „ტექნიკური ვალის“ კასკადური ეფექტები.

დასკვნა

ოცდამეერთე საუკუნის გეოპოლიტიკურ ტრანსფორმაციაში ხელოვნური ინტელექტი აღარ განიხილება მხოლოდ დამხმარე ტექნოლოგიურ ინსტრუმენტად, არამედ იგი იქცა გლობალური უსაფრთხოების ახალ საძირკვლად, რომელიც რადიკალურად ცვლის ძალთა ბალანსის კლასიკურ გაგებას. წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებული „შესაძლებლობა/მოწყვლადობის პარადოქსი“ ნათლად ადასტურებს, რომ სახელმწიფოების სწრაფვა ალგორითმული უპირატესობისკენ გარდაუვალად წარმოშობს სტრატეგიულ დამოკიდებულებას ციფრულ ინფრასტრუქტურაზე, რაც კიბერსივრცეს განსაკუთრებულად მგრძნობიარეს ხდის სისტემური დესტაბილიზაციის მიმართ. ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია ეროვნული უსაფრთხოების ოპერაციებში ქმნის ე.წ. „ტექნიკური ვალის“ რისკს, როდესაც სისტემების ნაჩქარევი დანერგვა ხდება მათი უსაფრთხოების ფუნდამენტური ვალიდაციის გარეშე, რაც საბოლოოდ აძლიერებს სახელმწიფოს სტრატეგიულ დაუცველობას. შესაბამისად, თანამედროვე თავდაცვის პოლიტიკა უნდა გადავიდეს მხოლოდ შეიარაღების რაოდენობრივი ზრდიდან სოციო-ტექნიკური სისტემების კომპლექსურ მართვაზე, სადაც ნებისმიერი ავტონომიური ალგორითმი ექვემდებარება მკაცრ ეთიკურ და სტრატეგიულ ზედამხედველობას.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ კიბერსივრცეში არსებული „ნორმატიული დუმილი“ და საერთაშორისო სამართლებრივი ვაკუუმი კიბერ-დაზვერვის სფეროში სახელმწი-

[19]Ibid. C. E. Beckerman, (2022).

ფოებს აძლევს საშუალებას, გამოიყენონ ავტონომიური სისტემები სუბვერსიული მიზნებისთვის, რაც საფრთხეს უქმნის გლობალურ სტაბილურობას. ავტონომიური სისტემების მიერ წარმოებული ოპერაციები მოითხოვს „ეთიკა დიზაინით“ (Ethics by Design) პრინციპის იმპერატიულ დანერგვას, რათა თავიდან იქნას აცილებული პასუხისმგებლობის ვაკუუმი და უზრუნველყოფილ იქნას ადამიანის მუდმივი ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების კრიტიკულ ეტაპებზე. ამავდროულად, „კიბერ-უსაფრთხოების დილემის“ პირობებში, სახელმწიფოების მიერ გადადგმული თავდაცვითი ნაბიჯები ხშირად აღიქმება როგორც ესკალაციის მცდელობა, რაც აიძულებს მხარეებს, გადავიდნენ აგრესიული პოზიციონირებიდან სტრატეგიული თავშეკავების პოლიტიკაზე. საბოლოო ჯამში, ტექნოლოგიური ავტონომია არ უნდა იქნას გაგებული როგორც მორალური ანგარიშვალდებულების ჩანაცვლება, არამედ როგორც მისი გაძლიერება საერთაშორისო ნორმების ფარგლებში.

სტრატეგიული სტაბილურობის შენარჩუნება მოითხოვს სახელმწიფოებს შორის შეთანხმებას ე.წ. „ალგორითმულ წითელ ხაზებზე“, რათა თავიდან იქნას აცილებული შეიარაღებული ესკალაცია გაუთვალისწინებელი მანქანური ინტერაქციების შედეგად. მანქანური სწავლების მოდელების გამოყენება საფრთხეების პროგნოზირებისთვის მხოლოდ მაშინ არის ეფექტური, როდესაც არსებობს მათი ტექნიკური ვალიდაციის მყარი მექანიზმები, რაც სახელმწიფოებს დააზღვევს მანიპულირებული მონაცემებით გამოწვეული მცდარი სამხედრო რეაგირებისგან. კრიზისული ქცევის მოდელირება ცხადყოფს, რომ ხელოვნური ინტელექტით მართული კიბერ-ინციდენტები უფრო მეტად მიდრეკილია კინეტიკურ კონფლიქტში გადასვლისკენ, თუ არ არსებობს გამჭვირვალე კომუნიკაციის არხები და წინასწარ განსაზღვრული ქცევის წესები. ამ კონტექსტში, საერთაშორისო საზოგადოება დგება აუცილებლობის წინაშე, შეიმუშაოს ახალი ტიპის ციფრული კონვენციები, რომლებიც დაარეგულირებს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას როგორც სადაზვერვო, ისე უშუალოდ საბრძოლო ოპერაციებში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნური ინტელექტი არ ცვლის ომის ფუნდამენტურ ბუნებას, თუმცა რადიკალურად გარდაქმნის მის ხასიათს, სიჩქარესა და მასშტაბებს, რაც მოითხოვს გლობალური უსაფრთხოების პოლიტიკის სრულ რეკონსტრუქციას. ავტონომიური სისტემების ფართომასშტაბიანი გამოყენება ამცირებს კონფლიქტის დაწყების ფსიქოლოგიურ ბარიერს, რაც სტრატეგიულ გაურკვევლობასა და უნდობლობას მუდმივ რეჟიმში ამყოფებს. „აღმოცენებადი ქცევის“ (Emergent Behavior) ფენომენი კიბერსივრცეში სახელმწიფოებს აიძულებს, გადახედონ თავიანთ დოქტრინებს

და პრიორიტეტი მიანიჭონ სისტემურ მდგრადობას და არა მხოლოდ შეტევითი პოტენციალის ზრდას ნაშრომში წარმოდგენილი ანალიზი ადასტურებს, რომ ხელოვნური ინტელექტის ეფექტური მართვა მოითხოვს ჰოლისტურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ტექნოლოგიურ ინოვაციას, სამართლებრივ რეგულირებასა და მორალურ პასუხისმგებლობას საერთაშორისო მშვიდობის შესანარჩუნებლად.

ბიბლიოგრაფია

Beckerman, C. E. (2022). Is there a cyber security dilemma? *Journal of Cybersecurity*, *8*(1), tyac012. https://doi.org/10.1093/cybsec/tyac012

Broeders, D. (2024). Cyber intelligence and international security: Breaking the legal and diplomatic silence? *Intelligence and National Security*, *39*(7), 1213–1229. https://doi.org/10.1080/02684527.2024.2398077

Hoadley, D. S., & Lucas, N. J. „Artificial intelligence and national security“ (CRS Report No. R45178). Congressional Research Service. (2018). https://redirme.com/ftneym

Iphofen, R., & Kritikos, M. (2019). Regulating artificial intelligence and robotics: Ethics by design in a digital society. *Contemporary Social Science*, *14*(2), 170–184. https://doi.org/10.1080/21582041.2018.1563803

Jacobs, J., Romanosky, S., Adjerid, I., & Baker, W. (2020). Improving vulnerability remediation through better exploit prediction. *Journal of Cybersecurity*, *6*(1), tyaa015. https://doi.org/10.1093/cybsec/tyaa015

James, P. (2018). What do we know about crisis, escalation and war? A visual assessment of the International Crisis Behavior Project. *Conflict Management and Peace Science*, *36*(1), 1–17. https://doi.org/10.1177/0738894218793135

Schneider, J. (2019). The capability/vulnerability paradox and military revolutions: Implications for computing, cyber, and the onset of war. *Journal of Strategic Studies*, *42*(6), 841–863. https://doi.org/10.1080/01402390.2019.1627209

Shook, J. R., Solymosi, T., & Giordano, J. (2020). Ethical constraints and contexts of artificial intelligent systems in national security, intelligence, and defense/military operations. In Y. R. Masakowski (Ed.), *Artificial intelligence and global security: Future trends, threats and considerations* (pp. 137–152). Emerald Publishing Limited. https://doi.org/10.1108/978-1-78973-811-720201008

Taddeo, M., & Floridi, L. (2018). Regulating the ethical design and use of artificial intelligence. *Nature*, *556*(7699), 9–11.

საქართველოს გეოპოლიტიკის პერიოდიზაცია

გიორგი ბერიძე
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის
ბაკალავრიატის თავდაცვა და უსაფრთხოების
მიმართულების მოწვეული სპეციალისტი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოს გეოპოლიტიკის ისტორიის პერიოდიზაციის კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებას. კვლევა ეფუძნება ორ ფუნდამენტურ კრიტერიუმს:

1. **საერთაშორისო გეოპოლიტიკურ პროცესებს, რომლებმაც უშუალო გავლენა მოახდინეს საქართველოს ისტორიულ განვითარებაზე;**
2. **შიდა პოლიტიკურ-სტრატეგიულ ტრანსფორმაციებს, განსაკუთრებით სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის სიმტკიცესა და მმართველობით მოდელებს.**

ნაშრომში შემოთავაზებულია საქართველოს გეოპოლიტიკის ისტორიის თერთმეტპერიოდიანი მოდელი, რომელიც მოიცავს პრეისტორიული ეპოქიდან თანამედროვე დამოუკიდებელ სახელმწიფომდე არსებულ განვითარების ძირითად ეტაპებს. თითოეული პერიოდი გაანალიზებულია გარე ძალთა ზემოქმედებისა და შიდა დინამიკის ურთიერთქმედების საფუძველზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეროვნული იდენტობის ფორმირებას, ქრისტიანობის როგორც გეოპოლიტიკური არჩევანის მნიშვნელობას, ერთიანი მონარქიის ჩამოყალიბებასა და დაშლას, აგრეთვე იმპერიული და კოლონიური რეჟიმების გავლენას საქართველოს გეოპოლიტიკურ ფუნქციაზე.

კვლევა აჩვენებს, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური ისტორია წარმოადგენს ქვეყნის ისტორიული განვითარების სტრუქტურულ საფუძველს, სადაც გადამწყვეტ როლს ასრულებს როგორც გარე ფაქტორები, ისე შიდა პოლიტიკური სტაბილურობა. ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს გეოპოლიტიკის ისტორიის პერიოდიზაციის ერთ-ერთ პირველ სისტემურ მცდელობას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ანალიტიკური ინსტრუმენტი შემდგომი აკადემიური კვლევებისთვის.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, გეოპოლიტიკა, პერიოდიზაცია, სახელმწიფოებრიობა, საერთაშორისო ურთიერთობები, ეროვნული იდენტობა, კავკასია, ისტორიული განვითარება.

Periodization of Georgian Geopolitics

Giorgi Beridze
Invited specialist of Bachelor's Program in Defense and Security of
LEPL-David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia,
Doctor of History

Abstract

The present paper aims to develop a conceptual framework for the periodization of Georgia's geopolitical history. The study is based on two fundamental criteria: (1) international geopolitical processes that have directly influenced Georgia's historical development, and (2) internal political and strategic transformations, particularly the strength of state organization and models of governance.

The paper proposes an eleven-period model of Georgian geopolitical history, covering the major stages of development from the prehistoric era to the modern independent state. Each period is analyzed through the interaction between external influences and internal dynamics. Particular emphasis is placed on the formation of national identity, the geopolitical significance of the adoption of Christianity, the establishment and disintegration of a unified monarchy, as well as the impact of imperial and colonial regimes on Georgia's geopolitical function.

The study demonstrates that Georgia's geopolitical history constitutes a structural foundation of its overall historical development, shaped by both external factors and internal political stability. This work represents one of the first systematic attempts to conceptualize the periodization of Georgian geopolitical history, offering an analytical framework for further academic research.

Keywords: Georgia, geopolitics, periodization, statehood, international relations, national identity, Caucasus, historical development

შესავალი

არაფერს ახალს არ ვიტყვით თუ კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, თუ რა გამორჩეული ზესტრატეგიული ადგილი უკავია კავკასიას და კონკრეტულად ჩვენს ქვეყანას მსოფლიოს რუკაზე,[1] გადაუჭარბებლად უნდა ითქვას რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიას პირდაპირ განსაზღვრავდა კიდეც მსოფლიოში მიმდინარე საერთაშორისო მოვლენები, ამიტომ გვინდოდა თუ არა, ყოველთვის ვიყავით (და ვართ) მსოფლიოს დიდი გეოპოლიტიკის ნაწილი[2]. (სურ.1)



სურათი 1. საქართველო ზესტრატეგიული დერეფანი

ამ მოკრძალებული სტატიის ავტორი მრავალი წელია რაც ,,სამხედრო ისტორიის პერიოდიზაციის'' საკითხებს იკვლევს და მარტივად მივედით იმ დასვკნამდე,[3] რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიაზე პირდაპირ და უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენდა გეოგრაფიული გარემო,[4] დიდი ომები და გეოპოლიტიკა.[5]

თუმცა საქართველოს გეოპოლიტიკის ისტორია მაინც დამოუკიდებელი და უმნიშვნელოვანესი ისტორიაა და ვცადეთ დღევანდელ მოხსენებაში ,,საქართველოს გეოპოლიტიკის ისტორიის პერიოდიზაციის დაახლოებითი შკალა შეგვექმნა!

---

[1] დ.რეიფილდი, საქართველო იმპერიათა გზაჯვარედინი, თბ2022, გვ7

[2] დუნდუა სილაგაძე,- საქართველო და გარე სამყარო გვ. 19 თბ 2002.

[3] გიორგი ბერიძე, -საქართველოს სამხედრო ისტორიის პერიოდიზაცია, (საკითხის დაყენების ცდა) ,საქართველ ისტორიის ინსტიტუტის შრომები IX, თბ.2015.

[4] გ.ყორანაშვლი, გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების გავითარებაში, თბ.1975.

[5] ა. გვიმრაძე, გეოპოლიტიკა, თბ2010, გვ15

ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ გეოგრაფიული გარემო, კლიმატი და რესურსები პირდაპირ კავშირშია ადამიანის თუ ეთნოსის ჩამოყალიბებასთან, ანტიკურ პერიოდშივე შეიქმნა საკმაოდ დამაჯერებელი თეორია, რომ *,,ცხელი კლიმატის სარტყელში მხოვრები ხალხები დუნე და ზარმაცნი არიან, ამიტომ მათ არ შეუძლიათ განვითარებულ საზოგადოებად ჩამოყალიბდნენ, ცივი კლიმატის პირობებში მცხოვრები ხალხების მთელი ენერგია კი ფიზიკური არსებობის შენარჩუნებას ხმარდება, და ვერც ისინი შეძლებენ რაიმე ღირებულის შექმნას ცივილიზაციები მხოლოდ ზომიერ კლიმატურ პირობებში შეიძლება ჩამოყალიბდეს, სადაც ხელსაყრელი ბუნებრივი გარემოა"* [6]

საქართველოს კი მოგვეხსენება ზომიერი სარტყელში ჩამოყალიბდა და ამ თეორიას ძნელია დიდწილად მაინც არ დაეთანხმო.

წინასწარ ვიცით რომ საკითხი ნებისმიერ შემთხევაში გამოიწვევს დისკუსიას და მასში აუცილებლად იქნება საკამათო ფაქტორებიც და ხარვეზებიც[7]. თუმცა ვფიქრობთ ,,ქართული გეოპოლიტიკის ისტორიის პერიოდიზაციის განხილვა მაინც ძალზედ საინტერსო ფაქტორია და აუცილებელი. თანაც აღსანიშნავია ერთი გარემოებაც, მიუხედავად იმისა რომ ,,გეოპოლიტიკაზე" ქართულად არა ერთი საინტერესო ნაშრომი შეიქმნა,[8] ,,ქართული გეოპოლიტიკის ისტორიის პერიოდიზაციას" როგორც ცალკე სისტემას არავინ შეხებია, ამ მხრივ გამონაკლისია ბატონ მერაბ კალანდაძის სტატია ,,ქართული დიპლომატიის ისტორიის პერიოდიზაცია," [9] თუმცა ამ მართლაც რომ საინტერსო სტატიას, მთელ რიგ ფაქტორების გამო ვერ დავეთანხმებით, რადგან საქართველოს ,,გეოპოლიტიკას და დიპლომატიას„ (მიუხედავად მჭიდრო თანხვედრისა) ნამდვილად არა გაუვლიათ ისტორიის ერთი გზა![10]

ძირითადი ნაწილი

გეოპოლიტიკის ისტორია, ქვეყნის ისტორიის ერთგვარი ხერხემალიცაა, ამიტომ ჩნდება კითხვა, არის კი საჭირო ცალკე შექმნას მისი ,,პერიოდიზაციის შკალა"? როდესაც ისტორიის პერიოდიზაციის სისტემაც კი მუდმივად საკამათოა? და რა კრიტერიუმებს უნდა დავეყრდნოთ ცალკე ,,გეოპოლიტიკური პერიოდების" ერთმანეთისაგან გამოსარჩევად ???

---

[6] ზურაბ დავითაშვილი, გეოპოლიტიკის ხიბლი, ჟურნალი ,,ჩემი სამყარო" N11,2016, გვ.7

[7] ნ. ჩიტაძე გეოპოლიტიკა ,თბ.2011

[8] მ.კალანდაძე, ქართული დიპლომატიის ისტორრიის პერიოდიზაცია , ქართული დიპოლატიის ისტორიის წელიწდეული, N11 თბ 2004 გვ17.

[9] იქვე. ნ.ჩიტაძე,2011 გვ.466.

[10] მ.კალანდაძე, ქართული დიპლომატიის ისტორრიის პერიოდიზაცია , ქართული დიპოლატიის ისტორიის წელიწდეული, N11 თბ 2004 გვ17.

საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს სახელმწიფოდ ითვლება, იგი განუყოფელი ნაწილია კაცობრიობის გეოპოლიტიკის ისტორიის[11], თუმცა მაინც მას თავისი გამორჩეული გზა აქვს გავლილი და მისი ცალკეული ეტაპები ორ უმთავრეს კრიტერიუმს ემყარება, ამიტომ ,,საქართველოს გეოპოლიტიკის პერიოდიზაციის „ცალკეული პერიოდების გამოსარკვევად ვფიქრობთ ორი ძირითადი კრიტერიუმით უნდა ვისარგებლოთ:

1. **საერთაშორისო გეოპოლიტიკური მოვლენები**

(რამაც პირდაპირ იმოქმედა ჩვენს გეოპოლიტიკის ისტორიაზე)

2. **შიდა გეოპოლიტიკური ცვლილებები**

(მიუხედავადა იმისა რომ მთელი ჩვენი ისტორია უშუალოდ იყო დამოკიდებული საერთაშორისო მოვლენებზე, შიდა ფაქტორები, უპირველესად კი ძლიერი ან სუსტი მმართველობა პირდაპირ ქმნიდა ახალ გეოპოლიტიკურ ეპოქებს)

ამ ორ უმთავრეს კრიტერიუმზე დაყრდნობით ვთვლით, რომ საქართველოს ,,გეოპოლიტიკის ისტორია'' შემდეგ პერიოდებად შეიძლება დაიყოს :

პირველი პერიოდი:

საქართველოს, პრეისტორიული პერიოდის ,,გეოპოლიტიკა''

(უძველესი დროიდან ქრისტეშობამდე II-ათასწლეულამდე)

მწვავედ დგას საკითხი საიდან შეიძლება დაიწყოს- ,,საქართველოს გეოპოლიტიკა??? ჩვენი ქვეყნის ტერიტორია ხომ მსოფლიოს იმ უიშვიათეს ადგილს წარმოადგენს, სადაც ადამიანს ძველი ქვის ხანიდან დაწყებული ყველა ისტორიული ეპოქა უწყვეტად აქვს გავლილი.[12]

სურათი 2. ქვის ხანის საქართველო
(ეროვნული მუზეუმის გამოფენა)

სურათი 3. ქვის ხანის საქართველოს
„რუქა“

[11]იქვე. ნ.ჩიტაძე,2011 გვ.466.

[12] ოთარ ჯაფარიძე, ქართველი ერის ეთნოგენეზისის სათავეებთან. თბ . 2006 გვ. 8

ესაა პერიოდი როცა ჯერ ისევ ჩამოყალიბების პერიოდში მყოფ წინარე ქართველურ ტომებს, ისევ არ გააჩნიათ რაიმე სახის ,,საერთაშორისო" მიზანი, ისინი ქმნიან პირველყოფილ საზოგადოებას, მაგრამ რაც უპირველესია ისინი არიან აბორიგენები და სათავეს უდებენ საქართველოს შემდეგ გეოპოლიტიკის ისტორიას (როგორც მატერიალურ ასევე ეთნიკურსაც და მენტალურსაც),[13] (სურ. 2, 3)

მეორე პერიოდი:

ადრეკლასობრივი სახელმწიფოების-ანუ ქართული ეროვნული თვითშეგნების და გეოპოლიტიკის ჩამოყალიბების გზა, ქრისტეშობამდე XII-III -ე საუკუნეები

ესაა პერიოდი როდესაც სახელმწიფო წყობასთან მიახლოებულ ქართველ ტომებში თუ ტომთა გაერთიანებებში(თრიალეთის ,,დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა[14] '' დიაოხი, კოლხა,...) საკმაოდ მაღალ დონეზე დგას როგორც ინდუსტრია ასევე გეოპოლიტიკური ფაქტორებიც, ისინი ჩაბმულები არიან მაშინდელ ,,გეოპოლიტიკაში" და ,,ომის'' საკითხი უკვე არა პირველად მოთხოვნას, არამედ პოლიტიკურ აუცილებლობას წარმოადგენს.

ამ დროს ჩვენს სამხრეთით ყალიბდება და თავისი ძლიერების ზენიტს აღწევს ძველაღმოსავლური სახელმწიფოები, რომლებიც ყველაფერთან ერთად მსოფლიოში პირველ ორგანიზებულ ,,შეიარაღებულ ძალებს" ქმნიან,[15] ქართველი ტომები ძველ აღმოსავლურ სახელმწიფოებთან (ასურეთთან, ხეთებთან, ურარტუსთან. [16]) და მომთაბარეებთან (კიმირიელები, სკვითები.[17]) აწარმოებენ შეიარაღებულ ბრძოლას და ასევე მათთან მეზობლობა და თანაარსებობა[18]. ბრინჯაოს ეპოქას ცვლის რკინის ხანა, რამაც კიდევ უფრო დააჩქარა სამხედრო და პოლიტიკური ევოლუციები, აღსანიშნავია, რომ ქართველი ტომები ერთერთი პირველი .,,პიონერები'' იყვნენ ლითონის წარმოებაში,[19] ყველაფერს ადასტურებს როგორც არქიტექტურა და არქეოლოგიური მასალა (გიგანტური ყორღანები, ციკლო-

[13] მ.ნიორაძე, ქვის იარაღები დმანისიდან-,,დმანისი''(კრებული). თბ. 1998. ტ 1, გვ 140

[14] ზოგიერთი მკვლევარი ,,თრიალეთის დიდ ყორყანების ბრწყინვალე კულტურას '' უკვე სახელმწიფოდ მიიჩნევს -მაგალითად-Куфтин В,А.-АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ РАСКОПКИ В ТРИАЛЕТИ . თბ. 1941 , გვ. 100.

[15] Расел Робинсон-Досрехи народов востока. М 2006б Ст 7.

[16] Г.Меликишвили, НАИРИ-УРАРТУ. Тб.1954б ст.364.

[17] მ.ფირცხალავა, სკვითური ძეგლების საქართველოში გავრცელების საკითხისათვის. საქართველოს არქეოლოგიის საკითხები I, თბ.1978. გვ 32-51.

[18] გ.გიორგაძე, ხეთური და ასურული ლურსმნული წარწერები ქაშქებისა და აბეშალების ეთნიკური წარმომავლობის შესახებ, ახალციხე 2001 , გვ23.

[19] გ. კვირკველია, უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ. თბ 1976.

პური სიმაგრეები, უძველესი ფორტიფიკაციური ნაგებობები, აღმოჩენილი იარაღის რაოდენობა და ხარისხი) ასევე ძველაღმოსავლური(ბიბლია, ხეთური, ასურული, ურარტული.[20]) და ძველი ბერძნული(ჰეროდოტე,[21] ქსენოფონტე,[22]....) წერილობითი წყაროები.

როგორც აღნიშნული ეპოქით ზოგადი მიმოხილვიდანაც სჩანს, ქართველი ტომები ამ დროს იცნობენ და იყენებენ ყველა ,,მატერიალურ სიახლეს'', რადგან საკუთარ სამხედრო მიღწევებთან ერთად მათზე ზეგავლენას ახდენს როგორც აღმოსავლური, ასევე დასავლური[23] მიღწევები,[24] თუმცა ნებისმიერ სფეროში ჩანს უძველესი ქართველური ტომების ინდივიდუალიზმი.

რა არის ამ პერიოდის ქართველური ტომების გეოპოლიტიკა? და რის გამო არიან ისინი ჩართული დიდ გეოპოლიტიკაში?

ამ დროს კავკასიას არ გააჩნია საერთაშორისო სტრატეგიული გზების და დერეფნის ფუნქცია, თუმცა იგი თავის რესურსებიდან(მეტალის საბადოები, საძოვრები, ხე-ტყე) და მდებარეობიდან(შავი ზღვის სანაპიროო, კავკასიის გადმოსასვლელები) გამომდინარე ნებით თუ უნებლიეთ მაინც ერთვებიან კომფლიქტებში და თავისუფლებისათვის ბრძოლაში, ანუ მაშინდელ ,,მსოფლიოს დიდ გეოპოლიტიკურ რუკაზე'' გამოკვეთილად სჩანან!

ასურულ, ურარტულ და ანტიკურ წყაროებში უკვე იკვეთება მათი იდენტობაც (კოალიციები), (სურ.4,5)

სურათი 4. ქართველური ტომთა გართიანებების პირველი „გეოპოლოტიკური რუქა“

სურათი 5,. საქართველოს მეტალურგიის სათავეებთან

[20] გ.მელიქიშვილი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ 1, თბ 1970, გვ228.

[21] ჰეროდოტე, ისტორია , თბ. 1975, VII, გვ.79.

[22] თ, მიქელაძე, ქსენოფონტის ანაბასისი, ცნობები საქართველოს შესახებ.(ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ) თბ. 1967.

[23] როგორც ყველასათვისაა ცნობილია აქემენიდების იმპერიის XIX -ე სატრაპიის ქართველი ტომები დარიოსისა და ქსერქსეს არმიის შემადგენლობაში მონაწილეობას ღებულობდნენ ,ბერძენ სპარსელთა ომში(ჰეროდოტე ისტორია III, გვ. 94). და მათ საქმაო ცოდნა უნდა მიეღოთ ამ პერიოდის ბერზნების სამხედრო ხელოვნებაზე. იხილეტ აგრეთვე გიორგი ბერიძე-,, 300 სპარტანელთან ქართველებსაც უბრძოლიათ'' ჟურნალი არსენალი N3 20011 წ.

[24]გ.კვირკველია, ჰოპლიტური ფარები კოლხეთში, ძიებანიN7, თბ.2001. გვ. 33-39.

რაც შეეხება ქრონოლოგიურ ჩარჩოებს ის შეიძლება დაიწყოს ქრისტეშობამდე 1121 წლით, როდესაც ტიგლათფილესერის ლურსმნულ წარწერებში პირველად ფიქსირდება ქართველების სამხედრო-პოლიტიკური საკითხი და გაგრძელდეს ქრისტეშობამდე IV-III საუკუნით როდესაც ყალიბდება პირველი ოფიციალური ერთიანი ქართული მონარ-ქიული სახელმწიფო: იბერიის (ქართლის) სამეფო.

მესამე პერიოდი:

ერთიანი ეროვნული სახელმწიფო სტრატეგიის ჩამოყალიბების ეპოქა,

ქრისტეშობამდე III -ახალი წელთაღრიცხვით I საუკუნეები

ქრისტეშობამდე IV საუკუნისათვის არსებითად მთავრდება ქართველი ხალხის მრავალ-საუკუნოვანი თვითგამორკვევის და გაერთიანების პროცესი, როდესაც მთელი რიგი საში-ნაო და საერთაშორისო სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების შედეგად (ალექსანდრე მაკე-დონელის აღმოსავლური სამხედრო კამპანია და აქემენიდების იმპერიის დაცემა,[25] დიადო-ხოსების ომები, საქართველოს სამოქალაქო ომი) ერთიანი ენით, ერთიანი სახელმწიფო ღი-რებულებებით შეიქმნა პირველი ერთიანი იდენტობის მქონე ოფიციალური ქართული სა-ხელმწიფო იბერიის სამეფო, როდესაც ლეგენდარულმა ფარნავაზმა ყველა ქართველი ტომი ერთი ძალაუფლების ქვეშ მოაქცია,[26] ჩამოყალიბდა სარდლობის ინსტიტუტი, სამ-ხედრო იერარქიის სისტემა, დაკანონდა სასაზღვრო ზოლი, ფარნავაზმა დასძლია ტომობ-რივი ჩაკეტილობა და სეპარატიზმი და ყველა ბრძოლა და ომი არა ტომობრივ მოთხოვნად, არამედ ეროვნულ ღირსებად აქცია.[27] ზოგიერთმა ისტორიკოსმა საერთოდ ეჭვქვეშ დააყენა არათუ ფარნავაზის რეფორმები არამედ მისი არსებობაც, თუმცა გვერდს ვერავინ აუვლის იმ აშკარა ცვლილებებს რაც ელინისტური პერიოდის არქეოლოგიური მასალიდან სჩანს,[28] რომ მთელს საქართველოში და განსაკუთრებით დედაქალაქ მცხეთის გარშემო იმდენად გლობალურ საფორტიფიკაციო ზოლს ვაწყდებით, წარმოუდგენელია მისი მფლობელი უბრალო ტომის ბელადი ყოფილიყო საინტერესოა აღმოჩენილი ელინისტური საბრძოლო იარაღიც,[29] რომელიც მაშინდელი მსოფლიო სამხედრო საქმისათვის ,,ულტრათანამედრო-ვეს'' მიეკუთვნება[30], საქართველოში დასტურდება პროფესიონალი მეომრების არსებობა

[25] Г.Дельбрюк, დას. ნაშრომი გვ. 404.

[26] გრანი ქავთარია, ფარნავაზი, გვ 92. თბ 1999.

[27] იქვე. გვ. 103.

[28] გ. გამყრელიძე, მ.ფირცხალავა, გ. ყიფიანი, „ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები“. თბ. 2005 გვ.114.

[29] ა. აფაქიძე, „ანტიკური ხანის საქართვეოს კულტურა, (მშენებლობის, ხელოვნების და ხუროთმოძღვრების ძეგლები)“, თბ.1970

[30] გ.გამყრელიზე, „ომი და შეიარაღება იბერია კოლხეთში“, თბ.2010, გვ.67.

(მაგალითად ოდნავ მოგვიანებით I საუკუნის ბერძენი გეოგრაფისა და მწერლის სტრაბონის ცნობაც ამყარებს, აღნიშნულ პერიოდში ხდება დიდი სამხედრო პოლიტიკური მოვლენებიც, საქართველოს უხდება აღმოსავლეთ (სპარსეთი-პართის)-დასავლეთის (რომი) შეიარაღებულ დაპირისპირებებში და ,,ცივ ომშო'' ჩართვაც, რასაც კიდევ ერთხელ მოსდევს დიდი გეოპოლიტიკური ცვლილება, რასაც ბუნებრივია ვერავითარ შემთხვევაშიი ვერ ავიცილებდით თავიდან რით გამოირჩევა ამ პერიოდის ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკა ???

პირველ რიგში ერთიანი იდენტური სივრცით, რაც შეეხება ამ პერიოდს ვფიქრობ იგი უნდა ჩაითვალოს როგორც ,,საქართველოს გეოპოლიტიკური იდენტობის საწყისად" რადგან ამ დროს საბოლოოდ დასრულდა ქართული იდენტობის სრულად ჩამოყალიბების და ერთიანი ეროვნულობის შეგნების რთული გზა, მართალია ამის შემდეგ მთელი რიგ მიზეზთა გამო არაერთხელ დაირღვა ქართული სახელმწიფოს ერთობა და უამრავჯერ ჰქონდა ადგილი შიდა სეპარატიზმს, მაგრამ ერთიანი ქართული იდენტობისა და ეროვნულობის შეგრძნება ,,ფარნავაზიდან'' დაწყებული დღემდე აღარასოდეს აღარ დარღვეულა.[31] (სურ. 6, 7, 8)

სურათი 6. ანტიკური ეპოქის ,,საქართველოს „რუქა"

სურათი 7. იბერიის სამეფოს სიძლიერე, არქეოლოგიური გათხრებითაც დასტურდება (მცხეთის ანტიკური სასახლეების ნაშთები)

სურათი 8. ქართლის სამეფოს „რუქა" „ქართლის ცხოვრების" მიხედვით

[31] რანაირი გალეგენარულებული გმირიც არ უნდა ყოფლიყო ფარნავაზი იგი მაინც ანარეკლი უნდა იყოს რელურად არსებული ერთიანი საქართველოს პირველი მეფისა რომელმას უდიდესი როლი ითამაშა ჩვენს ისტორიაში და ფსიქოლოგიაში-იხ ქართლის ცხოვრება ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, თბ 1955 გვ 18, ,,ცხოვრება ფარნავაზისა''.

ვიმეორებთ, რომ მიუხედავად ,,ფარნავაზის“ არსებობაზე არსებული არაერთი საკამათო ფაქტორისა, მსოფლიო რუკაზე ჩნდება პირველი ერთიანი მონარქიული სახელმწიფო (და არა ტომთა გაერთიანება) იბერიის სამეფო!

მეოთხე პერიოდი:

„გეოპოლიტიკური ჭიდილის ეპოქა", ძვ.წ. I- ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნეები

საქართველოს ტერიტორია დიდი კამათისა მიუხედად ანტიკურ ეპოქაში მიეკუთვნებოდა ,,ევროპული მენტალობის აზიურ სახელმწიფოს“, მისი მართვის სტილი აზიურს უფრო ჰგავდა ვიდრე ევროპულს, თუმცა თავისუფალი მენტალობით ევროპული ღირებულებები უფრო ჭარბობდა ვიდრე აზიური(დაბალ კლასებშიც კი)

ქრისტეშობამდე I საუკუნეში ჩვენს საზღვრებს ზე სახელმწიფო, რომი მოადგა, ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმებით იმ მკვლევარებს რომლებიც რომაელთა იბერიაში ლაშქრობას მხოლოდ სამხედრო ინტერვენციად და მითრიდატე ევპატორის გასანადგურებლად მოწყობილ ლაშქრობად სთვლიან, რადგან ამ დროს იკვეთება ახალი გეოპოლიტიკურად ზესტრატეგიული ადგილი ესაა ,,დარიალის კარი'',

რომის არმიამ გნეუს პომპეუსის მეთაურობით მოახერხა ბრძოლების მოგება, თუმცა მას წინ აღუდგა საქართველოს ისტორიის ერთერთი ყველაზე დაუფასებელი მეფე არტაგი (არტოკლე), რომელმაც რომის ზესახელწიფოსთან ომში მიმართა დროის გაყვანისა და გეოპოლიტიკის გამოყენების სტრატეგიას და შეინარჩუნა უმთავრესი რამ სახელმწიფოებრიობა, ანუ აღსანიშნავია რომ ქართულმა სახელმწიფომ იბერიამ (ქართლმა) შეძლო თავიდან აეცილებინა ისეთი დიდი სამხედრო ზესახელმწიფოს სრული ანექსია როგორიც იყო რომი,[32] ჩვენს ქვეყანაში მიუხედავად პომპეუსის საკმაოდ წარმატებული სამხედრო კამპანიისა,[33] ქართული ტერიტორიების სრული ანექსია და სახელმწიფოებრიობის დაკარგვა მაინც არ მომხდარა და რომთან ურთიერთობას უფრო მეტად დადებითი მოვლენა იყო ქართველებისათვის,[34] იბერიის ,,ხელშეუხებლობის გასაღები'' არ შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ სტრატეგიული ადგილმდებარეობა, ,,დარიალის კარის“,[35] ფლობა ან რომისათვის ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების ,,სურვილი''[36] მივიჩნიოთ, აუცილებლად

[32] კ.ფიფია, „რომისა და აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ურთიერთობა ახ.წ. I-II სს“. თბ. 2004, გვ. 29.
[33] ს.მარგიშვილი, „იბერიის ომი პომპეუსთან“, ჟურნალი მხედარი თბ. 1991.
[34] ნ. ლომოური, *საქართველოს საგარეო ურთიერთობების სათავეებთან, ქართული დიპლომატია* 1, თბ 1994, გვ52.
[35] მ. ინაძე, *კასპიის კარი (დარიალი დარუბანდი) ახ.წ 1-5 საუკუნების საერთაშორისო დიპლომატიურ ურთიერთობებში, ქართული დიპლომატია 3*, თბ. გვ. 49-53.
[36] დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ, ნ.ლომოურის რედაქციით, თბ 1966, გვ 57

აღსანიშნავია იბერია-კოლხეთის სამხედრო პოტენციალიც ჯეროვნად იქნეს შეფასებული, იბერია გამოკვეთილი როგორც კავკასიის(როგორც ამიერ-ისე ჩრდილოეთ) ერთპიროვ-ნული გეოპოლიტიკური ცენტრი[37], იბერია რომ სუსტი სახელმწიფო ყოფილიყო, იგი ვერა-ნაირად ვერ გადარჩებოდა პართიისა და რომის ზესახელმწიფოების ჭიდილში,[38] იბერიის სახელმწიფო კავკასიის ჰეგემონი და იდენტობის ხერხემალია. და მაინც რამ განსაზღვრა საქართველოს გეოპოლიტიკური არჩევანი???

ესაა არა მხოლოდ ,,დარიალის კარი" და რომის იმპერიის სიძლიერე, ესაა რელიგიური არჩევანი: IV საუკუნეში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია ხდება, ვახტანგ გორგასლის სამეფო სათავეში მოსვლის შემდეგ კი ახალი ეპოქა იწყება,[39] საერთაშორისო პოლიტიკაში ისევ ებრძვის ერთმანეთს ორი სამხედრო იმპერია სასანიდების ირანი და ქრისტიანული ბიზანტია.[40]

ჩვენი გეოპოლიტიკასა და მენტალობაში ყალიბდება ჩვენი იდენტობის ერთ-ერთი უმ-თავრესი იდეა ,სამხედრო ქრისტიანული იდეოლოგია''![41]

ქრისტიანული იდეალები იმდენად ჩაჯდა ქართულ ფსიქიკაში, რომ სახელმწიფო არსის ფუნდამენტად იქცა, მსოფლიოს არც ერთ სახელმწიფოს არ გაუღია ქრისტიანობისათვის იმდენი მსხვერპლი რამდენიც პატარა საქართველოს, როგორც ზვიად გამსახურდია აღნიშ-ნავდა:

,,ქართული ქრისტიანობა ეს მთლიანად სამხედრო ქრისტიანობაა და საქართველო ერთი მთლიანი სულიერი ორდენია წმინდა გიორგისა''

სურათი 9. ქართლის სამეფოს გეოპოლოტიკური „რუქა" (ანტიკურ და ადრეფეოდალურ ეპოქაში)

სურათი 10. V საუკუნიდან საბოლოოდ ყალიბდება ქრისტიანული მსოფლმხედველობა (ბოლნისის სიონის წარწერა V საუკუნე)

[37] ი. გაგოშიძე, პირველი საუკუნის იბერიელი მხედარი-არქეოლოგიური კვლევითი ცენტრის ძიებანი, თბ. 2004, გვ 118

[38]გ გამყრელიძე, ომი და შეიარარება იბერია კოლხეთში, თბ2010, გვ 160.

[39]მ.ლორთქიფანიძე, *ქართლი მეორე ნახევარში*, თბ. 1979.. გვ 4

[40]ნ. ხოფერია, *ვახტანგ გორგასლის ეპოქის სამხედრო ისტორიის საკითხები,* საისორიო კრებული, თბ. 2014 გვ 61.

[41] ბეჟან ჯავახია, ანიკურობიდან შუა საუკუნეებისაკენ, თბ 2005წ. გვ 49.

ამავე პერიოდში დასავლური ღირებულებები და ქრიტსიანობა აირჩია დასავლეთ საქართველომაც (ეგრისმაც) (სურ. 9,10)

ქრისტიანობა არ ყოფილა ქართველი ხალხისათვის მხოლოდ რელიგია ან იდეოლოგია, იგი უპირველესად იყო გეოპოლიტიკური და დასავლური არჩევანი. და მიუხედავად იმისა რომ ყველა ქართველი ქრისტიანი არ ყოფილა, და არაერთხელ ქვეყნის სათავეში არაქრისტიანი მმართველი იჯდა, ქართველი ხალხის დასავლური არჩევანი რომელიც საბოლოოდ V საუკუნეში ჩამოყალიბდა მისი იდენტობისა და გეოპოლიტიკის ხერხემლად იქცა!

მეხუთე პერიოდი:

გეოპოლიტიკირი ბრძოლა ერთიანი მონარქიისათვის V-XII საუკუნეები

მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესები მრავალი წინააღმდეგობით იყო სავსე (არაბობა და არაბთა ოკუპაცია,[42] ბიზანტიის და შიდა სეპარატიზმის ფაქტორი) X საუკუნიდან საბოლოოდ მთავრდება ერთიანი ქართული სახელმწიფოს შენება და სახელოვანი ბაგრატიონების დინასტიის ქვეყნის სათავეში მოსვლით უკვე საბოლოოდ ყალიბდება ცენტრალიზებული სახელმწიფო,-საქართველო.[43]

თუმცა ეს ეპოქა რთული და არაერთგვაროვანი იყო და პირდაპირ იყო დამოკიდებული საგარეო ფაქტორებზე და შიდა მოვლენებზეც, ამ დროს ხდება უდიდესი სამხედრო პოლიტიკური-რელიგიური მოვლენა - ჯვაროსნული ომები,[44] მსოფლიო სამხედრო ისტორიაში კიდევ ერთხელ ხდება აღმოსავლეთისა და დასავლეთის სამხედრო ხელოვნებების შეჯახება,[45] (სტრატეგიაში და გეოპოლიტიკაში).[46] ჩვენს სამხრეთით აგრესიული თურქული ეთნოსების დამკვიდრებით, მთლიანად იცვლება მცირე აზიის და მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკა, თურქულიი სახელმწიფო არა მარტო აგრესიულ მეზობლად, არამედ მძლავრ სამხედრო იმპერიად და ჩვენს დაუძინებელ მტრად იქცა, არაერთი სახელმწიფო მათი მსხვერპლი გახდა და გადაშენების პრობლემა ახლად ჩამოყალიბებულ საქართველოს სამეფოსაც დაემუქრა, თუმცა ქვეყანამ შესძლო არათუ თურქ-სელჩუკური

---

[42] ქართულ ცნობიერებაში მონღოლების , სპარსელების და განსაკუთრებით კი თურქების ფონზე, ,,ერთმორწმუნე'' ბიზანტია მტრის ხატად არ შემორჩა , არადა ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ ამ პერიოდის დასაწყისში ერთიანი საქართველოს უპირველესი მტერი ბიზანტიის იმპერია იყო

[43]ს.მარგიშვილი, *შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო პოლიტიკური ისტორია IX-XV საუკუნეებში*, თბ 2013, გვ 360.

[44] შ.ბადრიძე, *საქართელო და ჯვაროსნები,* თბ1972, გვ4.

[45]David nikolle-Arms and armouer of the crusading era, 1050-1350, London 1999, 7.

[46] მ. წურწუმია, წაგრძელებული შუბით ბრძოლის წესი და ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკა: ქართული გამოსდილება. -საისტორიო კრებული(წელიწდეული) თბ. 2011წ.

ტალღის აქტიურად მოგერიება, არამედ შეტევაზე გადასვლაც და მაშინდელი მსოფლიო პოლიტიკური რუკის საკმაოდ ძლიერ სახელმწიფოდ იქცა.[47]

საგარეო ფაქტორებთან ერთად ახალი გეოპოლიტიკური ეპოქის შემქმნელად ცალსახად ითვლება ერთი ადამიანი ესაა- მეფე დავით IV-ე (აღმაშენებელი),

რომელმაც 1121 წელს დიდგორის გენერალური ბრძოლის მოგების შემდეგ, შეტევითი სტრატეგიაც აწარმოა და მსოფლიო გეოპოლიტიკურ რუკას ახალი ზემძლავრი სახელმწიფო მისცა -საქართველოს(კავკასიის) ერთიანი მონარქიის სახით.[48]

ალანები
საქართველო
ბიზანტია
ეგრისი
ტაო
ქართლი
ეგრისი
ბერძენთა
ბერძენთა
ბერძენთა

დავით IV-ე აღმაშენებლის გენიალური სტრატეგიული მოქმედებების შემდეგ, საქართველოს გეოპოლიტიკაში ისვე როგორ კულტურასა და პოლიტიკაში ერთგვარი ,,ოქროს ხანა'' დგება, ჩამოყალიბდა მძლავრი ცენტრალიზებული სახელმწიფო, ერთიანი სამხედრო სტრუქტურით და ამბიციური სამხედრო სტრატეგიით,[49] არნახულად გაიზარდა მეფის როგორც უმაღლესი მთავარსარდლის კულტი და ერისთავების ინსტიტუტის როლი.[50]

საქართველო ხდება კავკასიის დომინანტი სახელმწიფო,[51] რომელიც აკონტროლებს მსოფლიოს ეკონომიკის უმთავრეს მაგისტრალს ,,აბრეშუმის დიდ გზას" აღნიშნულ პერიოდში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო მონღოლების გამოჩენაც, რომლებმაც უდიდესი უარყოფითი როლი ითამაშეს მსოფლიოს და ჩვენი ქვეყნის ისტორიაში,[52,53] ქართველებს არაერთხელ მოუწიათ როგორც მათ წინააღმდეგ ასევე მათ მხარდამხარ ბრძოლა, მაგრამ გავბედავთ და მონღოლების ეპოქას მაინც არ გამოვყოფთ ცალკე მოვლენად და მონღოლურ პერიოდს - ,,ერთიანი მონარქიის პერიოდში გავაერთიანებთ'', რადგან მონღოლების მიერ ქართული სახელმწიფოს დამხობა და მისი საგარეო ავტორიტეტის მნიშვნელოვნად დაკნინება ნამდვილად არ მომხდარა.

აღნიშნული ეპოქა ხასიათდება როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მომენტებით, როგორც დიდი გამარჯვებებით ასევე კატასტროფული დამარცხებებით და ლამის სახელმწიფოებრიობის სრული დაკარგვით. თუმცა მსოფლიოს გეოპოლიტიკურ რუკაზე საქართველო ითვლებოდა ერთიან მძლავრ ქრისტიანული ღირებულებების და გამორჩეული იდენტობის სახელმწიფოდ,[54,55] ქართველ მეფეებს (მონღოლების ოკუპაციის დროსაც კი),[56] ევროპული წყაროები უწოდებენ ,,იერუსალიმის აღმოსავლეთ მცველებს და კრისტანობის მხსენელებს."[57] ამ პერიოდის გეოპოლიტიკის უმთავრესი ფაქტორებია: ,,საქართველოს გამორჩეული სტრატეგიული როლი და ეთნიკური ავტორიტეტი" და აბრეშუმის დიდი გზის კონტროლი და კავკასიის ერთპიროვნული ჰეგემონია.[58] (სურ.14,15,16)

---

[49]ჯ. სამუშია, *ციხე სიმაგრეების არების ხელოვნებაXI-XII საუკუნეების საქართველოში, საისტორიო ძიებანი,* თბ.2007 -2008, გვ.99.

[50]ნ. ბერძენიშვილი, *ნარკვევებ ტ3*, თბ.1979, გვ47,

[51] რ.მეტრეველი, *დავით აღმაშენებელი,* თბ 1990, გვ 23

[52] С.Тарбун, Мак Брайд-АРМИЯ МОНГОЛЬСКОЙ ИМПЕРИИ. М 2009Ю

[53] ი.ცინცაძე, *მონღოლები და მათი დაპყრობები,* თბ.1961, გვ 4

[54] ალ.თვარაძე, საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში, თბ2004,გვ157.

[55] რ.მეტრეველი, ..დასახელებული ნაშრომი

[56] ბ.ჭიჭინაძე, საქართველოში ხუთჯვრიანი დროშის წარმომავლობა და ქართულ ჯვაროსნული ურთიერთობები, თბ2022, გვ44

[57] ბ.ჭიჭინაძე, საქართველოში ხუთჯვრიანი დროშის წარმომავლობა და ქართულ-ჯვაროსნული ურთიერთობები , თბ.2022გვ70

[58]გ.ბერიძე, ქართული ციხესიმაგრეების ფუნქცია და ტიპოლოგია (X-XVსაუკუნეები), სამეცნიერო კოფერენციის შრომათა კრებული, გორი 2024, გვ167.

სურათი 14. საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს „რუქა“

სურათი 15. საქართველო ევროპულ რუქებზე სურათი



სურათი 16. საქართველო ევროპულ რუქებზე

მეშვიდე პერიოდი :

,,თვითგადარჩენის გეოპოლიტიკის ეპოქა“ -1555-1810 წლები

ჯერ ჯალალედინის, შემდეგ მონღოლთა დაპყრობების, საბოლოოდ კი თემურ ლენგის შემოსევები დამღუპველი გამოდგა საქართველოსათვის, ქვეყნის პოლიტიკური და სამხედ-რო დაღმასვლა შეუქცევადი პროცესი გახდა,[59] ბიზანტიის დაცემამ კატასტროფულად იმოქმედა სახელმწიფოზე, ქვეყანა მტრულად იზოლირებულ გარემოში უკვე საბოლოოდ

[59]საქართველოს სამხედრო ისტორია(ავტორთა კრებული) საქართელოს თავდაცვის სამინისტროს გამოცემა, თბ.2013, ნაწილი 2, გვ.47.

მოექცა, საქართველო დაიშალა სამეფო სამთავროებად,[60] მოისპო ერთიანი ეროვნული სამხედრო სისტემა,[61] სტრატეგია და გეოპოლიტიკური სიტუაციაც.

ბიზანტიის დაცემამ პირდაპირ დაარტყა საქათველოს გეოპოლიტიკურ როლსა და ფუნქციას, დიდი გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა და სახმელეთო გზების საზღვაო მარშუტებზე გადატანამ კი ქართულ გეოპოლიტიკაზე და ეკონომიკაზე კატასტროფულად იმოქმედა, ქვეყანამ დაკარგა საერთაშორისო მისია და ფუნქცია.[62]

1555 წელს ამასიის ზავით სპარსეთ-ოსმალეთის იმპერიებმა დაშლილი საქართველო შუაზე გაიყვეს, მსოფლიო გეოპოლიტიკიდან გაქრა სახელწიფო საქართველო! (სურ.17,18,19)

სურათი 17. საქართველოს დაშლა სამეფო- სამთავროებად XV საუკუნე

[60]ი.ანთელავა, *ერთიანი მონარქიის დაშლა და და შუა საუკუნეთა საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის პრობლემა,* მაცნე, ისტორიის სერია, 2, თბ1978, გვ 81.

[61]გ.ანჩაბაზე, *ფეოდალური საქრთველოს ლაშქარი,(წიგნიდან საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები, 1920 წლამდე)* თბ. 2010

[62]ა. გვიმრაძე, *გეოპოლიტიკა*, თბ2010, გვ41

სურათი 18. XV საუკუნიდან საქართველომ დაკარგა სტრატეგიული დერეფნის ფუნქცია

სურათი 19. საქართველო ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ ატლასში, XVIII საუკუნე

მართალია ქართველი ხალხი თავგანწირული ბრძოლებით ინარჩუნებდა მენტალობასა და იდენტობას, მაგრამ საერთაშორისო გეოპოლიტიკაში არანაირ დიდი მნიშვნელობის გეოპოლიტიკურ და სტრატეგიულ როლს აღარ თამაშობდა!

მერვე პერიოდი:

,,გეოპოლიტიკური სიკვდილი“ -საქართველო რუსეთი იმპერიაში, 1810-1918 წლები

მიუხედავად იმისა, რომ გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში ყველა დიდ იმედს ,,ერთმორწმუნე'' რუსეთის იმპერიაზე ამყარებდა, ქართული სახელმწიფოებრიობის საბოლოო მომსპობი სწორეთ ,,ჩრდილოელი მეზობელი'', გამოდგა 1801 წელს ყველანაირი ნორმების დარღვევით რუსეთმა გააუქმა ქართლ-კახეთის ქართული სახელმწიფო და თანდათან მთელი საქართველო რუსეთის იმპერიის ჩვეულებრივ გუბერნიად აქცია, მოსპობილი იქნა ყველაფერი ქართული და მათ შორის რა თქმა უნდა ქართული გეოპოლიტიკა და სტრატეგიაც, ქართველები ჩაებნენ რუსეთის კოლონიურ უღელში,[63,64] ეს პერიოდი ხასიათდება ერთი ფაქტორით მიუხედავად საქართველოს ისტორიის არაერთი ანექსიისა სხვადასხვაა პერიოდში(სპარსეთის, არაბების, მონღოლების, ოსმალეთის..) საქართველოს ტერიტორიების ასეთი ფართო და პრაქტიკულად სრული დაპყრობა არ მომხდარა. ამიტომ ისტორიაში ყველაზე კრიტიკულად დადგა ეროვნული არსებობის საფრთხე[65], აღნიშნულ პერიოდში სქართველოს არ გააჩნია არანაირი საერთაშორისო გეოპოლიტიკური როლი, და იგი რუსეთის იმპერიის თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებადაა ქცეული[66]. (სურ. 20)

[63] М.Гогитидзе, -ГРУЗИНСКИ ГЕНЕРАЛИТЕТ (1699-1921) КИЕВБ 2001. С.4.
[64] გოგიტიძე მ. -რუსეთის იმპერიის სამეფო არმიის ქართველი გენერლები, თბ 1999. გვ.5.
[65]ვ.გურული, *საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე),* თბ.2004. 93-101.
[66] იქვე (გურული, კუპატაძე) გვ.79.

სურათი 20. საქართველო რუსეთის იმპერიაში, თბილისის და ქუთაისის გუბერნიებად იქცა

მეცხრე პერიოდი:

,,გეოპოლიტიკური ამოსუნთქვის ეპოქა“ (1918-1921 წლები)

მიუხედავად თავისი .,დროის სიმცირისა'' ესაა საქართველოს გეოპოლიტიკის ისტორიის მეტად შთამბეჭდავი და საამაყო პერიოდი,[67] დამონების მიუხედავად ქართველმა ხალხი და ელიტა ცდილობდა ღირსეული ადგილი დაეკავებინა მსოფლიოს ახალ გეოპოლიტიკურ რუკაზე.

ქმნიდა იდენტურ და საერთაშორისო გეოპოლიტიკას, და პერიოდულად იკავებდა ადგილს საერთაშორისო ასპარეზზე,[68] მიუხედავად პოლიტიკური თუ სახელმწიფო პრობლემებისა,[69] სახელწიფოს სრული ოკუპაციის მიზეზი უმეტესად იყო არა საშინაო არამედ საგარეო ფაქტორები. (სურ. 21)

[67] *საქართველოს სამხედრო ისტორია,* (ავტორთა კრებული) თბ.2013, გვ, 44.
[68] *საქართველოს ისტორია, XX-ე საუკუნე,* (გურული ვ, რედაქტორობით) , თბ.2003, გვ55
[69] იქვე. ჩაჩხიანი... გვ138

სურათი 21. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, იდეოლოგიურ სახღვრებში (1918-1921)წ.

მეათე პერიოდი:

საბჭოთა ოკუპაციის ეპოქა („გეოპოლიტიკური ოკუპაცია " 1921-1991 წლები)

სუფთა პოლიტიკური კუთხით თუ შევხედავთ ჩვენი ქვეყნისათვის ტერმინების გარდა კომუნისტური კოლონიზაცია ბევრი არაფრით განსხვავდებოდა იმპერიული რუსეთის კოლონიზაციისაგანა, უბრალოდ კომუნისტები უფრო ,,კეთილშობილი'' მიზნებისათვის და ,,სამყაროს ნათელი მომავლისათვის'' მებრძოლის იდეალებით გამოდიოდნენ, ქართველები ამჯერადაც იმპერიალურ სამხედრო მანქანაში ჩაებნენ, ფორმალურად ქართული სახელმწიფო არსებობდა რუსეთის იმპერიაში, თუმცა მას არ ჰქონია არანაირი გეოპოლიტიკური როლი და ფუნქცია. (სურ. 22)

სურათი 22. საბჭოთაკავშირში ოკუპირებული საქართველო მსოფლიო პოლიტიკაში
არანაირ როლს აღარ თამაშობდა

მეთერთმეტე პერიოდი :

დამოუკიდებელი საქართველოს გეოპოლიტიკა, ახალი ეტაპი 1991 წლის 31 მარტიდან ....

1990-წელს დიდი წვალების შემდეგ კომუნისტური იმპერიის არსებობა დამთავრ-და, საქართველომ ნანატრი დამოუკიდებლობა იმედია საბოლოოდ მოიპოვა, და დაიწყო და-მოუკიდებელი საქართველოს გეოპოლიტიკის ისტორია....(სურ.23,24)

სურათი.23 თანამედროვე საქართველო ნელნელა იბრუნებს სტრატეგიულ გეოპოლიტიკურ ფუნქციას

დასკვნა

როგორ შესავალში აღვნიშნეთ, ჩვენი მოკრძალებული სტატია ,,საქართველოს გეოპო-ლიტიკის ისტორიის“ პერიოდებად დაყოფის პირველი ცდაა, შეგუებულნი ვართ აზრს, რომ მასში აუცილებლად იქნება შეცდომებიც, ხარვეზებიც და სადისკუსიო საკითხებიც, რასაც ჩვენ დიდი გულისხმიერებითა და ყურადღებით მივიღებთ!

სურათი 24. თანამედროვე საქართველო დიდი გეოპოლიტიკური
გამოწვევების წინაშე დგას

ბიბლიოგრაფია

ბადრიძე, შ. საქართველო და ჯვაროსნები. თბილისი, 1972.

ბერიძე, გიორგი. „საქართველოს სამხედრო ისტორიის პერიოდიზაცია (საკითხის დაყენების ცდა)“. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები IX (2015).

ბერიძე, გიორგი. „300 სპარტანელთან ქართველებსაც უბრძოლიათ“. არსენალი N3 (2011).

გიორგაძე, გ. ხეთური და ასურული ლურსმნული წარწერები ქაშქებისა და აბეშალების ეთნიკური წარმომავლობის შესახებ. ახალციხე, 2001.

გვიმრაძე, ა. გეოპოლიტიკა. თბილისი, 2010.

გორგილაძე ი, გეოპოლიტიკის საფუძვლები , თბ.2009.

დავითაშვილი, ზურაბ. „გეოპოლიტიკის ხიბლი“. ჩემი სამყარო N11 (2016).

დუნდუა, ს., და სილაგაძე. საქართველო და გარე სამყარო. თბილისი, 2002.

კვირკველია, გ. უცხოელი მეცნიერები უძველესი ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ. თბილისი, 1976.

კვირკველია, გ. „ჰოპლიტური ფარები კოლხეთში“. ძიებანი N7 (2001): 33–39.

კალანდაძე, მ. „ქართული დიპლომატიის ისტორიის პერიოდიზაცია“. ქართული დიპლომატიის ისტორიის წელიწდეული N11 (2004): 17.

კაციტაძე კ. სტრატეგიის საფუძვლები, თბ2003.

მარგაშვილი, ს. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ. თბ., 2006.

მარგიშვილი, ს. შუა საუკუნეების სამხედრო ხელოვნება და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX–XV საუკუნეებში. თბილისი, 2013.

მელიქიშვილი, გ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. 1. თბილისი, 1970.

მელიქიშვილი, გ. NAIRI–URARTU. თბილისი, 1954.

მიქელაძე, თ. ქსენოფონტის „ანაბასისი“: ცნობები საქართველოს შესახებ (ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ). თბილისი, 1967.

ნიორაძე, მ. „ქვის იარაღები დმანისიდან“. დმანისი, ტ. 1. თბილისი, 1998.

ფირცხალავა, მ. „სკვითური ძეგლების საქართველოში გავრცელების საკითხისათვის“. საქართველოს არქეოლოგიის საკითხები I (1978): 32–51.

ქორანაშვილი, გ. გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების განვითარებაში. თბილისი, 1975.

წიქორიძე, ა. დავით აღმაშენებლის სტრატეგია. ქუთაისი, 2022.

წურწუმია, მ. „წაგრძელებული შუბით ბრძოლის წესი და ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკა: ქართული გამოცდილება“. საისტორიო კრებული (2011).

ჩარექიშვილი ნ. , საქართველოს სახელმწიფო მოწყობის ისტორიული განვითარება, თბ.2023.

ჩიტაძე, ნ. გეოპოლიტიკა. თბილისი, 2011.

ჯაფარიძე, ოთარ. ქართველი ერის ეთნოგენეზისის სათავეებთან. თბილისი, 2006.

ჰეროდოტე. ისტორია. თბილისი, 1975.

Kuftin, V. A. Arkheologicheskie raskopki v Trialeti. Tbilisi, 1941.

Melikishvili, G. A. Nairi–Urartu. Tbilisi, 1954.

Nicolle, David. Arms and Armour of the Crusading Era, 1050–1350. London, 1999.

Robinson, Rassel. Dospekhi narodov Vostoka. Moscow, 2006.